

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2009, # 9

სამოქალაქო პროცესი (ზოგადი დებულებანი)

1. დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი
2. განსჯადობა
3. მოსამართლის აცილების საფუძვლები
4. სასამართლო ხარჯებისაგან გათავისუფლება
 - სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძვლები
 - სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლება სასამართლოს მიერ
 - სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადება და ოდენობის შემცირება
5. სასამართლო შეტყობინება და დაბარება
 - უწყების ჩაბარება
 - უწყების გაგზავნა
 - უწყების ჩაბარება ადრესატის არყოფნის შემთხვევაში

1. დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი

განჩინება

#ას-17-355-09

22 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ვალდებულების შესრულების დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

რ. ი-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. შ-ძისა და ა. ზ-ძის მიმართ სოლიდარულად 3050 აშშ დოლარისა და ადვოკატის ხარჯების - 200 აშშ დოლარის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 1998 წლის შემოდგომაზე რ. ი-მემ რუსეთის ქ. გომელში სარეალიზაციოდ წაიღო მანდარინი, სადაც შეხვდა იმავე მიზნით ქ. გომელში მყოფ ნაცნობს - თ. ს-ძეს. ამ უკანასკნელმა შესთავაზა საერთო ბიზნესის დაწყება და ქ. კრასნოდარიდან პროდუქტის ჩამოტანა, რისთვისაც რ. ი-მემ მას მისცა 4080 აშშ დოლარი. თ. ს-ძეს ბიზნესი არ დაუწყია და არც ხსენებული თანხა მოსარჩელისათვის არ დაუბრუნებია. საქართველოში დაბრუნებულმა რ. ი-მემ მიმართა თანასოფლელ ა. ზ-ძეს და თანხის დაბრუნებაში დახმარება სთხოვა, რის შედეგად მას დაუბრუნდა 1700 აშშ დოლარი. მოგვიანებით ა. ზ-მემ აიძულა მოსარჩელე, აღნიშნული თანხიდან 500 აშშ დოლარი უკან დაებრუნებინა მისთვის, საიდანაც 250 აშშ დოლარი გადაიხადა რ. ი-მემ, ხოლო დანარჩენი თ. ს-მემ. მოსარჩელემ განცხადებით მიმართა რაიონულ პროკურატურას, საიდანაც საქმე გადაიგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელვაჩაურის რაიონულ განყოფილებაში და 2005 წლის 7 მაისის დადგენილებით რ. ი-მემ ცნეს საქმეში დაზარალებულად. გამოძიების პროცესში აწ გარდაცვილი თ. ს-ძის მეუღლე ნ. შ-მემ ცნო რ. ი-ძის მიმართ ვალის არსებობის ფაქტი.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს. ნ. შ-ძის განმარტებით, მისმა მეუღლემ რ. ი-მეს არსებული სესხი სრულად დაუბრუნა, ხოლო ა. ზ-ძის მითითებით, მისთვის ცნობილი იყო რ. ი-ძის მიმართ თ. ს-ძის ვალის არსებობის შესახებ თავად მოსარჩელის განმარტებიდან, თუმცა თანხის დაბრუნებაში მოპასუხეს მონაწილეობა არ მიუღია.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით რ. ი-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 12 ნოემბრის განჩინებით რ. ი-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 1998-1999 წლებში მოსარჩელემ რუსეთში სარეალიზაციოდ წაიღო მანდარინი, სადაც რ. ი-მემ თ. ს-ძეს გადასცა 4080 აშშ დოლარი. სააპელაციო პალატამ დამატებით დაადგინა, რომ 1999 წელს გადაცემული 4080 აშშ დოლარიდან თ. ს-მემ რ. ი-მეს დაუბრუნა 1700 აშშ დოლარი, რაც თავად რ. ი-ძის განმარტებით დასტურდება. საქმეში წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ 2004 წლის 15 ივლისის დადგენილებითა და სისხლის სამართლის საქმეზე მოწმის სახით დაკითხული ნ. შ-ძის ჩვენებით სასამართლომ გამოარკვია, რომ რ. ი-მესა და თ. ს-ძეს შორის დავა იყო ვალის გამო, რაც დაახლოებით 3500-4500 აშშ დოლარს შეადგენდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მესამე ნაწილის, მე-4 და 103-ე მუხლების საფუძველზე სასამართლომ მიუთითა, რომ მხარე ვალდებულია, დაამტკიცოს მის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილ დოკუმენტში მითითებული გარემოებები მათი სადავობის შემთხვევაში. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 93-ე მუხლით და მიიჩნია, რომ მოპასუხე მხარემ სადავო გახადა რა თ. ს-მესა და რ. ი-მეს შორის არსებული გარიგების სამართლებრივი საფუძველი და მათ შორის ურთიერთობა, ერთობლივი საქმიანობის ნაცვლად, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მიიჩნია. სასამართლომ ჩათვალა, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ 2004 წლის 15 ივლისის დადგენილებით, სისხლის სამართლის საქმეზე მოწმის სახით დაკითხული პირებისა და სასამართლო სხდომაზე მოწმეთა ჩვენებებით მხარეთა შორის ერთობლივი საქმიანობის არსებობა არ დადასტურდა, არამედ ზემოხსენებული მტკიცებულებებით ირკვევა, რომ თ. ს-მეს გააჩნდა რ. ი-ძის ვალი. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ რ. ი-მემ თ.

ს-ძეს 4080 აშშ დოლარი რუსეთში გადასცა ერთობლივი ბიზნესის საწარმოებლად, შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა თ. ს-ძის მემკვიდრის მიერ ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების თაობაზე უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს. სააპელაციო პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია რ. ი-ძის მოთხოვნა ა. ზ-ძის მიმართაც, ვინაიდან, თავად რ. ი-ძის განმარტებით, ა. ზ-ძე არ წარმოადგენდა მოსარჩელის მიერ მითითებული გარიგების ერთობლივი საქმიანობის მონაწილეს, ხოლო საქმის მასალებით არ დგინდება რ. ი-ძის კუთვნილი თანხის ა. ზ-ძის მიერ მიღებისა და ფლობის ფაქტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოება, რომ საქმის მასალებით, სამოქალაქო კოდექსის 316-ე და 317-ე მუხლების პირველი ნაწილების თანახმად, მხარეთა შორის ერთობლივ საქმიანობასთან დაკავშირებული ხელშეკრულების არსებობა არ დადასტურებულა და სასამართლომ რ. ი-ძის სარჩელი მართებულად არ დააკმაყოფილა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება რ. ი-ძემ გასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები. რეალურად რ. ი-ძესა და აწ გარდაცვლილ თ. ს-ძეს შორის არსებობდა ერთობლივი საქმიანობა, რისთვისაც კასატორმა ამ უკანასკნელს გადასცა 4080 აშშ დოლარი. დაუსაბუთებელია სასამართლოს მსჯელობა, რომ რ. ი-ძემ თ. ს-ძეს სადავო თანხა ასესხა. აღნიშნული დასკვნა საქმის მასალებიდან არ გამომდინარეობს. მოპასუხემ აღიარა სადავო თანხის პროდუქტის შესაძენად და ერთი ქალაქიდან მეორეში მის გადასაზიდად მიღების ფაქტი და ისიც, რომ არსებული ვალი კასატორისათვის გადასაცემად გამოატანა ა. ზ-ძეს, თუმცა სასამართლომ არ შეაფასა ის გარემოება, რომ კასატორს ამ თანხის მხოლოდ მცირე ნაწილი გადაეცა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ რ. ი-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს იმავე სასამართლოში, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

განსახილველი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველს წარმოადგენს შემდეგი გარემოებები:

სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინებით დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ რ. ი-ძემ 4080 აშშ დოლარი გადასცა თ. ს-ძეს. ასევე დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ თ. ს-ძის "ვალის" წარმოშობა ერთობლივი საქმიანობიდან არ დგინდება, რის გამოც რ. ი-ძის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

აღსანიშნავია, რომ რ. ი-ძე საქმეში წარმოდგენილი სარჩელით უთითებს რა ზემოაღნიშნულ სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე - აწ გარდაცვლილ თ. ს-ძისათვის თანხის გადაცემაზე და ვალის არსებობაზე, ითხოვს გადაცემული თანხის უკან დაბრუნებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის "თ" ქვეპუნქტი ავალდებულებს მოსარჩელეს, სარჩელში მიუთითოს იმ სამართლებრივ საფუძვლებზე, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს, თუმცა ასეთის მიუთითებლობა ან ფაქტობრივი გარემოებების არასწორი სამართლებრივი შეფასება არ შეიძლება იყოს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი. მხარის მიერ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების კონკრეტულ მატერიალურ-სამართლებრივ ნორმასთან შესაბამისობის დადგენა სასამართლოს უფლებაცაა და ვალდებულებაც.

დავის სამართლებრივი შეფასებისას მოსამართლე სრულიად დამოუკიდებელია, განსხვავებით პროცესის ფაქტობრივ საფუძვლებზე მუშაობისაგან და არ არის შებოჭილი დისპოზიციურობის ან შეჯიბრებითობის პრინციპებით.

შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეებს შეუძლიათ თავად განსაზღვრონ, აღძრან თუ არა დავა სასამართლოში, როგორ წარმართონ ან როგორ დაასრულონ იგი. მათ ასევე შეუძლიათ თავად გადაწყვიტონ, საქმის რომელი ფაქტობრივი გარემოებები მოახსენონ და რომელი მტკიცებულებები წარუდგინონ სასამართლოს. მხარეთა მიერ წარდგენილი მოთხოვნებისა და მოხსენებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება კი მხოლოდ მოსამართლის პრეროგატივაა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების შესრულებასთან ერთად მხარეებმა მოსამართლეს უნდა მოახსენონ საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებზეც მხარე თავის მოთხოვნას ამყარებს და მოთხოვნის შინაარსი. მიზანშეწონილია, მაგრამ არაა აუცილებელი, თუ მხარეები მოთხოვნის იმ სამართლებრივ საფუძველზეც - ნორმაზე მიუთითებენ, რომელსაც მათი მოთხოვნა ან, შესაბამისად, შესაგებელი ემყარება, თუმცა ეს არც აუცილებელია და არც შემზღვედავი სასამართლოსათვის. მოსამართლისათვის სავალდებულო არ არის მხარეთა მოსაზრებები, თუ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად რა სამართლებრივი საფუძველი უნდა იქნეს გამოყენებული და არც კანონის იმპერატიული დათქმა, გამოტანილი გადაწყვეტილება დაეფუძნოს მხარეთა მიერ მითითებულ მოთხოვნის საფუძველს. მაშინაც კი, თუ მხარეები განსაზღვრულ საკითხებთან მიმართებით არასწორ ან არამყარ სამართლებრივ პოზიციას ირჩევენ, თუ საქმის მასალებზე დაყრდნობით და სხვაგვარი დასაბუთებით კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელია, მოსამართლეს სხვა გზის არჩევის უფლება აქვს. სწორედ აღნიშნული წარმოადგენს სამოსამართლო საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს კერძო სამართლის სუბიექტთა დარღვეული უფლებები-სა და ინტერესების სრულყოფილად და ეფექტურად დაცვას.

მოცემულ დავაში სასამართლომ ჩათვალა, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ 2004 წლის 15 ივლისის დადგენილებით, სისხლის სამართლის საქმეზე მოწმის სახით დაკითხული პირებისა და სასამართლო სხდომაზე მოწმეთა ჩვენებებით მხარეთა შორის ერთობლივი საქმიანობის არსებობა არ დადასტურდა, არამედ ზემოხსენებული მტკიცებულებებით ირკვევა, რომ თ. ს-ძეს გააჩნდა რ. ი-ძის ვალი. პალატამ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით, სამოქალაქო კოდექსის 316-ე და 317-ე მუხლების პირველი ნაწილების თანახმად, მხარეთა შორის ერთობლივ საქმიანობასთან დაკავშირებული ხელშეკრულების არსებობა არ დადასტურებულა და რ. ი-ძის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სასამართლოს მიერ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების - ვალის არსებობის დადგენით დასტურდება, რომ კონკრეტულ სუბიექტთა შორის წარმოიშვა ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა, რაც გულისხმობს კრედიტორის უფლებას, მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება (სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილი). მხარის მიერ ვალდებულების წარმომშობი ხელშეკრულების არასწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია ვალდებულების შესრულების დაკისრებაზე უარის თქმის საფუძველს არ წარმოადგენს.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებისა და მოპასუხეთა შესაგებლის ფარგლებში უნდა გამოარკვიოს: საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს თუ არა მოსარჩელის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს; რეალურად რა ურთიერთობა წარმოიშვა მხარეებს შორის და კანონიერია თუ არა სასარჩელო მოთხოვნა; მოცემულ საქმეში მოპასუხედ ჩაბმულ პირებს ეკისრებათ თუ არა ვალდებულების შესრულება და რა ფარგლებში;

ასევე უნდა შემოწმდეს მოპასუხეთა მიერ სარჩელის უარსაყოფად შესაგებელში მითითებული ყველა საფუძველი, მათ შორის, მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

რ. ი-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 12 ნოემბრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. განსჯადობა

განჩინება

#ას-770-985-08

12 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. შ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიმართ შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძველებით: მოსარჩელე მუშაობდა სს „ჭიათურმანგანუმის“ მაღაროში მებიგედ. 1970 წლის 21 ივნისს იგი მგზავრობდა რა ჭიათურის გეოლოგიური პარტიის კუთვნილი ავტომობილით, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზარალდა და დაკარგა პროფესიული შრომისუნარიანობა 80 %-ით. ჭიათურის საქალაქო სასამართლოს 1970 წლის გადაწყვეტილებით ვ. შ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხე ჭიათურის გეოლოგიურ სამიებო პარტიას დაეკისრა ვ. შ-მის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს 80%-ის - თვეში 142 მანეთის გადახდა. სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებულ თანხას ვ. შ-მე იღებდა 1997 წლის მისამდე, ხოლო შემდგომ სარჩოს გადახდა შეუწყდა. მოსარჩელემ მოითხოვა დაგროვილი დავალიანების სახით მოპასუხისათვის 17490 ლარის და ყოველთვიურად სარჩოს - 176 ლარის დაკისრება.

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას 2006 წლის 19 სექტემბერს ვ. შ-მე გარდაიცვალა და სასამართლოს 2007 წლის 20 აპრილის განჩინებით მოსარჩელე ვ. შ-მის უფლებამონაცვლედ საქმეში ჩაება მისი შვილი ვ. შ-მე, რომელმაც დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა მოპასუხისათვის, ფულადი ვალდებულების შესრულების მიზნით, 8 339,10 ლარის დაკისრება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით ვადრენ შ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა - მოპასუხეს ვ. შ-მის სასარგებლოდ დაეკისრა 8339,10 ლარის გადახდა, რაც საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ვ. შ-მე მუშაობდა სს „ჭიათურმანგანუმის“ მაღაროში მებიგედ, რომელიც 1970 წლის 21 ივნისს ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზარალდა და დაკარგა პროფესიული შრომისუნარიანობა 80%-ით. ჭიათურის საქალაქო სასამართლოს 1970 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებით ჭიათურის გეოლოგიურ სამიებო პარტიას დაეკისრა ვ. შ-მის სასარგებლოდ მისი ყოველთვიური სარგოს 80%-ის - თვეში 142 მანეთის გადახდა. დაზარალებული ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე იღებდა სარჩოს 1997 წლამდე. ვ. შ-მის თანამდებობრივი სარგო 2002 წლის მარტიდან 2006 წლის სექტემბრამდე შეადგენდა 10 423,88 ლარს. 2006 წლის 19 სექტემბერს ვ. შ-მე გარდაიცვალა. მისი მემკვიდრეა შვილი - მოსარჩელე ვ. შ-მე. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება, კერძოდ, სასამართლომ მართებულად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 408-ე და 317-ე მუხლები. სააპელაციო პალატამ დაუსაბუთებლად ჩათვალა აპელანტის განმარტება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს სადავო თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დადგენისას საქმეში არსებულ რაიმე მტკიცებულებაზე არ მიუთითებია, ვინაიდან გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეფუძნება სს „ჭიათურმანგანუმის“ 2004 წლის 29 აპრილის და 2007 წლის 27 მარტის ცნობებს მებიგის საშუალო ხელფასის ოდენობის შესახებ. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის განმარტება სარჩელის ხანდაზმულობის შესახებ და მიუთითა, რომ ჭიათურის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მხარეებს წარმოეშვათ გარკვეული უფლებები და ვალდებულებები, კერძოდ, მოპასუხეს წარმოეშვა მოსარჩელის მიმართ ყოველთვიური სარჩოს გადახდის ვალდებულება, რაც წარმოადგენს პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. აღნიშნულთან დაკავშირებით კი კანონი

ადგენს ხანდაზმულობის ვადის ათვლის თავისებურებას, რადგან თითოეული შესრულების დარღვევა ცალ-ცალკე წარმოშობს მოთხოვნის უფლებას და ასეთი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა, სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სამი წელია. სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული ნორმის შესაბამისად, ანაზღაურებას ექვემდებარება სარჩელის აღძვრამდე ბოლო სამი წლის მიუღებელი სარჩო და აპელანტის მითითება სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლზე დაყრდნობით სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე არასწორია. პალატამ აღნიშნა, რომ „საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 12 ივნისის #50 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანისა და სამინისტროს ზოგიერთი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 23 ნოემბრის #213 დადგენილების შესაბამისად, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები - გეოლოგიის დეპარტამენტი, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტი და ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტი გარდაიქმნენ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებად, ამდენად, გეოლოგიის დეპარტამენტის უფლებამონაცვლეს წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 130-ე, 999-ე, 1008-ე მუხლები და ვ.შ-ძის სარჩელი ხანდაზმულად მიეჩნია, რადგან ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა უნდა აეთვალია 1997 წლიდან, როდესაც მოსარჩელეს წარმოემვა სადავო თანხის მოთხოვნის უფლება. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მოცემულ შემთხვევაში გეოლოგიური დეპარტამენტი აღარ არსებობს. სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, ვინაიდან მიუთითა, რომ სს „ჭიათურმანგანუმის“ 2004 წლის #ბმ-3-19 და 2007 წლის #05-42 ცნობებით, ვ. შ-ძის თანამდებობრივი სარგო 2002 წლის მარტიდან 2006 წლის სექტემბრამდე შეადგენდა 10423,88 ლარს. საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელსაც გასაჩივრებული განჩინება ეფუძნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

ვ. შ-ძის უფლებამონაცვლე ვ. შ-ძის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსათვის ვ. შ-ძის მიერ შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიღებული საწარმოო ტრავმის საკომპენსაციოდ ერთჯერადად ზიანის ანაზღაურებისა და ყოველთვიური სარჩოს დაკისრება.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემული დავა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის მიხედვით, ამ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსახილველ საქმეთა რიგს არ მიეკუთვნება და იგი განხილულ და გადაწყვეტილ უნდა იქნეს ადმინისტრაციული საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო წესებით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიებს და ადგენს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს, ანუ, რომელი საქმეები შეიძლება იქნეს განხილული ადმინისტრაციული იურისდიქციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში. ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ზემოხსენებული ნორმის შესაბამისად, დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის საჭიროა სამი პირობის არსებობა, კერძოდ, სადავო სამართლებრივი ურთიერთობა უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან, სადავო სამართალურ-ურთიერთობაში მონაწილე ერთ-ერთი მხარე მაინც უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო და ადმი-

ნისტრაციული დავის საგანს უნდა წარმოადგენდეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევები.

განსახილველ შემთხვევაში საქმეში მოპასუხედ ჩაბმულია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, რომელიც "ადმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად, სამთავრობო დაწესებულებაა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ა" პუნქტის მიხედვით კი ადმინისტრაციულ ორგანოა. ამდენად, მოცემულ დავაში ერთ-ერთ მხარეს, მოპასუხეს ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენს, შესაბამისად, პროცესუალური სუბიექტების ე.წ. სამართალსუბიექტობის პრინციპის მიხედვითაც აღნიშნული საქმე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებული ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯადი დავაა.

ამასთან, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე. დასახელებული ნორმის შესაბამისად, განსახილველი დავა უნდა მოწესრიგდეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით იმის გამოც, რომ ვ. შ-მე სარჩელით ფაქტობრივად მოითხოვს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის სახით ერთჯერადი კომპენსაციის გადახდისა და სარჩოს დანიშვნის თაობაზე ვალდებულების შესრულებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი, ასევე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26-ე მუხლებით დადგენილი განსჯადობის წესები, ვინაიდან წარმოდგენილი სასარჩელო მოთხოვნა გამომდინარეობს და განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართლის დანაწესთა შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება კი გამოტანილია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ნორმებზე დაყრდნობით.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლით გათვალისწინებული განჩინების გაუქმების საფუძველი, რადგან სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოიყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ივნისის განჩინება გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განსჯადობა

განჩინება

#ას-939-1144-08

9 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: თანხის დაკისრება (შიდა ქართლის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს სარჩელში), სახელშეკრულებო ფასის შემცირება (მ. ტ-მის სარჩელში)

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 12 ივლისს ხაშურის რაიონულ სასამართლოს ნასყიდობის ხელშეკრულების ფასის შემცირების მოთხოვნით სასარჩელო განცხადებით მიმართა მ. ტ-მემ მოპასუხე ხაშურის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს მიმართ.

2006 წლის 26 ივლისს იმავე სასამართლოში სარჩელი აღძრა ხაშურის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველომ მოპასუხე მ. ტ-მის მიმართ. მოსარჩელემ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის გამო მოპასუხისათვის გადაუხდელო თანხის - 31535 აშშ დოლარისა და ჯარიმის - ამ თანხის 10%-ის - 3154 აშშ დოლარის დაკისრება მოითხოვა.

სასარჩელო განცხადებებიდან და მათზე თანდართული მასალებიდან ირკვევა, რომ ხაშურის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს 2005 წლის 27 სექტემბრის #161 ბრძანებით დამტკიცდა 2005 წლის 27 სექტემბრის კონკურსის შედეგები და მ. ტ-მეს გადაეცა საკანალიზაციო ქსელის (5 კმ-იანი) 49 600 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ღირებულების დაუმთავრებელი მშენებლობა; მყიდველს უნდა უზრუნველყო ობიექტის საბოლოო ღირებულების დაფარვა 2006 წლის 1 იანვრამდე. 2005 წლის 20 ოქტომბერს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ხაშურის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს და მ. ტ-მეს შორის დაიდო უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება. ნასყიდობის საგანს წარმოადგენდა საკანალიზაციო ქსელის დაუმთავრებელი მშენებლობა (5 კმ) - რკინა-ბეტონის მილი 5400 მეტრი და ლითონის მილი დიამეტრით 1200-1500 მეტრი. ნასყიდობის საგანი წარმოადგენდა სახელმწიფოს საკუთრებას. მ. ტ-მეს უნდა უზრუნველყო ობიექტის საბოლოო ღირებულების დაფარვა 2006 წლის 1 იანვრამდე ეტაპობრივად. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში მყიდველი მიიღებდა გაფრთხილებას წერილობით სახით, სადაც მიეთითებოდა დარღვევის გამოსწორების აუცილებელი ვადა და დაჯარიმდებოდა დარჩენილი გადაუხდელო თანხის 10%-ით. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა დაუცველობის განმეორებით გამოვლენის შემთხვევა და დაწესებულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობა განიხილებოდა ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის ინიციატივად. ასეთ შემთხვევაში გამყიდველის მიერ მყიდველს გადახდილი თანხა არ უზრუნველდებოდა, ასევე, არ ანაზღაურდებოდა მის მიერ გაწეული ხარჯი. 2005 წლის 20 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მ. ტ-მეს გადაეცა საკანალიზაციო ქსელის (5 კმ-იანი) დაუმთავრებელი მშენებლობა, რომლის მახასიათებლებად მიეთითა: რკინა-ბეტონის მილი (4500 მ) და ლითონის მილი (500 მ).

2005 წლის 28 დეკემბერს მ. ტ-მემ განცხადებით მიმართა ხაშურის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს, რომელშიც მოცემულ დრომდე თანხის გადაუხდელობა მეტეოროლოგიური პირობების გამო სამუშაოს განხორციელების შეუძლებლობით დაასაბუთა. მანვე ობიექტის საბოლოო თანხის გადახდა გაზაფხულზე სამუშაოების დაწყებას დაუკავშირა, რისი გათვალისწინებითაც ითხოვა აღნიშნული თანხის 2006 წლის 1 ივლისამდე გადავადება.

ხაშურის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს 2006 წლის 3 იანვრის #2 ბრძანებით ცვლილება შევიდა სამმართველოს 2005 წლის 27 სექტემბრის #161 ბრძანებაში და მყიდველის მიერ ობიექტის საბოლოო ღირებულების დაფარვის ვადადა განისაზღვრა 2006 წლის 1 ივლისი.

2006 წლის 16 ივნისს ხაშურის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს კვლავ განცხადებით მიმართა მ. ტ-მემ. ამჯერად, მან თანხის გადახდის გადავადებასთან ერთად ითხოვა როგორც ამოღებული, ისე მიწაში დარჩენილი მილის ღირებულების შემცირება პროცენტულად. აღნიშნული მოთხოვნა განმცხადებელმა იმით დაასაბუთა, რომ მუშაობის მსვლელობისას რკინა-ბეტონის მილი, ნაცვლად 1000 მმ-სა და 6 მეტრის სიგრძისა, აღმოჩნდა 2 მეტრის სიგრძის ბეტონის მილი რკინის ბადის გარეშე, რაც არ შეესაბამებოდა ხელშეკრულებაში ნაწვევებს. ამასთან, მ. ტ-მის მითითებით, რკინის ბადის უქონლობა მილში იწვევდა მის მტვრევას ამოღების დროს. ამოსაღები მილიც დაზიანებული იყო, რადგან გააჩნდა ნაპრალები. მათ მიერ გაჭრილი 1.5კმ-დან ვარგისი აღმოჩნდა და რეალიზებულ იქნა მხოლოდ 700 მეტრი, რაც სამუშაოებს უქმნიდა თანხის დაფარვას და იმავდროულად, განაპირობებდა როგორც ამოღებული, ისე მიწაში დარჩენილი მილის ღირებულების შემცირების აუცილებლობას.

ხაშურის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს 2006 წლის 4 ივლისის #03-374 წერილობითი გაფრთხილებით მ. ტ-მეს პირობების შეუსრულებლობისათვის ხელშეკრულების მე-8 პუნქტის შესაბამისად დაეკისრა დარჩენილი თანხის 10%-ის გადახდა, რაც შეადგენდა 3154 აშშ დოლარს და რომლის დაფარვაც უნდა განეხორციელებინა შეტყობინების ჩაბარებიდან ორი კვირის ვადაში. აღნიშნული დროისათვის მ. ტ-მეს 49 600 აშშ დოლარიდან (89 131 ლარი) გადახდილი ჰქონდა 18 065 აშშ დოლარი (32 634 ლარი), მათ შორის: 18 000

ლარი - რკინის მილების ღირებულება, ხოლო 14 634 ლარი - რკინა-ბეტონის მილის ღირებულება.

ხაშურის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს 2006 წლის 4 ივლისის #84 ბრძანებით ამავე სამმართველოსა და მ. ტ-ძეს შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის გამო, რაც გამოიხატებოდა მის მიერ შეძენილი ქონების ნაწილობრივ ღირებულების გადახდაში, ქონების შემსყიდველი მ. ტ-ძე დაჯარიმდა დარჩენილი თანხის 10%-ით, რომლის ღირებულება განისაზღვრა 3154 აშშ დოლარის ოდენობით.

მ. ტ-ძე ნასყიდობის ხელშეკრულების ფასის შემცირების მოთხოვნას ნასყიდობის საგნის ნაკლით ასაბუთებდა და მის დაკმაყოფილების საფუძვლად სამოქალაქო კოდექსის 492-ე მუხლზე მიუთითებდა.

თავის მხრივ, ხაშურის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო მ. ტ-ძის მიერ ნასყიდობის თანხის სრულად გადაუხდელობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობად მიიჩნევდა, რის გამოც ამავე ხელშეკრულების მე-8 პუნქტიდან გამომდინარე, მოპასუხისათვის გადაუხდელო თანხის - 31535 აშშ დოლარისა და ჯარიმის სახით ამ თანხის 10%-ის - 3154 აშშ დოლარის დაკისრებას მოითხოვდა.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 10 აგვისტოს განჩინებით ზემოაღნიშნული სარჩელებით აღძრული საქმეები ერთ წარმოებად გაერთიანდა.

რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვისას მოცემულ დავაზე დაინიშნა საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა, რომლის 2006 წლის 10 ნოემბრის დასკვნის შესაბამისად, ხაშურის რაიონის სოფელ ქვიშხეთის და სოფელ ცხრაძუხის დაუმთავრებელ საკანალიზაციო ქსელში ჩაწყობილია ორი მეტრი სიგრძისა და ერთი მეტრი შიგა დიამეტრის მილები; საკანალიზაციო ქსელის მილები არ არის რკინა-ბეტონის მილები. აღნიშნული მილები ბეტონის მილებია. ადგილზე ამოღებული მილების ნაწილი დამტვრეულია, ნაწილი დაზარალებულია არაგამჭოლი ბზარებით, ნაწილი კიდეც - გამჭოლი ბზარებით. არაგამჭოლი ბზარებით დაზარალებული მილები ორი და ორზე ნაკლები გრძივი გამჭოლი ბზარების მქონე შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს არასადაწნეო საკანალიზაციო მილებად, თუ ისინი წრიული მიმართულებით შეკრული იქნება მავთულებით, ხოლო ბზარები ინექტირებული იქნება ეპოქსიდის ან წებოცემენტის ხსნარით; მიწიდან დღემდე ამოღებული მილების და მიწიდან ამოსაღები მილების საბაზრო ღირებულების დადგენა შეუძლებელია, რამდენადაც უცნობია მათი ფიზიკური მდგომარეობა, ხოლო ზოგადად დაზარალებული მილები წარმოადგენს არასაღ მილებს და მათი საბაზრო ღირებულება შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ მყიდველისა და გამყიდველის ურთიერთშეთანხმებული ფასით.

მოგვიანებით, საქმეზე დანიშნული დამატებითი საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, 1000 მმ შიგა დიამეტრის მქონე ერთი გრძივი მეტრი ბეტონის მილის ღირებულება შეადგენდა 1000 მმ შიგა დიამეტრის მქონე ერთი გრძივი მეტრი რკინა-ბეტონის მილის ღირებულების 53.45%-ს.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. ტ-ძის სარჩელი ნასყიდობის ფასის შემცირებაზე დაკმაყოფილდა და მას სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ხაშურის სამმართველოს სასარგებლოდ დაეკისრა 23 850 ლარის გადახდა; ხაშურის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს სარჩელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხისა და ჯარიმის გადახდევინების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 487-ე და 492-ე მუხლებზე, რომელთა მიხედვით, გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნივთობრივად უნაკლო ნივთი. ამასთან, ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას, მყიდველს გააჩნია ნასყიდობის ფასის შემცირების მოთხოვნის უფლება.

საქმეზე დგინდებოდა, რომ 89 131 ლარიდან მ. ტ-ძეს გადახდილი ჰქონდა 32 639 ლარი, მათ შორის: 18 000 ლარი რკინის მილების ღირებულება, ხოლო 14 634 ლარი - რკინა-ბეტონის მილის ღირებულება. ბეტონის მილის რკინა-ბეტონის მილის ფასთან 53.45%-ით შეფარდებით, როგორც ამავე ექსპერტის დასკვნა მიუთითებდა, რაიონულმა სასამართლომ საბოლოოდ გადასახდელო (შემცირებული) თანხა 23 850 ლარით განსაზღვრა.

რაიონული სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შიდა ქართლის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით მ. ტ-ძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და სამმართველოს სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

აპელანტის მითითებით, მ. ტ-ძემ 5 კმ-იანი დაუმთავრებელი საკანალიზაციო ქსელიდან 1500 მეტრის სიგრძის მილების ამოღებისას სარჩელით მიმართა სასამართლოს ნასყიდობის საგნის ფასის შემცირებაზე ისე, რომ მილების ამოღებისა და შესაბამისად, მათი რეალიზაციის პროცესი დაუმ-

თავრებელია. აღნიშნულის გათვალისწინებით, არც მ. ტ-მეს და არც სასამართლოს ნასყიდობის საგნის ნივთობრივი ნაკლის განსაზღვრა არ შეეძლოთ, რადგან მიწაში კიდევ 3500 მეტრის სიგრძის მიღებია დარჩენილი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შიდა ქართლის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ხაშურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება ჯარიმის გადახდევინების შესახებ სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ხაშურის სამმართველოს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში შეიცვალა და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შიდა ქართლის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს სარჩელი პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდა, მ. ტ-მეს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შიდა ქართლის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს სასარგებლოდ 2385 ლარის გადახდა დაეკისრა, დანარჩენ ნაწილში ხაშურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი (სამოქალაქო კოდექსის 487-ე მუხლი). ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეთანხმებული ხარისხისაა. თუ ხარისხი არ არის წინასწარ შეთანხმებული, მაშინ ნივთი უნაკლოდ ჩაითვლება, თუკი იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის. ნაკლს უთანაბრდება, თუ გამყიდველი გადასცემს ნივთის მხოლოდ ერთ ნაწილს - სულ სხვა ნივთს, მცირე რაოდენობით ან, თუ ერთი ნაწილი ნაკლის მქონეა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ნაკლი არსებით გავლენას ვერ მოახდენს შესრულებაზე (სამოქალაქო კოდექსის 488-ე მუხლი).

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგინებულად მიიჩნია, რომ მყიდველს გადაეცა არა ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული რკინა-ბეტონის, არამედ ბეტონის მიღები. ამასთან, დადგინებულად იქნა მიჩნეული ისიც, რომ ბეტონის მიღები არის ნაკლის მქონე, კერძოდ, ჩვეულებრივი სარგებლობისათვის უვარგისია.

საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით და სამოქალაქო კოდექსის 492-ე მუხლიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა ნასყიდობის ფასის 23 850 ლარამდე შემცირების თაობაზე.

მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო ჯარიმის დაკისრების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და განმარტა, რომ გაყიდული ნივთის ნაკლი ვერ ჩაითვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხების დროულად გადაუხდელობის ობიექტურ მიზეზად. ასეთ შემთხვევაში მ. ტ-მეს შეეძლო მოეთხოვა ხელშეკრულების მოშლა (სამოქალაქო კოდექსის 491-ე მუხლის პირველი ნაწილი), რაც მას არ გაუკეთებია.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, პირგასამტეხლო - მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა - მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

მოცემულ შემთხვევაში 2005 წლის 20 ოქტომბრის ხელშეკრულების მე-8 პუნქტით მხარეთა მიერ გათვალისწინებულ იქნა საჯარიმო სანქციები, კერძოდ, აღნიშნული პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში "მყიდველი" იღებდა გაფრთხილებას წერილობითი სახით, სადაც მიეთითებოდა დარღვევის გამოსწორების აუცილებელი ვადა და ჯარიმდებოდა დარჩენილი გადაუხდელი თანხის 10%-ით.

საქმეზე დგინდებოდა, რომ მ. ტ-მეს სამმართველოს 2006 წლის 4 ივლისის #03-374 წერილობითი გაფრთხილებით პირობების შეუსრულებლობისათვის დაეკისრა დარჩენილი თანხის 10%-ის გადახდა, რაც შეადგენდა 3154 აშშ დოლარს, რომლის დაფარვაც უნდა განეხორციელებინა ორი კვირის ვადაში.

რამდენადაც, მ. ტ-მის მიერ ხელშეკრულებით დადგინებულ ვადაში არ შესრულდა ვალდებულება, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მას პირგასამტეხლოს სახით უნდა დაკისრებოდა დარჩენილი გადასახდელი თანხის (23850 ლარი) 10%-ის - 2385 ლარის გადახდა.

ზემოთითებული გადაწყვეტილება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შიდა ქართლის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველომ საკასაციო წესით გაასაჩივრა, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მ. ტ-მისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ხოლო მათი მოთხოვნის დაკმაყოფილება ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის მთლიანად გადახდევინების შესახებ.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს მოცემული დავის გადაწყვეტისას არ უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 487-ე, 488-ე მუხლები. იმ ვითარებაში, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები სრულად არ შესრულებულა, კერძოდ, მიწიდან მხოლოდ მიწების ნაწილია ამოღებული, სასამართლოს ნასყიდობის საგნის ნივთობრივი ნაკლის განსაზღვრა არ შეეძლო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილება კასატორის მიერ გასაჩივრებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შიდა ქართლის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს სარჩელი 2005 წლის 20 ოქტომბრის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის გამო მ. ტ-ძისათვის გადაუხდელი თანხის - 31535 აშშ დოლარის შესახებ და დაკმაყოფილდა მ. ტ-ძის სარჩელი აღნიშნული ხელშეკრულების ფასის შემცირების შესახებ. რაც შეეხება სარჩელის მოთხოვნას მ. ტ-ძისათვის ჯარიმის გადახდევინების შესახებ, ამ ნაწილში სარჩელი დაკმაყოფილებულია და გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული, რამდენადაც მ. ტ-ძეს დასახელებულ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით არ გაუსაჩივრებია.

2005 წლის 20 ოქტომბრის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ ფიზიკური პირი მ. ტ-ძე და ადმინისტრაციული ორგანო - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ხაშურის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო. ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საკანალიზაციო ქსელის დაუმთავრებელი მშენებლობის მ. ტ-ძისათვის გადაცემა. ხელშეკრულების საფუძველია "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონი, "სახელმწიფო ქონების კონკურსის ფორმით პრივატიზების შესახებ" დებულება და ხაშურის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს 2005 წლის 27 სექტემბრის #161 ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა კონკურსის შედეგები და მიიღველ მ. ტ-ძისათვის საკანალიზაციო ქსელის დაუმთავრებელი მშენებლობის გადაცემა. ხელშეკრულების შინაარსის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ 2005 წლის 20 ოქტომბრის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების ხელშეკრულებას, ხოლო საკასაციო საჩივრის დავის საგანს - პრივატიზების ხელშეკრულების პირობების შესრულება და მასში ცვლილების შეტანა.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად ამოსავალია სადავო სამართალურთიერთობის შინაარსი და შესაბამისად, ამ სამართალურთიერთობის სამართლებრივი საფუძველი - ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლოში დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა.

საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებულ სამოქალაქოსამართლებრივ ხელშეკრულებას. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, დადოს როგორც ადმინისტრაციული, ისე, სამოქალაქო ხელშეკრულება. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ხასიათის განმსაზღვრელ ამოსავალ ელემენტს წარმოადგენს მისი, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელება.

სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობა - პრივატიზაცია - სახელმწიფოს განსაკუთრებულ საჯარო უფლებამოსილებას განეკუთვნება. პრივატიზაციის პროცესი და ამ პროცესიდან წარმოშობილი ურთიერთობა არ არის კერძოსამართლებრივი ურთიერთობა და ამ შემთხვევაში სახელმწიფო ვერ გამოვა როგორც კერძო სამართლის სუბიექტი, როგორც ურთიერთობის თანასწორი მონაწილე. შესაბამისად, სახელმწიფო ქონების პრივატიზების მიზნით დადებული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას.

რამდენადაც საკასაციო საჩივრის დავის საგანია ადმინისტრაციული (პრივატიზების) ხელშეკრულების პირობების შესრულება და მასში ცვლილებების შეტანა, მოცემულ შემთხვევაში ესაა ადმი-

ნისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული კატეგორიის საქმე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქმე განხილულია საგნობრივი განსჯადობის წესების დარღვევით და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად არსებობს გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმების საპროცესო საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება ხაშურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე განსახილველად გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა

განჩინება

#ას-845-1059-08

31 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: მესაკუთრედ აღიარება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. კ-მემ განჩინებით მიმართა სასამართლოს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის ქ. ქობულეთში, ... გამზირ #...-ში მდებარე სახლისა და 3596 კვ.მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ აღიარების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: სადავო სახლი და მიწის ნაკვეთი მოსარჩელის მამამ შეიძინა ნ. ბ-ენკოსაგან, რის საფუძველზე ნ.კ-მე წლების განმავლობაში ფლობდა და სარგებლობდა აღნიშნული უძრავი ნივთით, თუმცა, ფინანსური სირთულეების გამო, საჯარო რეესტრში უძრავი ქონების განმცხადებლის საკუთრებად აღრიცხვა დროულად ვერ მოხერხდა. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი შემოღობილია, ამასთან, ნ.კ-მე იხდიდა მიწისა და კომუნალურ გადასახადებს. სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის შესაბამისად, განმცხადებელი, როგორც სადავო უძრავი ქონების კეთილსინდისიერი და მართლზომიერი მფლობელი, უნდა ჩაითვალოს მის მესაკუთრედაც.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით ქ. ქობულეთში, ... გამზირის #...-ში მდებარე 3596 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განლაგებული საცხოვრებელი სახლი საერთო სასარგებლო 74 კვ.მ-ით, რომელსაც ნ. კ-მე 1995 წლის 12 აპრილიდან ფლობს და სარგებლობს, აღიარებულ იქნა მის საკუთრებად წარდგენილი აზომვითი გეგმა-ნახაზის ფარგლებში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა აღნიშნული უძრავი ქონების ნ. კ-მის საკუთრებად აღრიცხვა.

2007 წლის 16 აპრილს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ განცხადებით მიმართა სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ იმ საფუძველით, რომ მოცემული საქმე არასწორად იქნა განხილული უდავო წარმოების წესით და დაინტერესებული პირი - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა მის განხილვაში მიწვეული არ ყოფილა.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 3 სექტემბრის განჩინებით ამავე სასართლოს 2006 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება ცნობილ იქნა ბათილად და საქმის წარმოება სასარჩელო წესით განახლდა.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. კ.-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, ქ. ქობულეთში, ... გამზირ #...-ში მდებარე სახლი და 3596 კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი აღიარებულ იქნა ნ. კ.-ძის საკუთრებად.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ნ. კ.-ძე აღიარებულ იქნა ქ. ქობულეთში, ... გამზირ #...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლისა და შენობის ქვეშ არსებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ, ხოლო საკარმიდამო მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ აღიარების ნაწილში მას უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 1995 წლის 12 აპრილს ნ. კ.-ძემ მოახდინა ქ. ქობულეთში, ... ქ. #...-ში მდებარე 74,2 კვ.მ ოთხოთახიანი #1 ბინის პრივატიზაცია, რომელიც დარეგისტრირდა ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში ნ. კ.-ძის სახელზე. ტექნიკურ პასპორტში მიეთითა, რომ ნ.კ.-ძეს ხსენებულ მისამართზე დაკავებული ჰქონდა 3596 კვ.მ მიწის ნაკვეთი. პალატამ მიიჩნია, რომ, სამოქალაქო კოდექსის 1514-ე მუხლის თანახმად, სადავო საცხოვრებელი სახლის პრივატიზებისა და ტექნიკურ რეგისტრაციის შემდეგ ნ.კ.-ძე გახდა მისი მესაკუთრე. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელის მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ აღიარების ნაწილში და დაადგინა, რომ 1995 წლის 12 აპრილს ნ.კ.-ძემ მოახდინა მხოლოდ საცხოვრებელი სახლის და არა მიწის ნაკვეთის პრივატიზება. პრივატიზაციის ხელშეკრულებაში საერთოდ არ არის საუბარი მიწის ნაკვეთზე, რომელიც მოსარჩელეს უნდა გადასცემოდა, შესაბამისად, პრივატიზაციის შემდეგ სადავო მიწა სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენდა და ნ.კ.-ძეს მასზე საკუთრების უფლება არ წარმოშობია. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ, სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის თანახმად, ფიზიკურ პირთა საკუთრებად ჩათვლება მხოლოდ ის ნაკვეთები, რომლებიც მათ ჰქონდათ კანონიერ სარგებლობაში, რაც ძირითადად შეეხება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების იმ მიწის ნაკვეთებს, რომელზეც არსებობდა ე.წ. გამოყოფის აქტები. ამასთან, ამავე მუხლიდან გამომდინარეობს, რომ ფიზიკურ პირთა საკუთრებად გამოცხადდა როგორც სასოფლო, ასევე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ის მიწის ნაკვეთებიც, რომლებზეც უშუალოდ იყო განლაგებული პირთა საკუთრებაში არსებული შენობები. სასამართლოს მოსაზრებით, ზემოხსენებული ნორმის მიზანს წარმოადგენდა შენობასა და მიწის ნაკვეთზე ფიზიკურ პირთა საკუთრების უზრუნველყოფა. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირის მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ აღიარებისათვის აუცილებელია, იგი იყოს ინდივიდუალური სახლის მესაკუთრე და შესაბამისი აქტის საფუძველზე გამოყოფილი ჰქონდეს მიწის ნაკვეთი. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ დაადგინა, რომ ნ. კ.-ძეს მიწის ნაკვეთი რაიმე სახის აქტით არ გამოყოფია და პრივატიზაციის ხელშეკრულება მას უფლებას აძლევდა, ესარგებლა მხოლოდ იმ მიწის ნაკვეთით, რომელზეც მის მიერ პრივატიზებული სახლი იყო აგებული. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ნ. კ.-ძე მთლიანი მიწის ნაკვეთის კანონიერი მოსარგებლე არასდროს ყოფილა. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სადავო უძრავი ნივთის ტექნიკურ პასპორტში მიწის ნაკვეთის ფაქტობრივად ფლობის ფაქტის მითითება არ ნიშნავს, რომ მხარეს ამ ნაკვეთით სარგებლობის უფლება ჰქონდა. პალატამ ჩათვალა, რომ ტექნიკური პასპორტი უფლების დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად წარმოადგენდა პირის ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული ქონების ტექნიკურ დახასიათებასაც, შესაბამისად, მასში კანონიერად დაკავებულ ფართთან ერთად აისახებოდა ის მიწის ნაკვეთებიც, რომლებიც პირებს თვითნებურად ეჭირათ. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტი, რომ მან მიწაზე უფლებები არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის გადახდის გამო მოიპოვა, რადგან ამ გზით მიწაზე საკუთრების უფლების მოპოვებას კანონი არ ითვალისწინებს. ამასთან, სასამართლომ დაადგინა, რომ ნ.კ.-ძემ ქონების გადასახადი გადაიხადა მას შემდეგ, რაც ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილების საფუძველზე მიწა საკუთრებად დაირეგისტრირა და აღნიშნული გადასახადის გადახდა არ ადასტურებს, რომ ნ. კ.-ძეს 2006 წლის 24 იანვრამდე სადავო მიწაზე კანონიერი უფლებები გააჩნდა. პალატის მითითებით, ამ გადაწყვეტილების აღსრულების შემდეგ ნ. კ.-ძე გახდა ქონების მესაკუთრე და წარმოემვა ქონების გადასახადის გადახდის ვალდებულება, რაც ასახულია ბათუმის საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 31 მაისის მიმართვაში. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ნ.კ.-ძეს სადავო მიწაზე უფლება არც "ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების

შესახებ” კანონის საფუძველზე არ მოუპოვებია და უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოსათვის ამ კანონის მიხედვით საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნით არ მიუმართავს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ნ. კ-მემ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა გასაჩივრებულ ნაწილში მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით: სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ქ. ქობულეთში, ... ქ. #...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის პრივატიზების შედეგად სადავო მიმდებარე მიწის ნაკვეთი გადავიდა კასატორის კანონიერ სარგებლობაში. სადავო მიწაზე საკუთრების აღიარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს არა მიწის გამოყოფის აქტის არსებობა, როგორც ამას სააპელაციო პალატა უთითებს, არამედ მიწის ნაკვეთის კანონიერ სარგებლობაში ყოფნა. აღნიშნული გარემოება კი დასტურდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით - გეგმა-ნახაზითა და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის ტექნიკური პასპორტით, რომელშიც მითითება ფაქტობრივ სარგებლობაში მიწის ნაკვეთის არსებობის თაობაზე მხარის მიერ უმრავი ნივთის კანონიერად ფლობის საკმარისი საფუძველია. ამასთან, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ კომუნისტური წესწყობილებისას მოქმედი კანონმდებლობა დასაშვებად მიიჩნეოდა პირზე მხოლოდ 600 კვ.მ მიწის ნაკვეთის ფიქსირებას, ხოლო დანარჩენი ფართი აღნიშნებოდა ტექნიკური პასპორტის გრაფაში - "ფაქტობრივი", რომელიც ადასტურებდა ქონების არა საკუთრების, არამედ კანონიერად სარგებლობის უფლებას. ამდენად, დასახელებულ გრაფაში მითითებული ფართი მიტაცებულად და მითვისებულად ვერ ჩაითვლებოდა. სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლი სწორედ იმ საკარმიდამო მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლების აღიარებისათვის არის შეტანილი სამოქალაქო კოდექსში, რომლებიც წარმოადგენდნენ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის ირგვლივ მდებარე, თვისობრივად მათ შემადგენელ ნაწილს, თუმცა ხელშეკრულებებსა და სამკვიდრო მოწმობებში არ აისახებოდა ზემოხსენებული შეზღუდვის გამო. წინააღმდეგ შემთხვევაში დასახელებული ნორმის არსებობა მნიშვნელობას დაკარგავდა. საჯარო რეესტრის ამოქმედების შემდეგ საკუთრების უფლებით რეგისტრირდება ის მიწა, რომელიც შენობა-ნაგებობის საკუთრების დამდგენ დოკუმენტში იყო მითითებული, ხოლო დანარჩენ საკარმიდამო ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარება ხდებოდა სასამართლოსათვის მიმართვის გზით, სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის საფუძველზე და უმრავლესობა დავები მიწების მფლობელთა სასარგებლოდ გადაწყდა. ნ.კ-ძის მიერ მიწის გადასახადის გადახდა სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნის საფუძველად არასწორად მიიჩნია. ფაქტობრივად, მიწის გადასახადის გადახდის მოთხოვნით გამგეობამ აღიარა მხარის საკუთრების უფლება და იგი მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გახდა სადავოდ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძველები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ ნ. კ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდეს და საქმე განსჯადობით დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, რადგან სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, მოცემული დავა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის მიხედვით, ამ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსახილველ კატეგორიათა რიგს არ განეკუთვნება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიებს და ადგენს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს, ანუ, რომელი საქმეები შეიძლება იქნეს განხილული ადმინისტრაციული იურისდიქციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში, ხოლო ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სასამართლის კანონმდებლობიდან.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველი დავა სწორედ ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობს, კერძოდ:

ნ. კ-ძის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს ქ. ქობულეთში, ... #...-ში მდებარე სახლისა და 3596 კვ.მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ აღიარება იმ საფუძველით, რომ ნ.კ-ძე წლების განმავ-

ლობაში ფლობდა და სარგებლობდა აღნიშნული უძრავი ქონებით, შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის საფუძველზე მის მესაკუთრედაც უნდა ჩაითვალოს.

"სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილებას სახელმწიფო მიწის სარგებლობაში ან საკუთრებაში გადაცემის შესახებ იღებენ შესაბამისი ადგილობრივი მმართველობის რაიონის, ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის "ა" და "გ" ქვეპუნქტების შესაბამისად, რაიონის, ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, აღმასრულებელი ორგანოების კომპეტენციას განეკუთვნება სახელმწიფო მიწის განკარგვის ორგანიზება, სახელმწიფოს სახელით სახელმწიფო მიწის განკარგვის შესახებ მოლაპარაკებების წარმოება. განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ სადავო მიწა სახელმწიფო საკუთრებაშია. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემული დავის განხილვისას მნიშვნელოვანია, გაირკვეს მოსარჩელის მიერ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სადავო მიწის მართლობით ერად ფლობისა და სარგებლობის საკითხი, რაც უნდა განხორციელდეს "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" კანონის საფუძველზე, ამდენად, მითითებული ნორმატიული აქტიდან წარმოშობილი დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან და უნდა გადაწყდეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატამ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი, ასევე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26-ე მუხლებით დადგენილი განსჯადობის წესები, როდესაც მოცემული საქმე განიხილა სამოქალაქო სამართალწარმოების გზით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. კ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე განსჯადობით განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განსჯადობა

განჩინება

#ას-167-495-09

27 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 30 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართეს ნ. მ-შვილმა, ც. ნ-ძემ, ო. ბ-ოვამ, ლ. გ-იანმა, მ. და ე. ხ-იებმა მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ. მოსარჩელებმა მოითხოვეს კუთვნილი აქციების ღირებულების ანაზღაურება, კერძოდ, მოპასუხისათვის თითოეული მათგანის სასარგებლოდ 1150 ლარის, მთლიანობაში - 5750 ლარის დაკისრება.

მოსარჩელეთა მოთხოვნის საფუძველზე შემდეგში მდგომარეობს:

ნ. მ-შვილი, ო. ბ-ოვა, ც. ნ-ძე, მ. და ე. ხ-იების მამა ი. ხ-ია და ლ. გ-იანის მეუღლე ნ. გ-იანი წლების განმავლობაში მუშაობდნენ შპს "საქართველოს ელექტროკავშირში", რომელიც

შემდგომ გარდაიქმნა სს "საქართველოს გაერთიანებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიადა". აღნიშნული შპს-ის სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის პარალელურად, "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" საქართველოს 1997 წლის 30 მაისის კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის იმჟამად მოქმედი რედაქციის შესაბამისად, სააქციო საზოგადოების აქციათა 10%-ი თანამშრომლებზე განაწილდა.

მოსარჩელები გამორჩენილი იყვნენ იმ სიიდან, რომელიც საფუძვლად დაედო სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" აქციების განაწილებას მოქმედ და ყოფილ თანამშრომლებზე, რასაც საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" წერილები ადასტურებდა.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2007 წლის 31 ივლისის #16/3111/6-6 წერილის თანახმად, საზოგადოების 9 654 250 ცალი აქცია განაწილდა 8 395 თანამშრომელზე, ანუ თითოეულს გადაეცა 1150 აქცია.

რამდენადაც სარჩელში დასახელებული პირებისათვის აქციების ზღვრული ოდენობით გადაცემის ვალდებულება კანონიდან ცალსახად გამომდინარეობდა და აღნიშნული ვალდებულება უდავოდ დარღვეული იყო, მოსარჩელები მიიჩნევენ რომ მათი მოთხოვნა კუთვნილი აქციების ღირებულების ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 12 თებერვლის საოქმო განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაება სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია".

სს "საქართველოს გაერთიანებულმა სატელეკომუნიკაციო კომპანიამ" საქალაქო სასამართლოში მის მიერ წარდგენილ შესაგებელში განმარტა შემდეგი:

1995 წლის 4 ივლისს დაფუძნდა შპს "საქართველოს ელექტროკავშირი", რომლის დამფუძნებელს და ერთადერთ პარტნიორს წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრო. შპს-ის კაპიტალი შეადგენდა 1000 აშშ დოლარს ეროვნულ ვალუტაში. 1999 წლის 25 ივნისს მოხდა შპს-ს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლა და ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოებად. ამასთან, გაიზარდა საზოგადოების საწესდებო კაპიტალი, რომელმაც შეადგინა 96 566 191 ლარი და დაიყო ამდენივე აქციად, რომელთაგან თითოეულის ღირებულება შეადგენდა ერთ ლარს.

2005 წლის ივნისის თვეში საზოგადოების სამეწარმეო რეესტრში მოხდა ცვლილების რეგისტრაცია, კერძოდ, სს "საქართველოს ელექტროკავშირის" შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია". იგი წარმოადგენდა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოს, რომელიც 2006 წლის 14 ივნისამდე ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მეშვეობით ფლობდა აქციათა პაკეტის 90.65%-ს (93 582 434 აქცია). "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" 1997 წლის 30 მაისის კანონის, "სახელმწიფო ქონების კონკურსის ფორმით პრივატიზების შესახებ" დებულების, აგრეთვე საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 9 თებერვლის #1-1/106 და 15 მაისის #1-1/416 ბრძანებების შესაბამისად, 2006 წლის 14 ივნისს მოხდა სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" პრივატიზება, რომლის აქციების 90.65% საკუთრების უფლებით გადაეცა კერძო კომპანიას. ამასთან, "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" 1997 წლის 30 მაისის კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე საწარმოს სააქციო საზოგადოებად დაფუძნების მომენტისათვის მუშაკებს უსასყიდლოდ გადაეცათ მთლიანი საწესდებო კაპიტალის 10%-მდე აქციები, თითოეულ მუშაკზე არა უმეტეს საქართველოში არსებული მინიმალური ხელფასის ასმაგი ოდენობისა. მოცემული შეღავათები შეეხოთ: ა) იმ მუშაკებს, რომლებისთვისაც საწარმო წარმოადგენდა ძირითად სამუშაო ადგილს; ბ) პირებს, რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უფლება ჰქონდათ დაბრუნებულიყვნენ ამ საწარმოში; გ) პენსიონერებს, რომლებიც ამ საწარმოდან გავიდნენ პენსიაზე არანაკლებ 5 წლის მუშაობის შემდეგ; დ) იმ პირებს, რომლებიც ამ საწარმოს სააქციო საზოგადოებად დაფუძნებამდე 1 წლით ადრე შეამცირეს და რეგისტრირებული იყვნენ, როგორც უმუშევრები. აღნიშნულის გათვალისწინებით შედგა აქციონერთა სია, რომელშიც შევიდა 8 395 თანამშრომელი და დასამტკიცებლად გადაეგზავნა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს. თითოეულ აქციონერს გადაეცა საწესდებო კაპიტალის 0.00114% - 1150 ცალი აქცია.

რაც შეეხებოდა აქციონერთა სიიდან გამორჩენილ თანამშრომლებს, სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიაში" წარდგენილ იქნა რამდენიმე ასეთი თანამშრომლის განცხადება, რომელთა შესახებ (მათ შორის იყვნენ მოსარჩელებიც) მონაცემები გადაეგზავნა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს. მიუხედავად ამისა, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო საპასუხო წერილებში აღნიშნავდა, რომ იგი მოკლებული იყო შესაძლებლობას, განეხილა სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" იმ მუშაკების (უფასოდ აქციათა მიმ-

ლებ პირთა) სიაში შეყვანა, რომელთა ჩამონათვალიც წარდგენილი იყო სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" მიერ.

მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ განმარტა, რომ სარჩელში დასახელებული აქციონერების სიიდან გამორჩენა მათი ბრალით არ მომხდარა, აღნიშნული სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილი არასრული სიის შედეგი იყო, რომლის სისწორეზე პასუხს თავად სააქციო საზოგადოება აგებდა. ამასთან, სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" აქციების 100% უკვე გასხვისებული იყო და კერძო მფლობელობაში იმყოფებოდა.

საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 19 მარტის სხდომაზე მოსარჩელეთა წარმომადგენელმა სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა და აღნიშნა, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ვერ ასაბუთებდა, რა განახორციელა იმ პერიოდის შემდეგ, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა გამორჩენილ აქციონერთა შესახებ. აქვე, მოსარჩელებმა საგულისხმოდ მიიჩნიეს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე მითითება, რომ დასახელებული პერიოდისათვის სააქციო საზოგადოების ქონება - აქციები, ჯერ კიდევ არ იყო გასხვისებული კერძო პირებზე და კანონით დადგენილი 10%-ის ფარგლებში კვლავ არსებობდა გამორჩენილ აქციონერთა მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობა. აღნიშნული მოპასუხის მიერ სრულად იქნა იგნორირებული და მოსარჩელებს მოგვიანებით, სააქციო საზოგადოების კერძო პირების საკუთრებაში გადასვლის შემდეგ წერილობით ეცნობათ, რომ მათი მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდებოდა, რამდენადაც საზოგადოების აქციები სრულად იყო განაწილებული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილებით ნ. მ-შვილის, ც. ნ-ძის, ო. ბ-ოვას, ლ. გ-იანის, მ. და ე. ხ-იების სარჩელი დაკმაყოფილდა: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაეკისრა თითოეული მოსარჩელის სასარგებლოდ 1150 ლარის, მთლიანობაში - 5750 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ნ. მ-შვილი, ო. ბ-ოვი, ც. ნ-ძე, მ. და ე. ხ-იების მამა ი. ხ-ია და ლ. გ-იანის მეუღლე ნ. გ-იანი მუშაობდნენ შპს "საქართველოს ელექტროკავშირში", რომელიც შემდგომ გარდაიქმნა სს "საქართველოს გაერთიანებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიადა";

სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" 2006 წლის #1/11/212 წერილით საწარმოთა მართვის სააგენტოს ეცნობა, რომ სააქციო საზოგადოების მიერ 1999 წელს შედგენილ აქციონერთა სიაში გამორჩენილი იყვნენ გარკვეული თანამშრომლები და სააქციო საზოგადოების დირექტორი ითხოვდა გადაწყვეტილების მიღებას ამ საკითხზე;

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2007 წლის თებერვლის #16/3111/6-6 წერილით სს "საქართველოს გაერთიანებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიას" ეუწყა, რომ აქციების მიმღებ პირთა სიის წარდგენა სამინისტროსათვის დავალბებული ჰქონდა სს-ის ხელმძღვანელობას, რაც მათ მიერ განხორციელდა კიდევ. შესაბამისად, სამინისტრომ საზოგადოების 8 395 მუშაკს საკუთრებაში უსასყიდლოდ ერთდროულად გადასცა 9 654 250 ცალი აქცია (თითოეულს - 1150 აქცია). ამდენად, სამინისტრო მოკლებული იყო შესაძლებლობას, განეხილა სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" იმ მუშაკების უფასოდ აქციათა მიმღებ პირთა სიაში შეყვანის საკითხი, რომლებიც თავდაპირველ სიაში არ იყვნენ. ამასთან, სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" აქციების 100% სახელმწიფოს მიერ უკვე გასხვისებული იყო და კერძო საკუთრებაში იმყოფებოდა;

სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია" წარმოადგენდა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოს, რომელიც 2006 წლის 14 ივნისამდე ფლობდა კომპანიის აქციათა პაკეტის 90.65%-ს. 2006 წლის 14 ივნისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" პრივატიზება განხორციელდა და სააქციო საზოგადოების აქციათა 90.65% კერძო მესაკუთრის მფლობელობაში გადავიდა;

მოპასუხისათვის მოსარჩელების აქციების მიმღებ პირთა სიაში გამორჩენის შესახებ ცნობილი გახდა 2006 წლის მაისში, ხოლო სააქციო საზოგადოების ქონების აქციონერებისათვის გადანაწილების შემდეგ დარჩენილი 90.65%-ის პრივატიზება მოხდა 2006 წლის 14 ივნისს;

სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" ერთი აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენდა 1.00 ლარს, ხოლო 1150 ცალი ჩვეულებრივი აქცია შეადგენდა სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის 0.001114%-ს.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხემ საქმის განხილვისას ვერ დაასაბუთა, თუ რატომ იყო იგი მოკლებული შესაძლებლობას, 2006 წლის მაისში, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა შეღავათიანი აქციების მიღების უფლების მქონე გამორჩენილ პირთა შესახებ, დაეკმაყოფილებინა

ისინი და გადაეცა აქციები, მაშინ, როდესაც დგინდებოდა, რომ მაისში აქციათა მფლობელი და განმკარგავი კვლავ სახელმწიფო იყო და ამ აქციების გასხვისება და კერძო პირთა საკუთრებაში გადაცემა მხოლოდ 2006 წლის 14 ივნისს განხორციელდა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხის მიერ მითითებულ იქნა მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის #288 დადგენილებით დამტკიცებული "სახელმწიფო საწარმოთა სააქციო საზოგადოებებზე გარდაქმნის შესახებ" დებულება, რომელიც არ ადგენდა კანონით გათვალისწინებული 10%-ის ფარგლებში აქციათა განაწილების კონკრეტულ წესსა და პირობებს. ამასთან, არ არსებობდა არანაირი სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც ამომწურავად და იმპერატიულად განსაზღვრავდა, რომ აქციების განაწილების შემდეგ სამინისტროს აღარ ჰქონდა უფლება და ეკრძალებოდა, კანონით დადგენილი 10%-იანი ლიმიტის ფარგლებში კვლავ მოეხდინა გამორჩენილ პირებზე აქციათა განაწილება, მაშინ როცა, ფაქტობრივი მდგომარეობით, 2006 წლის მაისის თვეში, როდესაც შეღავათიანი აქციების მოთხოვნის უფლების მქონე დამატებითი აქციონერების შესახებ სამინისტროსათვის ცნობილი გახდა, სააქციო საზოგადოების აქციათა 90.65% ჯერ კიდევ გასხვისებული და კერძო საკუთრებაში გადასული არ იყო. უფრო მეტიც, პირველად აქციების განაწილებისას კანონით დადგენილი 10%-მდე ლიმიტი ბოლომდე არ ამოწურულა, რაც სამინისტროს აძლევდა შესაძლებლობას, დარჩენილი პროცენტების ფარგლებში აქციები გადაენაწილებინა და მხოლოდ მოსარჩელეთა დაკმაყოფილების შემდეგ გაეყიდა დარჩენილ აქციათა 90%, ნაცვლად - 90.65%-ისა.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელებისათვის ზიანის მიყენება ფაქტობრივად განხორციელდა როგორც სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" ხელმძღვანელობის მიერ მათი სიაში გამორჩენით, ისე ეკონომიკური განვითარების სამინისტროს უმოქმედობით - სიაში გამორჩენილ აქციონერებზე დარჩენილი აქციების გაუნაწილებლობით. რამდენადაც სს "საქართველოს გაერთიანებულმა სატელეკომუნიკაციო კომპანიამ" დროულად გამოასწორა მის მიერ დაშვებული შეცდომა და არაერთი წერილით მიმართა სამინისტროს გამორჩენილ პირთა აქციებით დაკმაყოფილების შესახებ, ხოლო სამინისტრომ, მიუხედავად იმისა, რომ მას ამ მდგომარეობის გამოსწორება და თანამშრომელთათვის აქციების გადაცემა შეეძლო, არ განახორციელა ეს მოქმედება, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზიანის მიყენება უშუალოდ სამინისტროს ქმედების შედეგად განხორციელდა.

ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის დროისათვის სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" აქციების 100% კერძო მესაკუთრეთა მფლობელობაში იმყოფებოდა და მოსარჩელებისათვის აქციების ნატურით გადაცემა შეუძლებელი იყო, სასამართლოს მოსაზრებით, ანაზღაურებას ექვემდებარებოდა ის თანხა, რასაც ისინი მიიღებდნენ მოპასუხის მიერ მისთვის კანონით მინიჭებული ვალდებულების დროულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ასევე სამოქალაქო კოდექსის 326-ე, 409-ე და 412-ე მუხლების საფუძველზე საქალაქო სასამართლომ სარჩელი საფუძვლიანად მიიჩნია.

დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი საფუძველებით:

2000 წლის 20 ოქტომბერს ჩატარდა სს "საქართველოს ელექტროკავშირის" აქციონერთა საერთო კრება, სადაც ერთ-ერთ საკითხად განხილულ იქნა აღნიშნული საზოგადოების შრომით კოლექტივზე, "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" კანონის თანახმად, უფასოდ გასანაწილებელი აქციების გადაცემის საკითხი. კრებაზე დადგინდა, რომ განაწილებას ექვემდებარებოდა 9 654 688 ლარის ნომინალური ღირებულების აქცია, რაც შეადგენდა საზოგადოების საწესდებო კაპიტალის 9.998%-ს. სამინისტროს უნდა დაემტკიცებინა სააქციო საზოგადოების მიერ წარდგენილ იმ პირთა სია, რომელთაც ეკუთვნოდათ კანონით გათვალისწინებული უფასო აქციები.

სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" ხელმძღვანელობას ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წერილებით დაევალა "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეღავათებით მოსარგებლე საწარმოს კოლექტივისათვის უფასოდ აქციების გადაცემის მიზნით, სამინისტროში შესაბამისი დოკუმენტაციის, მათ შორის, სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებული უფასო აქციების მიმღებ პირთა სიის წარდგენა. აღნიშნული სიის სისწორზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობას და არა სამინისტროს. სააქციო საზოგადოების მიერ წარდგენილი სიის შესაბამისად, 2006 წლის იანვარში მოხდა უფასო აქციების განაწილება. როგორც შემდგომ გამოირკვა, წარდგენილ სიაში არ იყვნენ შეყვანილი მოსარჩელები, რომლებიც სარგებლობდნენ ანალოგიური შეღავათებით. მართალია, სააქციო საზოგადოებამ 2006 წლის 16 მაისის #1/11/212 წერილით წარადგინა დამატებითი სია, მაგრამ კანონით გათვალისწინებული 10%-მდე უფასო აქციები უკვე განაწილებული იყო აქციონერებზე თანაბრად და სამინისტრო ვერ გადააჭარ-

ბეზად კანონით გათვალისწინებულ ამ ფარგლებს. აქედან გამომდინარე, მოსარჩელებს ზიანი მიადგათ სააქციო საზოგადოების ბრალეულობის გამო.

სასამართლო გადაწყვეტილებით ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თითოეული მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 1150 ლარი. მოპასუხემ სიის გათვალისწინებით 8 395 თანამშრომელზე გასცა 9 654 688 ცალი უფასო აქცია, ანუ საწესდებო კაპიტალის 9.998%, რომელმაც თითოეულზე შეადგინა 1150.512 აქცია. იმ შემთხვევაში, თუკი ყველა აქციონერი მოხვდებოდა სიაში, 9 654 688 აქცია გადანაწილდებოდა არა 8 395 აქციონერზე, არამედ დამატებით სიიდან გამოტოვებულ პირებზეც. შესაბამისად, პირთა წრის გაზრდის გამო შემცირდებოდა გასაცემი აქციების რაოდენობა. აქედან გამომდინარე, სასამართლომ არასწორად განსაზღვრა მიყენებული ზიანის ასანაზღაურებელი თანხა.

ეკონომიკური განვითარების სამინისტრო წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ორგანოს, ხოლო მოსარჩელები ადმინისტრაციული ორგანოსაგან ზიანის ანაზღაურებას ითხოვდნენ იმის გამო, რომ მას "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" 1997 წლის 30 მაისის კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით მინიჭებული ჰქონდა საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილება სახელმწიფო ქონების განკარგვასთან დაკავშირებით. სახელმწიფო ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებული ურთიერთობა იყო საჯარო და არა კერძოსამართლებრივი ურთიერთობა. ამ დროს ადმინისტრაციული ორგანო ახორციელებდა ადმინისტრაციული კანონმდებლობით მასზე დელეგირებულ უფლებამოსილებებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, დავა უნდა განხილულიყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება იმის შესახებ, რომ მოცემული დავა წარმოადგენდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს და განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. ამავე კოდექსის 1509-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ითვლება სახელმწიფო. მოცემულ ურთიერთობაში, მართალია, მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო არის ადმინისტრაციული ორგანო, მაგრამ იგი ამ სამართალურთიერთობაში გამოდის, როგორც კერძო სამართლის სუბიექტი. ამდენად, აღნიშნული საქმე წარმოადგენდა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსჯადს.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ სახელმწიფო, როგორც მეწარმე და აქციების მესაკუთრე, იღებდა გადაწყვეტილებას აქციების გადაცემაზე და "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" კანონის მე-5 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, სააქციო საზოგადოებად საწარმოს დაფუძნებისას ვალდებული იყო ამავე მუხლით განსაზღვრული კატეგორიის მუშაკებისათვის უსასყიდლოდ გადაეცა აქციათა 10%-მდე ოდენობა.

საქმეზე დადგენილი იყო, რომ სახელმწიფომ, როგორც მესაკუთრემ და მეწარმე სუბიექტმა, მუშა-მოსამსახურეებს უფასოდ გადასცა აქციათა 9.35%, ხოლო კერძო პირებზე გაასხვისა აქციების 90.65%. ასევე დადგენილი იყო, რომ თითოეულ მუშა-მოსამსახურეს უფასოდ გადაეცა 1150 აქცია, მთლიანობაში განაწილდა 9 654 250 აქცია, ერთი აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენდა ერთ ლარს და თითოეულ მუშა-მოსამსახურეს პროცენტულად შეხვდა აქციების 0.00114%. შესაბამისად, სამინისტროს მიერ თავისთვის დატოვებული 65 მეათედი %-ის გაყოფით 0.00114 %-ზე მიიღებოდა 57017.545-ს, რაც ადასტურებდა იმას, რომ, თუ სამინისტრო დააკმაყოფილებდა მოსარჩელებს, რომელთა უფლებაც უფასოდ აქციების მიღებაზე სადავო არ იყო და მათ გაუნაწილებდა იმავე რაოდენობის აქციებს, რაც სხვა მუშა-მოსამსახურეებს გადასცა, სამინისტრო არ დაარღვევდა კანონით დადგენილ 10%-იან ზღვარს და მას დარჩებოდა საწარმოს აქციების 90.6443% (ერთი მუშა-მოსამსახურის მიერ მიღებული აქციების 0.00114%-ის შეჯამებით მოსარჩელეთა რაოდენობაზე მიიღება 0.0057%-ს, რომლის გამოკლებით 90.65%-თან რჩება 90.6443%).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია სამინისტროს პოზიცია იმის შესახებ, რომ, როცა სააქციო საზოგადოებამ 2006 წლის 16 მაისის #1/11/212 წერილით წარადგინა მოსარჩელეთა სია, მათზე აქციათა გადაცემით სამინისტრო გადააჭარბებდა კანონით გათვალისწინებულ 10%-იან ზღვარს. ამასთან, გასათვალისწინებელი იყო ის გარემოებაც, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნის წარდგენისას სამინისტრო ჯერ კიდევ ფლობდა აქციათა 90.65%-ს და მან აღნიშნული გასახვისა მხოლოდ 2006 წლის 14 ივნისს.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ მოპასუხის მიერ მითითებული მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის #288 დადგენილებით დამტკიცებული "სახელმწიფო საწარმოთა სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის შესახებ" დებულება არ ადგენდა კანონით გათვალისწინებული 10%-ის ფარგლებში აქციათა განაწილების კონკრეტულ წესსა და პირობებს. ამასთან, არ არსებობდა არანაირი სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც ამომწურავად და იმპერატიულად განსაზღვრავდა, რომ აქციების ერთხელ განაწილების შემდეგ სამინისტროს აღარ ჰქონდა უფლება და ეკრძალებოდა კანონით დადგენილი 10%-იანი ლიმიტის ფარგლებში კვლავ მოეხდინა გამორჩენილ პირებზე აქციათა განაწილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის მოთხოვნის საფუძვლები შემდეგში მდგომარეობს:

"სახელმწიფო საწარმოების, სახელმწიფო საწარმოთა გაერთიანებების სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის ორგანიზაციულ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 14 აპრილის #288 დადგენილების შესამე პუნქტის თანახმად, სახელმწიფო საწარმოთა გარდაქმნა სააქციო საზოგადოებებად ხორციელდება ყველა საწარმოში შექმნილი პრივატიზაციის სამუშაო კომისიის მიერ. პერსონალური პასუხისმგებლობა შესაბამისი დოკუმენტების მომზადებისა და კომისიისათვის მათი დროული წარდგენისათვის ეკისრებათ საწარმოთა ხელმძღვანელებს. ამავე დადგენილებით დამტკიცებული "სახელმწიფო საწარმოთა სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის შესახებ" დებულების შესამე ნაწილის მე-19 პუნქტის მიხედვით, პრივატიზაციის სამუშაო კომისიას აკისრია პასუხისმგებლობა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში ან ტერიტორიულ ორგანოში წარსადგენი დოკუმენტების სწორი მომზადებისათვის. ამდენად, სამინისტროში წარსადგენი დოკუმენტების სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა სააქციო საზოგადოებას. მოცემულ შემთხვევაში საქმის განმხილველმა სასამართლომ უგულვებელყო ზემომითითებული ნორმები.

სააქციო საზოგადოების მიერ წარდგენილი სიის შესაბამისად, 2006 წლის იანვარში მოხდა უფასო აქციების განაწილება, კერძოდ, 8 395 თანამშრომელზე გაიცა 9 654 250 უფასო აქცია, ანუ საწესდებო კაპიტალის 9.998% (აღნიშნული არის 10%-მდე ზღვარის ყველაზე მაქსიმალური პროცენტული ზღვარი), რომელმაც თითოეულზე შეადგინა 1150.512 აქცია. იმ შემთხვევაში, თუ ყველა აქციონერი მოხვდებოდა სიაში, მაშინ 9 654 250 აქცია გადანაწილდებოდა არა 8 395 აქციონერზე, არამედ - სიიდან გამოტოვებულ პირებზეც და შესაბამისად, შემცირდებოდა გასაცემი აქციების რაოდენობა.

სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი შეიძლება გახდეს მხოლოდ არამართლზომიერი ქმედება. თავის მხრივ, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია ზიანის მიყენებლის არამართლზომიერი მოქმედება ან უმოქმედობა, არამართლზომიერ მოქმედებასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი, ზიანის მიყენებლის ბრალი. მოცემულ შემთხვევაში ზიანის მიყენებაში სამინისტროს ბრალი არ მიუძღვის. მოსარჩელებს ზიანი მიადგათ სააქციო საზოგადოების ბრალეულობით. შესაბამისად, სამინისტროს მიმართ მოთხოვნა უსაფუძვლოა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება და საქმე განსახილველად გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული დავა არ განეკუთვნება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს.

სადავო სამართლებრივ ურთიერთობაში სახელმწიფო, წარმოდგენილი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახით, მონაწილეობს არა როგორც პარტნიორი და, ამდენად, კერძო სამართლის სუბიექტი, არამედ როგორც სს "საქართველოს გაერთიანებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიის" აქციების პრივატიზების განმხორციელებელი ორგანო, რომელთა ღირებულების ანაზღაურებასაც მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელები ითხოვენ, აღნიშნული პრივატიზების პროცესის მათთან მიმართებით კანონდარღვევით განხორციელების გამო.

ამასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" 1997 წლის 30 მაისის კანონის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის პირველი მუხლის "ბ" ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, "პრივატიზება" არის ფიზიკური და იურიდიული პირების ან მათი გაერთიანებების მიერ სახელმწიფო ქონებაზე საკუთრების უფლების შექმნა, რის შედეგად

სახელმწიფო კარგავს პრივატიზებული ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის, ხოლო სახელმწიფო ორგანოები - მისი მართვის უფლებებს. ამავე კანონის მე-6 მუხლის მიხედვით, პრივატიზება ხდება კონკურსის, აუქციონის, იჯარა-გამოსყიდვისა და პირდაპირი მიყიდვის ფორმით ქონების შესყიდვით. დამატებით, ამავე კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში საუბარია, რომ საწარმოთა აქციონირების დროს მუშაკებს უსასყიდლოდ ერთდროულად გადაეცემათ მთლიანი საწესდებო კაპიტალის 10%-მდე აქციები, მაგრამ არა უმეტეს საქართველოში არსებული მინიმალური ხელფასის ათმაგი ოდენობისა, ერთ მუშაკზე გაანგარიშებით. აღნიშნული შეღავათი ეხებათ: ა) იმ მუშაკებს, რომლებსთვისაც საწარმო წარმოადგენს ძირითად სამუშაო ადგილს; ბ) იმ პირებს, რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უფლება აქვთ დაბრუნდნენ ამ საწარმოში; გ) პენსიონერებს, რომლებიც პენსიაზე გავიდნენ ამ საწარმოდან არანაკლებ 5 წლის მუშაობის შემდეგ; დ) იმ პირებს, რომლებიც ამ საწარმოს სააქციო საზოგადოებად დაფუძნებამდე 1 წლით ადრე შეამცირეს და რეგისტრირებული არიან როგორც უმუშევრები. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნულ ნორმაში საუბარია სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ აქციათა პრივატიზებაზე.

საქმეზე დადგენილია, რომ მოსარჩელები - ნ. მ-შვილი, ო. ბ-ოვა, ც. ნ-ძე, მ. და ე. ხ-იების მამა ი. ხ-ია და ლ. გ-იანის მეუღლე ნ. გ-იანი მუშაობდნენ შპს "საქართველოს ელექტროკავშირში", რომლის დამფუძნებელსა და ერთადერთ პარტნიორს წარმოადგენდა საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტრო. 1999 წლის 25 ივნისს შპს გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად, რა დროსაც განხორციელდა საწარმოს მთლიანი საწესდებო კაპიტალის 10%-მდე აქციების თანამშრომლებზე უსასყიდლოდ გადაცემა ანუ პრივატიზება.

განსახილველ შემთხვევაში სარჩელის დავის საგანია ადმინისტრაციული ორგანოსაგან - ეკონომიკური განვითარების სამინისტროსაგან აქციების ღირებულების ანაზღაურება იმის გამო, რომ მან არ შეასრულა მოსარჩელების მიმართ კუთვნილი აქციების პრივატიზების ვალდებულება. სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" 1997 წლის 30 მაისის კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ზემომითითებული დანაწესი, რომელიც საწარმოს მუშაკთა მიმართ ადგენს აქციათა 10%-მდე ოდენობის უსასყიდლოდ გადაცემის გარანტიას. ამავე ნორმას ეყრდნობა სააპელაციო სასამართლოც დავის გადაწყვეტისას. "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" კანონი განეკუთვნება ადმინისტრაციულ კანონმდებლობას. ამდენად, სადავო ურთიერთობა საჯაროსამართლებრივი შინაარსის მატარებელია და მისი ძირითადი სამართლებრივი საფუძველია ადმინისტრაციული კანონმდებლობა, რის გამოც ამ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა დაცულია.

რამდენადაც საკასაციო საჩივრის დავის საგანია ადმინისტრაციული ორგანოსაგან პრივატიზებისათვის განკუთვნილი აქციების ღირებულების ანაზღაურება, მოცემულ შემთხვევაში ესაა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული კატეგორიის საქმე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქმე განხილულია საგნობრივი განსჯადობის წესების დარღვევით და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საპროცესო საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ნოემბრის განჩინება;

საქმე განსახილველად გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა

განჩინება

#ას-216-542-09

8 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ხელშეკრულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სარჩელი აღძრა სასამართლოში კ. ც-ძის მიმართ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის - 2437,96 ლარის, დავალიანების - 1502,43 აშშ დოლარის, ჯარიმის - 14000 ლარისა და 2005 წლის 1 ოქტომბრიდან აღნიშნული თანხის 0,2% ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 15 აპრილის #976 ბრძანებით მოპასუხე გაწვეულ იქნა სამხედრო საკონტრაქტო-პროფესიულ სამსახურში და ამავე წლის 30 მარტიდან დაინიშნა კონტრაქტით გათვალისწინებული პირობებით. კ.ც-ძის მიერ კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო მინისტრის 2005 წლის 19 ოქტომბრის #273 ბრძანებით დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან. მოპასუხის სამხედრო სამსახურისათვის მომზადებაში დაიხარჯა 2437,96 ლარი და კ. ც-ძის დათხოვნის შემდეგ მოსარჩელე იძულებული გახდა, აღნიშნული თანხა ხელახლა გადაეხადა სხვა სამხედრო მოსამსახურის მოსამზადებლად, შესაბამისად, სამინისტროს მიადგა სადავო თანხის ოდენობის ზიანი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ 2437,96 ლარის ნაწილში სამინისტრო ითხოვს მისგან ხელფასის სახით მის მიერ მიღებული თანხის დაბრუნებას, რაც უკანონოა და არღვევს შრომის სამართლიანი ანაზღაურების უფლებას.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კ. ც-ძეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა დავალიანების - 1502,43 აშშ დოლარისა და მიყენებული ზიანის - 2437,96 ლარის ანაზღაურება, დანარჩენ ნაწილში კი სარჩელს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა კ. ც-ძემ, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში კი საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 დეკემბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების ნაწილში გამოეყო ცალკე წარმოებად და განსჯადობის წესის დაცვით გადაეცა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებით კ. ც-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა ზიანის - 2437,96 ლარის ანაზღაურების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელს მითითებულ ნაწილში უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: 2005 წლის 30 მარტს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და კ. ც-ძეს შორის დაიდო ვადიანი ადმინისტრაციული ხელშეკრულება თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ. ამავე წლის 19 ოქტომბრის #273 ბრძანებით, კ. ც-ძე 2005 წლის 20 სექტემბრიდან დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან, კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის მეორე თავის 21-ე მუხლის მეორე ნაწილის "თ" ქვეპუნქტის საფუძველზე. კ. ც-ძემ სამხედრო სამსახურის გავლის დროს 2005 წლის 30 მარტიდან 30 სექტემბრის ჩათვლით მიიღო კუთვნილი შრომის ანაზღაურება - 2437,96 ლარი. მხარეთა შორის არსებული კონტრაქტის მე-3 მუხლის 3.1 პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურის სამსახურის ვადა შეადგენს 4 წელს, 3.2 პუნქტით კი სამხედრო სამსახურის პირველი სამი თვე შეადგენს სამხედრო მოსამსახურის სწავლებისა და მომზადების პერიოდს, რაც შედის 3.1 მუხლში აღნიშნულ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში. კონტრაქტის მე-4 მუხლის 4.1 პუნქტის თანახმად, "სამხედრო მოსამსახურეს" ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში მიეცემა ანაზღაურება საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულებით დადგენილი 1^o კატეგორიის ხელფასის სახით თვეში 447 ლარის ოდენობით, მე-5 მუხლის 5.1.2 პუნქტის თანახმად, სამინისტრო ვალდებულია, სამხედ-

რო მოსამსახურეს გადაუხადოს 4.1 მუხლში აღნიშნული ხელფასი. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ უდავოდ მიიჩნია ის გარემოება, რომ სამხედრო მოსამსახურე კონტრაქტის გაფორმების მომენტიდან, მათ შორის, მომზადების პერიოდშიც უზრუნველყოფილია სათანადო ანაზღაურებით - ხელფასით. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ კ. ც-მემ დაარღვია კონტრაქტის მე-7 მუხლის 7.6 პუნქტი, რის გამოც სამინისტრო იძულებული იყო, შეეწყვიტა მასთან ხელშეკრულება, კ.ც-მეს კი, სამხედრო ნაწილის თვითნებურად დატოვების გამო, ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 17 იანვრის განაჩენით მსჯავრი დაედო სისხლის სამართლის კოდექსის 388-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში. პალატის მითითებით, თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ ხელშეკრულება არ განსაზღვრავს ერთი წლის გასვლამდე კონტრაქტის შეწყვეტის პირობებში მოსამსახურის პასუხისმგებლობას, ამდენად, სასარჩელო მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების ნაწილში ეფუძნება სამოქალაქო კოდექსის 394-ე, 407-ე და 414-ე მუხლებს. სასამართლომ ჩათვალა, რომ, კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, მისი ვადამდე შეწყვეტა უნდა შეიცავდეს სამართალდარღვევის შემადგენლობის ყველა ისეთ მახასიათებელ აუცილებელ ელემენტს, როგორცაა მართლწინააღმდეგობა, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი და ბრალი. მოცემულ შემთხვევაში პალატამ მიიჩნია, რომ კ. ც-მემ ბრალეულად დაარღვია კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები, რაც საქმეში არსებული მტკიცებულებებით დასტურდება, ანუ არსებობს მართლწინააღმდეგობა და ბრალი, თუმცა არ დასტურდება ზიანის ფაქტი, შესაბამისად, არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი მართლწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, რაც, სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის თანახმად, სამართალდარღვევის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტია. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა თავდაცვის სამინისტროს მოსაზრება, რომ კ. ც-მის მიერ მიყენებული ზიანი უნდა განისაზღვროს 2437,96 ლარით, რადგან აღნიშნული თანხა ახალი სამხედრო მოსამსახურის მომზადებისათვის გაწეულ დამატებით ხარჯს წარმოადგენს. სასამართლოს მითითებით, ზემოხსენებული არგუმენტი სათანადო მტკიცებულებებს არ ეფუძნება, საქმეში არსებული 20232-ე სამხედრო ნაწილის მეთაურისა და ფინანსისტის მიერ გაცემული 2005 წლის 5 ოქტომბრის #1650 ცნობით კი დასტურდება, რომ კ.ც-მემ სადავო თანხა მიიღო კუთვნილი შრომის ანაზღაურების სახით. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელფასო ანაზღაურება არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ზიანი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ თავდაცვის სამინისტრომ ვერ დაადასტურა, თუ რა თანხა იქნა დახარჯული კ. ც-მის, როგორც სამხედრო მოსამსახურის, მომზადებაში, კონტრაქტის დარღვევის შემდეგ მოამზადა თუ არა ახალი სამხედრო მოსამსახურე და რა თანხა დაიხარჯა ამისათვის, ასევე, სადავო კონტრაქტის დარღვევით მიადგა თუ არა სამინისტროს მატერიალური ზიანი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა ის გარემოება, რომ სადავო თანხა წარმოადგენდა, მხარეთა შორის არსებული კონტრაქტის დარღვევის გამო, სამინისტროსათვის მიყენებულ ზიანს, რაც კონტრაქტის 8.2, 8.3, 8.4 მუხლებით დასტურდება, კერძოდ, სამინისტრომ მოითხოვა ის თანხა, რაც მან სამხედრო მოსამსახურის მომზადებაზე დახარჯა და, კ.ც-მის მიერ კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, ხელახლა გაიღო სხვა მოსამსახურის მოსამზადებლად. საყურადღებოა, რომ ამ კონტრაქტის დადებისას კასატორის მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილი, 407-ე და 414-ე მუხლები. ამასთან, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინტერესი სადავო კონტრაქტის მიმართ მდგომარეობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების პროფესიული, დისციპლინირებული, მაღალკვალიფიცირებული სამხედრო პერსონალით უზრუნველყოფაში, მოპასუხის მიერ კონტრაქტის დარღვევით კი აღნიშნული ვერ განხორციელდა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა უშედეგოდ დაიხარჯა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდეს და საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცეს იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემული დავის საგანს წარმოადგენს კ. ც-მის მიერ თავდაცვის სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ამდენად, კ. ც-მესა და თავდაცვის სამინისტროს შორის სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა საქართველოს თავდაცვის

სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ ვადიანი ხელშეკრულების საფუძველზე.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა. დასახელებული ნორმა ადგენს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს, ანუ რომელი საქმეები შეიძლება იქნეს განხილული ადმინისტრაციული იურისდიქციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში, კერძოდ, ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი დავები განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, რადგან სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, მოცემული დავა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის მიხედვით, ამ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსახილველ კატეგორიათა რიგს არ განეკუთვნება.

სააპელაციო პალატამ შეფასება არ მისცა იმ გარემოებას, რომ, მართალია, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების შესახებ სამოქალაქო სამართლის ნორმებს ეფუძნება, აღნიშნული თავისთავად დავის კერძოსამართლებრივ ხასიათზე არ მეტყველებს. განსახილველი სასარჩელო მოთხოვნის სწორად გადასაწყვეტად სასამართლოს უნდა ემსჯელა მხარეთა შორის არსებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირობების "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ", "სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" კანონებისა და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულებების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე და მხოლოდ ამის შემდეგ შეეფასებინა სადავო სამართლებრივი ურთიერთობა სამოქალაქო კანონმდებლობასთან მიმართებით. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ადმინისტრაციული კოდექსის მეხუთე თავი ("ადმინისტრაციული ხელშეკრულება") უშვებს ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიმართ სამოქალაქო კოდექსის ნორმების გამოყენების შესაძლებლობას.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატამ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი, ასევე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26-ე მუხლებით დადგენილი განსჯადობის წესები, როდესაც მოცემული საქმე განიხილა სამოქალაქო სამართალწარმოების გზით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილება და საქმე განსჯადობით დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განსჯადობა

განჩინება

#ას-266-590-09

23 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 22 სექტემბერს სამტრედიის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მოპასუხე შ. ო-ძის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ მოპასუხისათვის 14 000 ლარის ოდენობით ჯარიმის, ზიანის - 3 160.23 ლარის, 370.80 აშშ დოლარის ოდენობით სანივთე დავალიანებისა და 14 000 ლარის 0.2%-ის ოდენობით პირგასამტეხლოს დაკისრება.

სასარჩელო განცხადებიდან და მასზე თანდართული მასალებიდან ირკვევა შემდეგი:

შ. ო-მე კონტრაქტის საფუძველზე მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში;

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 5 მაისის #1235 ბრძანებით 2005 წლის 1 მარტიდან იგი გაწვეულ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში და კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად დაინიშნა თავდაცვის სამინისტროს პირველი ქვეითი ბრიგადის საშტატო ასეულის საკომენდანტო ოცეულის მესამე საკომენდანტო ათეულის მსროლელად;

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 2 დეკემბრის #1328 ბრძანებით კაპრალი შ. ო-მე კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში 2005 წლის 2 ნოემბრიდან;

შ. ო-მემ 2005 წლის 1 მარტიდან 2005 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით ხელფასის სახით მიიღო 3 160.23 ლარი, ხოლო მის მიმართ არსებული სანივთე ქონებისა და აღჭურვილობის დანაკლისი წარმოადგენდა 370.80 აშშ დოლარს;

მოპასუხის სამხედრო სამსახურში ნამსახურობის ვადამ შეადგინა რვა თვე.

"სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" კანონის 32-ე მუხლის თანახმად, საკონტრაქტო სამსახურის გამვლელათვის დადგენილია არანაკლებ 3-წლიანი ვადა, ხოლო შ. ო-მეს ხელშეკრულების 3.1 მუხლის მიხედვით ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება, 4 წელი ემსახურა შეიარაღებულ ძალებში.

ჯარიმის დაკისრების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნა დაეფუძნა შ. ო-მესთან დადებული ხელშეკრულების 7.3 მუხლს, რომლის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილით და სამინისტროსთან შეთანხმებით დატოვებს სამხედრო ძალებს, ან შექმნის პირობებს იმისათვის, რომ სამინისტრო იძულებული გახდება, შეწყვიტოს 4 წლიანი კონტრაქტი, სამხედრო მოსამსახურე ვალდებულია ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში ჯარიმის სახით აუნაზღაუროს სამინისტროს მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხები: ა) ერთი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო სამი წლის ხელფასის სახით საშუალოდ 14 000 ლარი, რომელიც დაანგარიშებულ იქნება ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად; ბ) ორის წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო სამი წლის ხელფასი, საშუალოდ 10 000 ლარი, რომელიც დაანგარიშებულ იქნება ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად; გ) სამი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო ერთი წლის ხელფასი, საშუალოდ 5 000 ლარი, რომელიც დაანგარიშებულ იქნება ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად.

ამდენად, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ კონტრაქტის 7.3 მუხლის მიხედვით, ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, მოპასუხეს წარმოეშვა ვალდებულება, სამინისტროსათვის აუნაზღაურობინა მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის თანხა, რაც კონკრეტულ შემთხვევაში 14 000 ლარს შეადგენდა.

კონტრაქტის 7.4 მუხლით სამხედრო მოსამსახურის მიერ 7.3 და 7.4 მუხლებში აღნიშნული თანხების ამავე მუხლებით დადგენილ ვადებში დაფარვის ვალდებულების ვადის გადაცილების შემთხვევაში აღნიშნულ თანხას დაერიცხება პირგასამტეხლო 0.2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. რამდენადაც შ. ო-მეს თანხა უნდა გადაეხადა კონტრაქტის შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ე.ი. 2005 წლის 13 ნოემბრამდე, რაც არ გადაუხდია, კონტრაქტის 7.4 მუხლიდან გამომდინარე, მას უნდა გადაეხადა 0.2%-ის ოდენობის პირგასამტეხლო, ყოველდღიურად, 2005 წლის 13 ნოემბრიდან, მოთხოვნილი თანხის გადახდამდე.

სანივთე უზრუნველყოფის ფარგლებში სამხედრო სამსახურის განმავლობაში მოპასუხეზე გადაცემული ქონება (ტანსაცმელი და სხვა) წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებას. კონტრაქტის შეწყვეტის შემდეგ მოპასუხეს არ დაუბრუნებია მასზე გადაცემული სანივთე უზრუნველყოფა, რაც შეადგენდა 370.80 აშშ დოლარს და რის ანაზღაურებასაც მოსარჩელე ასევე მოითხოვდა.

ზიანის სახით გადასახდელ თანხასთან მიმართებით მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ეს იყო თანხა, რაც დაიხარჯა სამხედრო მოსამსახურის - შ. ო-ძის მომზადებაზე და რომლის ხელახლა გაღება სამინისტროს მოუწია მის ნაცვლად ახალი სამხედრო მოსამსახურის გაწვრთნის გამო, ვინაიდან ახალი სამხედრო მოსამსახურის გაწვრთნა დამატებით ხარჯებთან იყო დაკავშირებული. სამხედრო

მოსამსახურე სრულ მატერიალურ კმაყოფაზე იმყოფებოდა სახელმწიფოს მხრიდან. თავდაცვის სამინისტროს წინასწარ ჰქონდა დაგეგმილი და გამოყოფილი ხელფასის, კვების, სანივთე უზრუნველყოფის, წვრთნისა და აღჭურვილობის სახსრები პროფესიული, დისციპლინირებული, მაღალკვალიფიციური სამხედრო პერსონალის მომზადებისათვის. მოპასუხემ ნაცვლად ოთხი წლისა, მხოლოდ რვა თვე იმსახურა სამხედრო სამსახურში, რამაც მის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი წარმოშვა. დასახელებულ მოთხოვნასთან მიმართებით მოსარჩელე მიუთითებდა სამოქალაქო კოდექსის 394.1, 407-ე, 414-ე მუხლებზე და მათზე დაყრდნობით მოპასუხისათვის 3 160.23 ლარის ოდენობით ზიანის თანხის დაკისრებას ითხოვდა.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შ. ო-მეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სანივთე დავალიანების ანაზღაურება 370.80 აშშ დოლარის ოდენობით.

რაიონულმა სასამართლომ საქმეზე დადგინებულ ფაქტებს, რომ შ. ო-მის სამხედრო სამსახურში ნამსახურობის ვადა შეადგენდა 8 თვეს, ხოლო, კონტრაქტის 7.3 მუხლის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეს ჯარიმის თანხის გადახდა ეკისრება ერთი წლის სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ.

რამდენადაც ზემომითითებული ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა მოსამსახურის მიერ სამხედრო სამსახურის ერთი წლის გასვლამდე კონტრაქტის მოშლისას პასუხისმგებლობას, რაიონულმა სასამართლომ აღნიშნულ ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებით, კონტრაქტის 7.3 მუხლის "ა" პუნქტის თანახმად, კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის სანქციის სახით ჯარიმის ამუშავება და მისი ოდენობის განსაზღვრა დაიწყებოდა მხოლოდ ერთი წლის სამსახურის გავლის შემდეგ მომდევნო სამი წლის ხელფასი, საშუალოდ 14 000 ლარი, რაც დაანგარიშებული იქნებოდა ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად. აღნიშნული ვადა დაკავშირებული იყო მხოლოდ ჯარიმის დაკისრებასთან. აქედან გამომდინარე, რაიონულმა სასამართლომ ასევე არ გაიზიარა პირგასამტეხლოს - 14 000 ლარის 0.2%-ის შესახებ მოსარჩელის მოთხოვნა.

საქმეზე დგინდებოდა, რომ შ. ო-მის სამხედრო სამსახურში ნამსახურობის ვადა შეადგენდა 8 თვეს, რის სანაცვლოდაც მას მიღებული ჰქონდა ანაზღაურება 3 160.23 ლარის ოდენობით. მოპასუხე ამ დროის განმავლობაში დასაქმებული იყო საქართველოს შეიარაღებულ ძალებში და ასრულებდა სამუშაოს, რისთვისაც დამსაქმებლის მიერ ანაზღაურების, ხელფასის სახით გადახდილი იქნა 3 160.23 ლარი, ანუ მხარეს ხელფასის სახით გადახდილი 3 160.23 ლარის შესაბამისი სამუშაო 8 თვის განმავლობაში უკვე მიღებული ჰქონდა. რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, ზიანის სახით აღნიშნული თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნა ეწინააღმდეგებოდა როგორც საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ შრომის სამართლიანი ანაზღაურების პრინციპს, ისე - მოქმედ შრომით კანონმდებლობას.

რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის 370.80 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა კონტრაქტის 7.1 და 7.2 მუხლებზე, რომელთა თანახმად, სამხედრო მოსამსახურე მთელი თავისი ქონებით აგებს პასუხს მისთვის მინდობილი ქონების უსაფრთხოებასა და მოვლაზე. მინდობილი ქონების დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში იგი ვალდებულია, სრულად აუნაზღაუროს სამინისტროს მიყენებული ზიანი. საქმეში არსებული სანივთე ქონებისა და აღჭურვილობის დანაკლისის ოქმით შ. ო-მეზე გადაცემული იყო 370.80 აშშ დოლარის ქონება, რომელიც თავდაცვის სამინისტროსათვის არ იყო დაბრუნებული. სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. რამდენადაც შ. ო-მემ დაარღვია კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები (ვადაზე ადრე დატოვა შეიარაღებული ძალები), ამავე კონტრაქტის თანახმად, იგი ვალდებული იყო აუნაზღაურებინა თავდაცვის სამინისტროს ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში სანივთე ქონებისა და აღჭურვილობის სახით მასზე გადაცემული ქონების ღირებულება, რაც 370.80 ლარს შეადგენდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

აპელანტმა არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ შ. ო-მესთან დადებულ ხელშეკრულებაში მოსამსახურის მიერ სამხედრო სამსახურის ერთი წლის გასვლამდე კონტრაქტის მოშლისას პასუხისმგებლობის მიუთითებლობის გამო, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კონტრაქტორის პასუხისმგებლობის საფუძველი არ არსებობდა. კონტრაქტის 7.3 მუხლი არ გამორიცხავდა სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობას ერთ წლამდე სამსახურისას კონტრაქტის დარღვევის გამო დამსაქმებლისათვის ზიანის ანაზღაურების შე-

სახებ, რამდენადაც ამ მუხლს ზოგადი ხასიათი გააჩნდა და პასუხისმგებლობის ზოგად პრინციპებს განსაზღვრავდა.

მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება დადებული იყო 4 წლის ვადით, რაც კონტრაქტის ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენდა. აღნიშნულთან დაკავშირებით აპელანტმა მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამავე კოდექსის 384-ე მუხლის მიხედვით, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას, კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობად შ. ო-ძის მიერ სწორედ კონტრაქტის (ვალდებულების) დარღვევა, კერძოდ, ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა ჩაითვალა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ არ იმსჯელა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პოზიციასთან დაკავშირებით, სადაც სამინისტრო მიუთითებდა, რომ მოთხოვნილი თანხა იყო ზიანი, რომელიც კონტრაქტის (ხელშეკრულების) დარღვევიდან გამომდინარე წარმოიშვა და რომლის შესამღებლობას იძლეოდა სამოქალაქო კოდექსი და მოქმედი კანონმდებლობა.

აპელანტის განმარტებით, მოთხოვნილი თანხის ზიანის შინაარსზე მიუთითებდა კონტრაქტის 8.2, 8.3 და 8.4 მუხლები, რომლებიდანაც ცალსახად ირკვეოდა, რომ სამინისტრომ მოითხოვა ის თანხა, რაც დახარჯა სამხედრო მოსამსახურის მომზადებაზე და რომლის ხელახლა გაღება მას მოუწია კონტრაქტის დარღვევის გამო, მის ნაცვლად ახალი სამხედრო მოსამსახურის გაწვრთნისათვის.

აპელანტის მითითებით, გარდა კონტრაქტის რიგი მუხლებისა, მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსის ნორმები, საიდანაც გამომდინარეობდა, რომ მოთხოვნილი თანხა ყოფილი სამხედრო მოსამსახურის მიერ თავდაცვის სამინისტროსათვის მიყენებულ ზიანის თანხას წარმოადგენდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 12 იანვრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი შ. ო-ძის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში განსჯადობით განსახილველად გადაეცა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას სადავოდ არ გაუხდია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შ. ო-ძეს შორის დადებული ხელშეკრულება წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, მაგრამ მნიშვნელოვნად მიიჩნია ის გარემოება, რომ აღნიშნული ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას ადმინისტრაციული ორგანო – თავდაცვის სამინისტრო ფიზიკური პირისაგან – სამხედრო მოსამსახურისაგან ითხოვდა ზიანის ანაზღაურების თაობაზე სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველ საქმეზე შესამოწმებელი იყო სასარჩელო მოთხოვნის სამოქალაქო კოდექსის ნორმებთან შესაბამისობა, რაც სამოქალაქო საქმეთა პალატის კომპეტენციას წარმოადგენდა. ასეთ დასკვნას განაპირობებდა სასამართლო წესით (დავის წარმოების გზით) დასაცავი უფლების მატერიალური შინაარსი, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა და უფლებები, რომელთა დასაცავადაც აღიძრა სარჩელი. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული დავა სამოქალაქო ხასიათის იყო, რის შესაბამისადაც არ არსებობდა ამ ნაწილში დავის გადაწყვეტისათვის ადმინისტრაციული კანონმდებლობის გამოყენების საჭიროება.

საქმის განსჯადი სასამართლოსათვის გადაცემის საკითხის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა დაეყრდნო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, ასევე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლებს, რომელთა განმარტების შედეგადაც ზიანის ანაზღაურების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნა განსახილველად ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას დაუქვემდებარა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 3 თებერვლის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შ. ო-ძემ ბრალეულად დაარღვია კონტრაქტით გათვალისწინებული პირობებით, რაც დასტურდებოდა საქმეში არსებული მტკიცებულებებით, ანუ სახეზე იყო სამართალდარღვევის ისეთი შემადგენელი ელემენტები, როგორებიცაა მართლსაწინააღმდეგობა და ბრალი.

მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ზიანი, რაც გამოიწვევდა შ. ო-ძის ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხს. შესაბამისად, არ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ზიანი წარმოადგენდა სამართალდარღვევის შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს, თუ არ იქნებოდა ზიანი, არც ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლებოდა დამდგარიყო. ამასთან, ანაზღაურებას ექვემდებარებოდა მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენდა ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა თავდაცვის სამინისტროს მტკიცება იმის თაობაზე, რომ შ. ო-ძის მიერ მათზე მიყენებული ზიანი უნდა განსაზღვრულიყო 3 160.23 ლარით, იმ მიზეზით, რომ აღნიშნული თანხა წარმოადგენდა ახალი სამხედრო მოსამსახურის მომზადებისათვის დამატებით დახარჯულ თანხას. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოპასუხის აღნიშნული მოსაზრება არ იყო გამყარებული შესაბამისი მტკიცებულებებით, საქმეში არსებული მასალებით კი დასტურდებოდა საპირისპირო.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ შ. ო-ძის სამხედრო სამსახურში ნამსახურობის ვადა შეადგენდა 8 თვეს, რის სანაცვლოდაც მან მიიღო ანაზღაურება 3 160.23 ლარის ოდენობით. მოპასუხე ამ დროის განმავლობაში დასაქმებული იყო საქართველოს შეიარაღებულ ძალებში და ასრულებდა სამუშაოს, რისთვისაც დამსაქმებლის მიერ ხელფასის სახით გადახდილი იქნა 3 160.23 ლარი, ანუ მხარეს ხელფასის სახით გადახდილი 3 160.23 ლარის შესაბამისი სამუშაო 8 თვის განმავლობაში უკვე შესრულებული ჰქონდა და ზიანის სახით აღნიშნული თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნა ეწინააღმდეგებოდა როგორც საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ შრომის სამართლიანი ანაზღაურების პრინციპს, ისე - მოქმედ შრომით კანონმდებლობას.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, შრომის კონტრაქტის შესაბამისი მუხლებით ასევე დასტურდებოდა, რომ სამხედრო მოსამსახურე კონტრაქტის დადებიდან უზრუნველყოფილი იყო ხელფასით. სამხედრო მოსამსახურისათვის ხელფასის სახით მიცემული თანხა კი არ შეიძლებოდა განხილულიყო როგორც ზიანი, რადგან აღნიშნული თანხა წარმოადგენდა გაწეული შრომის კომპენსაციას.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ვერ ამტკიცებდა, თუ რა თანხა იქნა დახარჯული შ. ო-ძის, როგორც სამხედრო მოსამსახურის მომზადებაში, კონტრაქტის დარღვევის შემდეგ მოამზადა თუ არა ახალი სამხედრო მოსამსახურე, რა თანხა დაიხარჯა მის მომზადებაში და საერთოდ, კონტრაქტის დარღვევით მიიღო თუ არა თავდაცვის სამინისტრომ მატერიალური (ქონებრივი) ზიანი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ზიანის ანაზღაურების ნაწილში დაუსაბუთებელი იყო და დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილება, შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პოზიციასთან დაკავშირებით, სადაც სამინისტრო მიუთითებს, რომ მოთხოვნილი თანხა არის ზიანი, რომელიც კონტრაქტის (ხელშეკრულების) პირობების დარღვევის გამო წარმოიშვა და რომლის მოთხოვნის შესაძლებლობას იძლევა სამოქალაქო კოდექსი, მოქმედი კანონმდებლობა.

მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს შ. ო-ძისაგან 3 160.23 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურება. მოთხოვნილი ზიანის შინაარსზე მიუთითებს კონტრაქტის 8.2, 8.3 და 8.4 მუხლები, რომლებიდანაც ცალსახად ირკვევა, რომ სამინისტრომ სწორედ ის თანხა მოითხოვა, რაც დახარჯა სამხედრო მოსამსახურის მომზადებაზე და რომლის გაღება მას მოუწია კონტრაქტის დარღვევის გამო, მის ნაცვლად ახალი სამხედრო მოსამსახურის გაწვრთნისათვის.

საგულისხმოა, რომ კონტრაქტის დადებისას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინტერესი იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების პროფესიული, დისციპლინირებული, მაღალკვალიფიციური სამხედრო პერსონალით უზრუნველყოფა. მოპასუხის მხრიდან კონტრაქტის დარღვევით ვერ იქნა მიღწეული დასახელებული ინტერესი და მასზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა ფაქტობრივად უშედეგოდ დაიხარჯა.

შ. ო-ძის მიმართ მოთხოვნილი თანხა წარმოადგენს სამინისტროსათვის მიყენებულ ზიანს, რომლის მოთხოვნის უფლებაც თავდაცვის სამინისტროს გააჩნია არა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის ნორმების, არამედ კონტრაქტის რიგი მუხლების საფუძველზეც.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა

პალატის გასაჩივრებული განჩინება და საქმე განსახილველად გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული დავა არ განეკუთვნება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო საჩივრის დავის საგანია შ. ო-ძის, როგორც სამხედრო მოსამსახურის მიერ კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. თავდაცვის სამინისტროსა და შ. ო-ძის შორის სადავო ურთიერთობის წარმოშობის საფუძველია თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ კონტრაქტი, რომლის 1.1 მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურე კისრულობს ვალდებულებას, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით კეთილსინდისიერად იმსახუროს სამინისტროს ქვედანაყოფებში, ხოლო სამინისტრო ვალდებულია, გადაუხადოს სამხედრო მოსამსახურეს შეთანხმებული ხელფასი და უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამხედრო სამსახურით და შესაბამისი პირობებით. სადავო არ არის, რომ აღნიშნული კონტრაქტი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რამდენადაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დადებულია თავისი საჯარო უფლებამოსილების განხორციელების - სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

საქმეზე დადგენილია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 2 დეკემბრის #3128 ბრძანებით სამინისტროს მე-2 ქვეითი ბრიგადის სამტაბო ასეულის საკომენდანტო ოცეულის მესამე საკომენდანტო ასეულის მეთაური, კაპრალი შ. ო-ძე 2005 წლის 2 ნოემბრიდან დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის "თ" ქვეპუნქტის საფუძველზე. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა გამომდინარეობს სწორედ კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობიდან, კერძოდ, მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას ითხოვს იმ საფუძველით, რომ მხარეთა შორის დადებული 4-წლიანი კონტრაქტი მოპასუხის სურვილით შეწყდა. ამდენად, მოსარჩელე სადავოდ ხდის ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირობების შესრულებას, რაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტისა და 251 მუხლის თანახმად ადმინისტრაციული დავის საგანია.

ის გარემოება, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა ემყარება სამოქალაქო კოდექსის ნორმებს, არ ნიშნავს, რომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა ამის გამო კერძოსამართლებრივ შინაარსს იძენს. დავის არსის გათვალისწინებით სადავო ურთიერთობის სამართლებრივი საფუძვლების სწორად განსაზღვრა სასამართლოს ვალდებულებაა და ამ შემთხვევაში სასამართლო მხარის მიერ დასახელებული სამართლის ნორმებით არ არის შეზღუდული. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის V თავი ("ადმინისტრაციული ხელშეკრულება") სამოქალაქო კოდექსის ნორმების გამოყენებას ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიმართ სრულიად დასაშვებად მიიჩნევს. ამ შემთხვევაში მოთხოვნის საფუძვლიანობის განსაზღვრად ძირითადი და გადამწყვეტია, პირველ რიგში შეფასდეს სწორედ მხარეთა შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირობები, ასევე ადმინისტრაციული კანონმდებლობის - "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის, "სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" კანონის, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების მოთხოვნები. მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის ნორმების გამოყენების შემდეგ არის შესაძლებელი, გაირკვეს მოთხოვნის სამოქალაქო კოდექსის ნორმებთან შესაბამისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქმე განხილულია საგნობრივი განსჯადობის წესების დარღვევით და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საპროცესო საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 3 თებერვლის განჩინება;

საქმე განსახილველად დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა

განჩინება

#ას-295-617-09

23 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 28 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მოპასუხე მ. მ-მის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის გამო მოპასუხისათვის 3 160.07 ლარისა და 19.30 აშშ დოლარის დაკისრება.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მ. მ-მესთან 2005 წლის 30 მარტს გააფორმა კონტრაქტი ოთხი წლის ვადით. მხარეებს ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ეკისრებოდათ პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

გაწეული საქმიანობის გასამრჯელო, კონტრაქტის მოქმედების ვადა და მისი ვადამდე შეწყვეტის პირობები განისაზღვრა კონტრაქტის ძალაში შესვლის დღიდან. კონტრაქტის 7.3 მუხლის თანახმად, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილით და სამინისტროსთან შეთანხმებით დატოვებს სამხედრო ძალებს, ან შექმნის პირობებს იმისათვის, რომ სამინისტრო იძულებული გახდება შეუწყვიტოს ოთხწლიანი კონტრაქტი, სამხედრო მოსამსახურე ვალდებულია, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში ჯარიმის სახით აუნაზღაუროს სამინისტროს კონტრაქტით მასზე დახარჯული ფულადი თანხები.

მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ რამდენადაც მ. მ-მემ დაარღვია კონტრაქტის პირობები, კონტრაქტის 7.3 მუხლიდან გამომდინარე, იგი ვალდებული იყო თავდაცვის სამინისტროსათვის აენაზღაურებინა მასზე დახარჯული თანხა, რაც შეადგენდა 3 160.07 ლარსა და 19.30 აშშ დოლარს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი განსახილველად გადაეცა უფლებამოსილ სასამართლოს - ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას მ. მ-მემ 19.30 აშშ დოლარის მოთხოვნის მასზე დაკისრების ნაწილში სარჩელი ცნო, ხოლო დანარჩენ თანხასთან (3 160.07 ლარი) მიმართებით აღნიშნა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 2 მაისის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მ. მ-მეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა 19.30 აშშ დოლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხისათვის 3 160.07 ლარის დაკისრების შესახებ სარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლო იყო, რადგან მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების 7.3 მუხლის "ა" პუნქტიდან გამომდინარე, კონტრაქტის დარღვევის შემთხვევაში სამინისტროსათვის სამხედრო მოსამსახურეს ფულადი თანხა უნდა აენაზღაურებინა მხოლოდ ერთი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მოპასუხემ კი მხოლოდ რვა თვე იმსახურა. ამდენად, კონტრაქტის მითითებული მუხლის მოთხოვნა მ. მ-მეზე ვერ გავრცელდებოდა იმ მიზეზით, რომ მას ვალდებულება არ დაურღვევია.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელის მოთხოვნა სანივთე ქონების დავალიანების ანაზღაურების შესახებ უნდა დაკმაყოფილებულიყო, რამდენადაც საქმეში არსებული ცნობით დგინდებოდა, რომ მ. მ-მეს გააჩნდა აღნიშნული სახის დავალიანება 19.30 აშშ დოლარის ოდენობით.

საქალაქო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 17 იანვრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 2 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 17 იანვრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა დააზუსტა მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი და აღნიშნა, რომ ითხოვდა პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 2 მაისის გადაწყვეტილების გაუქმებას და კონტრაქტით გათვალისწინებული პირობის შეუსრულებლობის გამო მოპასუხისათვის 3 160.07 ლარის დაკისრებას სამოქალაქო კოდექსით ზიანის ანაზღაურებისათვის დადგენილი ნორმების შესაბამისად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 15 იანვრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეცა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას სადავოდ არ გაუხდია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მ. მ-მეს შორის დადებული ხელშეკრულება წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, მაგრამ მნიშვნელოვნად მიიჩნია ის გარემოება, რომ აღნიშნული ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას ადმინისტრაციული ორგანო - თავდაცვის სამინისტრო, ფიზიკური პირისაგან - სამხედრო მოსამსახურისაგან ითხოვდა ზიანის ანაზღაურების თაობაზე სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველ საქმეზე შესამოწმებელი იყო მოთხოვნის სამოქალაქო კოდექსის ნორმებთან შესაბამისობა, რაც სამოქალაქო საქმეთა პალატის კომპეტენციას წარმოადგენდა. ასეთ დასკვნას განაპირობებდა სასამართლო წესით (დავის წარმოების გზით) დასაცავი უფლების მატერიალური შინაარსი, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა და უფლებები, რომელთა დასაცავადაც აღიძრა სარჩელი. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული დავა სამოქალაქო ხასიათის იყო, რის შესაბამისადაც არ არსებობდა დავის გადაწყვეტისათვის ადმინისტრაციული კანონმდებლობის გამოყენების საჭიროება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 იანვრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 2 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2005 წლის 30 მარტს მ. მ-მესა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმდა ხელშეკრულება (კონტრაქტი) თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ;

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2005 წლის 2 დეკემბრის #3126 ბრძანებით უმცროსი სერჟანტი მ. მ-მე 2005 წლის 10 ნოემბრიდან დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან;

მ. მ-მის სამხედრო სამსახურში ნამსახურობის ვადა შეადგენდა 8 თვეს;

მ. მ-მეს ხელფასის სახით ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიღებული აქვს 3 160.07 ლარი;

კონტრაქტის მეოთხე მუხლის 4.1 პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეს ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში მიეცემა ანაზღაურება საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულებით დადგენილი 1^o კატეგორიის ხელფასი - თვეში 447 ლარი, ხოლო 5.1.2 პუნქტის მიხედვით, სამინისტრო ვალდებულია, სამხედრო მოსამსახურეს გადაუხადოს 4.1 მუხლში აღნიშნული ხელფასი.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამხედრო მოსამსახურე მ. მ-მე კონტრაქტის გაფორმებიდან, მათ შორის, მომზადების პერიოდშიც უზრუნველყოფილი იყო სათანადო ანაზღაურებით, ანუ ხელფასით.

სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის განმარტებიდან ირკვეოდა, რომ მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა მ. მ-ძის მიერ 8 თვის განმავლობაში მიღებული ხელფასი - 3 160.07 ლარი, ანუ აღნიშნული წარმოადგენდა ახალი სამხედრო მოსამსახურის მომზადებისათვის დამატებით დახარჯულ თანხას, რამაც სამინისტროს მიაყენა ზიანი.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის ზემომითითებული მსჯელობა არამართებულად მიიჩნია იმ მიზეზით, რომ აღნიშნული მოსაზრება არ იყო დადასტურებული შესაბამისი მტკიცებულებებით. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ არ არსებობდა ზიანი, რაც გამოიწვევდა მ. მ-ძის ქონებრივ პასუხისმგებლობას.

სააპელაციო სასამართლომ მოსაზრება იმის შესახებ, რომ მ. მ-ძის მომზადების პერიოდში ხელფასის სახით გაცემული თანხა წარმოადგენდა ზიანს, რომლის ანაზღაურებასაც მოსარჩელე მოითხოვდა, ასევე, არასწორად მიიჩნია, რაც შემდეგნაირად დაასაბუთა:

საქმეზე დგინდებოდა, რომ მ. მ-ძის სამხედრო სამსახურში ნამსახურობის ვადა შეადგენდა 8 თვეს, რის სანაცვლოდაც მან მიიღო ანაზღაურება 3 160.07 ლარის ოდენობით. მოპასუხე ამ დროის განმავლობაში დასაქმებული იყო საქართველოს შეიარაღებულ ძალებში და ასრულებდა სამუშაოს, რისთვისაც დამსაქმებლის მიერ ანაზღაურების, ხელფასის სახით გადახდილ იქნა 3 160.07 ლარი. ზიანის სახით აღნიშნული თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნა ეწინააღმდეგებოდა როგორც საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ შრომის სამართლიანი ანაზღაურების პრინციპს, ისე, მოქმედ შრომით კანონმდებლობას. სამხედრო მოსამსახურისათვის ხელფასის სახით მიცემული თანხა არ შეიძლება განხილულიყო როგორც ზიანი, რამდენადაც მითითებული თანხა წარმოადგენდა გაწეული შრომის კომპენსაციას.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ვერ ამტკიცებდა, თუ რა თანხა იქნა დახარჯული მ. მ-ძის, როგორც სამხედრო მოსამსახურის, მომზადებაში, კონტრაქტის დარღვევის შემდეგ მოამზადა თუ არა ახალი სამხედრო მოსამსახურე, რა თანხა დაიხარჯა მის მომზადებაში და საერთოდ, კონტრაქტის დარღვევით მიიღო თუ არა თავდაცვის სამინისტრომ მატერიალური (ქონებრივი) ზიანი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაუსაბუთებელი იყო და დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილება, შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ განჩინებით საქმე გადასცა განსჯად სასამართლოს - ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, ე.ი. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა პირველი ინსტანციით საქმის არაგანსჯადი სასამართლოს მიერ განხილვა. აღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად გაეუქმებინა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, როგორც არაკანონიერი შემადგენლობის მიერ მიღებული.

სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლი. გასაჩივრებულ განჩინებაში მჯელობა იმის შესახებ, რომ მოვალისათვის წინასწარ არ იყო ცნობილი სავარაუდო ზიანი, უსაფუძვლოა, რადგან მოთხოვნილი ზიანის შინაარსზე მიუთითებს კონტრაქტის 8.3 და 8.4 მუხლები, საიდანაც ცალსახაა, რომ კონტრაქტორმა იცოდა იმ სავარაუდო ზიანის მოთხოვნის შესახებ, რომელიც შესაძლოა სამინისტროს მოეთხოვა, როგორც მის მომზადებაზე დახარჯული თანხა.

კონტრაქტის დადებისას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინტერესი იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების პროფესიული, დისციპლინირებული, მაღალკვალიფიციური სამხედრო პერსონალით უზრუნველყოფა, რაც მოპასუხის მხრიდან კონტრაქტის დარღვევით ვერ იქნა მიღწეული. სწორედ კონტრაქტის დარღვევა წარმოადგენდა ზიანის გამომწვევ მოქმედებას, რადგან კონტრაქტის დასრულების შემდგომ, თავდაცვის სამინისტრო მიიღებდა ჩამოყალიბებულ სამხედრო მოსამსახურეს.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების რაოდენობა განისაზღვრება საქართველოს პარლამენტის მიერ, ხოლო შეიარაღებული ძალების ყოველგვარი უზრუნველყოფისათვის გამოიყოფა შესაბამისი საბიუჯეტო ასიგნებები. იმ ვითარებაში, როდესაც სამხედრო მოსამსახურე ვადაზე ადრე შეწყვეტს კონტრაქტს, აუცილებელია მოხდეს გათავისუფლებული ადგილის შევსება, რასაც დამატებითი თანხები ესაჭიროება, შეიძლება ეს იყოს ხელფასი, ან სხვა სახის დანამატები. თავდაცვის სამინისტროსადმი მიყენებული ზიანი იმაში მდგომარეობს, რომ ახალი სამხედრო მოსამსახურის გაწვრთნა დამატებით და ახალ ხარჯებთანა დაკავშირებული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება და საქმე განსახილველად გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული დავა არ განეკუთვნება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო საჩივრის დავის საგანია მ. მ-ძის, როგორც სამხედრო მოსამსახურის მიერ კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. თავდაცვის სამინისტროსა და მ. მ-ძეს შორის სადავო ურთიერთობის წარმოშობის საფუძველია თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ კონტრაქტი, რომლის 1.1 მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურე კისრულობს ვალდებულებას, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით კეთილსინდისიერად იმსახუროს სამინისტროს ქვედანაყოფებში, ხოლო სამინისტრო ვალდებულია, სამხედრო მოსამსახურეს გადაუხადოს შეთანხმებული ხელფასი და უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამხედრო სამსახურით და შესაბამისი პირობებით. სადავო არ არის, რომ აღნიშნული კონტრაქტი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რამდენადაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დადებულია თავისი საჯარო უფლებამოსილების განხორციელების - სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

საქმეზე დადგენილია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 2 დეკემბრის #3126 ბრძანებით სამინისტროს მე-2 ქვეითი ბრიგადის 23-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის საშტაბო და უზრუნველყოფის ასეულის სამედიცინო ოცეულის საევაკუაციო ჯგუფის სანიტრუქტორი, უმცროსი სერჟანტი მ. მ-ძე 2005 წლის 10 ნოემბრიდან დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის "თ" ქვეპუნქტის საფუძველზე. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა გამომდინარეობს სწორედ კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობიდან, კერძოდ, მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას ითხოვს იმ საფუძველით, რომ მხარეთა შორის დადებული 4-წლიანი კონტრაქტი მოპასუხის სურვილით შეწყდა. ამდენად, მოსარჩელე სადავოდ ხდის ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირობების შესრულებას, რაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტისა და 251 მუხლის თანახმად ადმინისტრაციული დავის საგანია.

ის გარემოება, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა ემყარება სამოქალაქო კოდექსის ნორმებს, არ ნიშნავს, რომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა ამის გამო კერძოსამართლებრივ შინაარსს იძენს. დავის არსის გათვალისწინებით სადავო ურთიერთობის სამართლებრივი საფუძვლების სწორად განსაზღვრა სასამართლოს ვალდებულებაა და ამ შემთხვევაში სასამართლო მხარის მიერ დასახელებული სამართლის ნორმებით არ არის შებოჭილი. ამასთან, გასათვალისწინებელია ასევე, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის V თავი ("ადმინისტრაციული ხელშეკრულება") სამოქალაქო კოდექსის ნორმების გამოყენებას ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიმართ სრულიად დასაშვებად მიიჩნევს. ამ შემთხვევაში მოთხოვნის საფუძვლიანობის განსაზღვრად ძირითადი და გადამწყვეტია, პირველ რიგში შეფასდეს სწორედ მხარეთა შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირობები, ასევე ადმინისტრაციული კანონმდებლობის - "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის, "სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" კანონის, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების მოთხოვნები. მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის ნორმების გამოყენების შემდეგ არის შესაძლებელი, გაირკვეს მოთხოვნის სამოქალაქო კოდექსის ნორმებთან შესაბამისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქმე განხილულია საგნობრივი განსჯადობის წესების დარღვევით და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საპროცესო საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 იანვრის განჩინება;

საქმე განსახილველად დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა

განჩინება

#ას-320-641-09

23 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 22 სექტემბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მოპასუხე თ. ა-ძის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ მოპასუხისათვის 14 000 ლარის ოდენობით ჯარიმის, ზიანის სახით 1 573.44 ლარისა და 14 000 ლარის 0.2%-ის ოდენობით პირგასამტეხლოს დაკისრება.

სასარჩელო განცხადებიდან და მასზე თანდართული მასალებიდან ირკვევა შემდეგი:

2005 წლის 1 ივლისს თ. ა-ძესა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის დაიდო ხელშეკრულება თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ;

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 13 ივლისის #1959 ბრძანებით, კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად, თ. ა-ძე 2005 წლის ივლისიდან გაწვეულ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებში;

2005 წლის 1 ნოემბერს თ. ა-ძემ თავისი პატაკით, მძიმე ოჯახური მდგომარეობის გამო ითხოვა შეიარაღებული ძალების რიგებიდან გათავისუფლება;

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 28 დეკემბრის #3379 ბრძანების საფუძველზე ამავე სამინისტროს მე-2 ქვეითი ბრიგადის საშტაბო ასეულის საკომენდანტო ათეულის მსროლელი, კაპრალი თ. ა-ძე 2005 წლის 2 ნოემბრიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში;

სამხედრო ნაწილის მეთაურის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, თ. ა-ძემ 2005 წლის 1 ივლისიდან 2005 წლის 2 ნოემბრამდე მიიღო შრომის ანაზღაურება - 1 573.44 ლარი.

სამხედრო ნაწილის საშტაბო ასეულის მეთაურის მიერ გაცემული ცნობის მიხედვით, თ. ა-ძეს სანივთე საწყობიდან მატერიალური საშუალებები არ ერიცხება.

მოპასუხის სამხედრო სამსახურში ნამსახურობის ვადამ შეადგინა ოთხი თვე.

“სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ” კანონის 32-ე მუხლის თანახმად, საკონტრაქტო სამსახურის გამვლელათვის დადგენილია არანაკლებ 3 წლიანი ვადა, ხოლო თ. ა-ძეს ხელშეკრულების 3.1 მუხლის მიხედვით ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება - 4 წელი ემსახურა შეიარაღებულ ძალებში.

ჯარიმის დაკისრების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნა დაეფუძნა თ. ა-ძესთან დადებული ხელშეკრულების 7.3 მუხლს, რომლის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილით და სამინისტროსთან შეთანხმებით დატოვებს სამხედრო ძალებს, ან შექმნის პირობებს იმისათვის, რომ სამინისტრო იძულებული გახდება შეწყვიტოს 4-წლიანი კონტრაქტი, სამხედრო მოსამსახურე ვალდებულია, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში ჯარიმის სახით აუნაზღაუროს სამინისტროს მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხები: ა) ერთი წლის სამსახურის გავლის შემდეგ მომდევნო სამი წლის ხელფასი - საშუალოდ 14 000 ლარი, რომელიც დაანგარიშებული იქნება ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად;

ბ) ორის წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო სამი წლის ხელფასი - საშუალოდ 10 000 ლარი, რომელიც დაანგარიშებულ იქნება ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად; გ) სამი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო ერთი წლის ხელფასი - საშუალოდ 5 000 ლარი, რომელიც დაანგარიშებულ იქნება ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად.

ამდენად, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ კონტრაქტის 7.3 მუხლის მიხედვით, ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, მოპასუხეს წარმოემა ვალდებულება, სამინისტროსათვის ანაზღაურებინა მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხები, რაც კონკრეტულ შემთხვევაში 14 000 ლარს შეადგენდა.

კონტრაქტის 7.4 მუხლით სამხედრო მოსამსახურის მიერ 7.3 და 7.4 მუხლებში აღნიშნული თანხების ამავე მუხლებით დადგენილ ვადებში დაფარვის ვალდებულების ვადის გადაცილების შემთხვევაში აღნიშნულ თანხებს დაერიცხება პირგასამტეხლო - 0.2% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. რამდენადაც თ. ა-მეს თანხა უნდა გადაეხადა კონტრაქტის შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ე.ო. 2005 წლის 13 ნოემბრამდე, რაც არ გადაუხდია, კონტრაქტის 7.4 მუხლიდან გამომდინარე, მას უნდა გადაეხადა პირგასამტეხლო - 0.2% ყოველდღიურად, 2005 წლის 13 ნოემბრიდან მოთხოვნილი თანხის გადახდამდე.

რაც შეეხებოდა ზიანის სახით გადასახდელ თანხას - 1 573.44 ლარს, მოსარჩელის განმარტებით, ეს იყო თანხა, რაც დაიხარჯა სამხედრო მოსამსახურის - თ. ა-მის მომზადებაზე და რომლის ხელახლა გაღება სამინისტროს მოუწია მის ნაცვლად ახალი სამხედრო მოსამსახურის გაწვრთნის გამო, ვინაიდან ახალი სამხედრო მოსამსახურის გაწვრთნა დამატებით ხარჯებთან იყო დაკავშირებული. სამხედრო მოსამსახურე სრულ მატერიალურ კმაყოფაზე იმყოფებოდა სახელმწიფოს მხრიდან. თავდაცვის სამინისტროს წინასწარ ჰქონდა დაგეგმილი და გამოყოფილი ხელფასის, კვების, სანივთე უზრუნველყოფის, წვრთნისა და აღჭურვილობის სახსრები პროფესიული, დისციპლინირებული, მაღალკვალიფიციური სამხედრო პერსონალის მომზადებისათვის. მოპასუხემ ნაცვლად ოთხი წლისა, მხოლოდ ოთხი თვე იმსახურა სამხედრო სამსახურში, რამაც მის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი წარმოშვა. დასახელებულ მოთხოვნასთან მიმართებით მოსარჩელე მიუთითებდა სამოქალაქო კოდექსის 394.1, 407-ე, 414-ე მუხლებზე და მათზე დაყრდნობით მოპასუხისათვის 1 573.44 ლარის ოდენობით ზიანის თანხის დაკისრებას ითხოვდა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი თ. ა-მის მიმართ ჯარიმის თანხის, პირგასამტეხლოსა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ თ. ა-მესა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულება, რომლის 7.3 მუხლის საფუძველზე მოსარჩელე ითხოვდა თ. ა-მისაგან 14 000 ლარის ანაზღაურებას, წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას.

საქმეზე დგინდებოდა, რომ თ. ა-მის სამხედრო სამსახურში ნამსახურობის ვადა შეადგენდა 4 თვეს, ხოლო კონტრაქტის 7.3 მუხლის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეს ჯარიმის თანხის გადახდა ეკისრება ერთი წლის სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ.

რამდენადაც თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ ზემომითითებული ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა მოსამსახურის მიერ სამხედრო სამსახურის ერთი წლის გასვლამდე კონტრაქტის მოშლისას პასუხისმგებლობას, საქალაქო სასამართლომ აღნიშნულ ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად მიიჩნია.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, ასევე დაუსაბუთებელი იყო კონტრაქტის 7.4 მუხლის მიხედვით პირგასამტეხლოს მოთხოვნა, რაგანაც მასში მითითებულია, რომ სამხედრო მოსამსახურის მიერ 7.3 და 7.4 მუხლებში აღნიშნული თანხების ამავე მუხლებით დადგენილ ვადებში დაფარვის ვალდებულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, აღნიშნულ თანხებს დაერიცხება პირგასამტეხლო - 0.2% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამდენად, კონტრაქტის თანახმად, პირგასამტეხლოს არსებობა დამოკიდებულია ჯარიმის თანხის გადაუხდელობაზე და ვინაიდან თ. ა-მეს არ წარმოშობია ჯარიმის გადახდის ვალდებულება, შესაბამისად არ არსებობდა პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება.

ზიანის ანაზღაურების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა პირველი ინსტანციის სასამართლომ იმით დაასაბუთა, რომ მოცემულ შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ვერ მიუთითებდა, თუ რა ზიანი მიადგა მას ხელშეკრულებიდან თ. ა-მის გასვლით და აღნიშნულთან მიმართებით მტკიცებულებად იყენებდა ხელფასის ცნობას, რომლის თანახმად, მოპასუხემ 2005 წლის 1 ივლისიდან 2005 წლის 2 ნოემბრამდე შრომის ანაზღაურების სახით მიიღო 1 573.44 ლარი. თუმცა სასამართლოს მოსაზრებით, რამდენადაც თ. ა-მემ ეს თანხა მიიღო ხელფასის სახით, იგი არ უნდა მიჩნეულიყო მის მომზადებაზე დახარჯულ თანხად.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

აპელანტმა არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ თ. ა-ძესთან დადებულ ხელშეკრულებაში მოსამსახურის მიერ სამხედრო სამსახურის ერთი წლის ვალამდე კონტრაქტის მოშლისას პასუხისმგებლობის მიუთითებლობის გამო, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კონტრაქტორის პასუხისმგებლობის საფუძველი არ არსებობდა. კონტრაქტის 7.3 მუხლი არ გამორიცხავდა სამხედრო მოსამსახურის პასუხისმგებლობას ერთ წლამდე სამსახურისას კონტრაქტის დარღვევის გამო დამსაქმებლისათვის ზიანის ანაზღაურების შესახებ, რამდენადაც ამ მუხლს ზოგადი ხასიათი გააჩნდა და პასუხისმგებლობის ზოგად პრინციპებს განსაზღვრავდა.

მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება დადებული იყო 4 წლის ვადით, რაც კონტრაქტის ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენდა. აღნიშნულთან დაკავშირებით აპელანტმა მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამავე კოდექსის 384-ე მუხლის მიხედვით, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას, კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობად თ. ა-ძის მიერ სწორედ კონტრაქტის (ვალდებულების) დარღვევა, კერძოდ, ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა ჩაითვალა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ არ იმსჯელა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პოზიციასთან დაკავშირებით, სადაც სამინისტრო მიუთითებდა, რომ მოთხოვნილი თანხა იყო ზიანი, რომელიც კონტრაქტის (ხელშეკრულების) დარღვევიდან გამომდინარე წარმოიშვა და რომლის შესაძლებლობას იძლეოდა სამოქალაქო კოდექსი და მოქმედი კანონმდებლობა.

აპელანტის განმარტებით, მოთხოვნილი თანხის ზიანის შინაარსზე მიუთითებდა კონტრაქტის 8.2, 8.3 და 8.4 მუხლები, რომლებიდანაც ცალსახად ირკვეოდა, რომ სამინისტრომ მოითხოვა ის თანხა, რაც დახარჯა სამხედრო მოსამსახურის მომზადებაზე და რომლის ხელახლა გაღება მას მოუწია კონტრაქტის დარღვევის გამო, მის ნაცვლად ახალი სამხედრო მოსამსახურის გაწვრთნისათვის.

აპელანტის მითითებით, გარდა კონტრაქტის რიგი მუხლებისა, მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსის ნორმები, საიდანაც გამომდინარეობდა, რომ მოთხოვნილი თანხა ყოფილი სამხედრო მოსამსახურის მიერ თავდაცვის სამინისტროსათვის მიყენებულ ზიანის თანხას წარმოადგენდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 დეკემბრის განჩინებით ადმინისტრაციული საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნა თ. ა-ძის მიმართ ზიანის - 1 573.44 ლარის დაკისრების ნაწილში და განსჯადობით განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას სადავოდ არ გაუხდია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და თ. ა-ძეს შორის 2005 წლის 1 ივლისს დადებული ხელშეკრულება წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, მაგრამ მნიშვნელოვნად მიიჩნია ის გარემოება, რომ აღნიშნული ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას ადმინისტრაციული ორგანო - თავდაცვის სამინისტრო, ფიზიკური პირისაგან - სამხედრო მოსამსახურისაგან ითხოვდა ზიანის ანაზღაურების თაობაზე სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველ საქმეზე შესამოწმებელი იყო მოთხოვნის სამოქალაქო კოდექსის ნორმებთან შესაბამისობა, რაც სამოქალაქო საქმეთა პალატის კომპეტენციას წარმოადგენდა. ასეთ დასკვნას განაპირობებდა სასამართლო წესით (დავის წარმოების გზით) დასაცავი უფლების მატერიალური შინაარსი, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა და უფლებები, რომელთა დასაცავადაც აღიძრა სარჩელი. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული დავა სამოქალაქო ხასიათის იყო, რის შესაბამისადაც არ არსებობდა ამ ნაწილში დავის გადაწყვეტისათვის ადმინისტრაციული კანონმდებლობის გამოყენების საჭიროება.

საქმის განსჯადი სასამართლოსათვის გადაცემის საკითხის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა დაეყრდნო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, ასევე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლებს, რომელთა განმარტების შედეგადაც ზიანის ანაზღაურების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნა განსახილველად ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას დაუქვემდებარა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 6 თებერვლის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა, აღნიშნულ მოთხოვნაზე უარის თქმის ნაწილში უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ ზიანის ანაზღაურების შესახებ აპელანტის მოთხოვნა იურიდიულად გაუმართლებლად მიიჩნია. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 407-ე, 414-ე მუხლებზე, რომელთა თანახმად, ხელშეკრულებიდან გასვლისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა ხელშეკრულების შეუსრულებლობით. ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები ის ინტერესი, რომელიც კრედიტორს ჰქონდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე ვერ ასაბუთებდა თუ რა ზიანი მიადგა მას. იგი ზიანის საფუძვლად და ოდენობად მიუთითებდა 1 573.44 ლარს, რომელიც მოპასუხეზე გაიცა როგორც ხელფასი. სამხედრო მოსამსახურეზე ხელფასის სახით გაცემული თანხა კი ვერ მიიჩნეოდა მის მომზადებაზე დახარჯულ თანხად. შესაბამისად, არ არსებობდა ზიანი.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში თუ სახეზე არ იყო ზიანი, არ შეიძლებოდა დამდგარიყო ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, ხოლო თუ არსებობდა სამართალდარღვევის შემადგენლობის ყველა ის მახასიათებელი აუცილებელი ელემენტი, როგორცაა მართლსაწინააღმდეგობა, ზიანი და მიზეზობრივი კავშირი, ანაზღაურებოდა მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენდა ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს (სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლი).

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ხელშეკრულების დადებიდან მის შეწყვეტამდე პერიოდის განმავლობაში თ. ა-მზე, როგორც სამხედრო მოსამსახურეზე გაწეული ხარჯები, რაც მოიცავდა აღჭურვილობის, კვებისა და სწავლების ხარჯებს, წარმოადგენდა ზიანს, ვინაიდან ამ ხარჯების გაწევა წარმოადგენდა სამინისტროს ვალდებულებას, რომლის სანაცვლოდაც თ. ა-მე ახორციელებდა საპასუხო შესრულებას და როგორც სამხედრო მოსამსახურე იმყოფებოდა მუდმივ მზადყოფნაში.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მითითება იმის თაობაზე, რომ თ. ა-მის მიერ, ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტით გამოწვეული ზიანი შეადგენდა ახალი სამხედრო მოსამსახურის მომზადებაზე გასაწევ ხარჯებს და ამ მოქმედებით გამოწვეული ქონებრივი დანაკლისის არსებობას, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, აპელანტს არ წარუდგენია აღნიშნულის დამადასტურებელი სათანადო მტკიცებულებები.

სააპელაციო სასამართლოს მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილება, შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ საქმე გადასცა განსჯად, ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, ე.ი. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა პირველი ინსტანციით საქმის არაგანსჯადი სასამართლოს მიერ განხილვა. აღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, გაეუქმებინა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, როგორც არაკანონიერი შემადგენლობის მიერ მიღებული.

სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლი. გასაჩივრებულ განჩინებაში მკელობა იმის შესახებ, რომ მოვალისათვის წინასწარ არ იყო ცნობილი სავარაუდო ზიანი, უსაფუძვლოა, რადგან მოთხოვნილი ზიანის შინაარსზე მიუთითებს კონტრაქტის 8.3 და 8.4 მუხლები, საიდანაც ცალსახაა, რომ კონტრაქტორმა იცოდა იმ სავარაუდო ზიანის მოთხოვნის შესახებ, რომელიც შესაძლოა სამინისტროს მოეთხოვა, როგორც მის მომზადებაზე დახარჯული თანხა.

საგულისხმოა, რომ კონტრაქტის დადებისას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინტერესი იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების პროფესიული, დისციპლინირებული, მაღალკვალიფიციური სამხედრო პერსონალით უზრუნველყოფა. მოპასუხის მხრიდან კონტრაქტის დარღვევით ვერ იქნა მიღწეული დასახელებული ინტერესი. სწორედ კონტრაქტის დარღვევა წარმოადგენდა ზიანის გამომწვევ მოქმედებას, რადგან კონტრაქტის დასრულების შემდგომ, თავდაცვის სამინისტრო მიიღებდა ჩამოყალიბებულ სამხედრო მოსამსახურეს.

გათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების რაოდენობა განისაზღვრება საქართველოს პარლამენტის მიერ, ხოლო შეიარაღებული ძალების ყოველგვარი უზრუნველყოფისათვის გამოიყოფა შესაბამისი საბიუჯეტო ასიგნებები. იმ ვითარებაში, როდესაც სამხედრო მოსამსახურე ვადაზე ადრე შეწყვეტს კონტრაქტს, აუცილებელია მოხდეს გათავისუფლებული ადგი-

ლის შევსება, რასაც დამატებითი თანხები ესაჭიროება, შეიძლება ეს იყოს ხელფასი, ან სხვა სახის დანამატები. თავდაცვის სამინისტროსადმი მიყენებული ზიანი იმაში მდგომარეობს, რომ ახალი სამხედრო მოსამსახურის გაწვრთნა დამატებით და ახალ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება და საქმე განსახილველად გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული დავა არ განეკუთვნება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო საჩივრის დავის საგანია თ. ა-მის, როგორც სამხედრო მოსამსახურის მიერ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. თავდაცვის სამინისტროსა და თ. ა-მეს შორის ურთიერთობის წარმოშობის საფუძველია თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ კონტრაქტი, რომლის 1.1 მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურე კისრულობს ვალდებულებას, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით კეთილსინდისიერად იმსახუროს სამინისტროს ქვედანაყოფებში, ხოლო სამინისტრო ვალდებულებას იღებს, გადაუხადოს სამხედრო მოსამსახურეს შეთანხმებული ხელფასი და უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამხედრო სამსახურითა და შესაბამისი პირობებით. სადავო არ არის, რომ აღნიშნული კონტრაქტი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რამდენადაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დადებულია თავისი საჯარო უფლებამოსილების განხორციელების - სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

საქმეზე დადგენილია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 28 დეკემბრის #3379 ბრძანებით სამინისტროს მე-2 ქვეითი ბრიგადის სამტაბო ასეულის საკომენდანტო ოცეულის მეორე საკომენდანტო ათეულის მსროლელი, კაპრალი თ. ა-მე 2005 წლის 2 ნოემბრიდან დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის "თ" ქვეპუნქტის საფუძველზე. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა გამომდინარეობს სწორედ კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობიდან, კერძოდ, მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას ითხოვს იმ საფუძველით, რომ ამ უკანასკნელის სურვილით შეწყდა მხარეთა შორის დადებული 4-წლიანი კონტრაქტი. ამდენად, მოსარჩელე სადავოდ ხდის ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირობების შესრულებას, რაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტისა და 25¹ მუხლის თანახმად ადმინისტრაციული დავის საგანია.

ის გარემოება, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა ემყარება სამოქალაქო კოდექსის ნორმებს, არ ნიშნავს, რომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა ამის გამო კერძოსამართლებრივ შინაარსს იძენს. დავის არსის გათვალისწინებით სადავო ურთიერთობის სამართლებრივი საფუძვლების სწორად განსაზღვრა სასამართლოს ვალდებულებაა და ამ შემთხვევაში სასამართლო მხარის მიერ დასახელებული სამართლის ნორმებით არ არის შებოჭილი. ამასთან, გასათვალისწინებელია ასევე, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის V თავი ("ადმინისტრაციული ხელშეკრულება") სამოქალაქო კოდექსის ნორმების გამოყენებას ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიმართ სრულიად დასაშვებად მიიჩნევს. ამ შემთხვევაში მოთხოვნის საფუძვლიანობის განსაზღვრად ძირითადი და გადამწყვეტია, პირველ რიგში შეფასდეს სწორედ მხარეთა შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირობები, ასევე ადმინისტრაციული კანონმდებლობის - "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების მოთხოვნები. მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის ნორმების გამოყენების შემდეგ არის შესაძლებელი, გაირკვეს მოთხოვნის სამოქალაქო კოდექსის ნორმებთან შესაბამისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქმე განხილულია საგნობრივი განსჯადობის წესების დარღვევით და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საპროცესო საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 6 თებერვლის განჩინება;

საქმე განსახილველად დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა

განჩინება

#ას-389-705-09

23 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 22 სექტემბერს სამტრედიის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მოპასუხე კ. ნ-ძის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ მოპასუხისათვის 14 000 ლარის ჯარიმის, ზიანის - 2 618.17 ლარისა და 14 000 ლარის 0.2%-ის პირგასამტეხლოს დაკისრება.

მოსარჩელის ზემოაღნიშნული მოთხოვნების საფუძველები მდგომარეობდა შემდეგში:

2005 წლის 30 მარტს კ. ნ-ძესა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის დაიდო ხელშეკრულება თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ;

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 8 აპრილის #2358 ბრძანებით კ. ნ-ძე 2005 წლის 30 მარტიდან გაწვეულ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებში, კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად;

2005 წლის 5 სექტემბერს კ. ნ-ძემ თავისი პატაკით, ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამო, ითხოვა შეიარაღებული ძალების რიგებიდან გათავისუფლება;

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 22 ნოემბრის #3052 ბრძანების საფუძველზე ამავე სამინისტროს მე-2 ქვეითი ბრიგადის ჯავშანსატანკო ბატალიონის I მექანიზირებული ასეულის II მექანიზირებული ოცეულის ჯგუფი "ალფას" მძღოლ-მექანიკოსი (შტატი #8/592-01), კაპრალი კ. ნ-ძე, კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში;

სამხედრო ნაწილის მეთაურისა და საფინანსო სამსახურის უფროსის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, კ. ნ-ძემ 2005 წლის 1 აპრილიდან 2005 წლის 1 ოქტომბრამდე შრომის ანაზღაურების სახით მიიღო 2 006.17 ლარი;

სამხედრო ნაწილის ოფიცრის მიერ გაცემული ცნობის მიხედვით, კ. ნ-ძეზე დახარჯულმა კვების ხარჯმა სამსახურის გავლის პერიოდში შეადგინა 612 ლარი;

მოპასუხის სამხედრო სამსახურში ნამსახურობის ვადაა 7 თვე და 22 დღე.

სამხედრო მოსამსახურესთან დადებული ხელშეკრულების 7.3 პუნქტის თანახმად, კონტრაქტის შეწყვეტის შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურეს ეკისრება ვალდებულება, ანაზღაუროს მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის თანხა, რაც, მოცემულ შემთხვევაში 14 000 ლარს შეადგენდა. კონტრაქტის 7.4 მუხლით სამხედრო მოსამსახურის მიერ 7.3 და 7.4 მუხლებში აღნიშნული თანხების ამავე მუხლებით დადგენილ ვადებში დაფარვის ვალდებულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მათ დაერიცხება პირგასამტეხლო - 0.2%, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. რამდენადაც კ. ნ-ძეს თანხა უნდა გადაეხადა კონტრაქტის შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ე.ი. 2005 წლის 2 დეკემბრამდე, რაც არ გადაუხდია, კონტრაქტის 7.4 მუხლიდან გამომდინარე, მას უნდა დაკისრებოდა 0.2% პირგასამტეხლო ყოველდღიურად 2005 წლის 2 დეკემბრიდან მოთხოვნილი თანხის გადახდამდე.

რაც აშეეხებოდა ზიანის სახით გადასახდელ 2 618.17 ლარს, ეს იყო თანხა, რაც დაიხარჯა სამხედრო მოსამსახურის - კ. ნ-ძის მომზადებაზე და რომლის ხელახლა გაღება სამინისტროს მოუწია მის ნაცვლად ახალი სამხედრო მოსამსახურის გაწვრთნის გამო, ვინაიდან ახალი სამხედრო მოსამსახურის გაწვრთნა დამატებით ხარჯებთან იყო დაკავშირებული. დასახელებულ მოთხოვნასთან მიმართებით მოსარჩელე მიუთითებდა სამოქალაქო კოდექსის 394.1, 407-ე, 414-ე მუხლებზე და მათზე დაყრდნობით ითხოვდა მოპასუხისაგან ზიანის ანაზღაურებას.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურებისათვის 612 ლარი.

დასახელებული გადაწყვეტილება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 9 იანვრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეცა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 11 თებერვლის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი კ. ნ-ძისათვის 14 000 ლარის ჯარიმის - და 14 000 ლარის 0.2%-ის პირგასამტეხლოს ყოველთვიურად დაკისრების ნაწილში გამოიყო ცალკე წარმოებად და განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას.

ამავე სასამართლოს 2009 წლის 11 თებერვლის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ამ ნაწილში სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო მისი ვადაზე ადრე შეწყვეტას უნდა მოეცვა სამართალდარღვევის შემადგენლობის ყველა ის ელემენტი, როგორც იყო მართლსაწინააღმდეგობა, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი და ბრალი.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კ. ნ-ძემ ბრალეულად დაარღვია კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები, რაც სათანადოდ დასტურდებოდა საქმეში არსებული მტკიცებულებებით, ანუ არსებობდა სამართალდარღვევის შემადგენლობის ელემენტები: მართლსაწინააღმდეგობა და ბრალი.

მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, არ დამდგარა ზიანი, რაც გამოიწვევდა კ. ნ-ძის ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხს, შესაბამისად, არ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა თავდაცვის სამინისტროს მტკიცება იმის თაობაზე, რომ კ. ნ-ძის მიერ მათთვის მიყენებული ზიანი უნდა განსაზღვრულიყო 2 006.17 ლარით, იმ მიზეზით, რომ აღნიშნული ოდენობის თანხა წარმოადგენდა ახალი სამხედრო მოსამსახურის მომზადებისათვის დამატებით დახარჯულ თანხას. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოპასუხის აღნიშნული მოსაზრება არ იყო გამყარებული შესაბამისი მტკიცებულებებით.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ კ. ნ-ძის სამხედრო სამსახურში ნამსახურობის ვადა შეადგენდა 7 თვესა და 22 დღეს, რის სანაცვლოდაც მან მიიღო ანაზღაურება 2 618.17 ლარის ოდენობით. მოპასუხე ამ დროის განმავლობაში დასაქმებული იყო საქართველოს შეიარაღებულ ძალებში და ასრულებდა სამუშაოს, რისთვისაც დამსაქმებლის მიერ ხელფასის სახით გადახდილ იქნა 2 618.17 ლარი. სასამართლოს მოსაზრებით, ზიანის სახით აღნიშნული თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნა ეწინააღმდეგებოდა როგორც საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ შრომის სამართლიანი ანაზღაურების პრინციპს, ისე მოქმედ შრომის კანონმდებლობას.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, შრომის კონტრაქტის შესაბამისი მუხლებით ასევე დასტურდებოდა, რომ სამხედრო მოსამსახურე კონტრაქტის დადებიდან უზრუნველყოფილი იყო ხელფასით. სამხედრო მოსამსახურისათვის ხელფასის სახით მიცემული თანხა კი არ შეიძლებოდა განხილულიყო როგორც ზიანი, რადგან აღნიშნული თანხა წარმოადგენდა გაწეული შრომის კომპენსაციას.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ვერ ამტკიცებდა, თუ რა თანხა იქნა დახარჯული კ. ნ-ძის, როგორც სამხედრო მოსამსახურის მომზადებისათვის, კონტრაქტის დარღვევის შემდეგ მოამზადა თუ არა ახალი სამხედრო მოსამსახურე, რა თანხა დაიხარჯა მის მომზადებაში და საერთოდ, კონტრაქტის დარღვევით მიიღო თუ არა თავდაცვის სამინისტრომ მატერიალური (ქონებრივი) ზიანი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ზიანის ანაზღაურების ნაწილში დაუსაბუთებელი იყო და დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი მოტივებით:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 2009 წლის 9 იანვრის განჩინებით საქმე გადასცა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, ე.ი. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ პირველი ინსტანციით საქმე განიხილა არაგანსჯადმა სასამართლომ. აქედან გამომდინარე, სასამართლო ვალდებული იყო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად გაეუქმებინა სამტრედიის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მიღებული გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებული იყო, დაეკმაყოფილებინა ზიანის ანაზღაურების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნა, რამდენადაც მოვალისათვის წინასწარ იყო ცნობილი სავარაუდო ზიანი, კერძოდ, კ. ნ-მე გაცნობილი იყო კონტრაქტის 8.2 და 8.3 მუხლების შინაარსს, რომლებიც კონტრაქტის პირობების დარღვევის შემთხვევაში პირდაპირ მიუთითებენ სავარაუდო ზიანის მოთხოვნის შესაძლებლობაზე.

საგულისხმოა, რომ კონტრაქტის დადებისას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინტერესი იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების პროფესიული, დისციპლინირებული, მაღალკვალიფიციური სამხედრო პერსონალით უზრუნველყოფა. მოპასუხის მხრიდან კონტრაქტის დარღვევით ვერ იქნა მიღწეული დასახული მიზანი. კონტრაქტის დარღვევით ზიანი მიაღდა არა მარტო თავდაცვის სამინისტროს, არამედ, ზოგადად, ქვეყნის ინტერესებს, რადგან კონტრაქტის დასრულების შემდეგ თავდაცვის სამინისტრო მიიღებდა ჩამოყალიბებულ სამხედრო მოსამსახურეს.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების რაოდენობა განისაზღვრება საქართველოს პარლამენტის მიერ, ხოლო შეიარაღებული ძალების ყოველგვარი უზრუნველყოფისათვის გამოიყოფა შესაბამისი საბიუჯეტო ასიგნებები. მაშინ, როდესაც სამხედრო მოსამსახურე ვადაზე ადრე შეწყვეტს კონტრაქტს, აუცილებელია მოხდეს გათავისუფლებული ადგილის შევსება. ყოველივე ამას დამატებითი თანხები ესაჭიროება, თუნდაც ეს იყოს ხელფასი და სხვა სახის დანამატი.

ამდენად, ახალი სამხედრო მოსამსახურის გაწვრთნა საქართველოს კანონმდებლობით ახალი ხარჯების, მათ შორის, ხელფასის გაცემასთანაა დაკავშირებული. სწორედ აქედან გამომდინარეობს თავდაცვის სამინისტროსათვის მიყენებული ზიანი და მისი მოთხოვნის საფუძვლიანობა (ს.ფ. 149-158).

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება და საქმე განსახილველად გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული დავა არ განეკუთვნება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო საჩივრის დავის საგანია კ. ნ-მის, როგორც სამხედრო მოსამსახურის, მიერ კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. თავდაცვის სამინისტროსა და კ. ნ-მის შორის სადავო ურთიერთობის წარმოშობის საფუძველია თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ კონტრაქტი, რომლის 1.1 მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურე კისრულობს ვალდებულებას, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით კეთილსინდისიერად იმსახუროს სამინისტროს ქვედანაყოფებში, ხოლო სამინისტრო ვალდებულია, გადაუხადოს სამხედრო მოსამსახურეს შეთანხმებული ხელფასი და უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამხედრო სამსახურით და შესაბამისი პირობებით. სადავო არ არის, რომ აღნიშნული კონტრაქტი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რამდენადაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დადებულია თავისი საჯარო უფლებამოსილების განხორციელების - სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

საქმეზე დადგენილია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 22 ნოემბრის #3052 ბრძანებით სამინისტროს მე-2 ქვეითი ბრიგადის ჯავშანსატანკო ბატალიონის პირველი მექანიზირებული ასეულის მეორე მექანიზირებული ოცეულის ჯგუფი "ალფას" მძღოლ-მექანიკოსი, კაპრალი კ. ნ-მე დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში კონტრაქტის პი-

რობების დარღვევის გამო, "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის "თ" ქვეპუნქტის საფუძველზე. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა გამომდინარეობს სწორედ კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობიდან, კერძოდ, მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას ითხოვს იმ საფუძველით, რომ მხარეთა შორის დადებული 4-წლიანი კონტრაქტი მოპასუხის სურვილით შეწყდა. ამდენად, მოსარჩელე სადავოდ ხდის ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირობების შესრულებას, რაც, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტისა და 25¹ მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული დავის საგანია.

ის გარემოება, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა ემყარება სამოქალაქო კოდექსის ნორმებს, არ ნიშნავს, რომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა ამის გამო კერძოსამართლებრივ შინაარსს იძენს. დავის არსის გათვალისწინებით სადავო ურთიერთობის სამართლებრივი საფუძვლების სწორად განსაზღვრა სასამართლოს ვალდებულებაა და ამ შემთხვევაში სასამართლო მხარის მიერ დასახელებული სამართლის ნორმებით არ არის შებოჭილი. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის V თავი ("ადმინისტრაციული ხელშეკრულება") სამოქალაქო კოდექსის ნორმების გამოყენებას ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიმართ სრულიად დასაშვებად მიიჩნევს. ამ შემთხვევაში მოთხოვნის საფუძვლიანობის განსაზღვრად ძირითადი და გადამწყვეტია, პირველ რიგში შეფასდეს სწორედ მხარეთა შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირობები, ასევე ადმინისტრაციული კანონმდებლობის - "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის, "სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" კანონის, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების მოთხოვნები. მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის ნორმების გამოყენების შემდეგ არის შესაძლებელი, გაირკვეს მოთხოვნის სამოქალაქო კოდექსის ნორმებთან შესაბამისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქმე განხილულია საგნობრივი განსჯადობის წესების დარღვევით და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საპროცესო საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 11 თებერვლის განჩინება;

საქმე განსახილველად დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა

განჩინება

#ას-381-698-09

29 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ხელშეკრულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სარჩელი აღძრა სასამართლოში ო. მ-ძის მიმართ ხელშეკრულების დარღვევის გამო მისი ვადამდე შეწყვეტით მიყენებული ზიანის - 2542,50 ლარისა და ჯარიმის - 14000 ლარის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძველით: 2005 წლის 30 მარტს მხარეებს შორის გაფორმდა ოთხწლიანი კონტრაქტი თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ, რომლის 7.3 მუხლის შესაბამისად, მოპასუ-

ხის მიერ კონტრაქტის პირობების დარღვევის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე ვალდებული იყო, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში სამინისტროსათვის ანაზღაურებინა კონტრაქტით დარჩენილი ვადის შესაბამისი ჯარიმა, რაც კონკრეტულ შემთხვევაში შეადგენდა 2542,50 ლარს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო, შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მხარეთა შორის 2005 წლის 30 მარტს გაფორმებული "თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ" შრომითი ხელშეკრულების 7.3 მუხლის ბათილად ცნობა შემდეგი დასაბუთებით: სადავო ხელშეკრულების გაფორმებისას #20232 სამხედრო ნაწილი, რომელშიც ო.მ-მე მსახურობდა, დისლოცირებული იყო ქ. ბათუმში. აღნიშნულით ო.მ-მეს უადვილდებოდა ოჯახის - ავადმყოფი მეუღლისა და ბავშვის მოვლა, თუმცა მოგვიანებით, სამხედრო ნაწილის ქ. ქუთაისში გადაყვანის გამო, მან მიმართა ხელმძღვანელობას მძიმე ოჯახური პირობების გამო, სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე. აღნიშნულის მიუხედავად, ო.მ-მე სამუშაოდან გათავისუფლდა კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო. შრომითი ხელშეკრულების სადავო პუნქტი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, შრომის კანონთა კოდექსის მე-2 მუხლის მეორე ნაწილს და არსებობს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლით, 55-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 91-ე მუხლით გათვალისწინებული გარიგების ნაწილის ბათილად ცნობის საფუძველი.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე ო. მ-მეს დაეკისრა 2542,50 ლარის გადახდა, ხოლო ჯარიმის - 14 000 ლარის ანაზღაურების ნაწილში სარჩელს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ გაასაჩივრა სააპელაციო წესით, სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში კი ო.მ-მემ შეიტანა შეგებებული სააპელაციო საჩივარი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 19 თებერვლის განჩინებით ადმინისტრაციული საქმე - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელის გამო ო. მ-მის მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ განსჯადობით გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას. ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 10 მარტის გადაწყვეტილებით ო.მ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ზიანის ანაზღაურების ნაწილში გაუქმდა და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ო.მ-მის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა, ხოლო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ზიანის ანაზღაურების ნაწილში უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ დადგინდა ჩათვალა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: 2005 წლის 30 მარტს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ო. მ-მეს შორის დაიდო ვადიანი ადმინისტრაციული ხელშეკრულება თავდაცვის სამინისტროს საკონტრაქტო სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2005 წლის 28 ოქტომბრის #2845 ბრძანებით ო.მ-მე დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან 2005 წლის 26 სექტემბრიდან, კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის მეორე თავის 21-ე მუხლის მეორე ნაწილის "თ" ქვეპუნქტის საფუძველზე. სამხედრო სამსახურის გავლის დროს 2005 წლის 30 მარტიდან 30 სექტემბრის ჩათვლით ო.მ-მემ მიიღო კუთვნილი შრომის ანაზღაურება - 2542,50 ლარი. მხარეთა შორის არსებული კონტრაქტის მე-3 მუხლის 3.1 პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურის სამსახურის ვადა შეადგენს 4 წელს, 3.2 პუნქტით კი სამხედრო სამსახურის პირველი სამი თვე სამხედრო მოსამსახურის სწავლებისა და მომზადების პერიოდია, რაც შედის 3.1 მუხლში აღნიშნულ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში. კონტრაქტის მე-4 მუხლის 4.1 პუნქტის თანახმად, "სამხედრო მოსამსახურეს" ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში მიეცემა ანაზღაურება საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულებით დადგენილი 1^ა კატეგორიის ხელფასის სახით - თვეში 447 ლარი. მე-5 მუხლის 5.1.2 პუნქტის თანახმად, სამინისტრო ვალდებულია, სამხედრო მოსამსახურეს გადაუხადოს 4.1 მუხლში აღნიშნული ხელფასი. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ უდავოდ მიიჩნია ის გარემოება, რომ სამხედრო მოსამსახურე კონტრაქტის გაფორმების მომენტიდან, მათ შორის, მომზადების პერიოდშიც უზრუნველყოფილია სათანადო ანაზღაურებით, ხელფასით. ო.მ-მემ დაარღვია კონტრაქტის მე-7 მუხლის 7.6 პუნქტი, რის გამოც სამინისტრო იძულებული იყო შეეწყვიტა მასთან ხელშეკრულება. მოპასუხის მიერ კონტრაქტის დარღვევის გამო სამინისტროს მიადგა 2542,50 ლარის ოდენობის ზიანი. პალატის მითითებით, თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ ხელშეკრულება ერთი წლის გასვლამდე კონტრაქტის შეწყვეტისას მოსამსახურის პასუხისმგებლობას არ ადგენს, ამდენად, სასარჩელო მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების ნაწილში ეფუძნება სამოქალაქო კოდექსის 394-ე,

407-ე და 414-ე მუხლებს. სასამართლომ ჩათვალა, რომ, კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, მისი ვადამდე შეწყვეტა უნდა შეიცავდეს სამართალდარღვევის შემადგენლობის ყველა ისეთ მახასიათებელ აუცილებელ ელემენტს, როგორცაა მართლწინააღმდეგობა, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი და ბრალი. პალატამ მიიჩნია, რომ ო.მ-მემ ბრალეულად დაარღვია კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები, რაც საქმეში არსებული მტკიცებულებებით დასტურდება, ანუ არსებობს მართლწინააღმდეგობა და ბრალი, თუმცა არ დასტურდება ზიანის ფაქტი, შესაბამისად, არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, რაც, სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის თანახმად, სამართალდარღვევის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტია. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ სათანადო მტკიცებულებებს არ ეფუძნება თავდაცვის სამინისტროს მოსაზრება ო.მ-მის მიერ მიყენებული ზიანის - 2542,50 ლარით განსაზღვრისა და აღნიშნული თანხის ახალი სამხედრო მოსამსახურის მომზადებისათვის გაწეულ დამატებით ხარჯად მიჩნევის თაობაზე. სასამართლოს მითითებით, საქმეში წარმოდგენილი 20232-ე სამხედრო ნაწილის მეთაურისა და ფინანსისტის მიერ გაცემული 2005 წლის 4 ოქტომბრის #1628 ცნობით დასტურდება, რომ ო.მ-მემ სადავო თანხა მიიღო კუთვნილი შრომის ანაზღაურების სახით. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელფასო ანაზღაურება არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ზიანი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ თავდაცვის სამინისტრომ ვერ დაადასტურა, თუ რა თანხა დაიხარჯა ო.მ-მის, როგორც სამხედრო მოსამსახურის, მომზადებაში, კონტრაქტის დარღვევის შემდეგ მოამზადა თუ არა ახალი სამხედრო მოსამსახურე და რა თანხა დაიხარჯა ამისათვის, ასევე სადავო კონტრაქტის დარღვევით მიადგა თუ არა სამინისტროს მატერიალური ზიანი.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტის მოთხოვნა, ვინაიდან დაადგინა, რომ საქმე პირველი ინსტანციის წესით განიხილა არაგანსჯადმა სასამართლომ და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ გააუქმა. სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე სასამართლომ უნდა დაეკმაყოფილებინა კასატორის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რადგან ო.მ-მისათვის ცნობილი იყო მის მიერ კონტრაქტის პირობების დარღვევის შემთხვევაში კონტრაქტის 8.2, 8.3 მუხლებით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების შესახებ. ამასთან, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინტერესი სადავო კონტრაქტის მიმართ მდგომარეობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების პროფესიული, დისციპლინირებული, მაღალკვალიფიციური სამხედრო პერსონალით უზრუნველყოფაში. სამხედრო მოსამსახურის მიერ კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტისას საჭიროა მისი სხვა მოსამსახურით ჩანაცვლება, რაც გარკვეულ ხარჯთანაა დაკავშირებული, როგორცაა ხელფასი და სხვა სახის დანამატი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდეს და საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცეს იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი, ასევე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26-ე მუხლებით დადგენილი განსჯადობის წესები, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს წარმოადგენს, ვინაიდან სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა. დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი დავები განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია და მხარეთა შორის დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ 2005 წლის 30 მარტს ო.მ-მესა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმდა ვადიანი შრომითი კონტრაქტი, რომელიც საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 28 ოქტომბრის #2845 ბრძანებით შეწყდა. თავდაცვის სამინისტრომ სარჩელი აღძრა სასამართლოში ხელ-

შეკრულების პირობების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების შესახებ, ო.მ-მემ კი შეგებებული სარჩელით მოითხოვა კონტრაქტის ნაწილის ბათილად ცნობა. ამდენად, მხარეთა შორის დავა წარმოიშვა ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლოს სადავო ურთიერთობის მოსაწესრიგებლად უნდა ეხელმძღვანელა ადმინისტრაციული სამართლის ნორმებით, შეეფასებინა სადავო ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირობების კანონიერება "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონთან, "სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" კანონსა და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულებასთან მიმართებით, აღნიშნულის შემდეგ კი ემსჯელა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის სამოქალაქო-სამართლებრივ საკითხებზე. ამასთან ნიშანდობლივია, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეხუთე თავი დასაშვებად თვლის ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიმართ სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმების გამოყენებას.

ამდენად, მოცემული დავა განხილულია კანონით დადგენილი განსჯადობის წესების დარღვევით, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საპროცესო საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება და საქმე განსჯადობით დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განსჯადობა

განჩინება

#ას-419-733-09

29 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ხელშეკრულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სარჩელი აღძრა სასამართლოში ლ. ლ-ძის მიმართ ხელშეკრულების დარღვევით მიყენებული ზიანის - 1440,31 ლარის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 30 აგვისტოს #1/656 ბრძანებით მოპასუხე გაწვეულ იქნა სამხედრო-საკონტრაქტო პროფესიულ სამსახურში და დაინიშნა კონტრაქტით გათვალისწინებული პირობებით. ლ.ლ-მემ კონტრაქტის პირობები დაარღვია, რის გამოც მინისტრის 2007 წლის 20 აგვისტოს #2556 ბრძანებით იგი დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან. მოპასუხის სამხედრო სამსახურისათვის წვრთნისა და აღჭურვისათვის დაიხარჯა 1440,31 ლარი, რისი გადახდაც, კონტრაქტის 7.1 პუნქტის მიხედვით, მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ლ.ლ-ძეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 286,50 ლარის ანაზღაურება, დანარჩენ ნაწილში კი სარჩელს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 იანვრის განჩინებით მოცემული საქმე განსჯადობის წესით გადაეცა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 მარტის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შუამდგომლობა და სააპელაციო საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება კი დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სააპელაციო საჩივართან დაკავშირებული სასამართლოს 2009 წლის 4 თებერვლის მთავარი სხდომის დღისა და სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგების თაობაზე მოწინააღმდეგე მხარე ლ. ლ-მე გაფრთხილებული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, თუმცა იგი პროცესზე არ გამოცხადდა და არც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის თაობაზე უცნობებია სასამართლოსათვის. პალატამ იხელმძღვანელა ამავე კოდექსის 387-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით, 230-ე მუხლის მეორე ნაწილით და მიიჩნია, რომ, მართალია, მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებანი დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ აღნიშნული გარემოებანი აპელანტის მოთხოვნას იურიდიულად არ ამართლებს. სააპელაციო პალატამ დადგენილად ჩათვალა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: 2004 წლის 1 აგვისტოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ლ. ლ-მეს შორის დაიდო ხელშეკრულება თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საკონტრაქტო სამსახურის გავლის შესახებ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2004 წლის 30 აგვისტოს #1/656 ბრძანებით 2004 წლის 1 აგვისტოდან ლ. ლ-მე დაინიშნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. სამხედრო ნაწილის მეთაურის მიერ გაცემული 2007 წლის 20 ივლისის #1234 ცნობით, ლ. ლ-მემ 2004 წლის აგვისტოში, სექტემბერსა და ოქტომბერში მიიღო ხელფასი - 1153,81 ლარი, ხოლო მის კვებაზე დაიხარჯა 286,5 ლარი. თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 20 აგვისტოს #2556 ბრძანებით 2007 წლის 12 ივლისიდან ლ. ლ-მე დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო. სასამართლომ მიუთითა აპელანტის განმარტებაზე, რომ სადავო თანხა წარმოადგენს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის განმავლობაში მისთვის გადასახდელ ხელფასს და თავისი მოთხოვნა დააფუძნა სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველ ნაწილზე, 361-ე მუხლის მეორე ნაწილზე, 407-ე და 414-ე მუხლებზე. საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 4 ივნისის #274 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების წვრთნისა და აღჭურვის ერთობლივი პროგრამის მონაწილე სამხედრო ძალების ქვედანაყოფების სამხედრო მოსამსახურეთა ფულადი კმაყოფისა და სხვა სოციალური პირობების განსაზღვრის შესახებ ნუსხის მეორე პუნქტისა და "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის მე-12 მუხლის მესამე პუნქტის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ საკონტრაქტო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეს სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევა სასურსათო უზრუნველყოფა ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია და ფორმის ტანსაცმელი. პალატამ მიიჩნია, რომ სამხედრო მოსამსახურისათვის გადაცემული ხელფასი წარმოადგენს ხელშეკრულების მონაწილე ლ. ლ-მის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებას და არ უნდა ჩაითვალოს სახელმწიფოს მიერ გადებულ, ხელშეკრულებიდან გასვლისას გადასახდელ, სამოქალაქო კოდექსის 407-ე მუხლით გათვალისწინებულ ხარჯად. პალატამ ჩათვალა, რომ, მართალია, საქალაქო სასამართლომ მოცემული დავა განიხილა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ნორმების საფუძველზე, მაგრამ არსებითად სწორად გადაწყვიტა იგი და გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა დარჩეს უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ საქმე პირველი ინსტანციის წესით განიხილა არაგანსჯადმა სასამართლომ, თუმცა პალატამ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტის მოთხოვნა, როდესაც აღნიშნული ნორმის მოთხოვნათა დაუცველობის მოტივით არ გააუქმა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე უნდა დაეკმაყოფილებინა კასატორის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე, ვინაიდან ლ. ლ-მე გაეცნო მხარეთა შორის დადებული კონტრაქტის 8.2, 8.3 მუხლებს, შესაბამისად, მას უნდა გაეთვალისწინებინა, რომ მის მიერ კონტრაქტის პირობების დარღვევის შემთხვევაში დაკისრებოდა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. მოცემულ შემთხვევაში ვერ განხორციელდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინტერესი სადავო კონტრაქტის მიმართ, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები უზრუნველყოფილიყო პროფესიული, დისციპლინირებული, მაღალკვალიფიცირებული სამხედრო პერსონალით. სამხედრო მოსამსახურის მიერ კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის დროს კი საჭირო გახდა მისი სხვა მოსამსახურით ჩანაცვლება და დამატებითი ხარჯის - ხელფასისა და სხვა სახის დანამატების გაღება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცეს იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, რადგან სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. მოცემული დავა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის მიხედვით, ამ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსახილველ კატეგორიათა რიგს არ განეკუთვნება, კერძოდ:

დადგენილია და სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ 2004 წლის 1 აგვისტოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ლ. ლ-მეს შორის დაიდო ხელშეკრულება თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საკონტრაქტო სამსახურის გავლის შესახებ, რომელიც მოქმედებდა 2007 წლის 12 ივლისამდე, რა დროიდანაც, თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 20 აგვისტოს #2556 ბრძანების თანახმად, ლ. ლ-მე დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო. აღნიშნულის საფუძველზე საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სარჩელით მოითხოვა ხელშეკრულების დარღვევით მიყენებული ზიანის - 1440,31 ლარის ანაზღაურება.

ამდენად, მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი ადგენს იმ საქმეთა კატეგორიებს რომლებიც შეიძლება წარმოადგენდეს სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს. ამავე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა. დასახელებული ნორმა განსაზღვრავს ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი დავების ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის სავალდებულობას.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ თავისი მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების შესახებ დააფუძნა სამოქალაქო სამართლის ნორმებს, თუმცა აღნიშნული სასამართლოს სამოქალაქო სამართლებრივი წესით დავის განხილვას არ ავალდებულებს, არამედ სასამართლო თავადაა ვალდებული, სწორად განსაზღვროს მხარეთა შორის არსებული სადავო ურთიერთობის სამართლებრივი ხასიათი.

მოცემულ შემთხვევაში სადავო ხელშეკრულების იურიდიულად შეფასებისას სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოარკვიოს, თუ რამდენად შეესაბამება მხარეთა შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულება ადმინისტრაციულ კანონმდებლობას, კერძოდ, "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონს, "სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" კანონსა და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულებას და მხოლოდ აღნიშნულის შემდეგ იმსჯელოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნის საფუძვლიანობაზე. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეხუთე თავი ითვალისწინებს ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიმართ სამოქალაქო სამართლის ნორმების გამოყენების შესაძლებლობას.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატამ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი, ასევე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26-ე მუხლებით დადგენილი განსჯადობის წესები, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალური საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 მარტის განჩინება და საქმე განსჯადობით დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განსჯადობა

განჩინება

#ას-477-788-09

13 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 22 ოქტომბერს სამტრედიის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მოპასუხე ი. ლ-ძის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ მოპასუხისათვის ჯარიმის - 14 000 ლარის ზინის - 3 175.36 ლარისა და 14 000 ლარის 0.2%-ის ოდენობით პირგასამტეხლოს დაკისრება.

მოსარჩელის ზემოაღნიშნული მოთხოვნების საფუძვლები მდგომარეობდა შემდეგში:

2005 წლის 1 მაისს ი. ლ-ძესა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის დაიდო ხელშეკრულება თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 23 მარტის #654 ბრძანებით ამავე სამინისტროს მე-2 ქვეითი ბრიგადის ჯავშანსატანკო ბატალიონის პირველი მექანიზირებული ასეულის მე-სამე მექანიზირებული ოცეულის ჯგუფი "ბრავოს" მეტყვეამფრქვევე, კაპრალი ი. ლ-ძე 2005 წლის 2 დეკემბრიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში.

სამხედრო ნაწილის მეთაურის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, ი. ლ-ძემ 2005 წლის 1 მაისიდან 2005 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შრომის ანაზღაურების სახით მიიღო 3 175.36 ლარი.

მოპასუხის სამხედრო სამსახურში ნამსახურობის ვადამ შეადგინა შვიდი თვე.

სამხედრო მოსამსახურესთან დადებული ხელშეკრულების 7.3 პუნქტის თანახმად, კონტრაქტის შეწყვეტის შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურეს ეკისრება ვალდებულება, აანაზღაუროს მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხები, რაც მოცემულ შემთხვევაში 14 000 ლარს შეადგენდა. კონტრაქტის 7.4 მუხლით სამხედრო მოსამსახურის მიერ 7.3 და 7.4 მუხლებში აღნიშნული თანხების ამავე მუხლებით დადგენილ ვადებში დაფარვის ვალდებულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მათ დაერიცხება პირგასამტეხლო - 0.2%, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. რამდენადაც ი. ლ-ძეს თანხა უნდა გადაეხადა კონტრაქტის შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ე.ი. 2005 წლის 13 დეკემბრამდე, რაც არ გადაუხდია, კონტრაქტის 7.4 მუხლიდან გამომდინარე, მას უნდა დაეკისროს 0.2% პირგასამტეხლო ყოველდღიურად 2005 წლის 13 დეკემბრიდან მოთხოვნილი თანხის გადახდამდე.

რაც შეეხებოდა ზიანის სახით გადასახდელ თანხას - 3 175.36 ლარს, ეს იყო თანხა, რაც დაიხარჯა სამხედრო მოსამსახურის - ი. ლ-ძის მომზადებაზე და რომლის ხელახლა გაღება სამინისტროს მოუწია მის ნაცვლად ახალი სამხედრო მოსამსახურის გაწვრთნის გამო, ვინაიდან ახალი სამხედრო მოსამსახურის გაწვრთნა დამატებით ხარჯებთან იყო დაკავშირებული. დასახელებულ მოთხოვნასთან მიმართებით მოსარჩელე მიუთითებდა სამოქალაქო კოდექსის 394.1, 407-ე, 414-ე მუხლებზე და მათზე დაყრდნობით მოპასუხისაგან ზემომითითებული ოდენობით ზიანის ანაზღაურებას მოითხოვდა.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 19 თებერვლის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი ი. ლ-ძის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში განსჯადობით განსახილველად გადაეცა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას სადავოდ არ გაუხდია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ი. ლ-ძეს შორის 2005 წლის 1 მაისს დადებული ხელშეკრულება წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, მაგრამ მნიშვნელოვნად მიიჩნია ის გარემოება, რომ აღნიშნული ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას ადმინისტრაციული ორგანო - თავდაცვის სამინისტრო ფიზიკური პირისაგან - სამხედრო მოსამსახურისაგან ითხოვდა ზიანის ანაზღაურების თაობაზე სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველ საქმეზე შესამოწმებელი იყო მოთხოვნის სამოქალაქო კოდექსის ნორმებთან შესაბამისობა, რაც სამოქალაქო საქმეთა პალატის კომპეტენციას წარმოადგენდა. ასეთ დასკვნას განაპირობებდა სასამართლო წესით (დავის წარმოების გზით) დასაცავი უფლების მატერიალური შინაარსი, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა და უფლებები, რომელთა დასაცავადაც აღიძრა სარჩელი. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული დავა სამოქალაქო ხასიათის იყო, რის შესაბამისადაც არ არსებობდა ამ ნაწილში დავის გადაწყვეტისათვის ადმინისტრაციული კანონმდებლობის გამოყენების საჭიროება.

საქმის განსჯადი სასამართლოსათვის გადაცემის საკითხის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა დაეყრდნო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, ასევე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლებს, რომელთა განმარტების შედეგადაც ზიანის ანაზღაურების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნა განსახილველად ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას დაუქვემდებარა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 მარტის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება ზიანის ასანაზღაურებლად 3 175.36 ლარის დაკისრებაზე სარჩელის დაუკმაყოფილებლობის ნაწილში.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ზიანი, რაც გამოიწვევდა ი. ლ-ძის ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხს.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა თავდაცვის სამინისტროს მტკიცება იმის თაობაზე, რომ ი. ლ-ძის მიერ მათთვის მიყენებული ზიანი უნდა განსაზღვრულიყო 3 175.36 ლარით, რაც ახალი სამხედრო მოსამსახურის მომზადებისათვის დამატებით დახარჯულ თანხას წარმოადგენდა. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოპასუხის აღნიშნული მოსაზრება არ იყო გამყარებული შესაბამისი მტკიცებულებებით.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ ი. ლ-ძის სამხედრო სამსახურში ნამსახურობის ვადა შეადგენდა 7 თვეს, რის სანაცვლოდაც მან მიიღო ანაზღაურება 3 175.36 ლარი. მოპასუხე ამ დროის განმავლობაში დასაქმებული იყო საქართველოს შეიარაღებულ ძალებში და ასრულებდა სამუშაოს, რისთვისაც დამსაქმებლის მიერ ხელფასის სახით გადახდილ იქნა 3 175.36 ლარი. სასამართლოს მოსაზრებით, ზიანის სახით აღნიშნული თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნა ეწინააღმდეგებოდა როგორც საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ შრომის სამართლიანი ანაზღაურების პრინციპს, ისე მოქმედ შრომით კანონმდებლობას.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, შრომის კონტრაქტის შესაბამისი მუხლებით ასევე დასტურდებოდა, რომ სამხედრო მოსამსახურე კონტრაქტის დადებიდან უზრუნველყოფილი იყო ხელფასით. სამხედრო მოსამსახურისათვის ხელფასის სახით მიცემული თანხა კი არ შეიძლება განხილულიყო როგორც ზიანი, რადგან აღნიშნული თანხა წარმოადგენდა გაწეული შრომის კომპენსაციას.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ვერ ამტკიცებდა, თუ რა თანხა იქნა დახარჯული ი. ლ-ძის, როგორც სამხედრო მოსამსახურის მომზადებაში, კონტრაქტის დარღვევის შემდეგ მოამზადა თუ არა ახალი სამხედრო მოსამსახურე, რა თანხა დაიხარჯა მის მომზადებაში და საერთოდ, კონტრაქტის დარღვევით მიიღო თუ არა თავდაცვის სამინისტრომ მატერიალური (ქონებრივი) ზიანი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ზიანის ანაზღაურების ნაწილში დაუსაბუთებელი იყო და დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი მოტივებით:

ი. ლ-ძესთან კონტრაქტის დადებისას თავდაცვის სამინისტროს ინტერესი იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების პროფესიული, დისციპლინირებული, მაღალკვალიფიციური სამხედრო პერსონალით უზრუნველყოფა. ამ მიზნის შესასრულებლად, თავდაცვის სამინისტრო უზრუნველყოფდა

სამხედრო მოსამსახურის ეტაპობრივ წვრთნასა და მომზადებას ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ხარჯზე. მნიშვნელოვნად გაიზარდა სამხედრო მოსამსახურის მომზადებაზე დასახარჯი თანხების ისეთი აუცილებელი კომპონენტი, როგორცაა ხელფასი. ხელფასის ზრდა გამოწვეული იყო სწორედ იმ გარემოებით, რომ პირი, რომელიც ვალდებულებას აიღებდა, სრული ოთხი წლის ვადით ემსახურა სამხედრო მოსამსახურედ, მოცემული დროის განმავლობაში მიიღებდა შესაბამისი ოდენობის ანაზღაურებას, რომლის გაცემა განხორციელდებოდა ეტაპობრივად და არ იქნებოდა ანალოგიური ოდენობის, თუ სამხედრო მოსამსახურე უფრო მოკლე ვადით სამსახურის გავლის ვალდებულებას იკისრებდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით განპირობებული კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტით, თავდაცვის სამინისტრომ ვერ მიაღწია მიზანს, კერძოდ, ვერ მიიღო პროფესიულად გაწვრთნილი სამხედრო მოსამსახურე, ხოლო მის მომზადებაზე დახარჯული საბიუჯეტო თანხები უშედეგოდ დაიხარჯა და იმავე დონის სამხედრო მოსამსახურის მომზადებაზე იძულებული გახდა კვლავ გაეწია შესაბამისი დანახარჯი.

კასატორის მოსაზრებით, ასევე არასწორია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ მოსარჩელის მოთხოვნას საფუძველად არ უდევს სათანადო მტკიცებულებები. ამგვარი დავების თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ სამინისტროს მოთხოვნები ეფუძნება არა ფაქტობრივ მტკიცებულებებს, არამედ ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ, სამხედრო მოსამსახურეების სოციალური და სახელფასო უზრუნველყოფის მარეგულირებელ ნორმებს, ასევე სახელმწიფოს ინტერესს, რაც გამოხატულია პროფესიული/საკონტრაქტო სამხედრო სამსახურისათვის მაღალი ხელფასის დაწესებაში. ყოველივე აღნიშნული დამატებითი მტკიცებულების წარდგენას არ საჭიროებს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძველების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული დავა არ განეკუთვნება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო საჩივრის დავის საგანია ი. ლ-ძის, როგორც სამხედრო მოსამსახურის მიერ კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. თავდაცვის სამინისტროსა და ი. ლ-ძეს შორის სადავო ურთიერთობის წარმოშობის საფუძველია თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ კონტრაქტი, რომლის 1.1 მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურე კისრულობს ვალდებულებას, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით კეთილსინდისიერად იმსახუროს სამინისტროს ქვედანაყოფებში, ხოლო სამინისტრო ვალდებულია, გადაუხადოს სამხედრო მოსამსახურეს შეთანხმებული ხელფასი და უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამხედრო სამსახურით და შესაბამისი პირობებით. სადავო არ არის, რომ აღნიშნული კონტრაქტი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რამდენადაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დადებულია თავისი საჯარო უფლებამოსილების განხორციელების - სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

საქმეზე დადგენილია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 23 მარტის #654 ბრძანებით ამავე სამინისტროს მე-2 ქვეითი ბრიგადის ჯავშანსატანკო ბატალიონის პირველი მექანიზირებული ასეულის მესამე მექანიზირებული ოცეულის ჯგუფი "ბრავოს" მეტყვიამფრქვევე, კაპრალი ი. ლ-ძე 2005 წლის 2 დეკემბრიდან დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის "თ" ქვეპუნქტის საფუძველზე. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა გამომდინარეობს სწორედ კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობიდან, კერძოდ, მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას ითხოვს იმ საფუძველით, რომ მხარეთა შორის დადებული 4-წლიანი კონტრაქტი მოპასუხის სურვილით შეწყდა. ამდენად, მოსარჩელე სადავოდ ხდის ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირობების შესრულებას, რაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტისა და 251 მუხლის თანახმად ადმინისტრაციული დავის საგანია.

ის გარემოება, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა ემყარება სამოქალაქო კოდექსის ნორმებს, არ ნიშნავს, რომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა ამის გამო კერძოსამართლებრივ შინაარსს იძენს. დავის არსის გათვალისწინებით სადავო ურთიერთობის სამართლებრივი საფუძველების სწორად განსაზღვრა სასამართლოს ვალდებულებაა და ამ შემთხვევაში სასამართლო მხარის მიერ დასახელებული სამართლის ნორმებით არ არის შებოჭილი. ამასთან, გასათვალისწინ-

ნებელია ისიც, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის V თავი ("ადმინისტრაციული ხელშეკრულება") სამოქალაქო კოდექსის ნორმების გამოყენებას ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიმართ სრულიად დასაშვებად მიიჩნევს. ამ შემთხვევაში მოთხოვნის საფუძვლიანობის განსასაზღვრად ძირითადი და გადამწყვეტია, პირველ რიგში შეფასდეს სწორედ მხარეთა შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირობები, ასევე ადმინისტრაციული კანონმდებლობის - "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის, "სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო მოსამსახურის შესახებ" კანონის, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული სამხედრო მოსამსახურის გავლის შესახებ დებულების მოთხოვნები. მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის ნორმების გამოყენების შემდეგ არის შესაძლებელი, გაირკვეს მოთხოვნის სამოქალაქო კოდექსის ნორმებთან შესაბამისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქმე განხილულია საგნობრივი განსჯადობის წესების დარღვევით და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საპროცესო საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 მარტის განჩინება;

საქმე განსახილველად დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა

განჩინება

#ას-495-805-09

13 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ხელშეკრულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სარჩელი აღძრა სასამართლოში რ. ნ-შვილის მიმართ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის - 1966,80 ლარის, ჯარიმის - 14000 ლარისა და 2005 წლის 9 დეკემბრიდან ყოველდღიურად აღნიშნული თანხის 0,2% ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 20 აგვისტოს #2358 ბრძანებით მოპასუხე გაწვეულ იქნა სამხედრო საკონტრაქტო-პროფესიულ მოსამსახურეში და ამავე წლის 1 ივლისიდან დაინიშნა კონტრაქტით გათვალისწინებული პირობებით. რ. ნ-შვილის მიერ კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, მინისტრის 2005 წლის 13 დეკემბრის #3194 ბრძანებით, იგი დათხოვნილ იქნა სამხედრო მოსამსახურიდან. მოპასუხის სამხედრო მოსამსახურისათვის მომზადებაში დაიხარჯა 1966,80 ლარი, რომელიც უნდა აუნაზღაურდეს მოსარჩელეს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის, 407-ე და 414-ე მუხლების საფუძველზე.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სასარჩელო მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების შესახებ არ არის დასაბუთებული კანონით დადგენილი წესით წარმოდგენილი მტკიცებულებებით, რის გამოც იგი სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 19 თებერვლის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების ნაწილში გამოეყო ცალკე წარმოებად და განსჯადობის წესის დაცვით გადაეცა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 მარტის განჩინებით თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: 2005 წლის 1 ივლისის ხელშეკრულებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და რ. ნ-შვილს შორის წარმოიშვა შრომითი ურთიერთობა, რომელიც 4 თვესა და 27 დღეს გაგრძელდა, რის სანაცვლოდ დასაქმებულმა მიიღო ხელფასი 1966,80 ლარის ოდენობით. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ რ. ნ-შვილმა ზემოხსენებულ ვადაში სადავო თანხის სამუშაო შეასრულა, შესაბამისად, აპელანტისათვის 1966,80 ლარის ზიანის სახით ანაზღაურება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის შრომის სამართლიანი ანაზღაურების პრინციპს. სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების 7.3 მუხლის "ა" პუნქტის შინაარსი ბუნდოვანი არ არის, რამდენადაც ირკვევა, რომ კონტრაქტის პირობების დარღვევისათვის სანქცია მუშაკს დაეკისრებოდა ერთი წლის სამსახურის გავლის შემდეგ, მომდევნო სამი წლის ხელფასის სახით, საშუალოდ, 14 000 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშდებოდა ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად და აღნიშნული ვადა ეხებოდა მხოლოდ ჯარიმის გადახდას. პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ თავდაცვის სამინისტროს მიადგა ზიანი რ. ნ-შვილის აღჭურვის, კვებისა და სწავლების ხარჯების სახით, ვინაიდან აღნიშნული ხარჯის გაწევა სამინისტროს ვალდებულებას წარმოადგენდა და მათ სანაცვლოდ სამხედრო პირი ახორციელებდა საპასუხო შესრულებას. ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნია სასამართლომ აპელანტის არგუმენტი, რომ რ. ნ-შვილის სანაცვლოდ მან მოამზადა სხვა სამხედრო მოსამსახურე, რისთვისაც გაიღო ანალოგიური ოდენობის დამატებითი ხარჯი. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ თავდაცვის სამინისტრომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, ვერ დაადასტურა, მოამზადა თუ მოპასუხის სანაცვლოდ ახალი სამხედრო მოსამსახურე და რა თანხა დაიხარჯა ამისათვის, ასევე, სადავო კონტრაქტის დარღვევით მიადგა თუ არა სამინისტროს მატერიალური ზიანი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო, სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე, დაეკმაყოფილებინა თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა, ვინაიდან კონტრაქტის 8.2, 8.3, 8.4 მუხლებით დასტურდება, რომ მხარეთა შორის არსებული კონტრაქტის დარღვევის გამო სამინისტროს მიადგა ზიანი იმ თანხის სახით, რაც მან სამხედრო მოსამსახურის მომზადებაზე დახარჯა და, რ. ნ-შვილის მიერ კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, ხელახლა გაიღო სხვა მოსამსახურის მოსამზადებლად. აღნიშნული კონტრაქტის დადებისას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინტერესს წარმოადგენდა საქართველოს შეიარაღებული ძალების პროფესიული, დისციპლინირებული, მაღალკვალიფიციური სამხედრო პერსონალით უზრუნველყოფა, რაც სადავო ხელშეკრულების დარღვევის გამო, ვერ შესრულდა, საჭირო გახდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი თანხის გამოყოფა, შესაბამისად, აღნიშნული თანხის ნაწილში სახელმწიფოს მიადგა ზიანი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცეს იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა. დასახელებული ნორმა განსაზღვრავს იმ საქმეთა კატეგორიას, რომლებიც შეიძლება განხილულ იქნენ ადმინისტრაციული იურისდიქციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში. აღნიშნულ დავათა რიცხვს განეკუთვნება ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობანი.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია და სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2005 წლის 20 აგვისტოს #2358 ბრძანებით მოპასუხე გაწვეულ

იქნა სამხედრო საკონტრაქტო-პროფესიულ სამსახურში. რ. ნ-შვილის მიერ კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 13 დეკემბრის #3194 ბრძანებით იგი დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან და თავდაცვის სამინისტრომ სარჩელით მოითხოვა ხელშეკრულების დარღვევით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეთა შორის არსებული სადავო ურთიერთობა წარმოიშვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ ხელშეკრულებიდან, რისთვისაც სააპელაციო სასამართლოს სათანადო შეფასება არ მიუცია.

სააპელაციო პალატამ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი, ასევე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26-ე მუხლებით დადგენილი განსჯადობის წესები, როდესაც მოცემული საქმე განიხილა სამოქალაქო სამართალწარმოების გზით. გასაჩივრებული განჩინებით პალატას არ გამოურკვევია, შეესაბამებოდა თუ არა სადავო ხელშეკრულების პირობები ადმინისტრაციულ კანონმდებლობას - "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ", "სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" კანონებსა და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულებას. მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვისასაა შესაძლებელი მისი სამოქალაქო კანონმდებლობასთან მიმართებით შეფასება, რა დროსაც აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული კოდექსის V თავი ("ადმინისტრაციული ხელშეკრულება") დასაშვებად მიიჩნევს ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიმართ სამოქალაქო კოდექსის ნორმების გამოყენებას.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რადგან მოცემული დავა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის მიხედვით, ამ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსახილველ კატეგორიათა რიგს არ განეკუთვნება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 მარტის განჩინება და საქმე განსჯადობით დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განსჯადობა

განჩინება

#ას-548-857-09

21 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა წყალტუბოს რაიონულ სასამართლოს ა. ს-ივეს წინააღმდეგ და მოითხოვა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ მოპასუხისათვის ჯარიმის - 16 092 ლარის, პირგასამტეხლოს - 16 092 ლარის 0,2%-ის და ზიანის - 3397,78 ლარის დაკისრება.

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ა. ს-ივეს მიმართ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდ გამო.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 4 მარტის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი ა. ს-ივეს მიმართ ზიანის - 3397,78 ლარის დაკისრების შესახებ, განსჯადობის წესების დაცვით განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 აპრილის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი, ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 11 სექტემბრის #1344 ბრძანებით ა. ს-ივე 2005 წლის 1 მაისიდან გაწვეულ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში და კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად დაინიშნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მეორე ქვეითი ბრიგადის ჯ\სატანკო ბატალიონის სატანკო ასეულის მეორე ოცეულის მემიზნე-ოპერატორად.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 28 ნოემბრის #71 ბრძანებით, მოპასუხე ა. ს-ივე დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო. ა. ს-ივეს სამხედრო სამსახურში ნამსახურობის ვადა შეადგენს 5 თვესა და 28 დღეს.

ხელფასის სახით ა. ს-ივეს 2005 წლის 1 მაისიდან 2005 წლის 1 დეკემბრის ჩათვლით მიღებული აქვს 3397,78 ლარი.

კონტრაქტის მესამე მუხლის 3.1 პუნქტის თანახმად: „სამხედრო მოსამსახურის“ მიერ სამხედრო სამსახურის ვადა შეადგენს 4 წელს „3.2 პუნქტით: „სამხედრო სამსახურის პირველი 3 თვე შეადგენს „სამხედრო მოსამსახურის“ სწავლებისა და მომზადების პერიოდს, რაც შედის 3.1 მუხლში, აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების ვადაში...“

კონტრაქტის მეოთხე მუხლის 4.1 პუნქტის თანახმად „სამხედრო მოსამსახურეს“ ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში მიეცემა ანაზღაურება საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულებით დადგენილი 1 ა) კატეგორიის ხელფასის სახით თვეში 447 ლარი. მეხუთე მუხლის 5.1.2 პუნქტის თანახმად, სამინისტრო ვალდებულია, „სამხედრო მოსამსახურეს“ გადაუხადოს 4.1 მუხლში აღნიშნული ხელფასი.

აღნიშნული კონტრაქტიდან გამომდინარე უდავოა, რომ სამხედრო მოსამსახურე კონტრაქტის გაფორმებიდან, მათ შორის მომზადების პერიოდშიც უზრუნველყოფილია სათანადო ანაზღაურებით, ანუ ხელფასით.

ა. ს-ივეს მიერ კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო მეორე მხარე - თავდაცვის სამინისტრო იძულებული გახდა, შეეწყვიტა კონტრაქტი.

თავდაცვის სამინისტრო ა. ს-ივეს მიერ კონტრაქტის დარღვევის გამო თვლის, რომ მათ მიადგათ ზიანი, რაც ახალი სამხედრო მოსამსახურის მომზადებაში დახარჯულ თანხაში გამოიხატება და ეს თანხა შეადგენს ა. ს-ივესათვის 2005 წლის 1 მაისიდან 28 ნოემბრის ჩათვლით გადახდილ 3397,78 ლარს.

პალატის განმარტებით, ა. ს-ივემ ბრალეულად დაარღვია კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები, რაც სავსებით არის დადასტურებული საქმეში არსებული მტკიცებულებებით, ანუ არსებობს სამართალდარღვევის ისეთი შემადგენელი ელემენტები, როგორცაა მართლწინააღმდეგობა და ბრალი.

ამასთან პალატამ მიიჩნია, რომ სახეზე არ არის ზიანი, რაც გამოიწვევდა ა. ს-ივეს ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხს, შესაბამისად არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი მართლწინააღმდეგობა და დამდგარ შედეგს შორის.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 აპრილის განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

კასატორის წარმომადგენლის განმარტებით, საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულმა პალატამ განჩინებით საქმე გადასცა განსჯად სამოქალაქო პალატას, ე.ი. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ საქმე განიხილა არაგანსჯადმა რაიონულმა სასამართლომ. აქედან გამომდინარე სამოქალაქო პალატა ვალდებული იყო სსსკ-ის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად გაეუქმებინა წყალტუბოს რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება, როგორც სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

კასატორის წარმომადგენლის განმარტებით, სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო დაეკმაყოფილებინა მიყენებული ზიანი, შემდეგ გარემოებათა გამო:

1. მოვალისათვის წინასწარ იყო ცნობილი სავარაუდო ზიანი, რადგან ო. მ-მე გაცნობილი იყო კონტრაქტის 8.2 და 8.3 მუხლების შინაარსს, რომლებიც პირდაპირ მიუთითებენ სავარაუდო ზიანის მოთხოვნის შესაძლებლობაზე, თუ ის დაარღვევდა კონტრაქტის პირობებს.

2. კონტრაქტის დადებისას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინტერესი იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების პროფესიული, დისციპლინირებული, მაღალკვალიფიცირებული სამხედრო პერსონალით უზრუნველყოფა. მოპასუხის მხრიდან კონტრაქტის დარღვევით კი ვერ იქნა მიღწეული დასახული მიზანი და კონტრაქტის დარღვევით ზიანი მიადგა არა მარტო თავდაცვის სამინისტროს, არამედ ზოგადად ქვეყნის ინტერესებს, რადგან კონტრაქტის დასრულების შემდეგ თავდაცვის სამინისტრო მიიღებდა ჩამოყალიბებულ სამხედრო მოსამსახურეს.

კასატორის წარმომადგენელმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება და საქმე განსახილველად გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული დავა არ განეკუთვნება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო საჩივრის დავის საგანია ა. ს-ივეს, როგორც სამხედრო მოსამსახურის მიერ კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. თავდაცვის სამინისტროსა და ა. ს-ივეს შორის სადავო ურთიერთობის წარმოშობის საფუძველია თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ კონტრაქტი, რომლის 1.1 მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურე კისრულობს ვალდებულებას, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით კეთილსინდისიერად იმსახუროს სამინისტროს ქვედანაყოფებში, ხოლო სამინისტრო ვალდებულია, გადაუხადოს სამხედრო მოსამსახურეს შეთანხმებული ხელფასი და უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამხედრო სამსახურით და შესაბამისი პირობებით. სადავო არ არის, რომ აღნიშნული კონტრაქტი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რამდენადაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დადებულია თავისი საჯარო უფლებამოსილების განხორციელების - სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

საქმეზე დადგენილია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 28 ნოემბრის #71 ბრძანებით, მოპასუხე ა. ს-ივე დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო. ა. ს-ივეს სამხედრო სამსახურში ნამსახურობის ვადა შეადგენს 5 თვესა და 28 დღეს. "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის "თ" ქვეპუნქტის საფუძველზე. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა გამომდინარეობს სწორედ კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობიდან, კერძოდ, მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას ითხოვს იმ საფუძველით, რომ მხარეთა შორის დადებული 4-წლიანი კონტრაქტი მოპასუხის სურვილით შეწყდა. ამდენად, მოსარჩელე სადავოდ ხდის ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირობების შესრულებას, რაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტისა და 251 მუხლის თანახმად ადმინისტრაციული დავის საგანია.

ის გარემოება, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა ემყარება სამოქალაქო კოდექსის ნორმებს, არ ნიშნავს, რომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა ამის გამო კერძოსამართლებრივ შინაარსს იძენს. დავის არსის გათვალისწინებით სადავო ურთიერთობის სამართლებრივი საფუძვლების სწორად განსაზღვრა სასამართლოს ვალდებულებაა და ამ შემთხვევაში სასამართლო მხარის მიერ დასახელებული სამართლის ნორმებით არ არის შებოჭილი. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის V თავი ("ადმინისტრაციული ხელშეკრულება") სამოქალაქო კოდექსის ნორმების გამოყენებას ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიმართ სრულიად დასაშვებად მიიჩნევს. ამ შემთხვევაში მოთხოვნის საფუძვლიანობის განსაზღვრად ძირითადი და გადამწყვეტია, პირველ რიგში შეფასდეს სწორედ მხარეთა შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირობები, ასევე, ადმინისტრაციული კანონმდებლობის - "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის, "სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" კანონის, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების მოთხოვნები. მხოლოდ ადმინისტრაციული კანონ-

მდებლობის ნორმების გამოყენების შემდეგ არის შესაძლებელი, გაირკვეს მოთხოვნის სამოქალაქო კოდექსის ნორმებთან შესაბამისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქმე განხილულია საგნობრივი განსჯადობის წესების დარღვევით და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საპროცესო საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 აპრილის განჩინება;

საქმე განსახილველად დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა

განჩინება

#ას-610-919-09

21 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ხელშეკრულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. დ-მის მიმართ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის - 17 467,52 ლარის, ჯარიმის - 14000 ლარისა და 2005 წლის 14 ნოემბრიდან აღნიშნული თანხის 0,2%-ის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 1 აპრილის #822 ბრძანებით მოპასუხე გაწვეულ იქნა სამხედრო საკონტრაქტო-პროფესიულ სამსახურში. ნ. დ-მის მიერ კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო მინისტრის 2005 წლის 22 ნოემბრის #3061 ბრძანებით იგი დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან. მოპასუხის სამხედრო სამსახურისათვის მომზადებაში დაიხარჯა 3467,52 ლარი და ნ.დ-მის დათხოვნის შემდეგ მოსარჩელე იძულებული გახდა, აღნიშნული თანხა ხელახლა გადაეხადა სხვა სამხედრო მოსამსახურის მოსამზადებლად, შესაბამისად, სამინისტროს მიადგა ზიანი სადავო თანხის ოდენობით.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ნ.დ-მის მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა დავალიანების - 1502,43 აშშ დოლარისა და მიყენებული ზიანის - 2437,96 ლარის ანაზღაურება, დანარჩენ ნაწილში კი სარჩელს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 24 თებერვლის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების ნაწილში გამოეყო ცალკე წარმოებად და განსჯადობის წესის დაცვით გადაეცა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: საქართველოს თავდაცვის

მინისტრის 2005 წლის 1 აპრილის #822 ბრძანებით ნ. დ-მე გაწვეულ იქნა სამხედრო საკონტრაქტო-პროფესიულ სამსახურში და დაინიშნა მეორე ქვეითი ბრიგადის საარტილერიო დივიზიონის სამტაბო და უზრუნველყოფის ბატარეის მართვის ოცეულის დაზვერვის ათეულის მზვერავად და მიენიჭა კაპრალის სამხედრო წოდება. მინისტრის 2005 წლის 22 ნოემბრის #3061 ბრძანების საფუძველზე, ნ. დ-მის მიერ კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, იგი დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან. ნ.დ-მის სამხედრო სამსახურში ნამსახურობის ვადამ შეადგინა 7 თვე და 14 დღე. 2005 წლის 31 მარტიდან 14 ნოემბრამდე მან მიიღო ხელფასი - 2753,52 ლარი, ხოლო საერთო საჯარისო სასურსათო იჯარისათვის - 714 ლარი. მხარეთა შორის არსებული კონტრაქტის მე-3 მუხლის 3.1 პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურის სამსახურის ვადა შეადგენს 4 წელს, 3.2 პუნქტით კი სამხედრო სამსახურის პირველი სამი თვე სამხედრო მოსამსახურის სწავლებისა და მომზადების პერიოდია, რაც შედის 3.1 მუხლში აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების ვადაში. კონტრაქტის მე-4 მუხლის 4.1 პუნქტის თანახმად, "სამხედრო მოსამსახურეს" ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში მიეცემა ანაზღაურება საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულებით დადგენილი 1^o კატეგორიის ხელფასის სახით თვეში 447 ლარის ოდენობით, მე-5 მუხლის 5.1.2 პუნქტის თანახმად, სამინისტრო ვალდებულია, სამხედრო მოსამსახურეს გადაუხადოს 4.1 მუხლში აღნიშნული ხელფასი. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ უდავოდ მიიჩნია ის გარემოება, რომ სამხედრო მოსამსახურე კონტრაქტის გაფორმების მომენტიდან, მათ შორის, მომზადების პერიოდშიც უზრუნველყოფილია სათანადო ანაზღაურებით, ხელფასით. სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია ის გარემოება, რომ, ნ. დ-მის მიერ კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, მეორე მხარე - სამინისტრო იძულებული გახდა, შეეწყვიტა ხელშეკრულება. პალატის მითითებით, თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ ხელშეკრულება არ განსაზღვრავს ერთი წლის გასვლამდე კონტრაქტის შეწყვეტის პირობებში მოსამსახურის პასუხისმგებლობას, ამდენად, სასარჩელო მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების ნაწილში ეფუძნება სამოქალაქო კოდექსის 394-ე, 407-ე და 414-ე მუხლებს. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო მისი ვადამდე შეწყვეტა უნდა შეიცავდეს სამართალდარღვევის შემადგენლობის ყველა იმ მახასიათებელ აუცილებელ ელემენტს, როგორცაა მართლწინააღმდეგობა, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი და ბრალი. სასამართლოს მოსაზრებით, ნ.დ-მემ ბრალეულად დაარღვია კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები, რაც საქმეში არსებული მტკიცებულებებით დასტურდება, ანუ არსებობს მართლწინააღმდეგობა და ბრალი, თუმცა არ დასტურდება ზიანის ფაქტი, შესაბამისად, არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი მართლწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, რაც, სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის თანახმად, სამართალდარღვევის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტია, ამდენად, ზიანის არარსებობისას ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი ვერ დადგება, ვინაიდან ანაზღაურდება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს წარმოადგენს. სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ ნ.დ-მის მიერ მიყენებული ზიანი 3467,52 ლარით უნდა განისაზღვროს, რადგან აღნიშნული თანხა ახალი სამხედრო მოსამსახურის მომზადებისათვის დამატებით უნდა დაიხარჯოს, აღნიშნული მოსაზრება სათანადო მტკიცებულებით გამყარებული არ არის. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ თავდაცვის სამინისტრომ ვერ დაადასტურა, თუ რა თანხა იქნა დახარჯული ნ. დ-მის, როგორც სამხედრო მოსამსახურის მომზადებაში, კონტრაქტის დარღვევის შემდეგ მოამზადა თუ არა ახალი სამხედრო მოსამსახურე და რა თანხა დაიხარჯა ამისათვის, ასევე სადავო კონტრაქტის დარღვევით მიადგა თუ არა სამინისტროს მატერიალური ზიანი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა ის გარემოება, რომ სადავო თანხა წარმოადგენდა მხარეთა შორის არსებული კონტრაქტის დარღვევის გამო სამინისტროსათვის მიყენებულ ზიანს, რაც კონტრაქტის 8.2, 8.3, 8.4 მუხლებით დასტურდება, კერძოდ, სამინისტრომ მოითხოვა ის თანხა, რაც მან სამხედრო მოსამსახურის მომზადებაზე დახარჯა და ნ.დ-მის მიერ კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, ხელახლა გაიღო სხვა მოსამსახურის მომზადებლად. კასატორის მიერ მოთხოვნილი თანხა წარმოადგენს სამინისტროსათვის მიყენებულ ზიანს, რისი ანაზღაურების უფლებამოსილებას მხარეს ანიჭებს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილი, 407-ე და 414-ე მუხლები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასა-

მართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდეს და საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცეს იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი, ასევე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26-ე მუხლებით დადგენილი განსჯადობის წესები, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს წარმოადგენს, ვინაიდან სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა. დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი დავები განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია და მხარეთა შორის დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 1 აპრილის #822 ბრძანებით ნ. დ-მე გაწვეულ იქნა სამხედრო საკონტრაქტო-პროფესიულ სამსახურში და დაინიშნა მეორე ქვეითი ბრიგადის საარტილერიო დივიზიონის სამტაბო და უზრუნველყოფის ბატარეის მართვის ოცეულის დაზვერვის ათეულის მზვერავად და მიენიჭა კაპრალის სამხედრო წოდება. მინისტრის 2005 წლის 22 ნოემბრის #3061 ბრძანების საფუძველზე, ნ. დ-მის მიერ კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, იგი დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან. თავდაცვის სამინისტრომ სარჩელი აღძრა სასამართლოში ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების შესახებ. ამდენად, მხარეთა შორის დავა წარმოიშვა ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლოს სადავო ურთიერთობის მოსაწესრიგებლად უნდა ეხელმძღვანელა ადმინისტრაციული სამართლის ნორმებით, შეეფასებინა სადავო ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირობების კანონიერება "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონთან, "სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" კანონსა და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულებასთან მიმართებით, აღნიშნულის შემდეგ კი ემსჯელა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის სამოქალაქო-სამართლებრივ საკითხებზე. ამასთან ნიშანდობლივია, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის V თავი დასაშვებად თვლის ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიმართ სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმების გამოყენებას.

ამდენად, მოცემული დავა განხილულია კანონით დადგენილი განსჯადობის წესების დარღვევით, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 აპრილის განჩინება და საქმე განსჯადობით დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განსჯადობა

განჩინება

#ას-391-707-09

24 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 22 სექტემბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მოპასუხე ბ. თ-ავას მიმართ და მოითხოვა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ მოპასუხისათვის ჯარიმის - 14 000 ლარის, ზიანის - 3720,21 ლარის, სანივთე დავალიანების - 370,80 აშშ დოლარისა და 14 000 ლარის 0.2%-ის პირგასამტეხლოს დაკისრება.

სასარჩელო განცხადებიდან და მასზე თანდართული მასალებიდან ირკვევა შემდეგი:

ბ. თ-ავა 2005 წლის პირველი მარტიდან დაინიშნა კონტრაქტით გათვალისწინებული პირობის თანახმად, მეორე ქვეითი ბრიგადის სადაზვერვო ასეულის სადაზვერვო ოცეულის პირველი სა-დაზვერვო ოცეულის პირველი სადაზვერვო ათეულის მეთაურად, რომელიც შეიარაღებულ ძალებში ჩარიცხვის დღიდან იმყოფებოდა სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე, რაც სახელმწიფოს მხრიდან მის მატერიალურ, სოციალურ და სამედიცინო უზრუნველყოფას გულისხმობდა.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 13 დეკემბრის #3194 ბრძანებით ბ. თ-ავა 2005 წლის პირველი ნოემბრიდან დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო;

სამხედრო მოსამსახურესთან დადებული ხელშეკრულების 7.3 პუნქტის თანახმად, კონტრაქტის შეწყვეტის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურეს ეკისრება ვალდებულება ანაზღაუროს მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის ფულადი თანხები, რაც მოსარჩელის მითითებით შეადგენს 14000 ლარს;

მოპასუხის სამხედრო სამსახურში ნამსახურობის ვადამ შეადგინა რვა თვე.

კონტრაქტის 7.4 მუხლით სამხედრო მოსამსახურის მიერ 7.3 და 7.4 მუხლებში აღნიშნული თანხების ამავე მუხლებით დადგენილ ვადებში დაფარვის ვალდებულების ვადის გადაცილების შემთხვევაში აღნიშნულ თანხებს დაერიცხება პირგასამტეხლო - 0.2% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. რამდენადაც ბ. თ-ავას თანხა უნდა გადაეხადა კონტრაქტის შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, რაც არ გადაუხდია, კონტრაქტის 7.4 მუხლიდან გამომდინარე, მას უნდა გადაეხადა 0.2%-ის ოდენობის პირგასამტეხლო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდის გამო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 დეკემბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი ბ. თ-ავას მიმართ ზიანის - 3720,21 ლარის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში განსჯადობით განსახილველად გადაეცა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას სადავოდ არ გაუხდია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ბ. თ-ავას შორის დადებული ხელშეკრულება წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, მაგრამ მნიშვნელოვნად მიიჩნია ის გარემოება, რომ აღნიშნული ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას ადმინისტრაციული ორგანო - თავდაცვის სამინისტრო ფიზიკური პირისაგან - სამხედრო მოსამსახურისაგან ითხოვდა ზიანის ანაზღაურების თაობაზე სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველ საქმეზე შესამოწმებელი იყო სასარჩელო მოთხოვნის სამოქალაქო კოდექსის ნორმებთან შესაბამისობა, რაც სამოქალაქო საქმეთა პალატის კომპეტენციას წარმოადგენდა. ასეთ დასკვნას განპირობებდა სასამართლო წესით (დავის წარმოების გზით) დასაცავი უფლების მატერიალური შინაარსი, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა და უფლებები, რომელთა დასაცავადაც აღიძრა სარჩელი. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ

მოცემული დავა სამოქალაქო ხასიათის იყო, რის შესაბამისადაც არ არსებობდა ამ ნაწილში დავის გადაწყვეტისათვის ადმინისტრაციული კანონმდებლობის გამოყენების საჭიროება.

საქმის განსჯადი სასამართლოსათვის გადაცემის საკითხის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა დაეყრდნო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, ასევე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლებს, რომელთა განმარტების შედეგადაც ზიანის ანაზღაურების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნა განსახილველად ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას დაუქვემდებარა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 11 თებერვლის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ბ. თ-ავამ ბრალეულად დაარღვია კონტრაქტით გათვალისწინებული პირობებით, რაც დასტურდებოდა საქმეში არსებული მტკიცებულებებით, ანუ არსებობდა სამართალდარღვევის ისეთი შემადგენელი ელემენტები, როგორებიცაა მართლსაწინააღმდეგობა და ბრალი.

მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობს ზიანი, რაც გამოიწვევდა ბ. თ-ავას ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხს. შესაბამისად, არ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ზიანი წარმოადგენდა სამართალდარღვევის შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს, თუ არ იქნებოდა ზიანი, არც ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლებოდა დამდგარიყო. ამასთან, ანაზღაურებას ექვემდებარებოდა მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენდა ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა თავდაცვის სამინისტროს მტკიცება იმის თაობაზე, რომ ბ. თ-ავას მიერ მათზე მიყენებული ზიანი უნდა განსაზღვრულიყო 3720,21 ლარით, იმ მიზეზით, რომ აღნიშნული ოდენობის თანხა წარმოადგენდა ახალი სამხედრო მოსამსახურის მომზადებისათვის დამატებით დახარჯულ თანხას. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოპასუხის აღნიშნული მოსაზრება არ იყო გამყარებული შესაბამისი მტკიცებულებებით, საქმეში არსებული მასალებით კი დასტურდებოდა საპირისპირო.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ ბ. თ-ავას სამხედრო სამსახურში ნამსახურობის ვადა შეადგენდა 8 თვეს, რის სანაცვლოდაც მან მიიღო ანაზღაურება 3720,21 ლარის ოდენობით. მოპასუხე ამ დროის განმავლობაში დასაქმებული იყო საქართველოს შეიარაღებულ ძალებში და ასრულებდა სამუშაოს, რისთვისაც დამსაქმებლის მიერ ხელფასის სახით გადახდილი იქნა 3720,21 ლარი ანუ მხარეს ხელფასის სახით გადახდილი 3720,21 ლარის შესაბამისი სამუშაო 8 თვის განმავლობაში უკვე შესრულებული ჰქონდა და ზიანის სახით აღნიშნული თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნა ეწინააღმდეგებოდა როგორც საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ შრომის სამართლიანი ანაზღაურების პრინციპს, ისე მოქმედ შრომით კანონმდებლობას.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, შრომის კონტრაქტის შესაბამისი მუხლებით ასევე დასტურდებოდა, რომ სამხედრო მოსამსახურე კონტრაქტის დადებიდან უზრუნველყოფილი იყო ხელფასით. სამხედრო მოსამსახურისათვის ხელფასის სახით მიცემული თანხა კი არ შეიძლებოდა განხილულიყო როგორც ზიანი, რადგან აღნიშნული თანხა წარმოადგენდა გაწეული შრომის კომპენსაციას.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ვერ ამტკიცებდა, თუ რა თანხა იქნა დახარჯული ბ. თ-ავას, როგორც სამხედრო მოსამსახურის მომზადებაში, კონტრაქტის დარღვევის შემდეგ მოამზადა თუ არა ახალი სამხედრო მოსამსახურე, რა თანხა დაიხარჯა მის მომზადებაში და საერთოდ, კონტრაქტის დარღვევით მიიღო თუ არა თავდაცვის სამინისტრომ მატერიალური (ქონებრივი) ზიანი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ზიანის ანაზღაურების ნაწილში დაუსაბუთებელი იყო და დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილება, შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პოზიციასთან დაკავშირებით, სადაც სამინისტრო მიუთითებს, რომ მოთხოვნილი თანხა არის ზიანი, რომელიც კონტრაქტის (ხელშეკრულების) პირობების დარღვევის გამო წარმოიშვა და რომლის მოთხოვნის შესაძლებლობას იძლევა სამოქალაქო კოდექსი, მოქმედი კანონმდებლობა.

მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს ბ. თ-ავასგან 3720,21 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურება. მოთხოვნილი ზიანის შინაარსზე მიუთითებს კონტრაქტის 8.2, 8.3 და 8.4 მუხლები, რომლებიც პირდაპირ მიუთითებენ ზიანის მოთხოვნის შესაძლებლობაზე.

საგულისხმოა, რომ კონტრაქტის დადებისას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინტერესი იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების პროფესიული, დისციპლინირებული, მაღალკვალიფიციური სამხედრო პერსონალით უზრუნველყოფა. მოპასუხის მხრიდან კონტრაქტის დარღვევით ვერ იქნა მიღწეული დასახელებული ინტერესი და მასზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა ფაქტობრივად უშედეგოდ დაიხარჯა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება და საქმე განსახილველად გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული დავა არ განეკუთვნება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო საჩივრის დავის საგანია ბ. თ-ავას, როგორც სამხედრო მოსამსახურის მიერ კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. თავდაცვის სამინისტროსა და ბ. თ-ავას შორის სადავო ურთიერთობის წარმოშობის საფუძველია თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ კონტრაქტი, რომლის 1.1 მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურე კისრულობს ვალდებულებას, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით კეთილსინდისიერად იმსახუროს სამინისტროს ქვედანაყოფებში, ხოლო სამინისტრო ვალდებულია, გადაუხადოს სამხედრო მოსამსახურეს შეთანხმებული ხელფასი და უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამხედრო სამსახურით და შესაბამისი პირობებით. სადავო არ არის, რომ აღნიშნული კონტრაქტი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რამდენადაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დადებულია თავისი საჯარო უფლებამოსილების განხორციელების - სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

საქმეზე დადგენილია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 13 დეკემბრის #3194 ბრძანებით სამინისტროს მეორე ქვეითი ბრიგადის სადაზვერვო ასეულის სადაზვერვო ოცეულის პირველი სადაზვერვო ოცეულის პირველი სადაზვერვო ათეულის მეთაური, ბ. თ-ავა 2005 წლის პირველი ნოემბრიდან დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის "თ" ქვეპუნქტის საფუძველზე. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა გამოდინარეობს სწორედ კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობიდან, კერძოდ, მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას ითხოვს იმ საფუძველით, რომ მხარეთა შორის დადებული 4-წლიანი კონტრაქტი მოპასუხის სურვილით შეწყდა. ამდენად, მოსარჩელე სადავოდ ხდის ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირობების შესრულებას, რაც, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტისა და 25¹ მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული დავის საგანია.

ის გარემოება, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა ემყარება სამოქალაქო კოდექსის ნორმებს, არ ნიშნავს, რომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა ამის გამო კერძოსამართლებრივ შინაარსს იძენს. დავის არსის გათვალისწინებით სადავო ურთიერთობის სამართლებრივი საფუძვლების სწორად განსაზღვრა სასამართლოს ვალდებულებაა და ამ შემთხვევაში სასამართლო მხარის მიერ დასახელებული სამართლის ნორმებით არ არის შეზღუდული. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის V თავი ("ადმინისტრაციული ხელშეკრულება") სამოქალაქო კოდექსის ნორმების გამოყენებას ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიმართ სრულიად დასაშვებად მიიჩნევს. ამ შემთხვევაში მოთხოვნის საფუძვლიანობის განსაზღვრად ძირითადი და გადამწყვეტია, პირველ რიგში შეფასდეს სწორედ მხარეთა შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირობები, ასევე ადმინისტრაციული კანონმდებლობის - "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის, "სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" კანონის, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების მოთხოვნები. მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის ნორმების გამოყენების შემდეგ არის შესაძლებელი, გაირკვეს მოთხოვნის სამოქალაქო კოდექსის ნორმებთან შესაბამისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქმე განხილულია საგნობრივი განსჯადობის წესების დარღვევით და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 11 თებერვლის განჩინება;

საქმე განსახილველად დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა

განჩინება

#ას-456-770-09

24 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 17 სექტემბერს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მოპასუხე შ. რ-მის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ მოპასუხისათვის 14 000 ლარის ოდენობით ჯარიმის, ზიანის - 2753,52 ლარისა და 14 000 ლარის 0.2%-ის პირგასამტეხლოს დაკისრება.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - შ. რ-მეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა ჯარიმა - 14000 ლარი, ასევე, დაეკისრა 2005 წლის 5 ნოემბრიდან პირგასამტეხლო ჯარიმის - 14000 ლარის 0,2% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ჯარიმის სრულ გადახდამდე; სარჩელი მოპასუხის მიერ ზიანის - 2753,52 ლარის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შ. რ-მეს შორის 2005 წლის 31 მარტს გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე, იგი გაწვეულ იქნა სამხედრო პროფესიულ სამსახურში და მიენიჭა "კაპრალის" წოდება;

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 22 ნოემბრის #3052 ბრძანების საფუძველზე, შ. რ-მე დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან 2005 წლის 25 ოქტომბრიდან "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის "თ" ქვეპუნქტის თანახმად, კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო;

შ. რ-მეზე 2005 წლის პირველი აპრილიდან 2005 წლის პირველი ნოემბრის ჩათვლით შრომის ანაზღაურების ხელფასის სახით გაცემულია 2753,52 ლარი;

პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებით, კონტრაქტის 7.3 მუხლის "ა" პუნქტის თანახმად, კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის სანქციის - ჯარიმის დაკისრება და მისი ოდენობის განსაზღვრა დაიწყებოდა მხოლოდ ერთი წლის სამსახურის გავლის შემდეგ მომდევნო სამი წლის ხელფასის სახით, საშუალოდ 14 000 ლარის ოდენობით, რაც დაანგარიშებული იქნებოდა ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად. კონტრაქტის 7.4. პუნქტის თანახმად კი სამხედრო მოსამსახურის მიერ კონტრაქტით დადგენილ ვადაში 7.3 და 7.4 პუნქტებში აღნიშ-

ნული თანხის, ე.ი. 14000 ლარის გადაუხდელობის შემთხვევაში დაერიცხებოდა პირგასამტეხლო - ამ თანხის 0,2% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მოთხოვნილი თანხების სრულ გადახდამდე. შ. რ-ძეს კონტრაქტის დარღვევის გამო 14000 ლარი უნდა გადაეხადა კონტრაქტის შეწყვეტიდან 2005 წლის 25 ოქტომბრიდან 10 დღის ვადაში, რაც არ გადაუხდია. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 181-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, შ. რ-ძეს უნდა დაკისრებოდა პირგასამტეხლო - 14000 ლარის 0,2% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ამ თანხის სრულ გადახდამდე.

სასამართლომ მოსარჩელის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ შ. რ-ძეს ზიანის სახით უნდა დაკისრებოდა 2753,52 ლარის გადახდა არ გაიზიარა, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი #721 ცნობით დადგენილად მიიჩნია, რომ აღნიშნული თანხა წარმოადგენდა შ. რ-ძის შრომის ანაზღაურებას - ხელფასს 2005 წლის პირველი აპრილიდან 2005 წლის პირველი ნოემბრის ჩათვლით, რა პერიოდშიც იგი მსახურობდა სამხედრო ქვედანაყოფში. კონტრაქტის პირველი მუხლის პირველი პუნქტის მე-4 მუხლისა და მე-5 მუხლის 1.2 პუნქტის საფუძველზე, სამხედრო მოსამსახურეს ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში უნდა მისცემოდა ანაზღაურება ხელფასის სახით, კონტრაქტის დარღვევის შემთხვევაში კი ხელფასის სახით გაცემული შრომის ანაზღაურების დაბრუნება კონტრაქტით გათვალისწინებული არ იყო, შესაბამისად, სასამართლომ მითითებულ ნაწილში სარჩელი არ დააკმაყოფილა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 22 იანვრის განჩინებით საქმე მოპასუხისათვის 2753,52 ლარის ანაზღაურების დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში განსჯადობის წესების დაცვით განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 მარტის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება ზიანის სახით მოპასუხისათვის 2753,52 ლარის ანაზღაურების დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა თავდაცვის სამინისტროს მტკიცება იმის თაობაზე, რომ შ. რ-ძის მიერ მათზე მიყენებული ზიანი უნდა განსაზღვრულიყო 2753,52 ლარით, ვინაიდან, სასამართლოს განმარტებით, სამხედრო ნაწილის მეთაურის მიერ გაცემული #721 ცნობის თანახმად, დადგენილი იყო, რომ აღნიშნული თანხა წარმოადგენდა შ. რ-ძის შრომის ანაზღაურებას ხელფასის სახით 2005 წლის პირველი აპრილიდან 2005 წლის პირველი ნოემბრის ჩათვლით. სასამართლომ მიიჩნია, რომ სამხედრო მოსამსახურეზე გაცემული ხელფასი წარმოადგენს ხელშეკრულების მონაწილე შ. რ-ძის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებას და არ წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ გაწეულ ისეთ ხარჯს, რაც დაკავშირებულია სახელმწიფოს ქონებრივ დანაკარგებთან და რაც შესაძლებელია ანაზღაურდეს სამოქალაქო კოდექსის 407-ე მუხლის შესაბამისად ხელშეკრულებიდან გასვლისას.

ვინაიდან დადასტურებული იყო, რომ თავდაცვის სამინისტრო, სააპელაციო საჩივრით ითხოვდა შ. რ-ძისათვის გაცემული ხელფასის ანაზღაურებას, პალატამ მიიჩნია, რომ ასეთი სახით ზიანის ანაზღაურება არ გამოდინარეობდა სამოქალაქო კანონმდებლობიდან და მოთხოვნა იურიდიულად გაუმართლებელი იყო, შესაბამისად, სასამართლომ სააპელაციო საჩივარი უსაფუძვლოდ ჩათვალა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილება, შემდეგი საფუძველებით:

კასატორის განმარტებით, შ. რ-ძისათვის წინასწარ იყო ცნობილი სავარაუდო ზიანი, ვინაიდან იგი გაცნობილი იყო კონტრაქტის 8.2, 8.3 და 8.4 მუხლებს, რომლებიც პირდაპირ მიუთითებენ ზიანის მოთხოვნის შესაძლებლობაზე.

საგულისხმოა, რომ კონტრაქტის დადებისას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინტერესი იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების პროფესიული, დისციპლინირებული, მაღალკვალიფიციური სამხედრო პერსონალით უზრუნველყოფა. მოპასუხის მხრიდან კონტრაქტის დარღვევით ვერ იქნა მიღწეული დასახელებული ინტერესი და მასზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა ფაქტობრივად უშედეგოდ დაიხარჯა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება და საქმე განსახილველად გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული დავა არ განეკუთვნება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო საჩივრის დავის საგანია შ. რ-მის, როგორც სამხედრო მოსამსახურის მიერ კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. თავდაცვის სამინისტროსა და შ. რ-მის შორის სადავო ურთიერთობის წარმოშობის საფუძველია თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ კონტრაქტი, რომლის 1.1 მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურე კისრულობს ვალდებულებას, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით კეთილსინდისიერად იმსახუროს სამინისტროს ქვედანაყოფებში, ხოლო სამინისტრო ვალდებულია, გადაუხადოს სამხედრო მოსამსახურეს შეთანხმებული ხელფასი და უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამხედრო სამსახურით და შესაბამისი პირობებით. სადავო არ არის, რომ აღნიშნული კონტრაქტი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რამდენადაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დადებულია თავისი საჯარო უფლებამოსილების განხორციელების - სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

საქმეზე დადგენილია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 22 ნოემბრის #3052 ბრძანებით კაპრალი შ. რ-მე 2005 წლის 25 ოქტომბრიდან დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის "თ" ქვეპუნქტის საფუძველზე. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა გამომდინარეობს სწორედ კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობიდან, კერძოდ, მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას ითხოვს იმ საფუძველით, რომ მხარეთა შორის დადებული 4-წლიანი კონტრაქტი მოპასუხის სურვილით შეწყდა. ამდენად, მოსარჩელე სადავოდ ხდის ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირობების შესრულებას, რაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტისა და 251 მუხლის თანახმად ადმინისტრაციული დავის საგანია.

ის გარემოება, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა ემყარება სამოქალაქო კოდექსის ნორმებს, არ ნიშნავს, რომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა ამის გამო კერძოსამართლებრივ შინაარსს იძენს. დავის არსის გათვალისწინებით სადავო ურთიერთობის სამართლებრივი საფუძვლების სწორად განსაზღვრა სასამართლოს ვალდებულებაა და ამ შემთხვევაში სასამართლო მხარის მიერ დასახელებული სამართლის ნორმებით არ არის შებოჭილი. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის V თავი ("ადმინისტრაციული ხელშეკრულება") სამოქალაქო კოდექსის ნორმების გამოყენებას ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიმართ სრულიად დასაშვებად მიიჩნევს. ამ შემთხვევაში მოთხოვნის საფუძვლიანობის განსაზღვრად ძირითადი და გადამწყვეტია, პირველ რიგში შეფასდეს სწორედ მხარეთა შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირობები, ასევე, ადმინისტრაციული კანონმდებლობის - "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის, "სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" კანონის, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების მოთხოვნები. მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის ნორმების გამოყენების შემდეგ არის შესაძლებელი, მოთხოვნის სამოქალაქო კოდექსის ნორმებთან შესაბამისობის გარკვევა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქმე განხილულია საგნობრივი განსჯადობის წესების დარღვევით და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 მარტის განჩინება;

საქმე განსახილველად დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა

განჩინება

#ას-515-825-09

24 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 17 დეკემბერს წყალტუბოს რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მოპასუხე ვ. ა-იანის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ მოპასუხისათვის ჯარიმის 16 092 ლარის, ზიანის - 2956,73 ლარისა და პირგასამტეხლოს 16 092 ლარის 0.2%-ის - დაკისრება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 2005 წლის 3 დეკემბრიდან.

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდ გამო.

სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საქართველოს თავდაცვის მინისტრის #1344 ბრძანებით ვ. ა-იანი 2005 წლის პირველი მაისიდან დაინიშნა კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად, მე-2 ქვეითი ბრიგადის, ჯ/სატანკო ბატალიონის სატანკო ასეულის პირველი სატანკო ოცეულის მემიზნე-ოპერატორად. 2005 წლის პირველ მაისს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ვ. ა-იანს შორის გაფორმდა ხელშეკრულება თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 21 იანვრის #71 ბრძანების საფუძველზე, ვ. ა-იანი დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან, რეზერვში (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემდგენლობის სიებიდან ამორიცხვითა და ყველა სახის კმაყოფიდან მოხსნით), 2005 წლის 22 ნოემბრიდან "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის "თ" ქვეპუნქტის თანახმად, კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო;

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 26 მარტის განჩინებით საქმე ზიანის - 2956,73 ლარის მოთხოვნის ნაწილში განსჯადობის წესების დაცვით გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას. ადმინისტრაციულმა პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ განსახილველ საქმეზე დავის საგანი იყო ზიანის ანაზღაურება, ხოლო სასარჩელო მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 7 აპრილის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება ზიანის სახით მოპასუხისათვის 2956,73 ლარის ანაზღაურების დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები მასზე, რომ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა მოსამსახურის მიერ სამხედრო სამსახურის ერთი წლის გასვლამდე კონტრაქტის მოშლისას პასუხისმგებლობას;

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე არ იყო ზიანი, რაც გამოიწვევდა ვ. ა-იანი-სათვის ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხს. ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ მაშინ, თუ სახეზეა შემდეგი პირობები: ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებელს მიუძღვის ბრალი.

მოსარჩელის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ხელშეკრულების დადებიდან მის შეწყვეტამდე პერიოდის ვ. ა-იანზე, როგორც სამხედრო მოსამსახურეზე გაწეული ხარჯები, რაც მოიცავდა აღჭურვილობის, კვებისა და სწავლების ხარჯებს, წარმოადგენს ზიანს, სასამართლომ არ გაიზიარა, ვინაიდან ამ ხარჯების გაწევა წარმოადგენდა სამინისტროს ვალდებულებას, რომლის სანაცვლოდაც ვ. ა-იანი ახორციელებდა საპასუხო შესრულებას და როგორც სამხედრო მოსამსახურე იმყოფებოდა მუდმივ მზადყოფნაში.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა აპლანტის მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ ა-იანის მიერ ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტით გამოწვეული ზიანი შეადგენდა ახალი სამხედრო მოსამსახურის მომზადებაზე გასაწევ ხარჯებს და ამ მოქმედებით გამოწვეული ქონებრივი დანაკლისის არსებობას, ვინაიდან სამოქალაქო სავროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, თავდაცვის სამინისტროს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტები არ წარმოუდგენია.

ვინაიდან დადასტურებული იყო, რომ თავდაცვის სამინისტრო, სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ვ. ა-იანისათვის გადაცემული ხელფასის ანაზღაურებას, პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული თანხა არ წარმოადგენს კონტრაქტის შეწყვეტით მიყენებულ ზიანს და, შესაბამისად, თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ვ. ა-იანის მიმართ 2956,73 ლარის ზიანის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე უსაფუძვლოდ მიიჩნია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 7 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილება, შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის განმარტებით, ვ. ა-იანისათვის წინასწარ იყო ცნობილი სავარაუდო ზიანი, ვინაიდან იგი გაცნობილი იყო კონტრაქტის 8.2, 8.3 და 8.4 მუხლებს, რომლებიც პირდაპირ მიუთითებენ ზიანის მოთხოვნის შესაძლებლობაზე.

საგულისხმოა, რომ კონტრაქტის დადებისას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინტერესი იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების პროფესიული, დისციპლინირებული, მაღალკვალიფიციური სამხედრო პერსონალით უზრუნველყოფა. მოპასუხის მხრიდან კონტრაქტის დარღვევით ვერ იქნა მიღწეული დასახელებული ინტერესი და მასზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა ფაქტობრივად უშედეგოდ დაიხარჯა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება და საქმე განსახილველად გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული დავა არ განეკუთვნება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო საჩივრის დავის საგანია ვ. ა-იანის, როგორც სამხედრო მოსამსახურის მიერ კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. თავდაცვის სამინისტროსა და ვ. ა-იანს შორის სადავო ურთიერთობის წარმოშობის საფუძველია თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ კონტრაქტი, რომლის 1.1 მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურე კისრულობს ვალდებულებას, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით კეთილსინდისიერად იმსახუროს სამინისტროს ქვედანაყოფებში, ხოლო სამინისტრო ვალდებულია, გადაუხადოს სამხედრო მოსამსახურეს შეთანხმებული ხელფასი და უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამხედრო სამსახურით და შესაბამისი პირობებით. სადავო არ არის, რომ აღნიშნული კონტრაქტი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რამდენადაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დადებულია თავისი საჯარო უფლებამოსილების განხორციელების - სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

საქმეზე დადგენილია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 21 იანვრის #71 ბრძანებით მეორე ქვეითი ბრიგადის, ჯ/სატანკო ბატალიონის ასეულის პირველი სატანკო ოცეულის მემიზნე-ოპერატორი ვ. ა-იანი 2005 წლის 22 ნოემბრიდან დათხოვნილ იქნა შეიარაღებული

ძალების რიგებიდან, რეზერვში, კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის "თ" ქვეპუნქტის საფუძველზე. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა გამომდინარეობს სწორედ კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობიდან, კერძოდ, მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას ითხოვს იმ საფუძველით, რომ მხარეთა შორის დადებული 4-წლიანი კონტრაქტი მოპასუხის სურვილით შეწყდა. ამდენად, მოსარჩელე სადავოდ ხდის ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირობების შესრულებას, რაც, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტისა და 25¹ მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული დავის საგანია.

ის გარემოება, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა ემყარება სამოქალაქო კოდექსის ნორმებს, არ ნიშნავს, რომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა ამის გამო კერძოსამართლებრივ შინაარსს იძენს. დავის არსის გათვალისწინებით სადავო ურთიერთობის სამართლებრივი საფუძვლების სწორად განსაზღვრა სასამართლოს ვალდებულებაა და ამ შემთხვევაში სასამართლო მხარის მიერ დასახელებული სამართლის ნორმებით არ არის შებოჭილი. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის V თავი ("ადმინისტრაციული ხელშეკრულება") სამოქალაქო კოდექსის ნორმების გამოყენებას ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიმართ სრულიად დასაშვებად მიიჩნევს. ამ შემთხვევაში მოთხოვნის საფუძვლიანობის განსაზღვრად ძირითადი და გადამწყვეტია, პირველ რიგში შეფასდეს სწორედ მხარეთა შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირობები, ასევე ადმინისტრაციული კანონმდებლობის - "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის, "სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" კანონის, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების მოთხოვნები. მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის ნორმების გამოყენების შემდეგ არის შესაძლებელი, გაირკვეს მოთხოვნის სამოქალაქო კოდექსის ნორმებთან შესაბამისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქმე განხილულია საგნობრივი განსჯადობის წესების დარღვევით და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 7 აპრილის განჩინება;

საქმე განსახილველად დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა

განჩინება

#ას-638-945-09

28 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი**

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 24 დეკემბერს წყალტუბოს რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მოპასუხე ფ. ფ-მის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა

სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ მოპასუხისათვის ჯარიმის - 14 160.96 ლარის, ზინის - 2 753.52 ლარისა და პირგასამტეხლოს - 14 160.96 ლარის 0.2%-ის დაკისრება.

მოსარჩელის ზემოაღნიშნული მოთხოვნების საფუძველები მდგომარეობდა შემდეგში:

ფ. ფ-მე საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 13 ივლისის #1959 ბრძანებით 2005 წლის 1 ივლისიდან გაწვეულ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში და კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად დაინიშნა თავდაცვის სამინისტროს მეორე ქვეითი ბრიგადის სამტაბო ასეულის დაცვის ოცეულის პირველი ათეულის მსროლელად, სამხედრო წოდება "კაპრალის" მინიჭებით;

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 26 იანვრის #114 ბრძანებით კაპრალი ფ. ფ-მე 2006 წლის 10 იანვრიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში;

სამხედრო ნაწილის მეთაურის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, ფ. ფ-მემ 2005 წლის 1 ივლისიდან 2006 წლის 10 იანვრის ჩათვლით ხელფასის სახით მიიღო 2 753.52 ლარი;

მოპასუხის სამხედრო სამსახურში ნამსახურობის ვადამ შეადგინა 6 თვე და 9 დღე.

სამხედრო მოსამსახურესთან დადებული ხელშეკრულების 7.3 პუნქტის თანახმად, კონტრაქტის შეწყვეტის შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურეს ეკისრება ვალდებულება, ანაზღაუროს მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის თანხა, რაც მოცემულ შემთხვევაში 14 160.96 ლარს შეადგენდა. კონტრაქტის 7.4 მუხლით სამხედრო მოსამსახურის მიერ 7.3 და 7.4 მუხლებში აღნიშნული თანხების ამავე მუხლებით დადგენილ ვადებში დაფარვის ვალდებულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მათ დაერიცხება პირგასამტეხლო - 0.2%, ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე. რამდენადაც ფ. ფ-მეს თანხა უნდა გადაეხადა კონტრაქტის შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ე.ი. 2006 წლის 21 იანვრამდე, რაც არ გადაუხდია, კონტრაქტის 7.4 მუხლიდან გამომდინარე, მას უნდა დაკისრებოდა პირგასამტეხლო 0.2% ყოველდღიურად 2006 წლის 21 იანვრიდან მოთხოვნილი თანხის გადახდამდე.

რაც აშეეხებოდა ზიანის სახით გადასახდელ 2 753.52 ლარს, ეს იყო თანხა, რაც დაიხარჯა სამხედრო მოსამსახურის - ფ. ფ-მის მომზადებაზე და რომლის ხელახლა გაღება სამინისტროს მოუწია მის ნაცვლად ახალი სამხედრო მოსამსახურის გაწვრთნის გამო, ვინაიდან ახალი სამხედრო მოსამსახურის გაწვრთნა დამატებით ხარჯებთან იყო დაკავშირებული. დასახელებულ მოთხოვნასთან მიმართებით მოსარჩელე მიუთითებდა სამოქალაქო კოდექსის 394.1, 407-ე, 414-ე მუხლებზე და მათზე დაყრდნობით მოპასუხისაგან ზემომითითებული ოდენობით ზიანის ანაზღაურებას მოითხოვდა.

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 19 მარტის განჩინებით ადმინისტრაციული საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნა ფ. ფ-მის მიმართ ხელშეკრულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების შესახებ და განსჯადობით განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ განსახილველ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და სამხედრო მოსამსახურეს შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ამასთან, სასარჩელო მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველ საქმეზე შესამოწმებელი იყო მოთხოვნის სამოქალაქო კოდექსის ნორმებთან შესაბამისობა, რაც სამოქალაქო საქმეთა პალატის კომპეტენციას წარმოადგენდა. ასეთ დასკვნას განაპირობებდა სასამართლო წესით დასაცავი უფლების მატერიალური შინაარსი, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა და უფლებები, რომელთა დასაცავადაც აღიძრა სარჩელი. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ ნაწილში დავა სამოქალაქო ხასიათის იყო, რის შესაბამისადაც არ არსებობდა დავის გადაწყვეტისათვის ადმინისტრაციული კანონმდებლობის გამოყენების საჭიროება.

საქმის განსჯადი სასამართლოსათვის გადაცემის საკითხის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა დაეყრდნო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, ასევე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლებს, რომელთა განმარტების შედეგადაც

ზიანის ანაზღაურების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნა განსახილველად ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას დაუქვემდებარა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 აპრილის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო მისი ვადაზე ადრე შეწყვეტას უნდა მოეცვა სამართალდარღვევის შემადგენლობის ყველა მახასიათებელი ელემენტები: მართლსაწინააღმდეგობა, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი და ბრალი.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ფ. ფ-მემ ბრალეულად დაარღვია კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები, რაც სავსებით დასტურდებოდა საქმეში არსებული მტკიცებულებებით, ანუ სახეზე იყო სამართალდარღვევის ისეთი შემადგენელი ელემენტები, როგორც იყო მართლსაწინააღმდეგობა და ბრალი.

მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე არ იყო ზიანი, რაც გამოიწვევდა ფ. ფ-მის ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხს. შესაბამისად, არ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლზე მითითებით განმარტა, რომ ზიანი წარმოადგენდა სამართალდარღვევის შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს, თუ არ იქნებოდა ზიანი, არც ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლებოდა დამდგარიყო. ანაზღაურებას კი ექვემდებარებოდა მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენდა ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა თავდაცვის სამინისტროს მტკიცება იმის თაობაზე, რომ ფ. ფ-მის მიერ მათზე მიყენებული ზიანი უნდა განსაზღვრულიყო 2 753.52 ლარით, რაც ახალი სამხედრო მოსამსახურის დამზადებისათვის დამატებით დახარჯულ თანხას წარმოადგენდა. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოპასუხის აღნიშნული მოსაზრება არ იყო გამყარებული შესაბამისი მტკიცებულებებით.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგინებულად მიიჩნია, რომ ფ. ფ-მის სამხედრო მოსამსახურე ნამსახურობის ვადა შეადგენდა 6 თვესა და 9 დღეს, რის სანაცვლოდაც მან მიიღო ანაზღაურება 2 753.52 ლარის ოდენობით. მოპასუხე ამ დროის განმავლობაში დასაქმებული იყო საქართველოს შეიარაღებულ ძალებში და ასრულებდა სამუშაოს, რისთვისაც დამსაქმებლის მიერ ხელფასის სახით გადახდილ იქნა 2 753.52 ლარი, ანუ მხარეს ხელფასის სახით გადახდილი თანხის შესაბამისი სამუშაო 6 თვისა და 9 დღის განმავლობაში შესრულებული ჰქონდა და ზიანის სახით აღნიშნული თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნა ეწინააღმდეგებოდა, როგორც საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ შრომის სამართლიანი ანაზღაურების პრინციპს, ისე, მოქმედ შრომით კანონმდებლობას.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, შრომის კონტრაქტის შესაბამისი დებულებებით ასევე დასტურდებოდა, რომ სამხედრო მოსამსახურე კონტრაქტის დადებიდან უზრუნველყოფილი იყო ხელფასით. სამხედრო მოსამსახურისათვის ხელფასის სახით მიცემული თანხა კი არ შეიძლებოდა განხილულიყო როგორც ზიანი, რადგან აღნიშნული თანხა წარმოადგენდა გაწეული შრომის კომპენსაციას.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ვერ ამტკიცებდა, თუ რა თანხა იქნა დახარჯული ფ. ფ-მის, როგორც სამხედრო მოსამსახურის, მომზადებაში, კონტრაქტის დარღვევის შემდეგ მოამზადა თუ არა ახალი სამხედრო მოსამსახურე, რა თანხა დაიხარჯა მის მომზადებაში და საერთოდ, კონტრაქტის დარღვევით მიიღო თუ არა თავდაცვის სამინისტრომ მატერიალური (ქონებრივი) ზიანი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ზიანის ანაზღაურების ნაწილში დაუსაბუთებელი იყო და დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის მოსაზრებით, სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო დაეკმაყოფილებინა მოსარჩელის მოთხოვნა მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ შემდეგი მოტივებით:

ა. მოვალისათვის წინასწარ იყო ცნობილი სავარაუდო ზიანი, რადგან ფ. ფ-მე გაცნობილი იყო კონტრაქტის 8.2 და 8.3 მუხლების შინაარსს, რომლებიც პირდაპირ მიუთითებენ სავარაუდო ზიანის მოთხოვნის შესაძლებლობაზე, თუ ის დაარღვევდა კონტრაქტის პირობებს.

ბ. კონტრაქტის დადებისას თავდაცვის სამინისტროს ინტერესი იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების პროფესიული, დისციპლინირებული, მაღალკვალიფიციური სამხედრო პერსონალით უზრუნველყოფა.

ზემოაღნიშნული მიზნის შესასრულებლად საქართველოს თავდაცვის სამინისტრო უზრუნველყოფდა საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურის ეტაპობრივ წვრთნასა და მომზადებას ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ხარჯზე. მნიშვნელოვნად გაიზარდა სამხედრო მოსამსახურის მომზადებაზე დასახარჯი თანხების ისეთი აუცილებელი კომპონენტი, როგორცაა ხელფასი. ხელფასის ზრდა გამოწვეული იყო სწორედ იმ გარემოებით, რომ პირი, რომელიც ვალდებულებას კისრულობდა სრული 4 წლის ვადით ემსახურა სამხედრო მოსამსახურედ, მოცემული დროის განმავლობაში მიიღებდა შესაბამისი ოდენობის ანაზღაურებას, რომლის გაცემა განხორციელდებოდა ეტაპობრივად და არ იქნებოდა ანალოგიური ოდენობის, თუ სამხედრო მოსამსახურე სხვა უფრო მოკლე ვადით სამსახურის გავლის ვალდებულებას იკისრებდა.

კასატორის მითითებით, მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით განპირობებული კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტით თავდაცვის სამინისტრომ ვერ მიაღწია მიზანს, კერძოდ, ვერ მიიღო პროფესიულად გაწვრთნილი სამხედრო მოსამსახურე, ხოლო მის მომზადებაზე საბიუჯეტო თანხები უშედეგოდ დაიხარჯა და იმავე დონის სამხედრო მოსამსახურის მომზადებაზე იძულებული გახდა კვლავ გაეწია შესაბამისი დანახარჯი. საქართველოს კონსტიტუციის 98-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სამხედრო ძალების რაოდენობას ყოველწლიურად ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი. "საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობის დამტკიცების შესახებ" 2004 წლის 29 დეკემბრის კანონით 2005 წელს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობა განისაზღვრა 23 000-ით, ხოლო "საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობის დამტკიცების შესახებ" 2005 წლის 9 დეკემბრის კანონით 2006 წელს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობა განისაზღვრა 28 000-ით. აქედან გამომდინარე, ფ. ფ-მის საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის გამო, "საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობის დამტკიცების შესახებ" 2004 წლის 29 დეკემბრისა და 2005 წლის 9 დეკემბრის კანონებით განსაზღვრული თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის რაოდენობის შენარჩუნების მიზნით სამინისტროს მოუწია სხვა სამხედრო მოსამსახურესთან ახალი კონტრაქტის გაფორმება და მოპასუხეზე მოთხოვნილი თანხის ხელახლა დახარჯვა (მათ შორის ხელფასის და სხვა თანხების) ახალი სამხედრო მოსამსახურის სამხედრო მომზადების იმ დონემდე მისაღწევად, რაც ჰქონდა მიღწეული მოპასუხეს შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნისას. ამდენად, უსაფუძვლო იყო სასამართლოს მოსაზრება, თითქოს ახალი სამხედრო მოსამსახურის მომზადებისას გაცემული ხელფასი არ არის მიზეზობრივ კავშირში მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან.

კასატორის მოსაზრებით, ასევე არასწორია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ მოსარჩელის მოთხოვნას საფუძვლად არ უდევს სათანადო მტკიცებულებები. ამგვარი დავების თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ სამინისტროს მოთხოვნები ეფუძნება არა ფაქტობრივ მტკიცებულებებს, არამედ ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ, სამხედრო მოსამსახურეების სოციალური და სახელფასო უზრუნველყოფის მარეგულირებელ ნორმებს, ასევე, სახელმწიფოს ინტერესს, რაც გამოხატულია პროფესიული/საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურისათვის მაღალი ხელფასის დაწესებაში. ყოველივე აღნიშნული დამატებითი მტკიცებულების წარდგენას არ საჭიროებს.

კასატორის განმარტებით, კანონისმიერი მტკიცებულებანი თავისი შინაარსით უტოლდება საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, თავად სამინისტრო გათავისუფლებულია ამ ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენისაგან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება და საქმე განსახილველად გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული დავა არ განეკუთვნება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო საჩივრის დავის საგანია ფ. ფ-მის, როგორც სამხედრო მოსამსახურის მიერ კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. თავდაცვის სამინისტროსა და ფ. ფ-მის შორის სადავო ურთიერთობის წარმოშობის საფუძველია თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო მოსამსახურის გავლის შესახებ კონტრაქტი, რომლის 1.1 მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურე კისრულობს ვალდებულებას, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით კეთილსინდისი-

რად იმსახუროს სამინისტროს ქვედანაყოფებში, ხოლო სამინისტრო ვალდებულია, გადაუხადოს სამხედრო მოსამსახურეს შეთანხმებული ხელფასი და უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამხედრო სამსახურით და შესაბამისი პირობებით. სადავო არ არის, რომ აღნიშნული კონტრაქტი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რამდენადაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დადებულია თავისი საჯარო უფლებამოსილების განხორციელების – სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

საქმეზე დადგენილია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 26 იანვრის #114 ბრძანებით სამინისტროს მე-2 ქვეითი ბრიგადის საშტაბო ასეულის დაცვის ოცეულის პირველი ათეულის მსროლელი, კაპრალი ფ. ფ-ძე დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის "თ" ქვეპუნქტის საფუძველზე. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა გამომდინარეობს სწორედ კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობიდან, კერძოდ, მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას ითხოვს იმ საფუძველით, რომ მხარეთა შორის დადებული 4-წლიანი კონტრაქტი მოპასუხის სურვილით შეწყდა. ამდენად, მოსარჩელე სადავოდ ხდის ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირობების შესრულებას, რაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტისა და 25¹ მუხლის თანახმად ადმინისტრაციული დავის საგანია.

ის გარემოება, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა ემყარება სამოქალაქო კოდექსის ნორმებს, არ ნიშნავს, რომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა ამის გამო კერძოსამართლებრივ შინაარსს იძენს. დავის არსის გათვალისწინებით სადავო ურთიერთობის სამართლებრივი საფუძველების სწორად განსაზღვრა სასამართლოს ვალდებულებაა და ამ შემთხვევაში სასამართლო მხარის მიერ დასახელებული სამართლის ნორმებით არ არის შებოჭილი. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის V თავი ("ადმინისტრაციული ხელშეკრულება") სამოქალაქო კოდექსის ნორმების გამოყენებას ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიმართ სრულიად დასაშვებად მიიჩნევს. ამ შემთხვევაში მოთხოვნის საფუძველიანობის განსაზღვრად გადამწყვეტია, პირველ რიგში შეფასდეს სწორედ მხარეთა შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირობები, ასევე ადმინისტრაციული კანონმდებლობის – "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის, "სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" კანონის, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების მოთხოვნები. მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის ნორმების გამოყენების შემდეგ არის შესაძლებელი, გაირკვეს მოთხოვნის სამოქალაქო კოდექსის ნორმებთან შესაბამისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქმე განხილულია საგნობრივი განსჯადობის წესების დარღვევით და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საპროცესო საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 აპრილის განჩინება;

საქმე განსახილველად დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა

განჩინება

#ას-281-603-09

1 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 28 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ს. ხ-იდის მიმართ და ზიანის ანაზღაურება მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, 2005 წლის 30 მარტს, ს. ხ-იდმა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან გააფორმა კონტრაქტი 4 წლის ვადით. კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, მხარეებს ეკისრებოდათ პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

გაწეული საქმიანობისათვის გასამრჯელო, კონტრაქტის მოქმედების ვადა და მისი ვადამდე შეწყვეტის პირობები განისაზღვრა კონტრაქტის ძალაში შესვლის დღიდან. მოსარჩელემ მიუთითა, რომ მოპასუხე ს. ხ-იდმა დაარღვია რა კონტრაქტის პირობები, ვალდებულია, ხელშეკრულების 7.3 მუხლის თანახმად, აუნაზღაუროს თავდაცვის სამინისტროს მასზე დაკისრებული თანხა, რომელიც შეადგენს 5128,60 ლარს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 22 თებერვლის განჩინებით, საქმე განსჯადობით გადაეცა ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

2007 წლის 7 მაისს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხის - ს. ხ-იდის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაკისრებოდა მიყენებული ზიანის - 4902,33 ლარის ანაზღაურება.

მოპასუხე ს. ხ-იდმა სასარჩელო განცხადება არ ცნო და მოითხოვა მოარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 18 მარტის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ დადგინილად ცნო, რომ 2005 წლის 30 მარტს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ს. ხ-იდის შორის დაიდო ადმინისტრაციული ხელშეკრულება (კონტრაქტი) თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვეგანყოფილებაში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ. 2006 წლის 21 თებერვალს ს. ხ-იდი პირადი განცხადების საფუძველზე, მძიმე ოჯახური პირობების გამო, დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან.

სააპელაციო პალატამ დადგინილად ცნო ასევე, რომ ს. ხ-იდიზე სამხედრო სამსახურის გავლის დროს ხელფასის სახით 2005 წლის 1 აპრილიდან 2006 წლის 28 თებერვლის ჩათვლით გაცემულია 5128 ლარი და 60 თეთრი.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ს. ხ-იდის შორის დადებული 2005 წლის 30 მარტის ხელშეკრულება თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვეგანყოფილებაში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ, არ ითვალისწინებს მოსამსახურის მიერ სამხედრო სამსახურის ერთი წლის გასვლამდე კონტრაქტის მოშლისას პასუხისმგებლობას.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ნოემბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატის 2008 წლის 18 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ ხელშეკრულება, არ განსაზღვრავდა პასუხისმგებლობას მოსამსახურის მხრიდან ერთი წლის გასვლამდე კონტრაქტის შეწყვეტის პირობებში, რისი გათვალისწინებითაც, ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა უსაფუძვლოდ წარმოადგენდა და არ არსებობდა მისი დაკმაყოფილების სამართლებრივი წინამძღვრები.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლების დაზუსტების აუცილებლობაზე და განმარტა, რომ თუ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა ემყარებოდა სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებს, ამ შემთხვევაში სასამართლო მსჯელობის საგნად უნდა გამხდარიყო მითითებული ნორმებიდან გამომდინარე, ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა იძლეოდა თუ არა სამართალდარღვევის შემადგენლობის ყველა იმ მახასიათებელ აუცილებელ ელემენტს, როგორცაა მართლსაწინააღმდეგობა ზიანი და მიზეზობრივი კავშირი. ამასთან, ანაზღაურდებოდა მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენდა ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს, ხოლო, თუ არ არსებობდა ზიანი, არ შეიძლებოდა დამდგარიყო ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

ქუთაისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 დეკემბრის განჩინებით, მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 იანვრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულების დადებიდან მის შეწყვეტამდე პერიოდში ს. ხ-იდიზე, როგორც სამხედრო მოსამსახურისათვის, გაწეული ხარჯები, რაც მოიცავდა აღჭურვილობის, კვებისა და სწავლების ხარჯებს, წარმოადგენს ზიანს, ვინაიდან მიიჩნია, რომ ამ ხარჯების გაწევა სამინისტროს ევალებოდა, რომლის სანაცვლოდაც ს.ხ-იდი, როგორც სამხედრო მოსამსახურე, იმყოფებოდა მუდმივ მზადყოფნაში.

სააპელაციო პალატამ ასევე არ გაიზიარა მოსარჩელის მითითება იმის თაობაზე, რომ ს. ხ-იდის მიერ ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტით გამოწვეული ზიანი შეადგენს ახალი სამხედრო მოსამსახურის მომზადებაზე გასაწევ ხარჯებს და ამ მოქმედებით გამოწვეული ქონებრივი დანაკლისის არსებობას, ვინაიდან მიიჩნია, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად მოსარჩელეს არ წარმოუდგენია აღნიშნულის დამადასტურებელი სათანადო მტკიცებულებები.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ, მართალია, განსახილველ შემთხვევაში ს. ხ-იდიმ კონტრაქტი ვადაზე ადრე შეწყვიტა, მაგრამ ამ მოქმედებას არ გამოუწვევია ზიანი, რაც გამოიწვევდა მის ქონებრივ პასუხისმგებლობას.

ვინაიდან თავდაცვის სამინისტრომ, თავისი მოთხოვნის დასადასტურებლად მიუთითა 2006 წლის 21 მარტის #99 ცნობაზე, სადაც დაფიქსირებულია ს.ხ-იდის მიერ შრომის ანაზღაურების სახით აღებული თანხები, პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული მტკიცებულება არ შეიძლება ჩაითვალოს იმის დასადასტურებლად, რომ ეს თანხები წარმოადგენენ კონტრაქტის შეწყვეტით მიყენებულ ზიანს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 იანვრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლი. კასატორის მოსაზრებით, მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი სავარაუდო ზიანი, ვინაიდან კონტრაქტის 8.2, 8.3 და 8.4 მუხლებს, რომლებიც პირდაპირ მიუთითებენ ზიანის მოთხოვნის შესაძლებლობაზე, იგი იცნობდა.

კასატორის მოსაზრებით, საგულისხმოა, რომ კონტრაქტის დადებისას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინტერესი იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების პროფესიული, დისციპლინებული, მაღალკვალიფიციური სამხედრო პერსონალით უზრუნველყოფა. მოპასუხის მხრიდან კონტრაქტის დარღვევით ვერ მიაღწიეს შედეგს და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა ფაქტობრივად უშედეგოდ დაიხარჯა. როდესაც სამხედრო მოსამსახურე ვადაზე ადრე შეწყვეტს კონტრაქტს, აუცილებელია მოხდეს გათავისუფლებული ადგილის შევსება, ხოლო ამ ყველაფერს დამატებით თანხები ესაჭიროება, თუნდაც ეს იყოს ხელფასი და სხვა სახის დანამატები. სწორედ აქედან გამომდინარეობს თავდაცვის სამინისტროსადმი მიყენებული ზიანი, რადგან ახალი სამხედრო მოსამსახურის გაწრთვანა დამატებით და ახალ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება და საქმე განსახილველად გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული დავა არ განეკუთვნება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო საჩივრის დავის საგანია ს. ხ-იდის, როგორც სამხედრო მოსამსახურის მიერ კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. თავდაცვის სამინისტროსა და ს. ხ-იდის შორის სადავო ურთიერთობის წარმოშობის საფუძველია თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ კონტრაქტი, რომლის 3.1 მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურე კისრულობს ვალდებულებას, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით კეთილსინდისიერად იმსახუროს სამინისტროს ქვედანაყოფებში, ხოლო სამინისტრო ვალდებულია, გადაუხადოს სამხედრო მოსამსახურეს შეთანხმებული ხელფასი და უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამხედრო სამსახურითა და შესაბამისი პირობებით. სადავო არ არის, რომ აღნიშნული კონტრაქტი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რამდენადაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დადებულია თავისი საჯარო უფლებამოსილების განხორციელების – სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

საქმეზე დადგენილია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ს. ხ-იდის შორის 2005 წლის 30 მარტს დაიდო ხელშეკრულება (კონტრაქტი) სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ. ხელშეკრულების 3.1 მუხლის თანახმად, ს. ხ-იდი, როგორც სამხედრო მოსამსახურის სამსახურის ვადა შეადგენდა 4 წელს, რომელიც აითვლებოდა ხელეკრულების გაფორმების თარიღიდან ანუ 2005 წლის 30 მარტიდან.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 6 აპრილის #882 ბრძანებით სერჟანტი ს. ხ-იდი 2006 წლის 21 თებერვლიდან დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის "თ" ქვეპუნქტის საფუძველზე.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა გამომდინარეობს სწორედ კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობიდან, კერძოდ, მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას ითხოვს იმ საფუძველით, რომ მხარეთა შორის დადებული 4-წლიანი კონტრაქტი მოპასუხის სურვილით შეწყდა. ამდენად, მოსარჩელე სადავოდ ხდის ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირობების შესრულებას, რაც, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტისა და 25¹ მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული დავის საგანია.

ის გარემოება, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა ემყარება სამოქალაქო კოდექსის ნორმებს, არ ნიშნავს, რომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა ამის გამო კერძოსამართლებრივ შინაარსს იძენს. დავის არსის გათვალისწინებით სადავო ურთიერთობის სამართლებრივი საფუძვლების სწორად განსაზღვრა სასამართლოს ვალდებულებაა და ამ შემთხვევაში სასამართლო მხარის მიერ დასახელებული სამართლის ნორმებით არ არის შეზღუდული. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის V თავი ("ადმინისტრაციული ხელშეკრულება") სამოქალაქო კოდექსის ნორმების გამოყენებას ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიმართ სრულიად დასაშვებად მიიჩნევს. ამ შემთხვევაში მოთხოვნის საფუძვლიანობის განსაზღვრად ძირითადი და გადამწყვეტია, პირველ რიგში შეფასდეს სწორედ მხარეთა შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირობები, ასევე ადმინისტრაციული კანონმდებლობის – "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის, "სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" კანონის, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების მოთხოვნები. მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის ნორმების გამოყენების შემდეგ არის შესაძლებელი, გაირკვეს მოთხოვნის სამოქალაქო კოდექსის ნორმებთან შესაბამისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქმე განხილულია საგნობრივი განსჯადობის წესების დარღვევით და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 იანვრის განჩინება;

საქმე განსახილველად დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა

განჩინება

#ას-334-654-09

08 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა, პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების გავრცელების და ჯანმრთელობისათვის ვნების გამო მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

დ. ხ-ძის მეურვემ - თ. ხ-ძემ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხეების: საპატრულო პოლიციის, შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2-ის“, თ. ჩ-შვილის, გ. ჩ-შვილის მიმართ და აღნიშნა, რომ 2005 წლის 17 ივნისს ტელეკომპანია რუსთავი-2-ის ეთერში გავიდა გადაცემა „პატრული“, მასში ასახული იყო მცხეთის რაიონის სოფელ გლდანში ე.წ. ქურდობის ჩადენის ფაქტი; სიუჟეტის მიხედვით, ქურდობა ჩაიდინა დ. ხ-ძემ, რასაც თ. ხ-ძის განმარტებით არ მომხდარა. ამასთან, მან აღნიშნა, რომ მისი ძმა - დ. ხ-ძე დაავადებულია პარანოიდული შიზოფრენიით, იგი სასამართლოს მიერ ცნობილია ქმედუუნაროდ და 2006 წლის 4 ოქტომბერს დანიშნულია მის მეურვედ. მოსარჩელემ მიუთითა, რომ ტიტრებით ტელეკომპანია „რუსთავი-2“ მხარს უჭერდა საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებს და სოფელ გლდანის მოსახლეობას. მისი შეფასებით, ამ გადაცემით აშკარად დაირღვა პირის - დ. ხ-ძის უდანაშაულობის პრეზუმფცია, ამას გარდა, მოპასუხეების ქმედება იყო განზრახვი, რადგან მათ კარგად იცოდნენ, რომ უხეშად არღვევდნენ და ხელყოფდნენ დ. ხ-ძის კონსტიტუციურ უფლებებს; აღნიშნულით შელახეს მისი პატივი და ღირსება და, ამას გარდა, მის ჯანმრთელობას მიაყენეს ვნება; კერძოდ, სიუჟეტში აღნიშნა და თვით მოპასუხეებმა - თ. და გ. ჩ-შვილებმა დაადასტურეს დ. ხ-ძის ცემის ფაქტი. მოსარჩელემ ასევე აღნიშნა, რომ ამ გადაცემის შემდეგ უარესი შედეგი დადგა, რადგან სიუჟეტის ეთერში გასვლის შედეგად საზოგადოება დ. ხ-ძეს აღიქვამს კრიმინალურ პიროვნებად და მას შიშის გამო სოფლის ტერიტორიაზე დამოუკიდებლად გადაადგილება აღარ შეუძლია. ამ შემთხვევის შემდეგ გაუარესდა მისი ჯანმრთელობა, რაც უშუალოდ მიზეზობრივ კავშირშია მოპასუხეების მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან, კერძოდ დ. ხ-ძის მიმართ 2005 წლის 14 ივნისს განხორციელებულ ძალადობასთან და ცილისწამებასთან.

მოსარჩელემ მოითხოვა შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2-ს“, საპატრულო პოლიციას, თ. ჩ-შვილს და გ. ჩ-შვილს, დავალებოდათ ტელეკომპანიის ეთერში გადაცემაში „პატრული“ საჯაროდ უარყოფა იმისა, რომ დ. ხ-ძემ ჩაიდინა ქურდობა. ასევე დ. ხ-ძის სასარგებლოდ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2-ს“, საპატრულო პოლიციას დაკისრებოდა თითოეულს - 50.000 ლარის ხოლო - თ. და გ. ჩ-შვილებს სოლიდარულად - 20.000 ლარის გადახდა.

მოცემული დავა განსჯადობის წესების დაცვით განსახილველად გადაეგზავნა უფლებამოსილ სასამართლოს - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 მაისის საოქმო განჩინებით, მოცემულ საქმეში არასათანადო მოპასუხე - საპატრულო პოლიცია, შეიცვალა სათანადო მოპასუხით - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროთი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით, დ. ხ-მის მეურვის, თ. ხ-მის სარჩელი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2-ის“ მიმართ ცნობების უარყოფსა და მოპასუხეებზე მორალური ზიანის ასანაზღაურებლად თითოეულზე 50.000 ლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. ამავე გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი თ. და გ. ჩ-შვილების მიმართ ცნობების უარყოფისა და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად მათზე სოლიდარულად 20.000 ლარის დაკისრების ნაწილში; კერძოდ, თ. ჩ-შვილს დაეკისრა დ. ხ-მის სასარგებლოდ 1.200 ლარის გადახდა მორალური ზიანის ასანაზღაურებლად, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივრები წარადგინეს დ. ხ-მის მეურვემ თ. ხ-მემ და თ. ჩ-შვილმა. თ. ხ-მემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება. თ. ჩ-შვილმა მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილების (თ. ჩ-შვილისათვის დ. ხ-მის სასარგებლოდ 1.200 ლარის დაკისრების) ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დ. ხ-მის მეურვის თ. ხ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. თ. ჩ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა ამ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება დ. ხ-მის მეურვის თ. ხ-მის სარჩელის დაკმაყოფილების - თ. ჩ-შვილზე მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 1200 ლარის დაკისრების ნაწილში. დანარჩენ ნაწილში 2007 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებები და შეფასებები დ. ხ-მის მეურვის - თ. ხ-მის სარჩელის, მოპასუხეების - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2-ის“ მიმართ დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად გამოიყენა და განმარტა საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“; შესაბამისად, პალატა არ დაეთანხმა თ. ხ-მის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ რადგან სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დ. ხ-მის მიმართ უდანაშუალოების პრეზუმციის დარღვევის ფაქტი, მოსარჩელის მოთხოვნა უარყოფის თაობაზე ცნობების გამოქვეყნების, ასევე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ უნდა დაკმაყოფილებულიყო. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. სასარჩელო განცხადების და საქმის მასალების მიხედვით კი მოსარჩელე მოითხოვდა მოპასუხეებს - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, შპს სამაუწყებლო კომპანიის „რუსთავი 2-ს“ დაკისრებოდა პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფას და არაქონებრივი ზიანის სახით თითოეულს 50.000 ლარის გადახდას. საქართველოს კანონის „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ მე-17 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ცილისწამებასთან დაკავშირებით მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნება სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ; მოცემულ შემთხვევაში პალატის განმარტებით, აღნიშნული არ წარმოადგენდა მოსარჩელის მოთხოვნას.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ დასაბუთებულია. კერძოდ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქმედებაში ადგილი არ ჰქონია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილით („სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვისაც“) განსაზღვრულ პირობებს და შესაბამისად, მის მიმართ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველიც არ არსებობდა.

სააპელაციო სასამართლო ასევე დაეთანხმა მოპასუხის - შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2-ის“ მიმართ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს დასკვნებს, რაც გამომდინარეობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2-ს“ შორის 2004 წლის 20 სექტემბრის ხელშეკრულების შეფასებიდან; კერძოდ, სამაუწყებლო კომპანიის მიერ არ დარღვეულა აღნიშნული ხელშეკრულების 3.2 მუხლით ნაკისრი ვალდებულება, რომლის თანახმად, მას ისე უნდა გაეგრძელებინა საკუთარი ეთერით გადაცემა, რომ არ მომხდარიყო კანონმდებლობით დადგენილი პირადი, პროფესიული, კომერციული და სახელმწიფო

საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გამჟღავნება. აღნიშნული სახის ინფორმაციის გამჟღავნება არ წარმოადგენდა მოცემული დავის საგანს, რაც შეეხება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლზე მითითებას, პალატამ გაიზიარა საქმის განმხილველი სასამართლოს შეფასება, რომ მხარეთა შორის დავა არ გამოუწვევია დ. ხ-მის მიერ საქონლის წაყვანის ფაქტის გადაცემას, სადავოს წარმოადგენდა სიუჟეტში ამ ფაქტის შეფასება, რაც ტელეკომპანიის მიერ არ განხორციელებულა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხეების - თ. და გ. ჩ-შვილების მიმართ სასარჩელო მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების, კერძოდ, თ. ჩ-შვილზე მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 1.200 ლარის დაკისრების ნაწილში დაუსაბუთებელია.

სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეულ გარემოებას თ. ჩ-შვილის მიერ დ. ხ-მის ცემის ფაქტთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება საქმის მასალებში არ არის წარმოდგენილი. ის გარემოება, რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის 2005 წლის 17 ივნისი - 4 ივლისის #224 დასკვნაში მითითებულია დ. ხ-მისთვის მსუბუქი ხასიათის სხეულის დაზიანებების მიყენების ფაქტი, პალატის განმარტებით არ ადასტურებს მისთვის ამ დაზიანებების უშუალოდ თ. ხ-მის მიერ მიყენების ფაქტს; რაც შეეხება აღიარებას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სამოქალაქო დავის სასამართლოში განხილვისას, მხარემ შეიძლება სცნოს რომელიმე ფაქტობრივი გარემოება, რაზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნას; აღნიშნული წარმოადგენს მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ და ამღიარებლის საწინააღმდეგოდ სამოქალაქო დავის სასამართლო განხილვის პროცესში განხორციელებულ ფაქტობრივი გარემოების დადასტურებას (აღიარებას), რაც უტყუარი მტკიცებულებაა. მოცემულ შემთხვევაში, დავის სასამართლო განხილვის პროცესში, სარჩელში მითითებული იმ ფაქტობრივი გარემოების აღიარება, რომ თ. ჩ-შვილმა მიაყენა მოსარჩელეს სხეულის დაზიანება, მოპასუხე მხარეს არ გაუკეთებია, ხოლო სატელევიზიო სიუჟეტით გამოხატული პოზიცია არ წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლით განსაზღვრულ აღიარებას, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლო გადაწყვეტილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა დ. ხ-მის მეურვემ - თ. ხ-მემ.

კასატორის წარმომადგენლის განმარტებით, სასამართლოები ახდენენ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის არასწორ განმარტებას, კერძოდ, მითითებულ მუხლში ნათქვამია, რომ „ცილისწამებასთან დაკავშირებით მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნება სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ“. კასატორის წარმომადგენლის განმარტებით, კანონის ეს ნორმა იძლევა საშუალებას მოპასუხეს დაეკისროს სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცილისმწამებლური ინფორმაციის უარყოფი ცნობის გამოქვეყნება, რაც პირდაპირ შესაბამისობაშია მის სასარჩელო მოთხოვნასთან და რელურად იძლევა პირის მიერ განცდილი მორალური და სულიერი ტკივილის კომპენსირების საშუალებას. ამასვე ადასტურებს და ამყარებს ამავე მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის შესაბამისადაც „თუ მოპასუხე კანონით დადგენილ ვადაში განხორციელებს შესწორებას ან უარყოფას, მაგრამ შესწორების ან უარყოფის გამოქვეყნება არ არის საკმარისი ცილისწამებით მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ჯეროვანი ანაზღაურებისათვის, მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს მოსარჩელისათვის მიყენებული ქონებრივი ან/და არქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება“. კასატორის წარმომადგენლის განმარტებით, თავად ეს მუხლი უშვებს ფაქტის შესწორებისა და უარყოფის გამოქვეყნების საშუალებას, მაგრამ თუ აღნიშნული არ არის საკმარისი ცილისწამებით, მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ჯეროვანი ანაზღაურებისათვის, მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს მიყენებული, როგორც მატერიალური ასევე მორალური ზიანის ანაზღაურება. კასატორის წარმომადგენელი თვლის, რომ მითითებული ნორმის იმგვარად განმარტების შემთხვევაში, რასაც სასამართლოები გვთავაზობენ, იგი აზრს დაკარგავდა, რადგან ამ შემთხვევაში, მხოლოდ პასუხის უფლება არ შეიძლება ჩაითვალოს იმ ადეკვატურ ზომად, რაც პირს მისცემს პატივისა და ღირსების შემლახველი ინფორმაციის გავრცელებით განცდილი ზიანის ანაზღაურების საშუალებას. მიზნის მიღწევისთვის ადეკვატურ ზომად უნდა ჩაითვალოს ისეთი ღონისძიება, რომელსაც ექნება ისეთივე ეფექტი და ზეგავლენა საზოგადოებაზე, როგორც თავის დროზე ჰქონდა მასზე ცილისმწამებლური და შეურაცხმყოფელი ცნობების გავრცელებას, რაც არის სწორედ მოპასუხეთათვის ცილისმწამებლური ინფორმაციის უარყოფელი ცნობის გამოქვეყნების დაკისრება, რომლის ფორმასაც დაადგენს სასამართლო.

კასატორის წარმომადგენლის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომაც გაიმეორა, რომ მართალია, დაირღვა უდანაშაულობის პრეზუმფცია, მაგრამ თურმე აღნიშნული დარღვევა თავისი არსით

არ წარმოადგენს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ფულადი სახით კომპენსირების საფუძველს, იმ მოტივით, რომ მათ მიერ ვერ დასტურდება, თუ რა სახის ზიანი განიცადა დ. ხ-მემ სიუჟეტის გაშვების შემდეგ. კასატორის წარმომადგენელი მიუთითებს ექსპერტიზის დასკვნებზე, სადაც საუბარია დ. ხ-მის საკუთარ თავში ჩაკეტვაზე და საზოგადოებისაგან იზოლირებაზე, სწორედ იმის გამო, რომ სიუჟეტის გაშვების შემდეგ მას გაუჩნდა შიში, რომ საზოგადოების წევრები აღიქვამენ მას, როგორც ქურდსა და კრიმინალს.

კასატორის წარმომადგენელს შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2-ის“ მიმართ სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა ასევე მიაჩნია არაარგუმენტირებულად, ვინაიდან „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის შესაბამისად 1) საერთო და სპეციალიზებული მაუწყებლობის ლიცენზიების მფლობელები, აგრეთვე საზოგადოებრივი და სათემო მაუწყებლები ვალდებული არიან მიიღონ ყველა ზომა პროგრამებში მოყვანილი ფაქტების ჯეროვანი სიზუსტის უზრუნველსაყოფად და დროულად შეასწორონ შეცდომები. 2) დაინტერესებულ პირს საწყისი განცხადების გაკეთებიდან, მათ შორის, ფაქტის მოყვანიდან 10 დღის ვადაში უფლება აქვს, მოსთხოვოს შესაბამის მაუწყებელს საწყის განცხადებაში მოცემული მცდარი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორება ან უარყოფა საწყისი განცხადების ხანგრძლივობით და დაახლოებით იმ დროს, როდესაც გაკეთდა საწყისი განცხადება“. კასატორის წარმომადგენლის განმარტებით, სწორედ აღნიშნული მოთხოვნით დაუკავშირდა „რუსთავი 2-ს“ გადაცემის ეთერში გაშვების დღესვე და აუხსნა ფაქტობრივი მდგომარეობა, თუმცა მის ქმედებას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია.

კასატორის წარმომადგენლის განმარტებით, სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს. კასატორის წარმომადგენლის განმარტებით, მომხდარი ფაქტის დროს სატელევიზიო სიუჟეტში ზიანის მიმყენებელი ასახავს იმ რეალურ ფაქტებს, რომ მან ქურდი დაიჭირა და სათანადოდ გაუსწორდა, თუმცა სასამართლო პროცესის მსვლელობის დროს მან აღარ გაიმეორა, რათა თავიდან აეცილებინა მის მიერ განხორციელებული ქმედებით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა, ამიტომ სწორედ ეს სატელევიზიო სიუჟეტის ჩანაწერი წარმოადგენს კასატორის წარმომადგენლისათვის მტკიცებულებას, რომლის მეშვეობითაც დგინდება ზიანის მიმყენებლის მიერ განხორციელებული ქმედებები.

კასატორის წარმომადგენელმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა იზიარებს მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს და შეფასებებს დ. ხ-მის მეურვის - თ. ხ-მის სარჩელის, მოპასუხეების - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2-ის“ მიმართ დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში.

პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა და განმარტა საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“; შესაბამისად, პალატა არ ეთანხმება თ. ხ-მის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ რადგან სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დ. ხ-მის მიმართ უდანაშულო პრეზუმციის დარღვევის ფაქტი, მოსარჩელის მოთხოვნა უარყოფის თაობაზე ცნობების გამოქვეყნების, ასევე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. სასარჩელო განცხადების და საქმის მასალების მიხედვით კი მოსარჩელე მოითხოვდა მოპასუხეებს - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, შპს სამაუწყებლო კომპანიის „რუსთავი 2-ს“ დაკისრებოდა პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა და თითოეულს არაქონებრივი ზიანისათვის 50.000 ლარი გადახდა. საქართველოს კანონის „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ მე-17 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ცილისწამებასთან დაკავშირებით მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნება სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ; მოცემულ შემთხვევაში პალატის განმარტებით, აღნიშნული არ წარმოადგენდა მოსარჩელის მოთხოვნას.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს სამაუწყებლო კომპანიის „რუსთავი 2-ს“-საგან არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ დასაბუთებულია.

რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების თაობაზე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად გადაეცეს ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში ჩამოთვლილია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები, რომლის მიხედვითაც, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოებში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი კიდევ უფრო აკონკრეტებს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს, კერძოდ, მითითებული მუხლის პიველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლი აწესებს ადმინისტრაციული ორგანოს პასუხილმდებლობას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ვინაიდან მოცემულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის არაქონებრივის ზიანის ანაზღაურების დაკისრება, შესაბამისად საქმე ამ ნაწილში განსახილველად უნდა დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

გარდა ამისა საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2-ის“ მიერ არ დარღვეულა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2-ს“ შორის 2004 წლის 20 სექტემბერს დადებული ხელშეკრულების 3.2 მუხლით ნაკისრი ვალდებულება, რომლის თანახმად, მას ისე უნდა გაეგრძელებინა საკუთარი ეთერით გადაცემა, რომ არ მომხდარიყო კანონმდებლობით დადგენილი პირადი, პროფესიული, კომერციული და სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გამჟღავნება. აღნიშნული სახის ინფორმაციის გამჟღავნება არ წარმოადგენდა მოცემული დავის საგანს, რაც შეეხება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლზე მითითებას, პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ მხარეთა შორის დავა არ გამოუწვევია დ. ხ-ძის მიერ საქონლის წაყვანის ფაქტის გადაცემას, სადავოს წარმოადგენდა სიუჟეტში ამ ფაქტის შეფასება, რაც ტელეკომპანიის მიერ არ განხორციელებულა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება თ. ჩ-შვილზე მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 1.200 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ დასაბუთებულია.

საკასაციო სასამართლოს განმარტავს, რომ თ. ჩ-შვილის მიერ დ. ხ-ძის ცემის ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება საქმის მასალებში არ არის წარმოდგენილი. ის გარემოება, რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის 2005 წლის 17 ივნისი - 4 ივლისის #224 დასკვნაში მითითებულია დ. ხ-ძისთვის მსუბუქი ხასიათის სხეულის დაზიანებების მიყენების ფაქტი, არ ადასტურებს მისთვის ამ დაზიანებების უშუალოდ თ. ხ-ძის მიერ მიყენების ფაქტს;

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის განმარტებას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სამოქალაქო დავის სასამართლოში განხილვისას, მხარემ შეიძლება სცნოს რომელიმე ფაქტობრივი გარემოება, რაზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნას; აღნიშნული წარმოადგენს მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ და ამლიარების საწინააღმდეგოდ სამოქალაქო დავის სასამართლო განხილვის პროცესში განხორციელებულ ფაქტობრივი გარემოების დადასტურებას (აღიარებას). მოცემულ შემთხვევაში, დავის სასამართლო განხილვის პროცესში, სარჩელში მითითებული იმ ფაქტობრივი გარემოების აღიარება, რომ თ. ჩ-შვილმა მიაყენა მოსარჩელეს სხეულის დაზიანება, მოპასუხე მხარეს არ გაუკეთებია, ხოლო სატელევიზიო სიუჟეტით გამოხატული პოზიცია არ წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლით განსაზღვრულ აღიარებას, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლო გადაწყვეტილებას.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას, რომ ექსპერტის დასკვნა ადასტურებს მისთვის ამ დაზიანებების უშუალოდ თ. ხ-ძის მიერ მიყენების ფაქტს, ასევე, დასკვნა სადაც სა-

უბარია დ. ხ-ძის საკუთარ თავში ჩაკეტვაზე და საზოგადოებისაგან იზოლირებაზე, არ არის მტკიცებულება იმისა, რომ მან განიცადა მორალური ზიანი.

საკაცო პალატა ასევე არ იზიარებს კასატორის განმარტებას, რომ სატელევიზიო სიუჟეტის ჩანაწერი წარმოადგენს კასატორის წარმომადგენლისათვის მტკიცებულებას, რომლის მეშვეობითაც დგინდება ზიანის მიმყენებლის მიერ განხორციელებული ქმედებები. პალატის განმარტებით ამგვარი აღიარება არ წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლით განსაზღვრულ საკმარის მტკიცებულებას ზიანის მიყენების ფაქტის დადგენისათვის.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 412-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

დ. ხ-ძის მეურვის თ. ხ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქართველოს შინაგან სამინისტროსათვის მორალური ზიანის დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ და აღნიშნულ ნაწილში საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას; დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განსჯადობა

განჩინება

#ას-244-569-09

16 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და ვაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: ქალაქ თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 აგვისტოს #17.13.598 და 2007 წლის 24 სექტემბრის #20.01.654 დადგენილებების ნაწილობრივ ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართეს მ. კ-ძემ, მ. მ-ძემ, ე. ჩ-შვილმა და მოითხოვეს ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 აგვისტოს #17.13.598 დადგენილების ნაწილობრივ, კერძოდ, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დირექტორთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადების ნაწილში, ბათილად ცნობა მისი სამართლებრივი შედეგებით, ძალაში შესვლის დღიდან. მოგვიანებით, 2007 წლის 28 დეკემბერს, მ. კ-ძემ, მ. მ-ძემ და ე. ჩ-შვილმა სარჩელით განმეორებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ქ. თბილისის მთავრობის მიმართ და მოითხოვეს ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბრის #20.01.654 დადგენილების #137-ე, #142-ე და #201-ე ბაგა-ბაღების დირექტორების გათავისუფლების ნაწილში ბათილად ცნობა, მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის 2008 წლის 17 იანვრის განჩინებით ეს ორი საქმე გაერთიანდა ერთ წარმოებად, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 31 იანვრის განჩინებით ზემოაღნიშნული სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეცა უფლებამოსილ - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რომლის მიერაც სარჩელი მიღებული იქნა წარმოებაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. აღდგენილ იქნა პირვანდელი მდგომარეობა და მ. კ-ძეს, მ. მ-ძესა და ე. ჩ-შვილს გაუგრძელდათ შრომითი ურთიერთობა არასამეწარმეო იურიდიული პირების - ქ. თბილისის #137, #142 და #201 საბავშვო ბაგა-ბაღებში, ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 4 აგვისტოს #16ბ139.572, #16.134.568 და #16.148.581 დადგენილებების საფუძველზე.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა ქ. თბილისის მერიამ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ მოსარჩელებთან შრომითი საქმიანობის შეწყვეტა განხორციელდა შრომითი ხელშეკრულების მოშლით, სშკ 37-ე მუხლის „დ“ პუნქტის მიხედვით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება;

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 4 აგვისტოს #16.139.572 დადგენილებების საფუძველზე დაფუძნდა არასამეწარმეო იურიდიული პირი - ქ. თბილისის #137-ე საბავშვო ბაგა-ბაღი, რომლის დირექტორად ამავე დადგენილებით დაინიშნა ლ. (ე.) ჩ-შვილი; #16.134.568 დადგენილებით დაფუძნებულ იქნა არასამეწარმეო იურიდიული პირი ქ. თბილისის #142-ე საბავშვო ბაგა-ბაღი, რომლის დირექტორად ამავე დადგენილებით დაინიშნა მ. მ-ძე, ხოლო #16.148.581 დადგენილებით დაფუძნებულ იქნა არასამეწარმეო იურიდიული პირი - ქ. თბილისის #201-ე საბავშვო ბაგა-ბაღი, რომლის დირექტორად ამავე დადგენილებით დაინიშნა მ. კ-ძე;

ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 4 აგვისტოს #16.139.572, #16.134.568 და #16.148.581 დადგენილებების მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზემოთ დასახელებული არასამეწარმეო საბავშვო ბაგა-ბაღების დირექტორების თანამდებობებზე მ. კ-ძე, მ. მ-ძე და ლ. ჩ-შვილი დაინიშნენ განსაზღვრული ვადით და მათთან გაფორმებული უნდა ყოფილიყო შრომითი ხელშეკრულება;

შრომითი ხელშეკრულება მოსარჩელებთან არ გაფორმებულა;

ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 აგვისტოს #17.13.598 დადგენილებით ქ. თბილისში, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დირექტორების კანდიდატების შერჩევის მიზნით, საქართველოს „შრომის კოდექსის“ მე-5 მუხლის საფუძველზე, გამოცხადდა კონკურსი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დირექტორების ვაკანტურ თანამდებობებზე;

კონკურსის გამოცხადების დროისათვის მოსარჩელებს კვლავ ეკავათ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დირექტორების თანამდებობები;

ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბრის #20.01.654 დადგენილებების საფუძველზე ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 4 აგვისტოს #16.139.572, #16.134.568 და #16.148.581 დადგენილებებში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომლითაც არასამეწარმეო იურიდიული პირების ქ. თბილისის #137 #142 და #201 საბავშვო ბაგა-ბაღების დირექტორების თანამდებობებზე დაინიშნენ სხვა პირები, ხოლო მოსარჩელებთან შეწყვეტილ იქნა შრომითი ურთიერთობები;

დადგენილებაში მითითებული არ არის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი;

შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემდგომ მოსარჩელებს მიეცათ გარკვეული სახის ფულადი ანაზღაურება.

პალატამ მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მთავრობის აღნიშნული მოქმედებით არ დარღვეულა მოსარჩელეთა უფლებები. პირველი ინსტანციის სასამართლო თავად აღნიშნავს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში, რომ კონკურსის ჩატარება არ იწვევს მუშაკთან დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას. განსახილველ შემთხვევაშიც ასე მოხდა, კერძოდ, მოსარჩელეთა უფლება დაირღვა არა კონკურსის გამოცხადების შესახებ აქტით, არამედ მათთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე გამოცემული 2007 წლის 24 სექტემბრის დადგენილებებით.

პალატის განმარტებით, კონკურსის გამოცხადებით ანუ ოფერტის შეთავაზებით საზოგადოებისადმი, მათ შორის, მოსარჩელეთა მიერ უკვე დაკავებულ თანამდებობებზე არ შელახულა მოსარჩელეთა შრომითი უფლებები, რადგან კონკურსის გამოცხადებით არ მომხდარა მათთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა. ამდენად, აღნიშნული აქტის არაკანონიერად აღიარებისათვის მოსარჩელებს არ გააჩნიათ ნამდვილი იურიდიული ინტერესი.

პალატამ მიიჩნია, რომ შრომის კოდექსის მე-5 მუხლი დამსაქმებელს ინდივიდუალურად უწესებს გარკვეულ კონკურსის გამოცხადების უფლებას და შრომის კოდექსი არ შეიცავს აკრძალვას იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციას არ შეუძლია კონკურსი გამოაცხადოს თუნდაც არავაკანტურ თანამდებობაზე. ამგვარი ნეგატიური დანაწესი არ არის რეგლამენტირებული მოქმედ შრომის კოდექსში. ამდენად, დამსაქმებლის აღნიშნული უფლება - კონკურსის გამოცხადება კონკრეტულ შემთხვევაში არ გადაკვეთს მოსარჩელეთა უფლებების არეალს.

პალატას ასევე განსხვავებული მოსაზრება აქვს საქალაქო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბრის #20.01.654 დადგენილების გაუქმებას. მითითებული აქტის მიხედვით, მოსარჩელებთან შრომი-

თი ხელშეკრულება შეწყდა საფუძვლის გარეშე. შრომის კოდექსის 37-ე მუხლი დამსაქმებლისათვის არ ითვალისწინებს შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძვლებზე მითითებას. შესაბამისად, პალატის მოსაზრებით, ქ. თბილისის მთავრობა არ იყო ვალდებული მიეთითებინა გათავისუფლების საფუძვლებზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა მ. კ-მემ.

კასატორის განმარტებით, გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი;

კასატორის განმარტებით, პალატამ გადაწყვეტილების გამოტანის დროს იხელმძღვანელა საქართველოს შრომის კოდექსით და არ გამოუყენებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მაშინ როდესაც აღნიშნა, რომ შრომის კოდექსი გარკვეულწილად აპელირებს სამოქალაქო კოდექსის ნორმებზე. საქართველოს შრომის კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად „შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს ეს კოდექსი ან სხვა სპეციალური კანონი, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით“.

კასატორი განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 329.1 მუხლით „ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადება ითვლება შეთავაზებულად, თუ ამ წინადადებაში, რომელიც მიმართულია ერთი ან რამდენიმე პირისადმი გამოხატულია რომ წინადადების მიმცემი (ოფერენტი) თანხმობის შემთხვევაში (აქცეპტის) შემთხვევაში, მზადაა შეასრულოს თავისი წინადადება“. აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე მერიამ დირექტორების ვაკანტურ თანამდებობებზე შესარჩევი კონკურსის გამოცხადებით უარი უთხრა მათ, „ვაკანტურ“ ადგილზე მომუშავე დირექტორებს შრომით ურთიერთობაზე. კასატორის აზრით, სასამართლოს მსჯელობით გამოდის, რომ ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადება გაკეთდა იმ ხელშეკრულებების დასადებად, რომელიც სხვა პირებთან უკვე დადებული იყო და როგორ შეიძლება ამ დროს ითქვას, რომ კონკურსის გამოცხადების აქტი კანონიერია და მათ არ გააჩნიათ ნამდვილი იურიდიული ინტერესი აღნიშნული აქტის არაკანონიერად აღიარებისათვის.

კასატორის განმარტებით, იგი 2007 წლის 4 აგვისტოს #16.148.581 დადგენილების მე-4 პუნქტით დაინიშნა #201-ე ბაგა-ბაღის დირექტორად. აღნიშნული დადგენილებით განისაზღვრა ასევე, რომ მასთან უნდა დადებულიყო ხელშეკრულება განსაზღვრული ვადით, მაგრამ რატომღაც არანაირი ხელშეკრულება დადებულა. ამის შემდეგ მალევე, 10 დღეში - 14 აგვისტოს ცხადდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დირექტორების შესარჩევი კონკურსი, მათ შორის, #201-ე ბაგა-ბაღის დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე, რაზეც მას, #201-ე ბაგა-ბაღის დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე მყოფ პირს, არანაირი ინფორმაცია ჰქონია. ამ დროს იგი იმყოფებოდა შვებულებაში. 2007 წლის 24 სექტემბრის #20.01.654 დადგენილებით კი გაიგო, რომ თურმე მის ნაცვლად დირექტორად დაინიშნა ნ. მ-შვილი, იგი კი ყოველგვარი მიზეზის გარეშე გათავისუფლდა დირექტორის თანამდებობიდან.

კასატორის განმარტებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შრომის კოდექსის მე-5 მუხლი დამსაქმებელს ინდივიდუალურად უწესებს გარკვეულ კონკურსის გამოცხადების უფლებას და არ შეიცავს აკრძალვას იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციას არ შეუძლია კონკურსი გამოცხადოს თუნდაც არავაკანტურ თანამდებობაზე. ამგვარი ნეგატიური დანაწესი არ არის რეგლამენტირებული მოქმედი შრომის კოდექსში.

კასატორი აღნიშნავს, რომ კონკურსი თანამდებობის დასაკავებლად, თავისი შინაარსიდან და სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, გულისხმობს სახელმწიფო, კომერციულ და არაკომერციულ ორგანიზაციებში გარკვეული მართვის ფუნქციების შემსრულებელი პირების არჩევითობის პრინციპის რეალიზაციას. კონკურსი შეიძლება გამოცხადდეს იმ თანამდებობაზე, რომელიც ვაკანტურია, წინააღმდეგ შემთხვევაში კონკურსის მიზანი გაურკვეველია. 2007 წლის 14 აგვისტოს დადგენილების დანართი 1-შიც წერია, რომ სწორედ ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადდა კონკურსი. ხოლო, როგორც სასამართლოს მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული, დირექტორების თანამდებობები არ იყო ვაკანტური. კასატორის განმარტებით, როდესაც აკეთებ ოფერტს იმ ხელშეკრულების დასადებად, რომელიც უკვე სხვასთან გაქვს დადებული, ხდება უფლების ბოროტად გამოყენება. პალატის მოსაზრებით კი გამართლებულია კონკურსის გამოცხადება არავაკანტურ თანამდებობაზე და ამას იმით ამართლებს, რომ არ მოხდეს ერთგვარი წყვეტა სამუშაოს შესრულებისას. ამგვარი განმარტება კი სრულიად უადგილოდ და ალოგიკურად მიაჩნია კასატორს. მისი განმარტებით, კონკურსი გამოცხადდა 14-დან 24 აგვისტოს ჩათვლით, როდესაც იგი შვებულებაში იმყოფებოდა. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში სამუშაოს წყვეტაზე ლაპარაკი არალოგიკურად მიაჩნია.

კასატორი ასევე გასაკვირად მიიჩნევს, თუ რატომ ჩათვალა პალატამ, რომ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი იყო ხელშეკრულების მოშლა, და არა ხელშეკრულების პირობების დარღვევა, რადგან დადგენილებაში წერია მხოლოდ შემდეგი: მ. კ-მეს შეუწყდეს შრომის ხელშეკრულება. შრომის კოდექსის 37-ე მუხლით კი იმპერატიულად არის განსაზღვრული შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველები. განსახილველ შემთხვევაში კი ქ. თბილისის მთავრობის დადგენილებაში საფუძველი არ არის მითითებული, რაც ნიშნავს იმას, რომ შრომითი ურთიერთობა მას შეუწყდა საფუძველის არარსებობის გამო.

კასატორის განმარტებით, თბილისის მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბრის #20.01.654 დადგენილება, რომლის საფუძველზე ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 4 აგვისტოს #16.148.581 დადგენილებებში შეტანილი იქნა ცვლილებები, რომლითაც არასამეწარმეო იურიდიული პირის ქ. თბილისის #201 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორთან შეწყვეტილ იქნა შრომითი ურთიერთობა, მიღებულია საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით. შესაბამისად, დადგენილება მასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ნაწილში კანონშესაბამო და ბათილია. კასატორი განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, უცილოდ ბათილი გარიგება ბათილად ითვლება მისი დადების მომენტიდან, რამდენადაც ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბრის #20.01.654 დადგენილების ის ნაწილი, რომლის საფუძველზეც ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 4 აგვისტოს #16.148.581 დადგენილებაში შეტანილი იქნა ცვლილებები, მიღებულია კანონით დადგენილი წესის დარღვევით. ამდენად, იგი ბათილია დადების მომენტიდან და მის საფუძველზე განხორციელებული ყოველი ქმედება ასევე უნდა ჩაითვალოს ბათილად.

კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძველების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. კ-მის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 აგვისტოს #17.13.598 და 2007 წლის 24 სექტემბრის #20.01.654 დადგენილების ნაწილობრივ ბათილად ცნობა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. კ-მის სარჩელი განეკუთვნება ადმინისტრაციული და არა სამოქალაქო სამართალწარმოებით განსახილველ საქმეს.

პალატა განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული წესით საქმის განსჯადობისათვის ამოსავალია სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ ატარებდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ შინაარსს, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან, ადმინისტრაციული - ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე, აგრეთვე, თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის ქონების კანონიერება.

კონკრეტულ შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მთავრობა გასაჩივრებული დადგენილებების მიღებისას მოქმედებდა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ქვეპუნქტით, „საქართველო დედაქალაქის-თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 23¹ მუხლის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით, თბილისის მერიის დებულების მე-14 მუხლის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის „კ“¹ ქვეპუნქტით და საქართველოს მთავრობის #126 დადგენილებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული დადგენილებების - სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დირექტორთა შესარჩევი კონკურსის დანიშნისა და მათი განთავსუფლების თაობაზე კანონიერების შემოწმებისას სასამართლომ უნდა დაადგინოს მათი ადმინისტრაციულ კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის, რის გამოც განსახილველი საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვა გამოიწვევს საპროცესო

ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების მიღებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქმე განხილულია განსჯადობის წესების დარღვევით და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად არსებობს გასაჩივრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საპროცესო საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მ. კ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება მ. კ-ძის სარჩელის არ დაკმაყოფილების ნაწილში;
საქმე განსახილველად დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა

განჩინება

#ას-683-986-09

19 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ვალდებულების შესრულება, დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ჯანმრთელობის დაცვის მართვის ნაციონალურმა ცენტრმა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში ქ. თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის მიმართ 2003 წლის 1 აპრილის #3ს-2003 ხელშეკრულებითა და 2004 წლის 5 იანვრის #1 შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებისა და დავალიანების - 6590 ლარის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძველებით: 2003 წლის 1 აპრილსა და 2004 წლის 5 იანვარს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე მოსარჩელემ შეასრულა 25 500 ლარის ღირებულების სამუშაო, თუმცა ანაზღაურა მხოლოდ 18910 ლარი. გადახდის ვადის გასვლის მიუხედავად, მოპასუხე უშედეგოდ ჰპირდება მას დარჩენილი თანხის გადახდას, რის გამოც გასასტუმრებელია პროექტში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებების შენობის დაქირავების ხარჯები და ფერხდება ლიკვიდაციის პროცესის დასრულება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 მარტის განჩინებით არასათანადო მოპასუხე - ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახური შეიცვალა სათანადო მოპასუხით - ქ. თბილისის მერიით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 აპრილს, სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, მოსარჩელის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „ჯანმრთელობის დაცვის მართვის ნაციონალური ცენტრის“ სარჩელი დაკმაყოფილდა და ქ. თბილისის მერიას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 6590 ლარის გადახდა, რაც გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიამ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 14 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ აპელანტმა ვერც ერთი ინსტანციის სასამართლოში ვერ წარადგინა შპს „ჯანმრთელობის დაცვის მართვის ნაციონალურ ცენტრსა“ და ქ. თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურს შორის დადებული 2003 წლის 1 აპრილის #3 ხელშეკრულება და 2004 წლის 5 იანვრის შეთანხმება, ასევე ვერ წარმოადგინა ზემოხსენებული ხელშეკრულების დადების სამართლებრივი საფუძველი - ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3-4 მუხლებისა და 102-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეებმა სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები ვერ წარადგინეს. პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ მოცემული საქმე განსჯადობის წესების დაცვით უნდა განხილულიყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, შესაბამისად, არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის „დ“ პუნქტით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოება, რადგან სარჩელი მიღებულ იქნა ამავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის დარღვევით სამოქალაქო სამართალწარმოების შედეგად. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით რეგლამენტირებულია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით განსახილველ საქმეთა კატეგორია და ხელშეკრულებო დავების გადაწყვეტა ხდება საერთო სასამართლოებისათვის მიმართვის გზით. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ პუნქტიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, დადოს როგორც ადმინისტრაციული, ისე, სამოქალაქო ხელშეკრულება. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ხასიათის განმსაზღვრელ ელემენტს წარმოადგენს მისი, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელება. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტმა, „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ვერ დაასაბუთა, რომ სადავო ხელშეკრულება დაიდო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს უშუალო საჯარო კომპეტენციაში შემავალი ფუნქციის განხორციელების მიზნით, რის გამოც აპელანტის მოსაზრება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის „დ“ პუნქტის საფუძველზე მოცემულ საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობის თაობაზე უსაფუძვლოა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ქ. თბილისის მერიამ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება განსჯადი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისათვის შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, რადგანაც შპს „ჯანმრთელობის დაცვის მართვის ნაციონალურ ცენტრსა“ და ქალაქ თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურს შორის დადებული ხელშეკრულება წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რადგანაც აღნიშნულით ქ. თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახური ახორციელებდა მასზე დაკისრებულ საჯარო უფლებამოსილებას და ხელშეკრულება დადებული იყო დამტკიცებული პროგრამის საფუძველზე. აღნიშნული დავა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ურთიერთობაა, რადგან სადავო ხელშეკრულება დადებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ზ“ პუნქტის შესაბამისად და საქმე განსჯადობის წესების დაცვით უნდა განხილულიყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, რაც არ განხორციელებულა. სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის „დ“ პუნქტი, 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი. სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი. მართალია, სამსახურის ლიკვიდაციის შედეგად მასალების არქივში გადასვლის გამო, სადავო ხელშეკრულება მოძიებული ვერ იქნა, მაგრამ საქმეში წარმოდგენილი წერილობითი დოკუმენტაცია ადასტურებს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების ფაქტს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძველები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე განსჯადობით დაუბრუნდეს

იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემო-
ებათა გამო:

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინებით გამოიყე-
ნა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყე-
ნებინა, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის შესაბამისად განჩინების გაუქმების
საფუძველს წარმოადგენს, კერძოდ:

მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის დავა წარმოიშვა შპს „ჯანმრთელობის დაცვის მართვის
ნაციონალურ ცენტრს“ და ქ. თბილისის მერიას შორის 2003 წლის 1 აპრილის დადებული #3ს-
2003 ხელშეკრულებითა და 2004 წლის 5 იანვრის #1 შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრუ-
ლად შეუსრულებლობის საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, აღნიშნული ხელშეკრულების არსებობის ფაქტი აპელან-
ტმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით ვერ დაადასტურა და
ვერც ის ინდივიდუალურ-სამართლებრივი ადმინისტრაციული აქტი წარმოადგინა, რომლის საფუძ-
ველზეც სადავო ხელშეკრულება გაფორმდა, რის გამოც პალატამ მიიჩნია, რომ მოცემული საქმის
ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის საფუძველი არ არსებობს და განსახილ-
ველი დავა განეკუთვნება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ სა-
მოქალაქო სამართლებრივ კატეგორიას.

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ მხარეთა შორის არსებული შეთანხმების ფაქტი და, შესა-
ბამისად, ხელშეკრულების არსებობა სადავოს არ წარმოადგენს და მისი დადების ფაქტი დადასტუ-
რებულია კასატორის მოწინააღმდეგე მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი სარჩელით.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ სადავო ურთი-
ერთობაზე უნდა გავცვლდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწი-
ლის “ზ” ქვეპუნქტის ამჟამად მოქმედი რედაქცია, რომლის მიხედვით ადმინისტრაციული ორგა-
ნოს მიერ დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ხასიათის განმსაზღვრელ ამოსავალ ელე-
მენტს წარმოადგენს მისი, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების
განხორციელება.

სააპელაციო სასამართლოს ყურადღების მიღმა დარჩა ის გარემოება, რომ სადავო ხელშეკრულე-
ბების დადების თარიღად მოსარჩელე უთითებს 2003 წლის 1 აპრილსა და 2004 წლის 5 იანვარს,
რა დროსაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის “ზ” ქვეპუნ-
ქტი, ადმინისტრაციული ხელშეკრულების ნაცვლად, ადგენდა ადმინისტრაციული გარიგების ტერ-
მინის განმარტებას. დასახელებული ნორმის თანახმად, ადმინისტრაციული გარიგება წარმოადგენდა
ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრა-
ციულ ორგანოსთან დადებულ სამოქალაქო-სამართლებრივ გარიგებას. კანონის ზემოხსენებული და-
ნაწესიდან გამომდინარე, მხარეთა შორის არსებული შეთანხმების ადმინისტრაციულ გარიგებად
მიჩნევისათვის საკმარისი იყო, მისი მონაწილე ერთ-ერთი მხარე ადმინისტრაციულ ორგანო ყოფი-
ლიყო.

განსახილველ შემთხვევაში სადავო ხელშეკრულებების ერთ-ერთ მხარედ სახელდება ქ. თბილი-
სის მერია, რომელიც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის “ა”
ქვეპუნქტისა და “საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ” კანონის მე-4 მუხლის მეოთხე
ნაწილის შესაბამისად ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს.

ამდენად, შპს „ჯანმრთელობის დაცვის მართვის ნაციონალური ცენტრის“ სარჩელი ეხება ად-
მინისტრაციული გარიგების შესრულების კანონიერებას. სადავო ხელშეკრულების არსიდან გამომ-
დინარე, ხელშეკრულების მხარეს - ქ. თბილისის მერიას ხელშეკრულება დადებული აქვს მისი
საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, კერძოდ, სახელმწიფო საჭიროებისათვის
კვალიფიციური ექიმების მოსამზადებლად.

“საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შე-
სახებ” 2005 წლის 24 ივნისის #1801-რს საქართველოს კანონის პირველი მუხლით ზოგადი ად-
მინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის “ზ” ქვეპუნქტში შევიდა ცვლილება,
კერძოდ, ტერმინი - ადმინისტრაციული გარიგება შეიცვალა ადმინისტრაციული ხელშეკრულებით
და ჩამოყალიბდა მისი ცნება. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2006 წლის 3 აგვისტოსათვის - შპს
„ჯანმრთელობის დაცვის მართვის ნაციონალური ცენტრის“ მიერ სარჩელის აღძვრის დროისათვის
მოქმედებდა ზემოხსენებული ნორმის ახალი რედაქცია. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში მხა-
რეთა შორის დავა წარმოიშვა ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის “ბ” ქვეპუნქტის თა-
ნახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელ-
შეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა. მითითებული ნორმა ადგენს, თუ რა ტიპის დავე-
ბი უნდა იქნეს განხილული ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით და ცალსახად განსაზ-

ღვრავს, რომ ასეთ დავათა რიგს განეკუთვნება ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული საქმეები.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და 2008 წლის 22 ოქტომბრის განჩინების კანონიერების საკითხი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ნორმათა შესაბამისად არასწორად განიხილა. ამავდროულად უგულებელყოფილია კანონის დანაწესი ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობის შესახებ, კერძოდ:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26¹ მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავის დებულებები და სასამართლო (მოსამართლე) უფლებამოსილია, მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის დაუსწრებლად გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმეში არსებული მასალების საფუძველზე და ამ კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით. დასახელებული კანონის დანაწესი ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე საქმის განხილვისას სამოქალაქო სამართალწარმოებაში არსებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისა და სადავო ურთიერთობაზე მისი სამართლებრივი შედეგების გავრცელების შესაძლებლობას არ ითვალისწინებს და ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობისას სასამართლოს ავალებს, საქმე არსებითად განიხილოს გამოუცხადებელი მხარის დაუსწრებლად.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატამ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი, ასევე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26-ე მუხლებით დადგენილი განსჯადობის წესები, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალური საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 14 მაისის განჩინება და საქმე განსჯადობით განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განსჯადობა

განჩინება

#ას-696-998-09

19 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი**

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 22 სექტემბერს სამტრედიის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მოპასუხე პ. ჯ-ძის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ მოპასუხისათვის ჯარიმის - 14 000 ლარის, ზიანის - 2 307.71 ლარის და პირგასამტეხლოს - 14 000 ლარის 0.2%-ის დაკისრება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 2005 წლის 14 ნოემბრიდან.

სარჩელის საფუძველები მდგომარეობდა შემდეგში:

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 25 მაისის #1430 ბრძანებით პ. ჯ-მე გაწვეულ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში და კონტრაქტით გათვალისწინებული პი-

რობების თანახმად 2005 წლის 5 მაისიდან დაინიშნა თავდაცვის სამინისტროს პირველი ქვეითი ბრიგადის კავშირგაბმულობის ასეულის გასაიდუმლოებული და რადიოსარელო კავშირგაბმულობის ოცეულის რადიოათეულის რადიოტელეფონისტად, სამხედრო წოდება "კაპრალის" მინიჭებით. მოპასუხე შეიარაღებულ ძალებში ჩარიცხვის დღიდან იმყოფებოდა სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე, რაც სახელმწიფოს მხრიდან მის მატერიალურ, სოციალურ და სამედიცინო უზრუნველყოფას გულისხმობს;

2005 წლის 2 დეკემბრის #3128 ბრძანებით პ. ჯ-მე დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო 2005 წლის 3 ნოემბრიდან;

მოპასუხის სამხედრო სამსახურში ნამსახურობის ვადამ შეადგინა ხუთი თვე;

პ. ჯ-მემ 2005 წლის 5 მაისიდან 2005 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით ხელფასის სახით მიიღო 2 307.71 ლარი.

სამხედრო მოსამსახურესთან დადებული ხელშეკრულების 7.3 პუნქტის თანახმად, კონტრაქტის შეწყვეტის შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურეს ეკისრება ვალდებულება, ანაზღაუროს მასზე გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის თანხა, რაც, მოსარჩელის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში 14 000 ლარს შეადგენს. კონტრაქტის 7.4 მუხლით სამხედრო მოსამსახურის მიერ 7.3 და 7.4 მუხლებში აღნიშნული თანხების ვადებში დაფარვის ვალდებულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მათ დაერიცხება პირგასამტეხლო 0.2%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. რამდენადაც მოპასუხეს თანხა უნდა გადაეხადა კონტრაქტის შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ე.ი. 2005 წლის 14 ნოემბრამდე, რაც არ გადაუხდია, კონტრაქტის 7.4 მუხლიდან გამომდინარე, მას უნდა დაკისრებოდა პირგასამტეხლო 0.2%-ის ოდენობით ყოველდღიურად 2005 წლის 14 ნოემბრიდან მოთხოვნილი თანხის გადახდამდე.

რაც შეეხებოდა ზიანის სახით გადასახდელ 2 307.71 ლარს, ეს იყო თანხა, რაც დაიხარჯა სამხედრო მოსამსახურის - პ. ჯ-მის მომზადებაზე და რომლის ხელახლა გაღება სამინისტროს მოუწია მის ნაცვლად ახალი სამხედრო მოსამსახურის გაწვრთნის გამო, ვინაიდან ახალი სამხედრო მოსამსახურის გაწვრთნა დამატებით ხარჯებთან იყო დაკავშირებული. დასახელებულ მოთხოვნასთან მიმართებით მოსარჩელე მიუთითებდა სამოქალაქო კოდექსის 394.1, 407-ე, 414-ე მუხლებზე და მათზე დაყრდნობით მოპასუხისაგან ზემომითითებული ოდენობით ზიანის ანაზღაურებას მოითხოვდა.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 17 მარტის განჩინებით აღნიშნული საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნა პ. ჯ-მის მიმართ ზიანის - 2 307.71 ლარის დაკისრების შესახებ; მითითებული სასარჩელო მოთხოვნა განსჯადობით განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ დადგინდა მიიჩნია, რომ განსახილველ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და სამხედრო მოსამსახურეს შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ამასთან, სასარჩელო მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველ საქმეზე შესამოწმებელი იყო მოთხოვნის სამოქალაქო კოდექსის ნორმებთან შესაბამისობა, რაც სამოქალაქო საქმეთა პალატის კომპეტენციას წარმოადგენდა. ასეთ დასკვნას განაპირობებდა სასამართლო წესით დასაცავი უფლების მატერიალური შინაარსი, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა და უფლებები, რომელთა დასაცავადაც აღიძრა სარჩელი. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ ნაწილში დავა სამოქალაქო ხასიათის იყო, რის შესაბამისადაც არ არსებობდა დავის გადაწყვეტისათვის ადმინისტრაციული კანონმდებლობის გამოყენების საჭიროება.

საქმის განსჯადი სასამართლოსათვის გადაცემის საკითხის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა დაყრდნობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, ასევე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლებს, რომელთა განმარტების შედეგადაც ზიანის ანაზღაურების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნა განსახილველად ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას დაუქვემდებარა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 მაისის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ არ დაკმაყოფილდა, ასევე არ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი, სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება დატოვებულ იქნა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ იმ გარემოებაზე მითითებით, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დამქირავებლის მიერ შესრულებული სამუშაოსათვის გადახდილი ხელფასის უკან დაბრუნების შესაძლებლობას, არ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება იმის შესახებ, რომ აღნიშნული თანხა იყო იმ თანხის ეკვივალენტური, რაც დაიხარჯა პ. ჯ-მის მომზადებასა და ამ კონტრაქტის დარღვევის გამო ახალი სამხედრო მოსამსახურის მომზადებაზე. იმავდროულად, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებაზე, რომ აპელანტს არ განუმარტავს, თუ რაში გამოიხატა პ. ჯ-მის მომზადება და გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხელფასისა, რა თანხა გადაიხდა ამისათვის. მისი აზრით, ზოგადი განმარტება იმის შესახებ, რომ მოთხოვნილი თანხა წარმოადგენდა სამხედრო მოსამსახურის მოსამზადებლად დახარჯულ თანხას, არ იყო საკმარისი სამართლებრივი საფუძველი მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსზე, საიდანაც გამომდინარეობს, რომ ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულების, ზიანის მიყენების, უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველებიდან.

საქმეზე დგინდებოდა, რომ აპელანტის მიერ მოთხოვნილი თანხის ანაზღაურებას მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა.

სამოქალაქო კოდექსის 407-ე მუხლის მიხედვით, იმისათვის, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში წარმოიშვას ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, აუცილებელია არსებობდეს ზიანის ფაქტი. აპელანტის განმარტებიდან აღნიშნული არ დასტურდებოდა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, აპელანტის მოთხოვნა არ გამომდინარეობდა არც კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობებიდან, რამდენადაც აპელანტი მოითხოვდა მოწინააღმდეგე მხარისათვის სამართლებრივი საფუძველით გადაცემული თანხის უკან დაბრუნების დაკისრებას.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პ. ჯულაყაძის მიერ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის თანხის გადახდის ვალდებულება არ წარმოშობილა კანონით გათვალისწინებული არც ერთი საფუძველიდან. შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა უსაფუძვლო იყო.

რაც შეეხებოდა აპელანტის შუამდგომლობას დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე, სააპელაციო სასამართლომ მისი დაუკმაყოფილებლობა დაასაბუთა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის თანახმად, სასამართლო სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას მხოლოდ მაშინ, თუ დამტკიცებულად ცნობილი გარემოებები იურიდიულად გამართლებს მოთხოვნას. ასეთს კი მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, შემდეგი მოტივებით:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მოცემული საქმე გადასცა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, ე.ი. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ პირველი ინსტანციით საქმე განიხილა არაგანსჯადმა სასამართლომ. აქედან გამომდინარე, სასამართლო ვალდებული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად გაეუქმებინა სამტრედიის რაიონული სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მიღებული გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებული იყო, დაეკმაყოფილებინა ზიანის ანაზღაურების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნა, რამდენადაც მოვალისათვის წინასწარ იყო ცნობილი სავარაუდო ზიანი, კერძოდ, პ. ჯ-მე გაცნობილი იყო კონტრაქტის 8.3 და 8.4 მუხლების შინაარსს, რომლებიც კონტრაქტის პირობების დარღვევის შემთხვევაში პირდაპირ მიუთითებენ სავარაუდო ზიანის მოთხოვნის შესაძლებლობაზე.

საგულისხმოა, რომ კონტრაქტის დადებისას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინტერესი იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების პროფესიული, დისციპლინირებული, მაღალკვალიფიციური სამხედრო პერსონალით უზრუნველყოფა. მოპასუხის მხრიდან კონტრაქტის დარღვევით ვერ იქნა მიღწეული დასახული მიზანი. კონტრაქტის დარღვევით ზიანი მიადგა არა მარტო თავდაცვის სამინისტროს, არამედ, ზოგადად, ქვეყნის ინტერესებს, რადგან კონტრაქტის დასრულების შემდეგ თავდაცვის სამინისტრო მიიღებდა ჩამოყალიბებულ სამხედრო მოსამსახურეს.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების რაოდენობა განისაზღვრება საქართველოს პარლამენტის მიერ, ხოლო შეიარაღებული ძალების ყოველგვარი უზრუნველყოფი-

სათვის გამოიყოფა შესაბამისი საბიუჯეტო ასიგნებები. როდესაც სამხედრო მოსამსახურე ვადაზე ადრე შეწყვეტს კონტრაქტს, აუცილებელია გათავისუფლებული ადგილის შევსება. ყოველივე ამას დამატებითი თანხები ესაჭიროება, თუნდაც ეს იყოს ხელფასი და სხვა სახის დანამატი.

ამდენად, ახალი სამხედრო მოსამსახურის გაწვრთნა საქართველოს კანონმდებლობით ახალი ხარჯების, მათ შორის, ხელფასის გაცემასთანაა დაკავშირებული. სწორედ აქედან გამომდინარეობს თავდაცვის სამინისტროსათვის მიყენებული ზიანი და მისი მოთხოვნის საფუძვლიანობა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება ექვემდებარება უპირობო გაუქმებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვინაიდან ანალოგიური დავების განხილვა საგნობრივად ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯადია, რაც დადგინდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივნისის განჩინებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებელი განჩინება და საქმე განსახილველად გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული დავა არ განეკუთვნება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო საჩივრის დავის საგანია პ. ჯ-ძის, როგორც სამხედრო მოსამსახურის მიერ კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. თავდაცვის სამინისტროსა და პ. ჯ-ძეს შორის სადავო ურთიერთობის წარმოშობის საფუძველია თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ კონტრაქტი, რომლის 1.1 მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურე კისრულობს ვალდებულებას, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით კეთილსინდისიერად იმსახუროს სამინისტროს ქვედანაყოფებში, ხოლო სამინისტრო ვალდებულია, გადაუხადოს სამხედრო მოსამსახურეს შეთანხმებული ხელფასი და უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამხედრო სამსახურით და შესაბამისი პირობებით. სადავო არ არის, რომ აღნიშნული კონტრაქტი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რამდენადაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დადებულია თავისი საჯარო უფლებამოსილების განხორციელების - სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

საქმეზე დადგენილია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 2 დეკემბრის #3128 ბრძანებით თავდაცვის სამინისტროს პირველი ქვეითი ბრიგადის კავშირგაბმულობის ასეულის გასაიდუმლოებული და რადიოსარელო კავშირგაბმულობის ოცეულის რადიოათეულის რადიოტელეფონისტი, "კაპრალი" პ. ჯ-ძე დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის "თ" ქვეპუნქტის საფუძველზე. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა გამომდინარეობს სწორედ კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობიდან, კერძოდ, მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას ითხოვს იმ საფუძველით, რომ მხარეთა შორის დადებული 4-წლიანი კონტრაქტი მოპასუხის სურვილით შეწყდა. ამდენად, მოსარჩელე სადავოდ ხდის ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირობების შესრულებას, რაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტისა და 25¹ მუხლის თანახმად ადმინისტრაციული დავის საგანია.

ის გარემოება, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა ემყარება სამოქალაქო კოდექსის ნორმებს, არ ნიშნავს, რომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა ამის გამო კერძოსამართლებრივ შინაარსს იძენს. დავის არსის გათვალისწინებით სადავო ურთიერთობის სამართლებრივი საფუძვლების სწორად განსაზღვრა სასამართლოს ვალდებულებაა და ამ შემთხვევაში სასამართლო მხარის მიერ დასახელებული სამართლის ნორმებით არ არის შებოჭილი. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის V თავი ("ადმინისტრაციული ხელშეკრულება") სამოქალაქო კოდექსის ნორმების გამოყენებას ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიმართ სრულიად დასაშვებად მიიჩნევს. ამ შემთხვევაში მოთხოვნის საფუძვლიანობის განსაზღვრად გადაწყვეტია, პირველ რიგში შეფასდეს სწორედ მხარეთა შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირობები, ასევე, ადმინისტრაციული კანონმდებლობის - "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის, "სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" კანონის, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების მოთხოვნები. მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის

ნორმების გამოყენების შემდეგ არის შესაძლებელი, გაირკვეს მოთხოვნის სამოქალაქო კოდექსის ნორმებთან შესაბამისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქმე განხილულია საგნობრივი განსჯადობის წესების დარღვევით და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საპროცესო საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 მაისის განჩინება;

საქმე განსახილველად დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა

განჩინება

#ას-969-1248-09

3 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 21 იანვარს ვანის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მოპასუხე გ. გ-მის მიმართ და მოითხოვა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ მოპასუხისათვის ჯარიმის - 14 346,36 ლარის, ზიანის ასანაზღაურებლად - 3197,50 ლარისა და პირგასამტეხლოს - 14 346,36 ლარის 0.2%-ის დაკისრება.

ვანის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 14 მაისის განჩინებით საქმე ზიანის - 3197,50 ლარის მოთხოვნის ნაწილში განსჯადობის წესების დაცვით გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას. ადმინისტრაციულმა პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ განსახილველ საქმეზე დავის საგანი იყო ზიანის ანაზღაურება, ხოლო სასარჩელო მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება და აღნიშნული სადავო ურთიერთობა არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 მაისის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ვანის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება ზიანის სახით მოპასუხისათვის 3197,50 ლარის ანაზღაურების დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

გ. გ-მე 2004 წლის 2 დეკემბრიდან მსახურობდა კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად, 21-ე ქვეითი ბრიგადის სატანკო ბატალიონში;

საქმის მასალებში მხარეთა მიერ ხელმოწერილი კონტრაქტი არ მოიპოვება;

2006 წლის 23 მარტის #654 ბრძანებით გ. გ-მე დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან 2006 წლის 20 იანვრიდან - კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო;

გ. გ-მის სამხედრო სამსახურში ნამსახურობის ვადა შეადგენს 10 თვესა და 19 დღეს; ხელფასის სახით მიღებული აქვს 3197.50 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ გ. გ-მის მიერ კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, თავდაცვის სამინისტრო იძულებული გახდა შეეწყვიტა კონტრაქტი. აღნიშნული გარემოება მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ;

საქმეში არსებული მტკიცებულებებით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. გ-მემ ბრალეულად დაარღვია კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები, შესაბამისად, სახეზე იყო მართლწინააღმდეგობა და ბრალი, თუმცა სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ზიანი, რაც გამოიწვევდა გ. გ-მისათვის ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს შემდეგი პირობები: ზიანი მიყენებულია მართლწინააღმდეგო მოქმედებით, მართლწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებელს მიუძღვის ბრალი.

მოსარჩელის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ხელშეკრულების დადებიდან მის შეწყვეტამდე პერიოდის გ. გ-მეზე, როგორც სამხედრო მოსამსახურეზე, გაწეული ხარჯები, რაც მოიცავდა აღჭურვილობის, კვებისა და სწავლების ხარჯებს, წარმოადგენს ზიანს, სასამართლომ არ გაიზიარა, ვინაიდან ამ ხარჯების გაწევა წარმოადგენდა სამინისტროს ვალდებულებას, რომლის სანაცვლოდაც გ. გ-მე ახორციელებდა საპასუხო შესრულებას და როგორც სამხედრო მოსამსახურე იმყოფებოდა მუდმივ მზადყოფნაში.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა აპლანტის მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ გ. გ-მის მიერ ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტით გამოწვეული ზიანი შეადგენდა ახალი სამხედრო მოსამსახურის მომზადებაზე გასაწევ ხარჯებს და ამ მოქმედებით გამოწვეული ქონებრივი დანაკლისის არსებობას, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, თავდაცვის სამინისტროს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტები არ წარმოუდგენია.

ვინაიდან დადასტურებული იყო, რომ თავდაცვის სამინისტრო სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გ. გ-მისათვის გადაცემული ხელფასის ანაზღაურებას, პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული თანხა არ წარმოადგენს კონტრაქტის შეწყვეტით მიყენებულ ზიანს და, შესაბამისად, თავდაცვის სამინისტროს სარჩელი გ. გ-მის მიმართ 3197,50 ლარის ზიანის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე უსაფუძვლოდ მიიჩნია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 მაისის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილება, შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის განმარტებით, გ. გ-მისათვის წინასწარ იყო ცნობილი სავარაუდო ზიანი, ვინაიდან იგი გაცნობილი იყო კონტრაქტის 8.2, 8.3 და 8.4 მუხლებს, რომლებიც პირდაპირ მიუთითებენ ზიანის მოთხოვნის შესაძლებლობაზე.

კასატორის განმარტებით, თავდაცვის სამინისტრო მოპასუხისაგან არ ითხოვდა მასზე გადახდილ ხელფასს, არამედ ეს თანხა წარმოადგენდა მოპასუხის სანაცვლოდ დასაქმებულ სამხედრო მოსამსახურეზე გადახდილ თანხას, შესაბამისად, სამინისტრო ითხოვდა ზიანის მიყენებისათვის იმ თანხას, რომლის ხელახლა გადახდაც მას მოუწია ახალი სამხედრო მოსამსახურის იმ დონემდე გაწვრთნისათვის, რა დონეზეც იყო მოპასუხე კონტრაქტის დარღვევის დროისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის განმარტებით, არსებობდა მიზეზობრივი კავშირი გ. გ-მის მართლწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება და საქმე განსახილველად გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული დავა არ განეკუთვნება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო საჩივრის დავის საგანია გ. გ-მის, როგორც სამხედრო მოსამსახურის, მიერ კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. თავდაცვის სამინისტროსა და გ. გ-მის შორის სადავო ურთიერთობის წარმოშობის საფუძველია თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ კონტრაქტი, რომლის 1.1 მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურე კისრულობს ვალდებულებას, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით კეთილსინდისიერად იმსახუროს სამინისტროს ქვედანაყოფებში, ხოლო სამინისტრო ვალდებულია, გადაუხადოს სამხედრო მოსამსახურეს შეთანხმებული ხელფასი და უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამხედრო სამსახურით და შესაბამისი პირობებით. სადავო არ არის, რომ აღნიშნული კონტრაქტი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რამდენადაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დადებულია თავისი საჯარო უფლებამოსილების განხორციელების – სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

საქმეზე დადგენილია, რომ გ. გ-მე, რომელიც 2004 წლის 2 დეკემბრიდან მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 21-ე ქვეითი ბრიგადის სატანკო ბატალიონში, 2006 წლის 20 იანვრიდან, კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის "თ" ქვეპუნქტის საფუძველზე. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა გამომდინარეობს სწორედ კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობიდან, კერძოდ, მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას ითხოვს იმ საფუძველით, რომ მხარეთა შორის დადებული 4-წლიანი კონტრაქტი მოპასუხის სურვილით შეწყდა. ამდენად, მოსარჩელე სადავოდ ხდის ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირობების შესრულებას, რაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტისა და 25¹ მუხლის თანახმად ადმინისტრაციული დავის საგანია.

ის გარემოება, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა ემყარება სამოქალაქო კოდექსის ნორმებს, არ ნიშნავს, რომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა ამის გამო კერძოსამართლებრივ შინაარსს იძენს. დავის არსის გათვალისწინებით სადავო ურთიერთობის სამართლებრივი საფუძვლების სწორად განსაზღვრა სასამართლოს ვალდებულებაა და ამ შემთხვევაში სასამართლო მხარის მიერ დასახელებული სამართლის ნორმებით არ არის შებოჭილი. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის V თავი ("ადმინისტრაციული ხელშეკრულება") სამოქალაქო კოდექსის ნორმების გამოყენებას ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიმართ სრულიად დასაშვებად მიიჩნევს. ამ შემთხვევაში მოთხოვნის საფუძვლიანობის განსაზღვრად ძირითადი და გადამწყვეტია, პირველ რიგში შეფასდეს სწორედ მხარეთა შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირობები, ასევე, ადმინისტრაციული კანონმდებლობის – "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის, "სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" კანონის, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების მოთხოვნები. მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის ნორმების გამოყენების შემდეგ არის შესაძლებელი, გაირკვეს მოთხოვნის სამოქალაქო კოდექსის ნორმებთან შესაბამისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქმე განხილულია საგნობრივი განსჯადობის წესების დარღვევით და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად არსებობს გასაჩივრებელი განჩინების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 მაისის განჩინება;

საქმე განსახილველად დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა

განჩინება

#ას-488-799-09

17 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ქედის რაიონულ სასამართლოში სარჩელი აღძრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ლ. თ-ძის მიმართ ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. მოსარჩელემ მოითხოვა ჯარიმის - 14.000 ლარის, ზიანის - 1180,08 ლარისა და პირგასამტეხლოს - 14 000 ლარის გადახდამდე 2005 წლის 5 ოქტომბრიდან ყოველდღიურად ამ თანხის 0,2%-ის გადახდა იმ საფუძველით, რომ 2005 წლის პირველ ივლისს ლ. თ-ძემ ოთხი წლით გააფორმა კონტრაქტი საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან, რომლითაც განისაზღვრა კონტრაქტის მოქმედების ვადა და მისი ვადამდე შეწყვეტის პირობები. კონტრაქტის 7.3 პუნქტის თანახმად: თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი აღსრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილით და სამინისტროსთან შეთანხმებით დატოვებს სამხედრო ძალებს, ან შექმნის პირობებს იმისათვის, რომ სამინისტრო იძულებული გახდეს შეწყვიტოს 4-წლიანი კონტრაქტი, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდება ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ჯარიმის სახით აუნაზღაუროს სამინისტროს კონტრაქტით მისთვის გათვალისწინებული დარჩენილი ვადის თანხა - ერთი წლის სამსახურის გავლის შემდეგ მომდევნო 3 წლის ხელფასის სახით საშუალოდ 14.000 ლარის ოდენობით, რომელიც დაანგარიშდება ბოლო თვის ხელფასის შესაბამისად.

კონტრაქტის 7.4 პუნქტის თანახმად, „სამხედრო მოსამსახურის“ მიერ 7.3 და 7.4 მუხლებით აღნიშნული თანხების ამავე მუხლებით დადგენილ ვადებში დაფარვის ვალდებულების ვადის გაცილების შემთხვევაში დაირიცხება პირგასამტეხლო - 0.2%-ის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

ამასთან, თავდაცვის სამინისტრომ ლ. თ-ძის მომზადებაზე დახარჯა 1180,08 ლარი, რომლის ხელახლა გაღება მოუწია ახალი სამხედრო მოსამსახურის გაწვრთნის გამო.

ქედის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა, ლ. თ-ძეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა ჯარიმისა და ზიანის - 15180.08 ლარისა და პირგასამტეხლოს - 14000 ლარის გადახდამდე 2005 წლის 5 ოქტომბრიდან ყოველდღიურად ამ თანხის 0,2%-ის გადახდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ლ. თ-ძემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით ლ. თ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა ქედის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ლ. თ-ძისათვის 1180,08 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი, ლ. თ-ძისათვის ზიანის - 1180,08 ლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, დადგენილად ცნო, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ლ. თ-ძეს შორის 2005 წლის 1 ივლისს დაიდო ხელშეკრულება საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურის გავლის შესახებ; საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 28 ოქტომბრის #2845 ბრძანების საფუძველზე, ლ. თ-ძე, კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, გათავისუფლდა შეიარაღებული ძალების რიგებიდან.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ასევე ცნო, რომ 1180 ლარი და 8 თეთრი წარმოადგენდა წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის განმავლობაში მისთვის გადახდილ ხელფასს.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ლ. თ-ძისთვის გაცემული ხელფასი ხელშეკრულების მონაწილე სამხედრო მოსამსახურის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებაა და არა სახელმწიფოს მიერ გაწეული ისეთი ხარჯი, რაც დაკავშირებულია სახელმწიფოს ქონებრივ დაწკარავებთან და რაც შეიძლება ანაზღაურებულ იქნეს, სამოქალაქო კოდექსის 407-ე მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლისას.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ. მან მიუთითა, რომ მოვალისათვის წინასწარ იყო ცნობილი სავარაუდო ზიანი, რადგან ლ. თ-მე გაეცნო კონტრაქტის პირობებს, სადაც პირდაპირ არის მითითებული სავარაუდო ზიანის მოთხოვნის შესაძლებლობაზე კონტრაქტის დარღვევის შემთხვევაში. მოწინააღმდეგე მხარემ დაარღვია აღნიშნული კონტრაქტი, რის გამოც ზიანი მიაღწია თავდაცვის სამინისტროს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება და საქმე განსახილველად გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული დავა არ განეკუთვნება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო საჩივრის დავის საგანია ლ. თ-მის, როგორც, სამხედრო მოსამსახურის, მიერ კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. თავდაცვის სამინისტროსა და ლ. თ-მეს შორის სადავო ურთიერთობის წარმოშობის საფუძველია თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ კონტრაქტი, რომლის მე-7 მუხლის მეხამე პუნქტის თანახმად, თუ სამხედრო მოსამსახურე მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავისი სურვილით და სამინისტროსთან შეთანხმებით დატოვებდა სამხედრო ძალებს, ან შექმნიდა პირობებს იმისათვის, რომ სამინისტრო იძულებული გახდებოდა, შეეწყვიტა 4-წლიანი კონტრაქტი, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდებოდა ვალდებული, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში ჯარიმის სახით აენაზღაურებინა სამინისტროსთვის, მისთვის გათვალისწინებული კონტრაქტით დარჩენილი ვადის თანხა.

საქმეზე დადგენილია, რომ 2005 წლის 28 ოქტომბრის #2845 ბრძანებით, მოპასუხე დათხოვილ იქნა და ამოირიცხა თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის სიებიდან "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის თ" ქვეპუნქტის თანახმად. სამხედრო ნაწილის მეთაურის მიერ გაცემული #124 ცნობის თანახმად, 1180 ლარი და 8 თეთრი წარმოადგენდა ლ. თ-მის შრომის ანაზღაურება 2005 წლის 1 ივლისიდან 2005 წლის 24 სექტემბრის ჩათვლით.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა გამომდინარეობს სწორედ კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობიდან, კერძოდ, მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას ითხოვს იმ საფუძველით, რომ მხარეთა შორის დადებული 4-წლიანი კონტრაქტი შეწყდა მოპასუხის მიერ სამხედრო სამსახურიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო. ამდენად, მოსარჩელე სადავოდ ხდის ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირობების შესრულებას, რაც, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტისა და 25¹ მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული დავის საგანია.

ის გარემოება, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა ემყარება სამოქალაქო კოდექსის ნორმებს, არ ნიშნავს, რომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა ამის გამო კერძოსამართლებრივ შინაარსს იძენს. დავის არსის გათვალისწინებით სადავო ურთიერთობის სამართლებრივი საფუძვლების სწორად განსაზღვრა სასამართლოს ვალდებულებაა და ამ შემთხვევაში სასამართლო მხარის მიერ დასახელებული სამართლის ნორმებით არ არის შებოჭილი. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის V თავი ("ადმინისტრაციული ხელშეკრულება") სამოქალაქო კოდექსის ნორმების გამოყენებას ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიმართ სრულიად დასაშვებად მიიჩნევს. ამ შემთხვევაში მოთხოვნის საფუძვლიანობის განსაზღვრად ძირითადი და გადამწყვეტია, პირველ რიგში, შეფასდეს სწორედ მხარეთა შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირობები, ასევე ადმინისტრაციული კანონმდებლობის - "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის, "სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" კანონის, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების მოთხოვნები. მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის ნორმების გამოყენების შემდეგ არის შესაძლებელი, გაირკვეს მოთხოვნის სამოქალაქო კოდექსის ნორმებთან შესაბამისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქმე განხილულია საგნობრივი განსჯადობის წესების დარღვევით და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება;

საქმე განსახილველად დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა

განჩინება

#ას-367-686-09

29 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე)

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: სამსახურში აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 18 მარტს რ. გ-მემ, ი. ხ-მემ, ა. მ-მემ, თ. ა-ავამ, ს. ზ-მემ და მ. კ-მემ სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ქ. თბილისის მერიის წინააღმდეგ და მოითხოვეს ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბრის, 9 ნოემბრის და 19 ოქტომბრის დადგენილებების გაუქმება, ასევე, მოსარჩელების სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება.

მოსარჩელებმა მიუთითეს, რომ რ. გ-მე, ი. ხ-მე, ა. მ-მე, თ. ა-ავა, ს. ზ-მე და მ. კ-მე წლების განმავლობაში მუშაობდნენ ბაგა-ბაღების გამგეებად. ქ. თბილისის მთავრობის დადგენილებებით სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები დაფუძნდა არასამეწარმეო იურიდიული პირების სახით და მოსარჩელები დაინიშნენ მათ დირექტორებად, ამავე დადგენილების მიხედვით, მოსარჩელებთან უნდა დადებულიყო ვადიანი შრომითი ხელშეკრულება. ვინაიდან ვადიანი შრომითი ხელშეკრულებები არ გაფორმებულა, მოსარჩელები სამსახურში მიიღეს განუსაზღვრელი ვადით.

2007 წლის ზაფხულში მოსარჩელებმა შეიტყვეს, რომ თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 აგვისტოს დადგენილებით გამოცხადდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დირექტორთა შესარჩევი კონკურსი. ამ დადგენილების მიხედვით, კონკურსი გამოცხადდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში არსებულ ვაკანტურ თანამდებობებზე, თუმცა, მოსარჩელეთა განმარტებით, მათ მიერ დაკავებული თანამდებობები ვაკანტური არ ყოფილა.

მოსარჩელები სამსახურიდან გათავისუფლდნენ 2007 წლის სექტემბერში, მიუხედავად აღნიშნულისა, მათ 2007 წლის დეკემბრამდე არ ჩაჰბარებიათ დოკუმენტი სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ.

თბილისის მთავრობის დადგენილებები მოსარჩელეთა განთავისუფლების ნაწილში უკანონოა, ვინაიდან განთავისუფლების საფუძვლად მითითებულია კონკურსის შედეგები. ამავე დადგენილებების მიხედვით, მოსარჩელები სამუშაოდან გათავისუფლდნენ შრომის კოდექსის შესაბამისად, თუმცა დადგენილებებში არ არის მითითებული შრომის კოდექსის კონკრეტული მუხლი.

თბილისის მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბრისა და 19 ოქტომბრის დადგენილებებით ცვლილებები და დამატებები შევიდა თბილისის მთავრობის 2007 წლის 4 აგვისტოს დადგენილებებში, რომლის მიხედვით მოსარჩელები დანიშნეს და გაათავისუფლეს ერთსა და იმავე დღეს.

საქმის მომზადების ეტაპზე სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტებისა და გაზრდის შედეგად მოსარჩელებმა მოითხოვეს ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 აგვისტოს #17.13.598 დადგენილების ბათილად ცნობა მოსარჩელების ნაწილში, ასევე ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბრის #20.01.654 და 19 ოქტომბრის #22.123.725 დადგენილებების გაუქმება, მოსარჩელე-

ების სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა - ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 აგვისტოს დადგენილება არასამეწარმეო იურიდიული პირების #166, #190, #156, #114 და #31 საბავშვო ბაგა-ბაღების დირექტორებთან: რ. გ-ძესთან, ი. ხ-ძესთან, ა. მ-ძესთან, თ. ა-ავასთან, ს. ზ-ძესთან, მ. კ-ძესთან შრომით ხელშეკრულების შეწყვეტის ნაწილში; დადგინდა პირვანდელი მდგომარეობის დადგენა და მოსარჩელებს გაუგებლდათ შრომითი ურთიერთობა აღნიშნულ ბაგა-ბაღებში დირექტორების თანამდებობებზე. მოპასუხეს დაეკისრა ი. ხ-ძის, ა. მ-ძის, თ. ა-ავას, ს. ზ-ძის, მ. კ-ძის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების სახით, ყოველთვიურად, 192 ლარის გადახდა 2007 წლის 24 სექტემბრიდან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, რ. გ-ძის სასარგებლოდ კი ზიანის ასანაზღაურებლად, ყოველთვიურად, 192 ლარის გადახდა 2007 წლის 19 ოქტომბრიდან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ქ. თბილისის მერიამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მერიის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; რ. გ-ძის, ი. ხ-ძის, ა. მ-ძის, თ. ა-ავას, ს. ზ-ძის, მ. კ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მაგრამ განსხვავებული მოსაზრება აქვს საქალაქო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებასთან დაკავშირებით, კერძოდ, ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბრის #20.01.654 და 2007 წლის 19 ოქტომბრის #22.23.725 დადგენილებები, რომლითაც მოსარჩელებთან არსებული შრომითი ურთიერთობები შეწყდა, გამოცემულია საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით, ისინი მოსარჩელებთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ნაწილში კანონშეუსაბამო და ბათილია. ამასთან, აღნიშნული დადგენილებები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, როგორც უცილოდ ბათილი გარიგება, მიიჩნია ბათილად მისი მიღების მომენტიდან.

პალატამ განმარტა, რომ უცილოდ ბათილია გარიგება, რომლის იურიდიული შედეგუნარიანობა გამომდინარეობს ამა თუ იმ ზუსტად განსაზღვრულ საფუძვლებიდან, როგორცაა: ქმედუნარიანობა, ფორმის დაუცველობა და სხვა.

პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული დადგენილებებით განხორციელდა მოსარჩელებთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა და ამით არ დარღვეულა მათი უფლება დასაქმებაზე, რადგან, მითითებული დადგენილებების მიხედვით, მოსარჩელებთან შრომითი ხელშეკრულება შეწყდა საფუძვლის გარეშე.

პალატამ მიუთითა, რომ ის გარემოება, რომ აღნიშნული დადგენილებები ზოგადად გამოცემულია არაკომერციული იურიდიული პირების, საბავშვო ბაგა-ბაღების დირექტორების თანამდებობაზე კონკურსის შედეგების შესაბამისად, არ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელები გათავისუფლდნენ კონკურსის შედეგების საფუძველზე, რადგან თავად მოსარჩელებს არ მიუღიათ ამ კონკურსში მონაწილეობა.

პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელებთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა განხორციელდა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს არგუმენტებს იმასთან დაკავშირებით, რომ ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 აგვისტოს 317.13.598 დადგენილება კონკურსის გამოცხადების შესახებ გამოცემულია არა საჯარო კანონმდებლობის, არამედ საქართველოს შრომის კოდექსის საფუძველზე. პალატამ განმარტა, რომ კონკურსის გამოცხადების უფლება მხარეს ჰქონდა შრომის კოდექსის მე-5 მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, რომელიც დამსაქმებელს ინდივიდუალურად უწესებს გარკვეული კონკურსის გამოცხადების უფლებას და შრომის კოდექსი არ შეიცავს აკრძალვას იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციას არ შეუძლია კონკურსი გამოაცხადოს, თუნდაც არავაკანტურ თანამდებობაზე; ეს დადგენილება შინაარსობრივად წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას-მოწვევას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

პალატა არ დაეთანხმა სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ დასახელებული დადგენილება არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის შეუსაბამო და ბათილია. აღნიშნულთან დაკავშირებით პალატამ განმარტა სსკ-ის 54-ე მუხლი.

პალატამ მიუთითა, რომ კონკურსის გამოცხადება ვერ ჩაითვლება ბათილად საერთო საფუძველზე დასახელებული გარიგების შესაბამისად. აღნიშნული დავის მომწესრიგებელი კანონი, საქართველოს შრომის კოდექსიც, არ ითვალისწინებს კანონით დადგენილი წესით გარიგების ბათილ-

ბას, თუმცა დასახელებული კოდექსი ითვალისწინებს კანონის იმპერატიულ დანაწესთან ნების გამოვლენის შეუსაბამობის შემთხვევებში აკრძალვებს (სშკ-ის მუხლი - 2.3; 4.4; 4.5; 17.2 მუხლები და სხვა), მაგრამ არა დასახელებული კოდექსის მე-5 მუხლთან მიმართებით.

პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ მიღებული გადაწყვეტილება - მოწვევა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოადგენს გარიგებას, რომელიც არ ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს, შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს აპელირება სსკ-ის 54-ე მუხლზე, არის საფუძველს მოკლებული.

პალატამ მიუთითა, რომ მოსარჩელები ვერ უთითებენ კონკურსის გამოცხადების შესახებ ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 აგვისტოს #17.13.598 აქტით მათი რა უფლება შეიზღუდა, დაირღვა ან შეილახა, ან რომელი ასეთი უფლება აღუდგებათ ამ დადგენილების უკანონოდ აღიარების შემთხვევაში.

ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 აგვისტოს #17.13.598 დადგენილების შესაბამისად, კონკურსი გამოცხადდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დირექტორების ვაკანტურ თანამდებობებზე, მათ შორის, მოსარჩელეთა მიერ დაკავებულ თანამდებობებზეც, რისი უფლება, მოპასუხეს ჰქონდა საქართველოს შრომის კოდექსის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნიდან გამომდინარე, რომლის თანახმად დამსაქმებელი უფლებამოსილია, მოიპოვოს ის ინფორმაცია კანდიდატის შერჩევის შესახებ, რომელიც ესაჭიროება მისი დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად.

პალატამ მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მთავრობის აღნიშნული მოქმედებით არ შელახულა მოსარჩელეთა შრომითი უფლებები და მათთან შრომითი ხელშეკრულება არ შეწყვეტილა. ამდენად, აღნიშნული აქტის არაკანონიერად აღიარებისათვის მოსარჩელებს არ გააჩნიათ ნამდვილი იურიდიული ინტერესი.

შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობს ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 აგვისტოს #17.13.598 დადგენილების უკანონოდ გამოცხადების სამართლებრივი საფუძველი.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანეს ი. ხ.-ძემ, ა. მ.-ძემ, თ. ა.-ავამ, ს. ზ.-ძემ და მ. კ.-ძემ. მათ აღნიშნეს, რომ კასატორების განთავისუფლების შესახებ ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბრის #20.01.654, 19 ოქტომბრის #22.23.725 და 9 ნოემბრის #23.06.739 დადგენილებებში, განთავისუფლების სამართლებრივ საფუძველად მითითებულია საბავშვო ბაგა-ბაღების დირექტორების თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგები. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ შრომის კოდექსის 37-ე მუხლით განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველები. ამავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების მოშლა. აღსანიშნავია, რომ დასახელებული მუხლი დამსაქმებლისთვის არ ითვალისწინებს შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძველზე მითითებას, შესაბამისად, პალატის მოსაზრებით, ქ. თბილისის მთავრობა არ იყო ვალდებული, მიეთითებინა განთავისუფლების საფუძველი. კასატორების აზრით, სააპელაციო სასამართლოს კანონის განმარტება არ შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსის დასახელებული მუხლის მოთხოვნას. საქართველოს შრომის კოდექსი არეგულირებს დასაქმებულისა და დამსაქმებლის შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, ხოლო, ამავე კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შრომითი ურთიერთობა წარმოიშობება და მიმდინარეობს მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე. ამავე კოდექსის 37-ე მუხლი კი კონკრეტულად განსაზღვრავს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველებს. უკანონოა და ბათილია ყველა დოკუმენტი, რომელიც ეხება პირის სამსახურიდან განთავისუფლებას და მასში არ არის მითითებული საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლით დადგენილი რომელიმე სამართლებრივი საფუძველი. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ მიღებულ ბრძანებაში ან სხვა მსგავსი ურთიერთობის მომწესრიგებელ აქტში, შრომის კოდექსის ნორმის მითითების აუცილებლობა განპირობებულია იმ გარემოებითაც, რომ დასაქმებულის მიერ ბრძანების გასაჩივრების შემთხვევაში, შესაძლებელი იყოს მის კანონიერებაზე მსჯელობა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძველების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. კ.-ძის, თ. ა.-ავას, ა. მ.-ძისა და ს. ზ.-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 აგვისტოს #17.13.598 და 2007 წლის 24 სექტემბრის #20.01.654 დადგენილების ნაწილობრივ ბათილად ცნობა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. კ.-ძის, თ. ა.-ავას, ა. მ.-ძისა და ს. ზ.-ძის სარჩელი განეკუთვნება ადმინისტრაციული და არა სამოქალაქო სამართალწარმოებით განსახილველ საქმეს.

პალატა განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული წესით საქმის განსჯადობისათვის ამოსავალია სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ ატარებდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ შინაარსს, კერძოდ, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზაინის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარასებობის დადგენა.

კონკრეტულ შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მთავრობა მოქმედებდა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ქვეპუნქტით, „საქართველოს დედაქალაქის-თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით, თბილისის მერიის დებულების მე-14 მუხლის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის „კ1“ ქვეპუნქტით და საქართველოს მთავრობის #126 დადგენილებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული დადგენილებების-სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დირექტორთა შესარჩევი კონკურსის დანიშვნისა და მათი განთავისუფლების თაობაზე კანონიერების შემოწმებისას სასამართლომ უნდა დაადგინოს მათი ადმინისტრაციულ კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის, რის გამოც განსახილველი საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების მიღებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქმე განხილულია განსჯადობის წესების დარღვევით და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საპროცესო საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მ. კ-ძის, თ. ა-ავას, ა. მ-ძისა და ს. ზ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება მ. კ-ძის, თ. ა-ავას, ა. მ-ძისა და ს. ზ-ძის სარჩელის არ დაკმაყოფილების ნაწილში;

საქმე განსახილველად დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

საკასაციო სასამართლომ განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. მოსამართლის აცილების საფუძვლები

განჩინება

#ას-359-678-09

6 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ბრძანების გაუქმება, იძულებითი განაცდურისა და მორალური ზიანის ანაზღაურება, სამუშაოზე აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

ც. მ-იამ და გ. ქ-იანმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში სსიპ ახალციხის ინსტიტუტის მიმართ სსიპ ახალციხის ინსტიტუტის რექტორის 2007 წლის 21 სექტემბრის #01\7 ბრძანების გაუქმების, იძულებითი განაცდურის ანაზღაურებისა და გადაწყვეტილების გამოტანამდე ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,07%-ის დარიცხვის, მოსარჩელეთა სამართლებრივი და ფაქტობრივი მდგომარეობის აღდგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: სსიპ ახალციხის ინსტიტუტის რექტორის დროებითი მოვალეობის შემსრულებელ თ. გ-შვილის 2007 წლის 21 სექტემბრის თსუ მესხეთის ფილიალის ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ #01\7 ბრძანებით ერთდროულად სამუშაოდან გათავისუფლდა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, სულ - 115 მუშაკი, მათ შორის, #1 დანართის მიხედვით, 49-ე და 69-ე ნომრად - გ. ქ-იანი და ც. მ-ია. აღნიშნული ბრძანება უკანონოა. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 31 ივლისის #161 დადგენილება სსიპ ახალციხის ინსტიტუტის დაფუძნებას ითვალისწინებს თსუ-ს რეორგანიზაციისა და არა ლიკვიდაციის გზით. მართალია, სსიპ ახალციხის ინსტიტუტის რექტორის დროებითი მოვალეობის შემსრულებელი დაინიშნა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 აგვისტოს განკარგულებით, მაგრამ მას, როგორც რექტორის დროებითი მოვალეობის შემსრულებელს, არანაირი უფლებამოსილება არ გააჩნდა, სადავო ბრძანებით შრომითი ურთიერთობა შეეწყვიტა თსუ მესხეთის ფილიალის თანამშრომლებთან. მთავრობის დადგენილების თანახმად, მას უნდა შეემუშავებინა წესდება, რაც არ განუხორციელებია. შრომის კანონთა კოდექსის 27-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ორგანიზაციული სტრუქტურა, რესურსები და საშტატო განრიგი მოპასუხეს არ გააჩნდა. სადავო ბრძანებით მოსარჩელებს მიადგათ მორალური ზიანი - ისინი სამსახურიდან გათავისუფლდნენ არა ობიექტური მიზეზებით, არამედ პირადი ანგარიშსწორების გამო, დამამცირებელი აღმოჩნდა ყველა ის პროცედურა, რაც დაკავშირებული იყო მოსარჩელეთა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტასთან. მათ მიადგათ ტანჯვა, რაც მიიჩნევა პიროვნული ღირსების შელახვად. ც. მ-იამ სექტემბრის მიუღებელი ხელფასის ანაზღაურების ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა მოხსნა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: საქართველოს მთავრობის 2007 წლის 31 ივლისის #161 დადგენილებით განხორციელდა სსიპ ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაცია, გამოეყო მესხეთის ფილიალი და მის ბაზაზე დაფუძნდა სსიპ ახალციხის ინსტიტუტი, რომელიც მესხეთის ფილიალის ნაწილში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფლებამონაცვლეს წარმოადგენს. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 აგვისტოს #446 განკარგულებით სსიპ ახალციხის ინსტიტუტის რექტორის დროებითი მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა თ.გ-შვილი. რეორგანიზაციის პროცესის დასრულება განისაზღვრა 2007 წლის 29 სექტემბრით, თუმცა, გარკვეული სირთულეების გამო, აღნიშნული ვადა გაგრძელდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 12 ოქტომბრის #963 ბრძანების მე-6 მუხლის თანახმად, დადგინდა რეორგანიზაციის პროცესის დასრულება არა უგვიანეს ახალციხის ინსტიტუტის მიერ ლიცენზიის მიღებისა. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივლისის #473-ე ბრძანებულების მე-2 ნაწილის „თ“ პუნქტის საფუძველზე რექტორის მოვალეობის შემსრულებელს უფლება ჰქონდა, გამოეცა #01\07-07 ბრძანება. აღნიშნული ბრძანებით შრომითი ხელშეკრულება შეუწყდა ყველა თანამშრომელს, შემდეგ ინსტიტუტი მთლიანად დაკომპლექტდა ყოფილი სსიპ თსუ მესხეთის ფილიალის თანამშრომლებით, როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით, ხოლო შტატები შემცირდა რეორგანიზაციისა და ფინანსური სიძნელეების გამო. აღსანიშნავია, რომ შრომის კანონთა კოდექსი დამსაქმებელს არ ავალდებულებს დასაქმებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთებას. რაც შეეხება 2007 წლის სექტემბრის ხელფასის ანაზღაურებას, მითითებული თანხა მიიღო ყველა თანამშრომელმა, ხოლო

იმ პირებს, ვისთანაც შრომითი ხელშეკრულება არ დაიდო, დამატებით მიეცათ ერთი თვის ხელფასი კომპენსაციის სახით. დაუსაბუთებელია სასარჩელო მოთხოვნა მორალურ ზიანთან დაკავშირებით, ვინაიდან, სამუშაოდან დათხოვნის გამო, მორალური ზიანის ანაზღაურებას მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებით ც. მ-იასა და გ. ქ-იანის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2007 წლის 27 ივნისს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ც. მ-იამ მუშაობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალში გაზეთ „მესხეთის უნივერსიტეტის“ რედაქტორის მოვალეობის შემსრულებლად. ხელშეკრულება მოქმედებდა 2007 წლის 25 ივნისიდან ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კონკურსის გამოცხადებამდე. სამუშაოს შესრულებისათვის დასაქმებულის ხელფასი ხელშეკრულებით განისაზღვრა 300 ლარით. 2006 წლის 8 ნოემბრის ხელშეკრულების საფუძველზე, 2006 წლის 8 ნოემბრიდან რეფორმის დამთავრებამდე გ. ქ-იანი დაინიშნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალში ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლად. ხელშეკრულებით გ. ქ-იანის ხელფასი განისაზღვრა თვეში 400 ლარის ოდენობით. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 31 ივლისის #161 დადგენილებით დაიწყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაცია, მას გამოეყო მესხეთის ფილიალი და მის ბაზაზე დაფუძნდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი ახალციხის ინსტიტუტი, რომელიც ზემოხსენებული ფილიალის ნაწილში სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფლებამონაცვლეა. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 აგვისტოს #446 განკარგულებით თ. გ-შვილი დაინიშნა საჯარო სამართლის იურიდიული პირის, ახალციხის ინსტიტუტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად. სსიპ ახალციხის ინსტიტუტის 2007 წლის 21 სექტემბრის #01\7 ბრძანებით შრომითი ურთიერთობა შეუწყდა თსუ მესხეთის ფილიალის ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს, მათ შორის, ც. მ-იასა და გ. ქ-იანს. ბრძანების საფუძველად მიეთითა საქართველოს მთავრობის 2007 წლის 31 ივლისის #161 დადგენილება, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის #473 ბრძანებულება და საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი. სააპელაციო პალატამ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა, რომ ინსტიტუტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელს ნება დაერთო, განეხორციელებინა საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის #473 ბრძანებულებით განსაზღვრული უფლებამოსილებანი, მათ შორის, შეეწყვიტა თსუ მესხეთის ფილიალის ადმინისტრაციას, დამხმარე პერსონალსა და ფილიალის ყოფილ დირექტორს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები. ამდენად, პალატამ ჩათვალა, რომ სსიპ ახალციხის ინსტიტუტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელ თ. გ-შვილს გააჩნდა სადავო ბრძანების გამოცემის უფლებამოსილება. ამასთან, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოცემული დავა გამომდინარეობს შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან, ამდენად, სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ბრძანების კანონიერება უნდა შეამოწმოს შრომის კოდექსთან მიმართებით. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტების მითითება, რომ სადავო ბრძანებით სამუშაოდან გათავისუფლებულ პირებს შეეზღუდათ ხელფასისა და კომპენსაციის მიღების უფლება, ასევე სადავო ბრძანება ეწინააღმდეგება შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებს, 33-ე მუხლის პირველ ნაწილსა და 37-ე მუხლს. სასამართლომ მიუთითა სსიპ ახალციხის ინსტიტუტის რექტორის - თ. გ-შვილის 2007 წლის 21 სექტემბრის #01\7 ბრძანების მე-3 პუნქტზე, რომლის მიხედვით აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს დაევალი მისაღები ხელფასისა და ერთი თვის კომპენსაციის გაცემა იმ პირთათვის, რომლებთანაც შრომითი ხელშეკრულება არ გაფორმებულა. 2008 წლის 2 ივლისის სასამართლო სხდომის ოქმის საფუძველზე პალატამ დაადგინა, რომ აპელანტებმა ერთი თვის კომპენსაცია მიიღეს. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ აპელანტებთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველია შრომითი ხელშეკრულების მოშლა, რასაც აწესრიგებს შრომის კოდექსის 37-ე-38-ე მუხლები, რომლის მოთხოვნა დამსაქმებლის ინიციატივით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში დასაქმებულისათვის არანაკლებ ერთი თვის ხელფასის ანაზღაურების თაობაზე მოცემულ შემთხვევაში დაცულია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ც. მ-იამ და გ. ქ-იანმა გაასაჩივრეს საკასაციო წესით, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ სსიპ ახალციხის ინსტიტუტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი თ. გ-შვილი არ იყო უფლებამოსილი, სამუშაოდან გაეთავისუფლებინა კასატორები. პალატამ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლი და

სააპელაციო საჩივრის საფუძვლებზე სრულად არ იმსჯელა, კერძოდ, აპელანტები უთითებდნენ, რომ პირველი ინსტანციის წესით საქმე განიხილა არაკანონიერმა სასამართლო შემადგენლობამ. ახალციხის რაიონულ სასამართლოში საქმის განმხილველი მოსამართლე პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა ასევე ახალციხის ინსტიტუტში, შესაბამისად, მის მიმართ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის "ა" და "დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული აცილების საფუძველი. მხარემ სასამართლო პროცესზე იშუამდგომლა მოსამართლის აცილების შესახებ, ვინაიდან მოსამართლე ხელშეკრულებით ურთიერთობაში იყო ინსტიტუტთან, თუმცა მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. ნიშანდობლივია, რომ ამავე მოსამართლემ თვითაცილების წესით აიცილა სარჩელის უზრუნველყოფის სახით 2007 წლის 21 სექტემბრის #01/7 ბრძანების მოქმედების შეჩერების შესახებ მოსარჩელეთა წარმომადგენელ რ.სანდროშვილის განცხადების განხილვა, რითაც დაადასტურა მოსარჩელების ეჭვის საფუძვლიანობა არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ მათი საქმის განხილვისა და უკანონო გადაწყვეტილების მიღების თაობაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის დარღვევით, არ შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 21 ოქტომბრის #963 ბრძანება, წინასწარ დადგენილი სავალდებულო ძალა მიანიჭა თსუ-ს რექტორის 2007 წლის 14 ივლისის #28/01/01 ბრძანებას, მაშინ, როცა ბრძანების მე-2 პუნქტი არ შესრულებულა და არ გაითვალისწინა, რომ მინისტრის ბრძანებას რექტორის ბრძანებასთან შედარებით უპირატესი ძალა გააჩნია. სააპელაციო პალატას არ უმსჯელია, მინისტრის 2007 წლის 12 ოქტომბრის #963 ბრძანების მე-5 პუნქტის მოთხოვნებზე, რომელთა მართლობიერად შესრულება გამორიცხავდა მოსარჩელებისათვის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას ამავე ბრძანების მე-6 პუნქტის შესრულებამდე.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: ც. მ-ია მუშაობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალში გაზეთ „მესხეთის უნივერსიტეტის“ რედაქტორის მოვალეობის შემსრულებლად 2007 წლის 27 ივნისს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულება მოქმედებდა 2007 წლის 25 ივნისიდან ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კონკურსის გამოცხადებამდე. სამუშაოს შესრულებისათვის დასაქმებულის ხელფასი განისაზღვრა 300 ლარით. 2006 წლის 8 ნოემბრის ხელშეკრულების საფუძველზე, 2006 წლის 8 ნოემბრიდან რეფორმის დამთავრებამდე, გ. ქ-იანი დაინიშნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალში ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლად და მისი ხელფასი განისაზღვრა თვეში 400 ლარით.

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 31 ივლისის #161 დადგენილებით დაიწყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაცია, მას გამოეყო მესხეთის ფილიალი და მის ბაზაზე დაფუძნდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი ახალციხის ინსტიტუტი, რომელიც ზემოხსენებული ფილიალის ნაწილში სსიპ ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფლებამონაცვლეა.

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 აგვისტოს #446 განკარგულებით თ. გ-შვილი დაინიშნა საჯარო სამართლის იურიდიული პირის, ახალციხის ინსტიტუტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად. სსიპ ახალციხის ინსტიტუტის რექტორის 2007 წლის 21 სექტემბრის #01\7 ბრძანებით შრომითი ურთიერთობა შეუწყდა თსუ მესხეთის ფილიალის ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს, მათ შორის, ც. მ-იასა და გ. ქ-იანს. ბრძანების საფუძველად მიეთითა საქართველოს მთავრობის 2007 წლის 31 ივლისის #161 დადგენილება, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის #473 ბრძანებულება და საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ც. მ-იასა და გ. ქ-იანის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. დასახელებული ნორმის თანახმად, საკასაციო სასამართლო სააპელაციო პალატას ხელახლა განსახილველად დაუბრუნებს საქმეს თუ საქმის განხილვისას აღმოჩნდა, რომ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ არასრულად გამოიკვლია საქმის ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც არსებით გავლენას ახდენს საქმის შედეგზე, კერძოდ:

უპირველესად საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დაუსაბუთებელია კასატორთა მოსაზრება სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების დარღვევასთან მიმართებით, იმ მოტივით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილველი მოსამართლე არ იყო უფლებამოსილი, განეხილა აღნიშნული საქმე, ვინაიდან იგი თავად იმყოფებოდა შრომით ურთიერთობაში მოდავე მხარესთან. სასამართლო მიუთითებს, რომ მოსამართლის აცილებისა თუ თვითაცილების გადაწყვეტის წესის, ასევე აცილების საფუძვლები კონკრეტულადაა განსაზღვრული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე-34-ე მუხლებით. დასახელებული კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს მხარეს ან მას, ამა თუ იმ მხარესთან, საერთო უფლებები ან ვალდებულებები აკავშირებს, ამ საქმის ადრინდელ განხილვაში თვითონ მონაწილეობდა მოწმედ, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, წარმომადგენლად ან სასამართლო სხდომის მდივნად, მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია, პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან, თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ექვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში. დასახელებული ნორმაში მითითებული გარემოებები ამომწურავად განსაზღვრავს სასამართლო შემადგენლობის აცილების საკითხს და კანონმდებლის მიერ შემოთავაზებული შემთხვევებიდან ერთ-ერთის არსებობა საქმის განხილვისაგან მოსამართლის აცილების აბსოლუტური საფუძველია. განსახილველ შემთხვევაში, გ.ქ-იანი და ც.მ-ია პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილველი მოსამართლის აცილების საფუძვლად უთითებენ იმ გარემოებას, რომ იგი პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა სსიპ ახალციხის ინსტიტუტში. აღნიშნული გარემოება ვერ გახდება საქმის განხილვისაგან მოსამართლის აცილების საფუძველი, რადგან საქართველოს კონსტიტუციით მოსამართლისათვის მინიჭებული პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების უფლება არ ქმნის მისი მიკერძოების ვარაუდს, ამასთან აღნიშნული გარემოება დასახელებულ ნორმაში პირდაპირ არაა მითითებული, ამდენად საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორთა აღნიშნული მოსაზრება არ არის დასაბუთებული და იგი გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივ საფუძვლად ვერ იქნება მიჩნეული.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებზე დაყრდნობით ასკვნის, რომ სსიპ ახალციხის ინსტიტუტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2007 წლის 21 სექტემბერს გამოცემული #01\7 ბრძანება მოქმედ კანონმდებლობას არ შეესაბამება, კერძოდ, მასში კონკრეტულად არ არის მითითებული დასაქმებულ პირთა დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების იურიდიული საფუძველი. აღნიშნული გარემოება დასტურდება საქმეში წარმოდგენილი და სადავოდ მიჩნეული 2007 წლის 21 სექტემბრის ბრძანებით, რომლითაც შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლად მითითებულია საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის ბრძანებულება და საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი. საგულისხმოა, რომ სადავო ბრძანების მიღების დროისათვის მოქმედებდა საქართველოს შრომის კოდექსი.

სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინებით მიუთითა, რომ, ვინაიდან აპელანტებს მიღებული აქვთ ერთი თვის კომპენსაცია, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი არის შრომის კოდექსის 37-ე-38-ე მუხლები, კერძოდ, 37-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით და 38-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილებით. აღნიშნულთან დაკავშირებით საფუძვლიანია კასატორთა მოსაზრება სასამართლოს მიერ კანონის არასწორად გამოყენების თაობაზე, კერძოდ, სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინებით თავისი შეხედულებით ისე დაადგინა შრომითი ხელშეკრულების მოშლის იურიდიული საფუძველი, რომ არანაირი სამართლებრივი შეფასება არ მიუცია სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანებაში ასეთი საფუძვლის არარსებობაზე. დამსაქმებელი ვალდებულია, მუშაკის გათავისუფლების ბრძანებაში ასახოს ხელშეკრულების მოშლის კონკრეტული საფუძველი, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო აუქმებს სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებას და ხელახლა განსახილველად აბრუნებს იმავე სასამართლოში, ვინაიდან ამ ეტაპზე შეუძლებელია გაირკვეს საქმისათვის აუცილებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის საქმის ხელახლა განხილველმა სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, მხარეთა შორის დადებული შრომის ხელშეკრულებები ვადიანია თუ არა; რა სახის სამუშაოს შესრულებაზე და რა ოდენობით ანაზღაურებაზე იყვნენ მხარეები შეთანხმებული; მხოლოდ ამ გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ უნდა შეფასდეს კასატორთა სამუშაოზე სადღეგრესის და განაცდურის ანაზღაურების მართლობიერება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

ც. მ-იასა და გ. ქ-იანის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. სასამართლო ხარჯებისაგან გათავისუფლება

სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძვლები

განჩინება

#ას-786-1110-07

14 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

საკასაციო სასამართლომ საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა კასატორ ნ. ო-შვილის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების საკითხი.

პალატამ გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 24 დეკემბრის განჩინებით კასატორი ნ. ო-შვილი გათავისუფლდა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. მიუხედავად ამისა, ნ. ო-შვილის მიერ მაინც იქნა წარმოდგენილი სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, რომლის მიხედვითაც, მას გადახდილი ჰქონდა სახელმწიფო ბაჟი - 300 ლარი.

სახელმწიფო ბაჟის შესახებ კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის "მ" ქვეპუნქტის თანახმად, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლებიან ინვალიდები.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებიდან რკვევა, რომ კასატორი ნ. ო-შვილი ინვალიდია, შესაბამისად მას უნდა დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 300 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

ნ. ო-შვილს დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 300 ლარის ოდენობით. თბილისის არასაგადასახადო შემოსულობების #200122900 (სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი - #220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი - #300773150, დანიშნულება - სახელმწიფო ბაჟი საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსახილველ საქმეებზე) ანგარიშიდან.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლება სასამართლოს მიერ

განჩინება

#ას-533-843-09

6 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

სარჩელის საგანი: სახელშეკრულებო დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 17 ოქტომბერს სს "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიამ" ფულადი დავალიანების გადახდის ბრძანების მიღების მოთხოვნით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს შპს "ტექს ჯგუფის" წინააღმდეგ იმაზე მითითებით, რომ 2008 წლის ივლისის თვეში შპს "ტექს ჯგუფი" ეტაპობრივად იქნა საგზაო ბიტუმს მოსარჩელისაგან. თითოეულ ეტაპზე მოპასუხისათვის საქონლის მიწოდება ხდებოდა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების საფუძველზე, რაც წარმოადგენს საქონლის მიღება-ჩაბარების დამადასტურებელ დოკუმენტს, რასაც ხელს აწერს მოპასუხის უფლებამოსილი პირი. მიწოდებული პროდუქციის ღირებულება მოპასუხეს უნდა გადაეხადა ყოველი მიწოდებიდან 45 დღის განმავლობაში.

მოსარჩელის მითითებით, 2008 წლის 2 და 11 ივლისს მოპასუხეს მიეწოდა 50793 ლარის ღირებულების ბიტუმი, რომლის საფასურიც მას არ გადაუხდია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 14 ნოემბრის გადახდის ბრძანებით სს "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" განცხადება დაკმაყოფილდა. აღნიშნულ ბრძანებაზე მოპასუხემ წარმოადგინა შესაგებელი, რის საფუძველზეც გადახდის ბრძანება გაუქმდა და საქმე განსახილველად დაინიშნა საერთო სასარჩელო წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით სს "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" სარჩელი დაკმაყოფილდა. შპს "ტექს ჯგუფს" დაეკისრა 50793 ლარის გადახდა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეს საგზაო ბიტუმი მიეწოდა 2008 წლის 2 და 11 ივლისს, რომლის ღირებულებაც არ აქვს ანაზღაურებული. სასამართლომ განმარტა, რომ გასულია ვალდებულების შესრულების გონივრული ვადა, რის გამოც მოპასუხე ვალდებულია, გადაუხადოს მოსარჩელეს მიწოდებული ბიტუმის ღირებულება (ტ.1, ს.ფ 60-63).

2008 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს "ტექს ჯგუფმა" და მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება. აპელანტი მიუთითებს, რომ არ არსებობს შეთანხმება ან ხელშეკრულება არსებული ბიტუმის მიწოდებასთან დაკავშირებით; ასევე, ჩაბარების აქტზე არ არის მისი წარმომადგენლის ხელმოწერა. სააპელაციო საჩივარში აპელანტმა მოითხოვა ბაჟის გადახდისგან გათავისუფლება იმ საფუძველზე, რომ კომპანია იმყოფება ფინანსურ კრიზისში. სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლების შეუძლებლობის შემთხვევაში აპელანტი მოითხოვს ბაჟის გადახდევინებას 300 ლარამდე.

სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 23 მარტის განჩინებით შპს "ტექს ჯგუფს" დაუდგინდა ხარვეზი და 7 დღის ვადაში დაევალა სახელმწიფო ბაჟის სახით 2031.72 ლარის გადახდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 13 მაისის განჩინებით შპს "ტექს ჯგუფის" სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული დაუშვებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ხარვეზის შესავსებად სასამართლოს მიერ დანიშნული 7-დღიანი ვადის დენა დაიწყო განჩინების გადაცემის მომდევნო დღიდან, ე.ი. 2009 წლის 16 აპრილიდან და ამოიწურა 2009 წლის 22 აპრილს. აპელანტის მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ იქნა შევსებული და არც რაიმე შუამდგომლობა წარმოდგენილა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე შპს "ტექს ჯგუფმა" კერძო საჩივარი შეტანა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება. კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მათ სააპელაციო სასამართლოს სთხოვეს სახელმწიფო ბაჟის განაწილვადება საქმის განხილვის დასრულებამდე, კომპანიის მიმე ფინანსური მდგომარეობის გამო, მაგრამ სააპელაციო სასამართლომ დაუშვებლად ცნო სააპელაციო საჩივარი და უარი უთხრა განხილვაზე, რითაც დაირღვა მათი უფლებები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 13 მაისის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ აპელანტმა შპს "ტექს ჯგუფმა" თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე წარდგინო სააპელაციო საჩივარში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის საფუძველზე იშუამდგომლა სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლება ან გადასახდელი გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის შემცირება 300 ლარამდე. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 13 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარს ისე დაუდგინდა ხარვეზი, რომ სააპელაციო სასამართლოს აპელანტის აღნიშნულ შუამდგომლობაზე არ უმსჯელია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, თუ მოქალაქე დაასაბუთებს სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობას და სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, რის თაობაზეც მოსამართლეს გამოაქვს მოტივირებული განჩინება. ამავე კოდექსის 48-ე მუხლის თანხმად, სასამართლოს მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს. აღნიშნული ნორმების მოთხოვნიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია, იმსჯელოს სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლების, სახელმწიფო ბაჟის გადავადების ან მისი ოდენობის შემცირების შუამდგომლობაზე, რათა სახელმწიფო ბაჟისგან გათავისუფლების, გადავადების თუ შემცირების საფუძვლების რეალურად არსებობის შემთხვევაში უზრუნველყოფილი იყოს ქონებრივ შესაძლებლობას მოკლებული მხარის უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობა. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეთა არსებითი საპროცესო უფლება სასამართლოს წინაშე განაცხადონ შუამდგომლობები, რაც ასევე გულისხმობს ამ შუამდგომლობების განხილვის, ხოლო დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში - შუამდგომლობაზე უარის თქმის მოტივების ცოდნის უფლებასაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლებისა და სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირების შესახებ შუამდგომლობაზე მსჯელობის გარეშე გადაეწყვიტა სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი.

აღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო საჩივარი სასამართლოს მიერ დასაშვებობის ხელახლა შემოწმებას ექვემდებარება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 13 მაისის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადება და ოდენობის შემცირება

განჩინება

#ას-730-1028-09

22 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი

უპირი განხილვის გარეშე განიხილა მ. წ-თლის საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 აპრილის და 2009 წლის 25 მარტის განჩინებებზე. საკასაციო სასამართლომ

გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ივლისის განჩინებებით დალი წ-თლის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში ამავე კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად, ხოლო საკასაციო საჩივარს მ. წ-თლის ნაწილში დაუდგინდა ხარვეზი, კერძოდ, ამ უკანასკნელს დაევალა აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში 644 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა.

დადგინდა საპროცესო ვადაში კასატორმა მ. წ-თელმა განცხადებით მომართა უზენაეს სასამართლოს და ითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება. განმცხადებელი აღნიშნულ შუამდგომლობას იმ გარემოებაზე აფუძნებდა, რომ იყო ასაკით პენსიონერი, 2008 წლის სექტემბრის ჩათვლით რეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და დასახელებული დროის განმავლობაში იღებდა შემწეობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატის 2009 წლის 3 აგვისტოს განჩინებით მ. წ-თელს გაუგრძელდა ამავე სასამართლოს 2009 წლის 22 ივლისის განჩინებით დანიშნული ხარვეზის შევსების ვადა ამ განჩინების ჩაბარებიდან 6 დღით და დაევალა მითითებულ საპროცესო ვადაში წარმოედგინა სახელმწიფო ბაჟის - 644 ლარის გადახდის ქვითარი. იმავდროულად, კასატორს განემარტა, რომ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში საკასაციო საჩივარი მის ნაწილში დარჩებოდა განუხილველი.

2009 წლის 14 აგვისტოს უზენაეს სასამართლოში წარმოდგენილი განცხადებით მ. წ-თელი კვლავ ითხოვს სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას. ამასთან, განმცხადებელი მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარზე გამოანგარიშებული სახელმწიფო ბაჟის ოდენობა 304 ლარით უნდა განისაზღვროს, რამდენადაც მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე მან უარი განაცხადა და აღნიშნული ბაჟის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. ხარვეზის შევსების ვადის გადავადების მოთხოვნას განმცხადებელი იმ გარემოებაზე აფუძნებს, რომ არის მარტოხელა პენსიონერი და თანხის გადახდის არანაირი საშუალება გააჩნია.

საკასაციო სასამართლომ შეამოწმა მ. წ-თლის საკასაციო საჩივარზე ხარვეზის შევსების საკითხი და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი დატოვებულ უნდა იქნეს განუხილველად, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მიუხედავად ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელებისა, მ. წ-თელმა 2009 წლის 14 აგვისტოს წარმოდგენილ განცხადებაში ვერ დაასაბუთა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული ნორმით სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების საფუძვლების არსებობა. დასახელებულ განცხადებას არ ერთვის მისი სრული ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი, სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების საფუძვლის დამადასტურებელი არანაირი მტკიცებულება. აქედან გამომდინარე, კასატორის განმეორებითი მოთხოვნა სახელმწიფო ბაჟის გადავადების შესახებ დაკმაყოფილებას ვერ დაექვემდებარება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ პასუხობს მითითებულ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული ან საკასაციო საჩივარი არ არის შეტანილი კანონით დადგენილ ვადაში, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. წ-თელმა ვერ უზრუნველყო სასამართლოს მიერ დანიშნულ საპროცესო ვადაში საკასაციო საჩივრის ხარვეზის შევსება - სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა, ვერ უზრუნველყო ვერც სახელმწიფო ბაჟის გადავადების შესახებ შუამდგომლობის დადასტურება სათანადო მტკიცებულებებით. კასატორის მიერ შუამდგომლობის საფუძვლად მითითებული გარემოება თავისთავად არ წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლით გათვალისწინებულ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების საფუძველს და არ ასაბუთებს ქონებრივი მდგომარეობის გამო მის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადახდის შეუძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო საჩივარი მ. წ-თლის ნაწილში განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. მ. წ-თლის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 აპრილის და 2009 წლის 25 მარტის განჩინებებზე განუხილველად იქნეს დატოვებული;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. სასამართლო შეტყობინება და დაბარება

უწყების ჩაბარება

განჩინება

#ა-1341-ა-16-09

8 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ტ. დ-იას და მისი წარმომადგენლის ნ. შ-იას განცხადების დასაშვებობის საკითხი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის განჩინების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ.

პალატამ გამოარკვია:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით ხ. კ-იას, ლ. კ-იას, ნ. კ-იასა და ი. კ-იას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება ანდერძის ბათილად ცნობის თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში. ხ. კ-იას, ლ. კ-იას, ნ. კ-იასა და ი. კ-იას სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი ნ. კ-იას 2007 წლის 16 მარტის ანდერძი.

აღნიშნული გადაწყვეტილების ასლი ტ. დ-იას წარმომადგენელს ჩაჰბარდა 2009 წლის 2 აპრილს, ხოლო მის მიერ საკასაციო საჩივარი შეტანილი იქნა ამავე წლის 5 მაისს, ანუ 1-თვიანი ვადის დარღვევით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 28 მაისის განჩინებით ტ. დ-იას წარმომადგენლის ნ. შ-იას საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი დარჩა განუხილველი.

2009 წლის 22 ივნისს ტ. დ-იას წარმომადგენელმა ნ. შ-იამ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და აღნიშნა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება ჩაბარდა ამავე წლის 2 აპრილს, ხოლო საკასაციო საჩივარი მის მიერ შეტანილი იქნა 2009 წლის 4 მაისს. განმცხადებელმა წარმოადგინა შპს "საქართველოს ფოსტის" ქვითარი #000015 და #000003, საიდანაც ირკვევა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში საკასაციო საჩივარი შეტანილი იქნა 4 მაისს.

საკასაციო პალატა გაეცნო ტ. დ-ის წარმომადგენლის - ნ. შ-ის მიერ წარმოდგენილ განცხადებას და თვლის, რომ განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, ფოსტით ან კურიერის მეშვეობით მოქალაქისათვის გაგზავნილი სასამართლო უწყება მას უნდა ჩაჰბარდეს პირადად, ხოლო მოქალაქის სამუშაო ადგილზე, ასევე, ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაჰბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არ ყოფნის შემთხვევაში - ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში უწყების ჩაბარება დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

მოცემულ შემთხვევაში ტ. დ-ის წარმომადგენლის ნ. შ-ის მიერ წარმოდგენილი შპს "საქართველოს ფოსტის" ქვეთარი არ აბათილებს საქმეში არსებულ საფოსტო კონვერტს იმის თაობაზე, რომ საკასაციო საჩივარი ტ. დ-ის წარმომადგენლის ნ. შ-ის მიერ გაგზავნილ იქნა 5 მაისს. თუ განმცხადებელი ექვევებში აყენებს ზემოაღნიშნულ საფოსტო კონვერტს, ამის თაობაზე შეუძლია მმართველს კანონით დადგენილი წესით შესაბამის ორგანოებს, რადგან სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის აღნიშნული ფაქტის გამოკვლევა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის განჩინება საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ კანონიერია და არ არსებობს განცხადების დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა :

ტ. დ-ის წარმომადგენლის ნ. შ-ის განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს; განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უწყების გაგზავნა

განჩინება

#ა-ვ-708-ა-19-09

15 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ნ. ძ-ურის განცხადების დასაშვებობის საკითხი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 25 მაისის განჩინების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ.

პალატამ გამოარკვია:

2007 წლის 28 ნოემბერს ნ. ძ-ურმა სარჩელით მიმართა აბაშის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე რ. გ-შვილის მიმართ სამუშაოზე აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების თაობაზე.

აბაშის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. ძ-ურის სარჩელი დაკმაყოფილდა - მოსარჩელე აღდგენილ იქნა აბაშის რაიონის სოფელ პირველი მაისის საჯარო სკოლაში ფრანგული ენის მასწავლებლად 18 საათობრივი დატვირთვით, მოპასუხეს ნ. ძ-ურის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება ოთხი თვის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისი ოდენობით.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. გ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აღნიშნული დავა არაერთხელ იქნა განხილული სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში და ბოლოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 31 მარტის

განჩინებით ნ. ძ-ურის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 31 მარტის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ნ. ძ-ურმა და მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატის 2009 წლის 5 მაისის განჩინებით, ნ. ძ-ურს დაევალა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის - 50 ლარის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა. აღნიშნული განჩინების ასლი კერძო საჩივრის ავტორს გაეგზავნა კანონით დადგენილი წესით და ნ. ძ-ურს ჩაჰბარდა 2009 წლის 13 მაისს. შესაბამისად ხარვეზის შესავსებად განსაზღვრული საპროცესო ვადა ამოიწურა მიმდინარე წლის 18 მაისს. აღნიშნულ ვადაში კერძო საჩივრის ავტორის მიერ ხარვეზი არ იქნა შევსებული.

2009 წლის 22 მაისს ნ. ძ-ურმა განცხადებით მომართა საკასაციო პალატას, რასაც დაურთო სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ კერძო საჩივრის ავტორს ხარვეზის შესავსებად მიცემული საპროცესო ვადა ამოიწურა 2009 წლის 18 მაისს, ხოლო მის მიერ ხარვეზი გამოსწორებულ იქნა მიმდინარე წლის 22 მაისს, ანუ საპროცესო ვადის 4 დღის გასვლის შემდეგ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატის 2009 წლის 25 მაისის განჩინებით ნ. ძ-ურის კერძო საჩივარი, როგორც დაუშვებელი დარჩა განუხილველი.

2009 წლის 25 სექტემბერს ნ. ძ-ურმა განცხადებით მომართა საკასაციო პალატას და მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატის 2009 წლის 25 მაისის განჩინების გაუქმება და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება. განმცხადებლის განმარტებით უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 5 მაისის განჩინება ჩაბარდა ამავე წლის 19 მაისს, ხოლო ხარვეზი მის მიერ ვადაში იქნა შევსებული. განმცხადებელმა წარმოადგინა შპს "საქართველოს ფოსტის" წერილი საიდანაც ირკვევა, რომ შეკვეთილი წერილი ნ. ძ-ურის სახელზე მიღებულია აბაშის ფოსტაში 11.05.09წ. აღნიშნული წერილი ჩაჰბარდა მის ახლობელს - ნ. ძ-ურს (სოფ. რწმუნებულს) 13.05.09წ, ხოლო ნ. ძ-ურს ჩაბარდა 19.05.09წ.

საკასაციო პალატა გაეცნო ნ. ძ-ურის მიერ წარმოდგენილ განცხადებას და თვლის, რომ განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, ფოსტით ან კურიერის მეშვეობით მოქალაქისათვის გაგზავნილი სასამართლო უწყება მას უნდა ჩაჰბარდეს პირადად, ხოლო მოქალაქის სამუშაო ადგილზე, ასევე, ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაჰბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არ ყოფნის შემთხვევაში - ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში უწყების ჩაბარება დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

მოცემულ შემთხვევაში ნ. ძ-ურის მიერ წარმოდგენილი შპს "საქართველოს ფოსტის" წერილი არ აბათილებს საქმეში არსებულ საფოსტო შეტყობინებას იმის თაობაზე, რომ ნ. ძ-ურს უზენაესი სასამართლოს განჩინების ასლი ჩაბარდა 13 მაისს. თუ განმცხადებელი ეჭვქვეშ აყენებს ზემოაღნიშნულ საფოსტო შეტყობინებას, ამის თაობაზე შეუძლია მიმართოს კანონით დადგენილი წესით შესაბამის ორგანოებს, რადგან სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის აღნიშნული ფაქტის გამოკვლევა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატის 2009 წლის 25 მაისის განჩინება კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ კანონიერია და არ არსებობს განცხადების დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ნ. ძ-ურის განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს;
უცვლელი დარჩეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრე-
ბის საქმეთა პალატის 2009 წლის 25 მაისის განჩინება.
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უწყების ჩაბარება ადრესატის არყოფნის შემთხვევაში

განჩინება

#ას-308-629-09 12 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ახალციხის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართეს მ. გ-შვილმა და რ. გ-შვილმა ზიანის ანაზღაურების შესახებ მოპასუხე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის მიმართ.

მოსარჩელთა განმარტებით, ე.წ. მაზანის ტერიტორიაზე მ. გ-შვილის საკუთრებაში აქვს #177 0.161 ჰა მიწის ნაკვეთი და იჯარით აღებული #250012003335 0.72 ჰა მიწის ნაკვეთი, ხოლო რ. გ-შვილს იგივე ტერიტორიაზე აქვს #178 0.57 ჰა მიწის ნაკვეთი. აღნიშნული მიწის ნაკვეთე-
ბი მდებარეობს მდინარე ფოცხოვი 1-თან ახლოს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის მიმდებარე ტერიტორიაზე. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიამ მიმდებარე ტერიტორი-
აზე მოაწყო დროებითი ხიდი და სამანქანე გზა, მოხდა წყლის ნაკადების შეკავება, წყალსამაგრი ჯებირების დანგრევა და ამის შედეგად წყალი შეიჭრა მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებში, მათ შორის, მოსარჩელეთა კუთვნილ მიწის ნაკვეთებშიც, რამაც მოახდინა აღნიშნული ნაკვეთების დატბორვა.

მ. გ-შვილმა მოითხოვა მოპასუხის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება 168,936 ლარის ოდენობით, ხოლო რ. გ-შვილმა - 21,952 ლარის ოდენობით.

საქმის მომზადების ეტაპზე მოსარჩელებმა შეამცირეს სარჩელის მოთხოვნა და მოითხოვეს მოპა-
სუხეებზე თითოეულის სასარგებლოდ 15 000 ლარის გადახდა.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებით მოსარჩელეთა მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მოპასუხეს დაეკისრა მიყენებული ზიანის ანაზღაურება თითოეული მოსარჩელის სასარგებლოდ 15 000 ლარის ოდენობით.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გასაჩივრა მოპასუხე მხარემ - "ბაქო-თბი-
ლისი-ჯეიჰანის" მილსადენის კომპანიამ და სააპელაციო საჩივარში მიუთითა, რომ პირველი ინ-
სტანციის სასამართლომ არ გამოიკვლია და არ შეაფასა საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოება,
კერძოდ: გადაწყვეტილებაში მოყვანილი მსჯელობის თანახმად, გაუგებარია და არ არის ცალსახად
დადგენილი, მოსარჩელეთა ტერიტორია დაიტბორა და ამით მიადგათ ზიანი, თუ წყალდიდობის
შედეგად დაისილა სარწყავი არხები, ადარ მიეწოდებოდა სარწყავი წყალი ნერგებს და მოურწყვე-
ლობამ გაახმო ისინი და ამან მიაყენა მოსარჩელებს ზიანი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 12 ნოემბრის
დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი კომპანიის სააპელაციო საჩი-
ვარი დაკმაყოფილდა მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო;

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილების შეცვლით მი-
ღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მ. და რ. გ-შვილების სარჩელი ზიანის ანაზღაურების შესა-
ხებ არ დაკმაყოფილდა.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაასაჩივრა მ. და რ. გ-შვილების წარმომადგენელმა ლ. ბ-მემ,
რომლითაც მოითხოვა მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების
განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 იანვრის განჩინებით მ. და რ. გ-შვილების საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელი დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 12 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატის განმარტებით, სასამართლო უწყება 2008 წლის 12 ნოემბრის 14.00 საათზე დანიშნული სასამართლო სხდომის თაობაზე გაეგზავნათ რ. და მ. გ-შვილებს მათ მიერ საქმეში მითითებულ მისამართებზე და ასევე მათ წარმომადგენელს ლ. ბ-ძეს. დადგენილია, რომ გაგზავნილი სასამართლო უწყებები კანონით დადგენილი წესით ჩაბარდათ მ. გ-შვილს და ლ. ბ-ძეს. რ. გ-შვილის სახელზე გაგზავნილი სასამართლო უწყება დაბრუნდა ჩაუბარებელი სახით იმ საფუძვლით, რომ გზავნილზე მითითებულ მისამართზე შენობა დანგრეული იყო და მიმდინარეობს მშენებლობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, რ. გ-შვილს სასამართლო უწყება ჩაბარდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად - ტექნიკური საშუალების გამოყენებით, კერძოდ, რ. გ-შვილის შვილთან პ. გ-შვილთან შედგა სატელეფონო საუბარი და მას ეცნობა სასამართლო სხდომის დრო და ადგილი. აღნიშნულის თაობაზე შედგა აქტი, ხოლო შესაბამისი ტექნიკური საშუალებით განხორციელებული საუბრის ჩანაწერი შემდგომში დაერთო საქმეს. სააპელაციო პალატამ ჩანაწერის მოსმენის შედეგად დაადგინა, რომ რ. გ-შვილის შვილს ეცნობა, რომ სხდომა დანიშნული იყო 2008 წლის 12 ნოემბერს 14 საათზე. ამდენად, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა საჩივრის საფუძველი, ვინაიდან დადგენილია, რომ სასამართლო უწყება 2008 წლის 12 ნოემბრის სასამართლო სხდომის თაობაზე კანონით დადგენილი წესით გაეგზავნათ და ჩაბარდათ როგორც რ. და მ. გ-შვილებს, ასევე მათ წარმომადგენელს - ლ. ბ-ძეს. ამასთან, საჩივრის ავტორი სააპელაციო პალატის 2008 წლის 12 ნოემბრის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის სხვა საპატიო მიზეზების შესახებ საჩივარში არ მიუთითებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 იანვრის განჩინება საკასიო წესით გაასაჩივრეს მ. და რ. გ-შვილებმა და მოითხოვეს ამავე სასამართლოს 2008 წლის 12 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება.

კასატორების აზრით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2008 წლის 12 ნოემბერს დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანა უკანონოდ, რადგან მოწინააღმდეგე მხარის სასამართლო პროცესზე დაბარება მოხდა გაურკვეველად, კერძოდ: მ. გ-შვილს სასამართლო უწყება ჩაბარდა ფოსტის მეშვეობით, ხოლო რ. გ-შვილს და მის წარმომადგენელს პ. გ-შვილს უწყება არ ჩაბარდათ. ჩაუბარებლობას კი სააპელაციო სასამართლო იმ მიზეზით ხსნის, რომ თითქოსდა მათი ბინა დანგრეული იყო და მიმდინარეობდა მშენებლობა.

ასევე კასატორების აზრით, აღნიშნული განმარტება წარმოუდგენელია, რადგან ბინა არ დანგრეულა და იმ მდგომარეობაშია დღესაც, რაც იყო 1960-იან წლებში, მისამართადაც ყოველთვის მითითებული იყო ვალე, ... ქ. #43 და ამ მისამართზე ღებულობდა მხარე ყველა შეტყობინებას.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო პალატა არასწორად დაეყრდნო მომჩივნის ახსნა-განმარტებას, რომლის მიხედვითაც, ზიანი ნამდვილად მიადგათ მოურწყველობით, რაც სარჩელშიც არის დაფიქსირებული, მოურწყველობა მოხდა არხების დაზიანებით, არხების დაზიანება კი მოხდა დატბორვით, რაც "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" მილსადენის მშენებლობით იყო გამოწვეული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო მ. და რ. გ-შვილების მიერ წარმოდგენილ საკასაციო საჩივარს და თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 12 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი კომპანიის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო. ამავე პალატის 2009 წლის 30 იანვრის განჩინებით მ. გ-შვილის და რ. გ-შვილის საჩივარი 2008 წლის 12 ნოემბრის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორების მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მ. გ-შვილს და მის წარმომადგენელს უწყება არ ჩაბარდათ და მათთვის უცნობი იყო სასამართლო სხდომის შესახებ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. წარმომადგენელი ვალდებულია, უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ სასამართლო უწყება 2008 წლის 12 ნოემბრის 14.00 საათზე დანიშნული სასამართლო სხდომის თაობაზე გაეგზავნათ რ. და მ. გ-შვილებს მათ მიერ

საქმეში მითითებულ მისამართზე და ასევე მათ წარმომადგენელს - ლ. ბ-ძეს. ასევე დადგინდა, რომ გაგზავნილი სასამართლო უწყებები ჩაჰბარდათ მ. გ-შვილს და ლ. ბ-ძეს.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ რ. გ-შვილის სახელზე გაგზავნილი სასამართლო უწყება დაბრუნდა ჩაუბარებელი სახით იმ საფუძველით, რომ მითითებულ მისამართზე არსებული შენობა დანგრეულია და მიმდინარეობს მშენებლობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ სხდომის დღის შესახებ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, რ. გ-შვილის შვილთან - პ. გ-შვილთან შედგა სატელეფონო საუბარი, რის შემდეგაც შედგა ტელეფონით სასამართლო შეტყობინების აქტი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად ტელეფონით სასამართლო შეტყობინების შესახებ შედგენილი აქტით სასამართლო უწყების ჩაბარება დასტურდება. მოცემულ შემთხვევაში რ. გ-შვილის შვილისათვის - პ. გ-შვილისთვის შეტყობინება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ჩაითვლება ადრესატისთვის უწყების ჩაბარებად. ამდენად საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მხარე სხდომის დღის შესახებ გაფრთხილებული იყო კანონით დადგენილი წესით, შესაბამისად სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო გამოეტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება სათანადოდ დასაბუთებულია. შესაბამისად არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

მ. და რ. გ-შვილების საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 იანვრის განჩინება;
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უწყების გაგზავნა

განჩინება

#ას-791-1078-09

3 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: დაუსწრებელი გადაწყვეტილება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 13 აგვისტოს განჩინებით საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განხილვის შესახებ არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

აღნიშნული განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის განხილვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 მარტის განჩინებით საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში განსახილველად; მოპასუხე ლ. მ-ავას გადაეგზავნა სააპელაციო საჩივრის ასლი და დაევალა სააპელაციო საჩივრის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში შესაგებლის წარმოდგენა, ამასთან, განემარტა, რომ არასაპატიო მიზეზით შესაგებლის წარმოდგენლობის შემ-

თხვევაში, სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გამოიტანდა დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232^ა მუხლის შესაბამისად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, მოწინააღმდეგე მხარის მიერ შესაგებლის წარმოდგენლობის გამო, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 13 აგვისტოს განჩინება და ამავე სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მასალების თანახმად, დადგინდად მიიჩნია, რომ ლ. მ-ავას რამდენჯერმე გაეგზავნა სააპელაციო საჩივრის ასლი საქმეში მითითებულ მისამართზე. იმის გამო, რომ ლ. მ-ავას არ ჩაჰბარდა სააპელაციო საჩივრის ასლი, სასამართლომ დაავალა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ძველი თბილისის ტერიტორიული ორგანოს საუბნო სამსახურს 10 დღის ვადაში ლ. მ-ავასათვის სააპელაციო საჩივრის გადაცემა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ძველი თბილისის ტერიტორიული ორგანოს საუბნო სამსახურის 2009 წლის 17 აპრილს შედგენილი ოქმის თანახმად, დადგენილ იქნა, რომ ლ. მ-ავა იშვიათად მიდიოდა მითითებულ მისამართზე, ხოლო მისი ადგილსამყოფელი უცნობი იყო. ამავე დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ძველი თბილისის ტერიტორიული ორგანოს საუბნო სამსახურმა შეადგინა ოქმი, რომლის თანახმად, გაირკვა, რომ ინსპექტორ-გამომძიებელი ლ. მ-ავას დაუკავშირდა ტელეფონზე სასამართლო გზავნილის გადაცემის თაობაზე, თუმცა მან უარი განაცხადა უწყებისა და ნებისმიერი სხვა დოკუმენტის ჩაბარებაზე.

სააპელაციო სასამართლომ სატელეფონო შეტყობინებისას ლ. მ-ავას უარი გზავნილის ჩაბარებაზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადრესატის მიერ უწყების ჩაბარებაზე უარის თქმის ტოლფასად მიიჩნია და, შესაბამისად, ჩათვალა, რომ ლ. მ-ავას სააპელაციო საჩივარი ჩაჰბარდა, სატელეფონო შეტყობინების ოქმის შედგენის დღეს - 2009 წლის 17 აპრილს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში მოწინააღმდეგე მხარე - ლ. მ-ავამ სააპელაციო საჩივარზე შესაგებელი არ წარმოადგინა და შესაგებლის წარმოდგენლობის თაობაზე რაიმე მიზეზზე სასამართლოს არ აცნობა, ხოლო სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები ამართლებდა სააპელაციო საჩივარს, სასამართლომ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე.

აღნიშნულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა ლ. მ-ავამ და მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძველით, რომ სააპელაციო სასამართლომ წარმოებაში მიიღო კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე შეტანილი სააპელაციო საჩივარი, ვინაიდან საჩივრის ავტორის განმარტებით, საქმის ფურცელ 429-ზე განთავსებული შეტყობინების ბარათით დასტურდებოდა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება ორგანიზაციას ჩაჰბარდა 2008 წლის 4 სექტემბერს, ხოლო მან სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2009 წლის 26 თებერვალს, ე.ი. კანონით დადგენილი საჩივრების ვადის დარღვევით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ივნისის განჩინებით ლ. მ-ავას საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს 2008 წლის 13 აგვისტოს განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ არ იყო შესული კანონიერ ძალაში, ვინაიდან საქმეში არსებული გზავნილით არ დასტურდებოდა, თუ რომელ დაწესებულებას და რა თანამდებობის პირს ჩაჰბარდა გზავნილი, შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ დარღვეული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის მოთხოვნები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს პირველი ინსტანციის განჩინების ასლი არ ჩაჰბარებია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, არ ჰქონდათ გამგებელი სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა და, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას არ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" პუნქტით გათვალისწინებული გარემოება.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. მ-ავამ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმ საფუძველით, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ სააპელაციო საჩივარი შეტანილი იყო ვადადარღვევით. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში იყო შესული, სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივარი მაინც დააკმაყოფილა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ ლ. მ-ავას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები ან, თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

კასატორი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტს, რომლის თანახმად, სასამართლო ვერ გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, თუ არ არსებობს სარჩელის აღძვრის წინაპირობა. სააპელაციო საჩივრის განხილვის შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის აღძვრის წინაპირობები.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს 233-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორის განმარტებით, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ სააპელაციო საჩივარი შეტანილი იყო ვადადარღვევით, რის დასადასტურებლადაც მიუთითა საქმეში არსებულ შეტყობინების ბარათზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას მასზედ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 13 აგვისტოს განჩინება საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს არ ჩაჰბარებია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78 მუხლების მოთხოვნათა დაცვით, და, შესაბამისად, არ გაუშვიათ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, ფოსტის ან კურიერის მეშვეობით ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება (გზავნილი) უნდა ჩაჰბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში უწყების ჩაბარება დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით. განსახილველ შემთხვევაში, კი კასატორის მიერ მითითებულ საქმეში არსებული გზავნილი არ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული მუხლის მოთხოვნებს, ვინაიდან მასზე არ არის მითითებული გზავნილის ჩამბარებელი პირის თანამდებობა, არ არის დასმული ორგანიზაციის ბეჭედი და არ არის დადასტურებული ფოსტის მუშაკის ხელმოწერით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება, დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე, მიღებულია კანონის მოთხოვნათა დაცვით და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

- ლ. მ-ავას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
- უცვლელად დარჩეს ამ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ივნისის განჩინება;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.